

ლიზა ჯეიმს სმიტი-ვამპირის დღიურები: ბრძოლა

-დეიმონ!

ცივი ქარი ელენას თმებს უწეწავდა, სახეში ხვდებოდა და თხელ სვიტერს უფრიალებდა. ყვითელი ფოთლები სწრაფად დაფრინავდნენ გრანიტის საფლავებს შორის. ხეები კი გაბრაზებულები ურტყამდნენ ერთმანეთს ტოტებს. ელენას ხელები გაეყინა, ტუჩები და ლოყები კი გაუშეშდა, მაგრამ მაინც აგრძელებდა ბოლო ხმაზე ყვირილს.

– დეიმონ!

ამ ქარით ის მხოლოდ თავის ძალას აჩვენებდა, უნდოდა ელენა შეეშინებინა. მაგრამ შედეგი პირიქითი იყო. სტეფანის წინააღმდეგ გამოყენებული იგივე ძალა ელენაში შურისძიების სურვილს აღძვრიდა, რომელიც ამ საშინელი ქარისგან იცავდა. თუ დეიმონმა სტეფან რამე უქნა, თუ რამე დაუშავა...

– დაგწყევლოს ღმერთმა! მიპასუხე! – იყვირა ელენამ სადღაც მაღალი მუხებისკენ, რომლებიც სასაფლაოს გარს შემორტყმოდნენ. ელენას ფეხებთან მკვდარი ყვითელი ფოთოლი მოფრინდა, მაგრამ პასუხი კიდევ არავის გაუცია. ყველა მხრიდან გოგონას საფლავის ქვები შემორტყმოდა. ზევიდან კი ბნელი, ნაცრისფერი ცა დაჰყურებდა. ელენა მიხვდა, თუ როგორ უწვავდა ყელს შურისძიება და იმედგაცრუება. მოკლედ, ის შეცდა. დეიმონი აქ არ იყო. აქ მას მხოლოს საშინელი ქარი დახვდა.

ელენა მკვეთრად მოტრიალდა, წასვლას აპირებდა და გაშეშდა. მის წინ დეიმონი იდგა, ისე ახლოს რომ კინაღამ შეეჯახა. მას რა თქმა უნდა ეგრძნო რომ მის უკან ვიღაც იდგა, ან მისი სიტბო, ან სუნთქვა ეგრძნო, მაგრამ დეიმონი შვეულუბრივი ადამიანი არ იყო. რაღაც ძალამ ელენას რამდენიმე ნაბიჯით უკან დახევა აიძულა, ყველა ის საშინელი ფიქრებმა, შიშმა, რომელიც სანამ ელენა ქარს უყვიროდა მისი სულის სიღრმეში იყო ჩამარხული ახლა იფეთქა და ელენას გაქცევისკენ მიუთითა. ელენამ მუჭა შეკრა.

– სტეფანი სადაა?

დეიმონი შავ წარბებს შორის რთულად შესამჩნევი ნაკეცი გაჩნდა.

– ვინ სტეფანი?

ელენა ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მას და სახეში გაარტყა. ის თვითონ არ ელოდა ესეთი რეაქცია თუ ექნებოდა და უკვე წამის შემდეგ ვერც კი დაიჯერა რომ ეს გააკეთა. დარტყმა ძლიერი იყო და დეიმონს თავი გვერდზე გააწევიანა. ხელისგულები გაეყინა. ელენა ცდილობდა სუნთქვა გაეთანაბრებინა და თან დეიმონს აკვირდებოდა.

როგორც ყოველთვის დეიმონი შავებში იყო ჩაცმული. შავი ფეხსაცმელი, შავი სვიტერი, შავი ტყავის კურტკა. როგორ გავდა სტეფანს! ელენას გაუკვირდა რომ ეს აქამდე ვერ შეამჩნია. იგივე მუქი თმები, იგივე ფერმკრათალი კანი, იგივე ამაღელვებელი მიზიდულობა. უბრალოდ დეიმონს თმები სწორი ჰქონდა, არა ხვეული. თვალები შავი როგორც შუაღამე, ტუჩები კი ვიწრო და მტკიცე ჰქონდა. დეიმონმა ნელა მოაბრუნა თავი ელენასკენ და გოგონამ დაინახა როგორ ტოვებდა სისხლი კვალს მის ლოყაზე.

– არ მომატყუო – აკანკალებული ხმით ტქვა ელენამ. – მე ვიცი ვინ ხარ შენ. ვიცი რა ნაგავიც ხარ! გუშინ მისტერ ტანერი მოკალი, ახლა კი სტეფანი დაიკარგა.

–ხო? მართლა? მართლა იცი რომ სტეფანი დაიკარგა?

დეიმონის სახეზე ღიმილი გაჩნდა მაგრამ წამში კვლავ გაქრა.

– გაფრთხილებ! უბრალოდ თითოთ თუ შეეხები...

– და რა მერე? – იკითხა დეიმონმა – რას მიზამ? საერთოდ ჩემს წინააღმდეგ რა შეგიძლია?

ელენა სიჩუმეში ჩაიძირა. მიხვდა რომ ქარი აღარ იყო და ახლა სამყარო საშინელი სიჩუმით

გაივსო. ის და დეიმონი უძრავად იდგნენ ენერჯის რგოლის ზუსტად შუაში. ელენას მოეჩვენა

რომ ყველაფერი გარშემო დეიმონს უკავშირდებოდა და სწორედ ის კარნახობდა მათ თუ რა უნდა ექნათ. დეიმონმა თავი ოდნავ მოაბრუნა, მას თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

– არ ვიცი, მაგრამ ახლავე რაღაცას მოვიფიქრებ. ამაში ეჭვი არ შეგეპაროს.

დეიმონმა უცებ გაიცინა და ელენას მიძინებული გრძნობები კვლავ გააღვიძა. როგორი ლამაზი იყო, სიტყვა მიმზიდველი ზედმეტად უფერული იყო. მაგრამ სიცილი მაშინვე გაქრა. მისი ტუჩები გაჩერდნენ, მაგრამ მის თვალებში ჯერ კიდევ შენიშნავდი მხიარულებას.

– ნამდვილად მჯერა – თქვა მან სრული სიმშვიდით, თან სასაფლაოს დიდი ინტერესით ათვარიელებდა. შემდეგ ისევ ელენასკენ შემობრუნდა და ხელი გაუშვირა

– ჩემი ძმისთვის ზედმეტად კარგი ხარ. – აღნიშნა მან.

ელენას უნდოდა მაგრამ ხელის შეხება ვერ გაბედა.

– მითხარი, სად არის.

– ნუ, შეიძლება გითხრა... გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. – დეიმონმა ხელი გასწია, მაგრამ ელენამ მოასწრო შეემჩინა იგივე ბეჭედი, რაც სტეფანს ეკეთა. ვერცხლის ბეჭედი ლაზურის ქვით.

ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი, დამახსოვრება აუცილებელია.

– ჩემი ძამიკო, – გააგრძელა დეიმონმა – უბრალოდ იდიოტია. შენი და კეტრინის მსაგსების გამო ფიქრობს რომ შენ სუსტი ხარ და შენი მართვაც ზუსტად ისე შეიძლება. მაგრამ ის ძალიან ცდება. შენს გაღიზიანებას ქალაქის მეორე ბოლოშიც ვგრძნობ. ახლაც ვგრძნობ, ის ანათებს როგორც მზე უდაბნოში. შენ ძლიერი ხარ ელენა, შენს ნაჭუჭშიც კი. მაგრამ შენ შეგიძლია გაცილებით ძლიერი გახდე.

ელენა გაკვირვებული უყურებდა მას. სასაუბრო თემის ასეთმა მკვეთრმა შეცვლამ ელენა მაინც და მაინც არ გაახარა.

– არ ვიცი რაზე ლაპარაკობ და საერთოდ ამას რა კავშირი აქვს სტეფანთან?

–მე ძალაზე ვლაპარაკობ, ელენა. – უცებ დეიმონი გოგონას მკვეთრად მოუახლოვდა. თვალს არ აშორებდა... თან რბილად, მაგრამ თავდაჯერებულად გააგრძელა – შენ უკვე სცადე დანარჩენი ყველაფერი და სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღე. ჩანს თითქოს შენ გოგონა ხარ, რომელსაც ყველაფერი აქვს. მაგრამ რაღაც მაინც არის ისეთი რასაც შენ ვერ შეწვდები. რაღაც რაც გჭირდება, მაგრამ ვერაფრით პოულობ. აი რას გთავაზობ, ძალას, სამუდამო სიცოცხლეს, და შეგრძნებებს რომელიც აქამდე არასდროს გიგრძენია.

– არა!

– რატომ ელენა? – ჩურჩულებდა დეიმონი. – რატომ არ გინდა სცადო? სიმართლე თქვი. ნუთუ ეს არასდროს გინატრია? – მისი შავი თვალები სავსე იყო ენერგიით და ცეცხლით. ელენა გრძნობდა რომ მისი მხერვა განძრევის საშუალებას არ აძლევდა. – ნება მომეცი გავაღვიძო ის ძალა, რომელსაც აქამდე ეძინა. შენ საკმარისად ძლიერი ხარ სიბნელეში საცხოვრებლად. შენ ძალიან მარტივად შეგიძლია მოიპოვო დიდება და სიბნელის დედოფალი გახდე. რატომ არა? მე დაგეხმარები.

– არა – ძლივს წარმოთქვა ელენამ დეიმონს მიშტერებული.

არა, ის აღარ შეხედავს დეიმონს, არ მისცემს უფლებას ასე ადვილად დაავიწყოს... ასე ადვილად დაავიწყოს...

– ეს ბოლო საიდუმლოა ელენა. – ჩურჩულით თქვა დეიმონმა. მისი ხმა ისევე ეფერებოდა გოგონას, როგორც თითები, რომლებიც უკვე მის ყელს ეხებოდნენ. – შენ ბედნიერი იქნები. იმაზე მეტად, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგიძლია.

არსებობდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, რომლის დავიწყებაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. დეიმონი იყენებდა ძალას, რომ დავიწყებინა, მაგრამ გოგონა ამის ნებას არასდროს მისცემდა.

– და მე და შენ ერთად ვიქნებით – ცივი თითები მის ყელზე სრიალებდნენ... – ახლა ჩვენ ერთად ვიქნებით, სამუდამოდ.

ტკივილმა ელენას უცებ დაარტყა, როცა დეიმონის თითები მისი ყელის ორ წერტილს შეეხო. გოგონა გამოფხიზლდა. დავიწყდეს... სტეფანი....

აი თურმე რისი ამოშლა უნდოდა მეხსიერებიდან. სტეფანი.. მისი მწვანე თვალები, ღიმილი, რომლის უკან ყოველთვის სევდა იმალებოდა. მაგრამ ახლა ელენას ფიქრებიდან სტეფანის გამოდევნას ვერავინ შეძლებდა.

არა, არა იმის მერე რაც ისინი ორივე სისხლს დალევენ... – ელენა დეიმონისგან გამოიწია, მისი ხელები ყელიდან მოიშორა

– მე უკვე ვიპოვე ის რა მინდა. – დამაჯერებლად თქვა მან – მე უკვე ვიპოვე ის ვისთანაც მინდა სამუდამოდ ყოფნა.

ამ სიტყვების გაგონებაზე დეიმონის თვალები კიდევ უფრო გაშავდა. ჰაერი ცივი შხამით გაივსო. ელენას დეიმონის შემხედვარე კობრა გაახსენდა, რომელიც თავდასხმისთვის მზად იყო.

– ნუ იქნები სულელი – თქვა დეიმონმა. – ნუ დაემგვანები ჩემს ძმას თორემ მეც მასავით მოგექცევი.

ახლა ელენას ეშინოდა. ვერ ეროდა მასში ზრდად შიშს. ქარი ძალას იკრებდა და უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხეები აქეთ–იქით ქანაობდნენ.

– მითხარი სადაა

– ახლა? აზრზე არა ვარ. არ შეგიძლია წამით მაინც შეწყვიტო მასზე ფიქრი?

– არა ! – ელენა კანკალებდა, თმები უფრიალებდა...

– ეს შენი დღევანდელი საბოლოო პასუხია? იცი ელენა შენ გეტყობა ძალიან დარწმუნებული ხარ რომ ჩემთან ამ თამაშის თამაში გინდა. მაგრამ იცოდე შედეგები ისეთი აღმოჩნდება, დამიჯერე ძლიერ ინანებ.

– ეჭვიც არ მეპარება. – ელენას უნდა გაეჩერებინა ის სანამ დაიმორჩილებდა. – მაგრამ შენ ვერ შემამინებ დეიმონ, ნუთუ ვერ ვხვდები? იმის მერე რაც სტეფანმა შენზე ყველაფერი მომიყვა, თუ რა გააკეთე და საერთოდ ვინ ხარ, მე შენ მეზიზღები. შენზე გული მერევა და ამის მეტს ვერაფერს გააკეთებ.

დეიმონს სახის გამომეტყველება შეეცვალა, ახლა ეტყობოდა არა მგმნობიარობა, არამედ ძლიერი მიზანდასახულობა. მან გაიცინა და ჩანდა თითქოს ეს სიცილი მთელი საუკუნე გაგრძელდა.

– ვერაფერს? – იკითხა დეიმონმა. – რაც მომინდა იმას გაგიკეთებ . შენ და შენ ვინც გიყვარს იმასაც. ელენა შენ ჯერ კიდევ არ იცი რისი გაკეთება შემიძია, მაგრამ არაუშავს, მალე გაიგებ.

დეიმონმა ერთი ნაბიჯი გადადგა. ელენას სახეში ცივმა ნიაგმა შეუბერა. თვალები ბურუსში გაეხვია, ჰაერში კი დამაბრმავებელი თეთრი ლაქები დატრიალდნენ.

– მალე ზამთარი დაიწყება – მისი ცივი ხმა ქარის ზუზუნშინც ნათლად ისმოდა. – წელიწადის საშინელი დრო. და სანამ ის აქ გაჩერდება შენჩემთან მოხვალ. ჩემი გახდები. იქამდე დარწმუნდები ჩემს ძალაში.

ქარიშხალი ელენას აბრმავებდა, ახლა დეიმონის შავ ფიგურასაც ვეღარ ხედავდა, მისი ხმაც იკარგებოდა. ელენამ ორივე ხელი სახეზე მიიდო და თავი დაბლა დახარა

– სტეფან.. – წაიჩურჩულა.

– უი ხო – გააგრძელა დეიმონმა – სულ დამავიწყდა, ჩემს ძმაზე მეკითხებოდი. მისი ძებნით თავს ნუ შეიწყუხებ, გუშინ ღამე მოვკალი.

ელენამ სწრაფად და მკვეთრად აწია თავი, მაგრამ ქარიშხალსა და თეთრ ლაქებს შორის, რომლებიც ლოყებს უწვავდა და წამწამებზე ეჭიდებოდა ვერაფერი დაინახა. და ახლა როცა პატარა წერტილები ელენას კანზე დაეცა, იგი მიხვდა რომ ეს ფიფქები იყო. პირველ ნოემბერს თოვლი მოვიდა. და მზე გაქრა...

უცნაური, არაბუნებრივი ბინდი ჩამოწვა მიტოვებულ სასაფლაოზე. თოვლის ფანტელები პირდაპირ თვალებში ეყრებოდა ელენას, ხოლო გაშმაგებული ქარისგან მთელი სხეული უბუჟდებოდა. ამის მიუხედავად ის არ გეგმავდა შებრუნებას ახალი სასაფლაოსკენ და მასთან ახლოს გზაზე გასვლას. რამდენადაც შეეძლო ელენას განსჯა, დაწნული ხიდი ზუსტად პირდაპირ უნდა ყოფილიყო და ზუსტად ხიდის მიმართულებით წავიდა.

პოლიციამ სტეფანის მანქანა ძველ გზაზე ნაკადულთან ახლოს იპოვა. ელენა ძნელად მიიკვლევდა გზას მცენარეებით დაფარულ სასაფლაოზე. ის შეუსვენებლად მოძრაობდა, თავდახრილი და ხელებით მჭიდროდ იჭერდა თხელ მოსასხამს ტანზე. ელენამ ეს სასაფლაო ბავშვობიდან იცოდა და შეეძლო აქ თვალდახუჭული სიარული. ხიდთან მისვლამდე, სიცივე რომელიც ძვალ-რბილში ატანდა კუნთების ტკივილად იქცა, ახლა თოვლი ისე ძალიან აღარ მოდიოდა, სამაგიეროდ ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა. ის არ აძლევდა ელენას საშუალებას ესუნთქა და ისე ადვილად აღწევდა ტანსაცმლიდან თითქოს ტანსაცმელი სიგარეტის ქაღალდის ყოფილიყოს.

– გაიფიქრა ელენამ და შეტრიალდა ძველი გზისკენ რომელიც ჩრდილოეთით მიიწევდა. მან არ დაუჯერა დეიმონის სიტყვებს. სტეფანი, რომ მომკვდარიყო ელენა ამის შესახებ გაიგებდა. არა! ის ისევ ცოცხალი იყო და ელენა ვალდებული იყო, რომ სტეფანი მოემბნა. სტეფანი ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო – შეიძლება ის დაჭრილი იყო და ახლა სიცივისგან კვდებოდა. ელენამ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მას აღარ შეეძლო გონივრულად განსჯა. მისი გონება მარტო ერთი აზრისკენ იყო მიმართული:

კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა მოძრაობა. მისგან მარჯვნივ მუხის ხეივანი გადაშლილიყო მარცხნივ კი ნაკადულის ჩქარი წყალი მოჩუქჩუქებდა. ელენა წაბორძიკდა და უფრო ნელა განაგრძნო გზა. ძალიან უნდოდა ჩამოჯდომა სადმე და შესვენება, თუნდაც მხოლოდ ერთი წუთით! ელენა გზასთან ახლოს ჩამოჯდა და გაიფიქრა, რომ სისულელე იყო წასულიყო არსაით და მოემბნა სტეფანი. სტეფანი ვალდებული იყო თვითონ მოსულიყო მასთან. ყველაფერი რაც ელენას მოეთხოვებოდა ეს იყო დაჯდომა და სტეფანის დალოდება. მუხლებზე თავდადებულმა ელენამ თვალები დახუჭა. ახლა ის ბევრად თბილად გრძნობდა თავს. ის გადაეშვა იქ სადაც ხედავდა სტეფანს, ის უღმოდ. სტეფანის ძლიერი ხელები ეხვეოდნენ ელენას და ის მოდუნდა მის მკლავებში. ბედნიერი იმით, რომ ახლა შეეძლო დამშვიდება, მოეხსნა დამაბულობა. ელენა სახლში აღმოჩნდა. ზუსტად აქ იყო მისი ადგილი. სტეფანი არასდროს დაუშვებს, რომ ის დაიტანჯოს. მაგრამ შემდეგ, იმის მაგივრად, რომ უბალოდ მოხვეოდა, ის ურღვევდა ბედნიერ წუთებს, ელენა ხედავდა მის ფერმკრთალ სახეს, სტეფანის მწვანე თვალები გაშავდა ტკივილისგან. ელენა შეეცადა შეეჩერებინა ის, მაგრამ ის არ უსმენდა მას.

– ელენა ადექი! – ძლიერი ხმა მოულოდნელად დამფრთხალმა შეცვალა.

– ადექი ელენა! ადექი! ჩვენ არ შეგვიძლია შენ წაგიყვანოთ!

ელენა ცდილობდა გონების მოკრებას, თითქმის გამჭვირვალე კანი, ყავისფერი თვალები, ეს იყო პირველი რაც მან შეამჩნია.

- ბონი – ნელა თქვა ელენამ – აქ რას აკეთებ?

- მე მეხმარება შენს მოვლაში – უპასუხა მეორემ.

ელენამ ოდნავ შეატრიალა თავი. მერედიტის მუქ თვალებში, ჩვეულებრივ ირონიულ გამომეტყველებაშიც კი აღბეჭდილიყო შიში.

- ადექი ელენა, თუ რა თქმა უნდა შენ არ გინდა, რომ ყინულის დედოფლად გადაიქცე.

ელენა ადგა. მზომიედ ეყრდნობოდა დაქალების ხელებს. ყოველი მოძრაობა ძნელი იყო. თოვლი კი მის ტანზე თითქოს თეთრი პალტოსავით იყო შემოხვეოდა. ერთად ისინი მერედიტის მანქანისკენ გაემართნენ. მანქანის შიგნით რა თქმა უნდა ბევრად უფრო თბილოდა, მაგრამსითბომ ელენაში კანკალი გამოიწვია და ახლა მიხვდა თუ როგორ გაყინულა. - ფიქრობდა ის იმ დროს როდესაც მერედიტს მანქანა შინისაკენ მიჰყავდა. – რა ხდება ელენა? – კითხა ბონიმ უკანა სიდენიდან.

- ჯანდაბა, რას აკეთებდი იქ? იქ როგორ მოხვდი? ელენამ ხმაამოუღებლად დაუქნია თავი.

ქვეყანაზე ყველაზე მეტად მას უნდოდა ახლა ბონისა და მერედიტისთვის იმის მოყოლა რაც მის თავს ხდებოდა. სტეფანის და დეიმონის ისტორია, ამასთანავე იმის ახსნა რა მოხდა სინამდვილეში გუშინ საღამოს მისტერ ტონერთან და რა მოხდა მერე, მაგრამ მას არ შეეძლო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მას დაუჯერებდნენ ეს არ იყო მისი საიდუმლო, მას არ ჰქონდა უფლება ვინმესთვის რამე მოეყოლა.

- ყველა შენ გეძებს. – უთხრა მერედიტმა. – მთელი სკოლა. დეიდაშენი კი სასოქარკვეთილებამდეა მისული..

- ძალიან ვწუხვარ. – თქვა ელენამ, თან ცდილობდა შეეკავებინა ცახახი. მათ გადაუხვიეს მთავარ ქუჩაზე და მივიდნენ ელენას სახლთან. დეიდა ჯუდიტს მომზადებული ჰქონდა თბილი საბნები.

- ზუსტად ვიცოდი, რომ როდესაც გიპოვიდნენ, პირველ რიგში შენი გათბობა იქნებოდა საჭირო.

- თქვა ამაღლებული ხმით დეიდამ. – წარმოუდგენელია, თოვლი ჰელოუინის მეორე დღესვე, თვალებს ვერ ვუჯერებ, ხო მართლა გოგონებო სად იპოვეთ?

- ძველ მითოვებულ გზაზე, ხიდის მეორე მხარეს. – უპასუხა მერედიტმა. დეიდა ჯუდიტის გამხდარი სახე იმ წუთშივე გაფითრდა.

- სასაფლაოსთან? ელენა როგორ აღმოჩნდი მანდ? კარგი ამაზე ახლა არ ვილაპარაკებთ. – დეიდა შეეცადა ბედნიერ განწყობაზე დაეყენებინა თავი. – აჯობებს ჭუჭყიანი ტანსაცმელი გამოიცვალო.

- მე მომიწევს იქ დავბრუნდე, როგორცკი გავშრები – პირდაპირ თქვა ელენამ. მისი გონება ისევ ამუშავდა და ახლა ნათელი გახდა: სტეფანი არ უნახავს მას იქ. ეს იყო უბრალოდ სიზმარი. სტეფანი მართლაც დაიკარგა.

- არფერი იმის მსგავსი რაც შენ თქვი. – გააპროტესტა რობერტმა, დეიდას ქმარმა. აქამდე ელენას ის არც კი შეუძმნევია, მაგრამ მისი ტონი ვერნაირ გაპროტესტებას ვერ მიიღებდა. – პოლიცია ეძებს სტეფანს. ნება მიეცი გამოცდილმა ადამიანებმა მიხედონ სტეფანის საქმეს.

- პოლიცია ფიქრობს, რომ სტეფანმა მოკლა მისტერ ტანერი, მაგრამ ეს ასე არ არის. თქვენ ხომ იცით ამის შესახებ? – მანამ სანამ დეიდა ჯუდიტი მას ხდიდა სველ სვიტერს, ელენა ეძებდა მის მხარდამჭერ სახეებს, მაგრამ ვერ პოულობდა. – ხომ იცით, რომ სტეფანს ის არ მოუკლავს – სასოწარკვეთილმა იკითხა მან, მაგრამ ყველა დუმდა.

- იცი ელენა – როგორც იქნა წამოიწყო მერედიტმა – არავის არ უნდა იფიქროს, რომ ეს სტეფანმა ჩაიდინა. მაგრამ გაიგე... ყველაფერი ძალიან ჩახლართულად გამოიყურება. ის ასე უცებ ადგა და გაიქცა.

-ის არსად არ გაქცეულა! მას არაფერი ამდაგვარი არ გაუკეთებია! მას არ მოუკლავს და არ გაქცეულა...

-წყნარად ელენა. – უთხრა ელენას დეიდა ჯუდიტმა – არ არის საჭირო ასე ნერვიულობა. მემგონი შენ ავად ხდები. წინა ღამეს თითქმის არ გიძინია.

უცებ ელენას მოთმინების ფიალა აივსო. მისი არავის სჯეროდა. მეგობრებს და ნათესავებსაც კი არა. ამ წუთში ელენას ეგონა, რომ ის მტრებით იყო გარშემორტყმული.

– მე არ ვარ ავად! – იყვირა მან – და მე არ გავგიჟებულვარ! რაც არ უნდა იფიქროთ, სტეფნი არსად გაქცეულა და მას არ მოუკლავს მისტერ ტანერი. ჩემთვის სულერთია თუნდაც არცერთმა თქვენგანმა არ დმაიჯეროთ. ჰაერი არ ჰყოფნიდა, ელენა გაჩერდა. დეიდა ჯუდიტი აფუსფუსდა, ცდილობდა სამინებელში აეყვანა ელენა, მაგრამ ელენა არ ამღევედა უფლებას. ის რა დაწვა საწოლში მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაიღალა, ამის ნაცვლად, უკვე გამთბარი ელენა მისაღებ ოთახში ჩამოჯდა სავარძელში და შემოიხვია ადიალები. ტელეფონი მთელი დღე რეკავდა და მას ესმოდა თუ როგორ ლაპარაკობდა დეიდა ჯუდიტი მეგობრებს, მეზობლებს, სკოლის მასწავლებლებს. მხიარული ხმით ის ამშვიდებდა ყველას, რომ ელენა კარგად იყო. წინა ღამის საშინელი მოგონებები უკვე შეროეული იყო თითქოს, ყველაფერი რიგზე იყო, გადატანილს მხოლოდ ელენას მსუბუქი გაციება ახსენებდა, მაგრამ დასვენების შემდეგ ესეც გადაუვლიდა. ბონი და მერედირი ელენას გვერდით ისხდნენ.

– გინდა ვილაპარაკოთ? – შესთავაზა მერედიტმა. ელენამ ისე, რომ მერედიტისთვის არც შეუხედავს თავი გააქნია. ყველა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. დეიდა ჯუდიტი ცდებოდა – სულაც არ იყო ყველაფერი რიგზე. არაფერი არ იქნება კარგად მანამ სანამ ელენა არ იპოვის სტეფანს. მეტი მოვიდა, მის თმაზე თოვლის თეთრი ფანტელები ჯერ კიდევ არ გამდნარიყო. როცა მეტი ოთახში შევიდა ელენამ მას იმედიანად შეხედა. გუშინ ის დაეხმარა მას სტეფანის გადარჩენაში. როცა მთელი სკოლა მისი ლინჩის წესით გასამართლებას გეგმავდა, მაგრამ დღეს დაიმედებულ ელენას მეტი ჯანსაღი სინანულით უყურებდა. სინანული რომელსაც მეტის თვალბში კითხულობდა ელენა მხოლოდამხოლოდ გოგონას ეკუთვნოდა. ელენას გული კიდევ ერთხელ გაუტყდა.

– აქ რას აკეთებ? – ბრაზმორეული ხმით ჰკითხა ელენამ – შენს დაპირებას ასრულებ და ჩემზე ზრუნავ? მეტმა თავშეკავებულად უპასუხა.

– მე კარგად ვარ, დიდი მადლობა. შეგიძლია ნებისმიერს კითხო. ასე, რომ შეგიძლია არ ინერვიულო. ამას გარდა მე არ ვფიქრობ, რომ მკვლელისთვის მიცემული პირობა უნდა შევასრულო. გაცემულმა მეტმა მერედიტს და ბონის გადახედა. – შენ უსამართლოდ მექცევი. ელენას უბრალოდ არ ჰქონდა ძალები იმისთვის, რომ სამართლიანი ყოფილიყო.

– მე უკვე გითხარ შეგიძლია ჩემზე და ჩემს საქმეებზე არ ინერვიულო. მე წესრიგში ვარ, მადლობ. მეტი მიხვდა ელენას სიტყვებიდან გამომდინარე რასაც გულისხმობდა გოგონა და ის გასასვლელისკენ გაემართა ზუსტად იმ მომენტში როდესაც დეიდა ჯუდიტი გამოჩნდა ბუტერბროტებით.

– ბოდიშით მე უნდა წავიდე. – წაიბუტბუტა მეტმა. ის წავიდა, წავიდა უკანმოუხედავად. ვახშამდე მერედტი ბონი, დეიდა ჯუდიტი და რობერტი შეეცადნენ ელენასთან დალაპარაკებას, მაგრამ ელენას არც ჭამა და არც ლაპარაკი არ უნდოდა. ერთადერთი ბედნიერი ადამიანი სახლში მარგარეტი იყო, ელენას პატარა დაიკო. თავისი ბავშვური უდარდლობით მერედტი ელენას ჰელოუინის დროს მოპოვებული ტკბილეული შესტავაზა. ელენა ჩაეხუტა დაიკოს. სტეფანს, რომ შეძლებოდა ელენასთან დაკავშირება ალბათ აქამდე დაუკავშირდებოდა. მას ქვეყანაზე არაფერი შეაჩერებდა, მძიმე სიტუაციის გარდა ან... მაგრამ ამ ბოლო “ან”ზე ელენას

ფიქრიც კი არ უნდოდა. სტეფანი ცოცხალია. ის აუცილებლად ცოცხალი არის. დეიმონმა მოიტყუა. მაგრამ სტეფანი საფრთხეში იყო და ელენას ის უნდა ეპოვნა. ამ ფიქრმა ის მთლიანად მოიცვა. გოგონა სასოწარკვეთილი ცდილობდა რამე გეგმის მოფიქრებას. ერთადერთი რამ იყო ნათელი: ის მარტო დარჩა. ელენას აღარავის ნდობა აღარ შეეძლო. დაბნელდა. ელენამ დემონსტარიულად დაამთქნარა.

– დავიღალე – წყნარად თქვა მან – როგორც ჩანს, მე ავად გავხდი. მგონი უმჯობესი იქნება თუ სამინებელში ავალ. მერე დიტი ყურადღებით დააკვირდა.

– იცით მის გილბერტ, აი რას ვფიქრობ მე – თქვა მან, ისე რომ ტრიალდებოდა დეიდა ჯუდიტისკენ. – იქნებ უკეთესი იქნება თუ მე და ბონი ღამე დავრჩებით და ელენას კომპანიას გავუწევთ.

– რა კარგი აზრია! – ბედნიერად თქვა დეიდა ჯუდიტმა – თუ თქვენი მშობლები არ იქნებიან წინააღმდეგნი, მე გამიხარდებოდა თუ თქვენ დარჩებოდით.

– უკან გამგზავრებას დიდი დრო დასჭირდება – დეიდა ჯუდიტს რობერტიც შეუერთდა. – მგონი მეც უკეთესი იქნება თუ დავრჩები, მე შემოდია დივანზე მოვთავსდებ შემოსასვლელში. ერთი მზერი შევლებით იმ ადგილზე რომელიც რობერტმა თქვა ელენა მიხვდა, რომ მან აირჩია საუკეთესო ადგილი სათვალთვალოდ მთავარი შემოსასვლელი კარისკენ. მაშ ასე, მათ საუბრის გარეშე დაგეგმეს ან უბრალოდ გადაწყვეტილება მიიღეს მეგობრებმა და ნათესავებმა, გამოიჩინეს ზედმიწევნითი ყურადღება იმისთვის, რომ ელენას ამ ღამეს არ შეეძლოს გარეთ გასვლა. როცა ელენა აბაზანიდან გამოვიდა, ბონი და მერე დიტი მის საწოლზე ისხდნენ.

– გამარჯობათ Rosencrantz & Guildenstern – მიახალა ელენამ. ბონიმ გაოცებულმა გადახედა მერე დიტს.

– ის გვეუბნება, რომ იცის ვინ ვართ სინამდვილეში – ზუსტად მიაგნო მერე დიტმა – ის ფიქრობს, რომ ჩვენ დეიდამის შევეკარით და ჯაშუშები ვართ. მომისმინე ელენა, შენ უნდა გაიგო, რომ ეს ასე არაა. ნუთუ შენ ჩვენ არ გვენდობი?

– არ ვიცი. და შემოდია გენდოთ?

– რა თქმა უნდა შეგიძლია, იმიტომ, რომ ჩვენი შენი დაქალები ვართ. – მანამ სანამ ელენა ერთი ნაბიჯის გადადგმას მაინც მოასწრებდა, მერე დიტი ჩამოხტა საწოლიდან და დახურა კარი. შემდეგ კი ის ელენას მიუბრუნდა.

– ახლა კი პატარა იდიოტო, ერთხელ მაინც მომისმინე სიცოცხლეში. ჩვენ მართლა არ ვიცით რა ვიფიქროთ სტეფანთან დაკავშირებით, მაგრამ ნუთუ ვერ ხვდები, რომ ამაში შენ ხარ დამნაშავე? იმ წუთიდან როგორც კი თქვენ დაახლოვდით, ჩვენ სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოვჩნდით. ხდებოდა რაღაცეები რაზეც შენ არაფერს გვიყვებოდი. უკეთეს შემთხვევაში ყვებოდი, მაგრამ დეტალურად – არა. მიუხედავად ამისა, ყველაფრის მიუხედავად ჩვენ შენ გენდობით და ვლელავთ შენზე. გაიგე ელენა, ჩვენ შენს მხარეს ვართ და ვლელავთ შენზე. ჩვენ გვინდა დაგეხმაროთ. თუ შენ არ შეგიძლია ამის გაგება მაშინ შენ მართლაც, რომ იდიოტი ხარ. ელენამ ნელა გადაიტანა მერე დიტის დამაბული სახიდან მზერა ბონის გაფითრებულ სახეზე.

– ეს სიმართლეა – თქვა მან ისე, რომ ცდილობდა ცრემლების შეკავებას. – თუნდაც შენ ჩვენ აღარ გიყვარდეთ, ჩვენ ისევ ძველებურად გვიყვარხარ. ელენამ იგრძნო, რომ მისი თვალებიც ცრემლებით ივსებოდა. მისი აგრესიული და უარყოფითი განწყობა კი ბუშტივით ჩაიფუშა. საწოლიდან ბონიც წამოდგა და სამი გოგონა გადაეხვია ერთმანეთს. ელენას არ შეეძლო ცრემლების შეკავება.

– ბოდიშით, რომ ნორმალურად ვერ დაგელაპარაკეთ. – თქვა ელენამ – ვიცი, რომ ვერაფერს ხვდებით, მე კი არ შემიძლია აგიხსნათ რატომ ვერ გვიყვებით ყველაფერს. დამიჯერეთ უბრალოდ

არ შემიძლია. მაგრამ ერთ რამეს მაინც მოგიყვებით. – მან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია მოიწმინდა ცრემლი და სერიოზულად შეხედა დაქალებს. – არააქვს მნიშვნელობა რა დამაჯერებელია სტეფანის წინააღმდეგ საბუთები, მას არ მოუკლავს მისტერ ტანერი. ვიცი, რომ ეს მას არ ჩაუდენია. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ვიცი ეს ვინც ჩაიდინა. ამას გარდა ზუსტად ტანერის მკვლელი დაესხა თავს ვიკის და იმ მოხუცს. და... – აქ ის შეჩერდა და დაფიქრდა – მაპატიე ბონი, მაგრამ მე ასევე ვფიქრობ, რომ სწორედ მან მოკლა შენი ძალი.

_მაგრამ რაში დასჭირდა ძალის მოკვლა?

_არ ვიცი, მაგრამ ის იქ იყო იმ დამეს, შენს სახლში. და ის ძალიან გაბრაზებული იყო. კიდევ ერთხელ გთხოვ პატიებას ბონი. ბონიმ შეძრწუნებულმა დააქნია თავი.

_პოლიციას რატომ არ უყვები ყველაფერს? – კითხა მერედიტმა. ელენას სიცილი ცოტა არ იყოს სიტერიკული იყო.

_არ შემიძლია. პოლიცია ამ საქმეს ვერ გაუმკლავდება. აი ამას კი ვერ აგისხნით. თქვენ მითხარით, რომ ძველებურად მენდობით, ამ შემთხვევაში მოგიწევთ უბრალოდ სიტყვაზე მენდოთ. ბონიმ და მერედიტმა ერთმანეთს გადახედეს მერე კი მერე კი მეგობრულად დახედეს ელენას ხელებს: სრულიად უყურადღებოდ და გოგონა ხელებს საშინლად ისრესდა.

_კარგი – როგორც იქნა თქვა მერედიტმა – რით შეგვიძლია დაგეხმაროთ? _არ ვიცი. არაფრით თუ თქვენ რა თქმა უნდა... – ელენას სიტყვა გაუწყდა და ბონის შეხედა – თუ რა თქმა უნდა _ შეცვლილი ტონით განაგრძო ელენამ – ბონი არ დამეხმარება სტეფანის პოვნაში. ბონის თვალები გაფართოვდა. _მე? კიმაგრამ რა შემიძლია გავაკეთო? – თუმცა შემდეგ მერედიტმა ამოიოხრა და ისიც მიხვდა რაში იყო საქმე.

_შენ იცოდი სად უნდა მოგეძებნე მე იმ დღეს როცა სასაფლაოზე ვიყავი – აუხსნა ელენამ _ და შენ სტეფანის მოსვლაც იწინასწარმეტყველე სკოლაში.

_მე მეგონა შენ არ გჯეროდა ასეთი რაღაცეების – უთხრა ბონიმ.

_უბრალოდ ბოლო დროს ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაც გავიგე. ასეა თუ ისე, ყველაფერს დავიჯერებ რაც საჭირო იქნება, თუ ეს სტეფანის პოვნაში დამეხმარება. თუ არის რამე შანსი მაინც, აუცილებლად უნდა ვცადო.

_არა ელენა. შენ არ გესმის, მე არ მისწავლია არაფერი, მე ვერ გავუშუმკლავდები ამას. მითუმეტეს ეს არ არის თამაში. რაც უფრო მეტად იყენებ ასეთ ძალას მით მეტად გიყენებს იგი. საბოლოოდ ამ ძალას შეუძლია ადამიანი თავი სურვილის საწინააღმდეგოდ ამოქმედოს. ეს ძალიან საშიშია.

_მართალი ხარ ბონი. ეს აღარ არის თამაში და მე ვაცნობიერებ იმას, რომ ეს შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს, მაგრამ არც ისაა თამაში რაც სტეფანის თავს ხდება. არავინ არც კი ეძებს მას, მტრების გამოკლებით. შეიძლება ის ახლა კვდება ან შეიძლება ის უკვე... – ელენას თვალბუნი ცრემლები მოადგა. მან დახარა თავი და ღრმად ჩაისუნთქა. როცა მან ისევ აწი თავი შეამჩნია, რომ მერედიტი დაჟინებით უყურებს ბონის.

_ჩვენ დაგვჭირდება სანთლები. – თქვა ბონიმ. – იმისთვის, რომ მართლა მოვიკრიბო კონცენტრაცია, მე თქვენი დახმარება დამჭირდება. იფიქრეთ სტეფანზე, წარმოიდგინეთ მისი სახე და უყურეთ ალს, რაც არ უნდა მოხდეს თვალი არ მოაშოროთ ალს და რაც არ უნდა მოხდეს არაფერი თქვათ. ოთახში სიჩუმეს მხოლოდ მათი თანაბარი სუნთქვა არღვევდა. ალის შუქზე სამი გოგონა ცანდა რომელიც სანთლების ირგვლივ მრგვალ წრეზე დამსხდარიყვნენ. _სტეფან! – დამაბული ფიქრობდა ელენა. ის ქმნიდა სტეფანს საკუთარ გონებაში მთელი თავისი გრძნობების გამოყენებით. მისი სვიტერის მაგარი ნაჭერი რომელიც მის ყელს ეხებოდა, მისი ქურთუკის სურნელი, ხელების სიძლიერე რომლებიც მას ეხვეოდნენ. – აჰჰ სტეფან... ბონის სუნთქვა აჩქარდა, ზუსტად იმ ადამიანის მსგავსად რომელსაც კომმარი ესიზმრება. ელენა მტკიცედ არ

ამორება თვალს ალს, მას დაბურბგლა, როდესაც ბონიმ მოულოდნელად დაარღვია სიჩუმე. თავიდან თითქოს მან ეს ტკივილს გამო გააკეთა, მაგრამ შემდეგ მან თავი გააქნია, სუნთქვა კიდევ უფრო გაუხშირდა.

-ერთი – ამოისუნთქ ბონიმ და გაჩუმდა. ნერვიულობისგან ფრჩხილებით ჩააფრინდა ელენა თავის ხელს. – ერთი... სიბნელეში – განაგრძობდა ბონი, ყრუ ხმით. ისევ მცირა პაუზა და შემდეგ ბონი სწრაფად ალაპარაკდა: _სიბნელეა და სიცივე და მე სულ მარტო ვარ, ზურგს უკან ისეთი რაღაცაა... მაგარი და არამყარი. ქვები. ადრე მათგან ტკივილი იგრძნობოდა მაგრამ არა ახლა. ახლა მე საერთოდ დავდუმდი სიცივისგან. – ბონი ჯერ მოიკუნტა თითქოს ზურგში რაღაც ერჭობაო, მერე კი უცებ სიცილი აუტყდა. ეს საშინელი სიცილი ტირილს გავდა. – ეს... ეს ისეთი საოცარია... ვერასდროს ვიფიქრებდი... რომ ასე მომინდებოდა მზის ნახვა. აქ ყოველთვის ბნელა. ცივა. კისრამდე წყალი. წყალში ვარ ისეთ ცივში თითქოს ყინული იყოს. ეს მაკვირვებს. ირგვლივ წყალია... მე კი სურვილისგან ვკვდები... ოსე მძაფრი სურვილია... ისეთი მტკივნეული... ელენამ იგრძნო როგორ იკუმშება მისი გული. ბონი აშკარად სტეფანის ფიქრებს კითხულობდა და ვინ იცის რა შეიძლება ბონის აღმოჩინა?

_სურვილი... მე მჭირდება... სიცოცხლე? _ ბონის ხმაში ეჭვი გამოკრთოდა, თითქოს ის არ იყო დარწმუნებული სწორედ გაიგო რაღაც თუ არა. – დავსუსტიდი. მან თქვა, რომ ის ასეთი სუსტი იქნება. ის ძლიერია... ის მკვლელია. მაგრამ მე, მეც ხომ მკვლელი ვარ. შეიძლება მე დავიმსახურო სიკვდილი, მაშინ უბრალოდ რატომ არ უნდა ვთქვა ყველაფერზე უარი?..

_არა! – იყვირა ელენამ, მანამ სანამ თავის შეჩერებას შეძლებდა, ამ წუთს მას ყველაფერი დაავიწყდა სტეფანის გარდა

– სტეფან... ელენა! – ერთი წუთის შემდეგ იყვირა მერე დიტმა. მაგრამ ბონის თავი ძლივს ეჭირა და ელენა მიხვდა რაც ჩაიდინა.

_ბონი როგორ ხარ? შეგიძლია ისევ მოძებნო? მე არ მინდოდა... ბონიმ თავი ასწია. მას თვალები გაეხილა, მაგრამ არც ელენას და არც სანთლებს ისინი არ უყურებდნენ. მისი უმეტესელო სახე პირდაპირ იყურებოდა როდესაც მან ისევ წამოიწყო ლაპარაკი, მისი ხმა იმდენად გამყინავი იყო, რომ ელენას გულმა კინაღამ ფეთქვა შეწყვიტა. ეს არ იყო ბონის ხმა, მაგრამ ელენამ ის მაინც იცნო. ასეთი ხმით მას ულაპარაკია, სწორედ იმ დღეს სასაფლაოზე.

_ელენა, არ წახვიდე ხიდთან იქ სიკვდილია ელენა. შენ იქ გელოდება სიკვდილი. – შემდეგ ბონის ტავი ისევ ჩაექინდრა. ელენამ მას მხრებში ჩაავლო ხელები და ნჯღრევა დაუწყო.

_ბონი! – თითქმის იყვირა მან – ბონი!

_შენ რაა... ჯანდაბა გამიშვი. ბონის ხმა გაოცებისგან ძლივს ისმოდა, თუმცა ეს მისი ხმა მაინც იყო.

_ბონი ყველაფერი რიგზეა?

_მგონი კი, მაგრამ ყველაფერი ისე უცნაურად იყო და რა იყო სიკვდილთან დაკავშირებით?

_გახსოვს?

_ყველაფერი მახსოვს, თუმცა ამ ყველაფრის ახსნა არ შემიძლია. ეს საშინელება იყო. მაგრამ მკვლელთან დაკავშირებით რა იყო ამიხსენით. _არაფერი – თქვა ელენამ – ჰალუცინაციები აქვს ესაა და ეს. _ის? ანუ შენ მართლა ფიქრობ, რომ სტეფანზე იყო ორიენტირებული? ელენამ თავი დაუკრა. _კი ვფიქრობ, რომ სტეფანი იყო ალბათ და კიდევ ვფიქრობ, რომ ბონიმ ზუსტად მიაგნო მის ადგილსამყოფელს და ზუსტად მოგვიყვა, რომ სტეფანი ხიდის ქვეშ არის წყალში.

ბონიმ დაკვირვებით შეხედა მას.

- არაფერი არ მახსოვსხიდეზე. მგონი ია არანაირი ხიდი არ ყოფილა.
- მაგრამ შენ თვითონ თქვი ამაზე, დასასრულში. მეგონა გახსოვდა...-ელენა ცოტა ხნით გაჩერდა.-
ანუ ბოლო ფრაზა არ გახსოვს.
- მახსოვს, რომ მარტო ავლმონჩი, იქ ბნელოდა და სიცივეიყო, მე კი საშინელ სისუსტეს განვიცდიდი.არ ვიცი, მაგრამ რაღაც ისეთი მჯირდებოდა...რაღაც ისეთი. და თითქმის სიკვდილი მინდოდა. შემდეგ კი გამაღვიძე.
- ელენამ და მერედიტმა ერთმანეთს შეხედეს.
- მაგრამ ამის შემდეგ შენ კიდევ თქვი რაღაც-ტქვა ელენამ-შენ თქვი არ მიუახლოვდეთ ხიდსო.
- მან შენ გითხრა ხიდს არ მიუახლოვდეთ-დააზუსტა მერედიტმა-ბონიმ შენ გითხრა ეს განსაკუთრებით. მან თქვა რომ იქ სიკვდილი გელოდა.
- არ მადარდებს რა მელის იქ-გაბედულად თქვა ელენა,-იქ სტეფანია და სწორედ იქ წავალ მეც.
- ჩვენ ყველანი წავალთ-დაამატე მერედიტმა.
- ელენა შეყოყმანდა.
- ამას ვერ გთხოვთ-ჩუმად თქვა ელენამ-იქ შეიძლება მელოდოს საფლტხე რომლის წარმოდგენაც არ შეგიძლიათ. მარტო წავალ
- ხუმრობ?-ბონიმ გაბედულად გამოსწია წინ ნიკაპი-ჩვენ ვგიჟდებით საფრთხეზე. მე მინდა ვიწვე კუბოში ახალგაზრდა და მშვენიერი, განა არ გახსოვს?
- გეყო ბონი-გადაუჭრა ელენამ-თვითონ თქვი, ეს უკვე აღარაა თამაში.
- თამაში სტეფანისთვისაც აღარაა-თქვა მერედიტმა-სამძინებელში დამჯდარები მას არ ვეხმარებით.
- ელენა კარადისკენ წავიდა, გზაშივე დაიწყო კიმანოს გახდა.
- ჯობს, ბევრი თბილი ტანსაცმელი შევაგროვოთ-თქვა მან.
- როდესაც სამივე მეგობარმა გამოიცვალა, ელენამ კარებისკენ მიბრუნდა. მაგრამ იმ წამსვე შეჩერდა.
- რობერტი-გაახსენდა ელენას-ჩვენ ვერაფრით ვერ ავუვლით მას გვერდს, რომ სძინავდეს. სამივე ერთდროულად მიბრუნდა ფანჯრისკენ.
- არაჩვეულებრივია-თქვაბონიმ.
- როდესაც ელენა ქვემოთ ჩადიოდა ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ თოვლი შეწყდა. თუმცა ზამთრის ცივი ქარი, დეიმონის სიტყვებს ახსენებდა.
- “მამთარი-დაუნდობელი წლის დროა”-გაიფიქრა ელენამ და აკანკალდა.
- სახლში შუქი არსად არ ენთო, მისაღებ ოთახშიც კი. ჩანს ლობერტს ჩასძინებოდა, მაგრამ ბნელ ფანჯრებს ქვემოთ მიპარვისას ელენამ მაინც შეიკავა სუნთქვა.
- მერედიტის მანქანა ქუჩასთან ახლოს იდგა. ბოლო წუთს ელენამ ავტოფარეხი გამოაღო და თან თოკის წამოღებაგადაწყვიტა. წყლის დინება ძალიან სწრაფი და ძლიერი იყო, მისი უბრალოდ გადალახვა კი შაშიში .
- მთელი გზა ელენას შიში არ ტოვებდა. როდესაც ტყეს მიუახლოვდნენ, ელენას გაახსენდა როგორ ტრიალებდა სასაფლაოზე მის ირგვლილ ფოთლები. განსაკუთრებით მუხის...
- მითხარი ბონი მუხის ფოთლებს აქვთ რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა? ბებიაშენს არ მოუყოლია?
- მუხა წმინდა იყო დრუიდებისთვის. ყველა ხე მაგრამ მუხა განსაკუთრებით. დრუიდები თვილდნენ რომ ხეები მათ ძალას აძლევდნენ.
- ელენა ჩაფიქრდა და გაჩერდა.

როდესაც მანქანამ მიაღწია ხიდს, ელენამ გზის მარჯვნივ მუხებს გადახედა. თუმცა ღამე ნათელი იყო და ქარი თითქმის არ არხევდა ყავისფერ ფოთლებს რომლებიც შერჩენოდათ ტოტებს.

-დააკვირდით, ყვაი ხო მარ გამოჩნდება-გააფრთხილა ყველა ელენამ.

-ყვაი?-გაიმეორა მერედიტმა-იმის მსგავსი, რომელიც ბონის სახლშტან იყო, როდესაც იანში მოკვდა?

-დიახ.

ველური გულის ფეთქვით ელენა მუქ წყალს მიუახლოვდა. ნაკადულს ზემოთ ეკიდა ნაქსოვი ხიდი-ხის კონსრუქცია, აშენებული თითქმის საუკუნის წინათ. ოდესრაც ხიდი საკმაოდ გამძლე იყო იმისათვის რომ ურმებს გადაეკვეთა, ახლა კი გადაქცეული იყო ფეხით მოსიარულეთა ბილიკათ, რომელსაც თითქმის არ იყენებდნენ, სიმორის გამო.

“როგორი ცარიელი, მარტოსული და მტრული ადგილია” გაიფიქრა ელენამ ირგვლილ თოვლის საფარი იყო.

ბონი თავისი გამოთქმების მიუხედავად, უკან ყოფნას ცდილობდა.

-გახსოვთ, როგორ მივრბოდით ამ ადგილას ბოლოს?-იკითხა მან.

“მახსოვს-გონებაში უპასუხა ელენამ-ზედმეტად კარგად.”

ბოლოს როცა ამ ხიდს კვეთდნენ მათ რაღაც მოსდევდა..რაღაც ისეთი..სასაფლაოდან.

“ან ვიღაც ისეთი”-ფიქრებში დაამატა ელენამ.

-ჯერ ხიდს არ გადავკვეთთ-ხმამათლა თქვა-ჯერ ვნახოთ აქედან მის ქვეშ.

-იქ სადაც ნახეს მოხუცი გაგლეჯილი კისრით?-ყოყმანით იკითხა მერედიტმა მაგრამ მეგობრებს მაინც წაყვა.

მანქნის ფარები მხოლოდ მცირედ ადგილს ანათებდა ხიდთან. როდესაც ელენა ამ პატარა ნათელს გასცდა წინათგრძნობამ შეიპყრო.

“შენი სიკვდილი გელის იქ”-თქვა ხმამ.

ესიგი აქ მიიმალა სიკვდილი?

ელენას ფეხიდაუცურდა ბინძურ, სველ ქვებზე. ახლა მას მხოლოდ წყლის ხმა და ხიდის ყრუ ექო ესმოდა. მიუხედავად იმისა, რომ ელენა განწირული ცდილობდა რაიმეს გარჩევას მხოლოდ მშრალ ნაპირსა და ახის კონსტრუქციას ხედავდა.

-სტეფან?-წაიჩურჩულა და თითმის გაუხარდა რომ წყლის ხმამ მისი ნათქვამი დაფარა.

ის გავდა ადამიანს რომელიც ვინმეს ეძახდა ცარიელ სახლში და თან ეშინოდა რომ ვინმე პასუხს გასცემდა.

-ყველაფერი რაღაც სხვანაირადაა-თქვა ბონიმ.

-რას გულისხმობ?

ბონი აქეთ იქით იხედებოდა, თავს იქნევდა და უსმენდა გარემოს.

-უბრალოდ ყველაფერი სხვანაირადაა. როცა სტეფანს დავუკავშირდი არანაირი წყლის ხმა არ მესმოდა. საერთოდ არაფერი არ მესმოდა.სამარისებული სიჩუმე.

ელენას გულის განწირულად შეიკუმშა. ნაწილობრივ ეს ხვდებოდა, რომ ბონი მართალი იყო და შტეფანი არ იყო ამ საშინელ ადგილად, მეორე მხრივ კი ზედმეტად შეშინებული იყო ბონის მოსასმენად.

-უნდა დავრწმუნდეთ-დაიჟინა ელენამ და განაგრძო გზა სიბნელისკენ.

ბოლოს და ბოლოს ელენას მოუხდა იმის აღიერება რომ აქ არ იყო არანაირი ნიშანი ვინმეს ყოფნისა, წყალში კი შეუძლებელი იყო რაიმეს გარჩევა.

-ხიდის მეორე მხარე შევამოწმოთ-თქვამერედიტმა და ელენამ მექანიკურად დაუქნია თავი. მაგრამ თვითონაც იცოდა ეს ამკარად არ იყო ის ადგილი.

მაგრამ ვერ მოასწრეს მათ ხიდიდან გამოსვლა, რომ ელენა ადგილზე გაშრა.

-ღმერთო ჩემო...-თქვა ბონიმ.

-უკან!-დაიხურჩულა მერედიტმა-ხიდი ქვეშ დაბრუნდით.

ფარების შუქზე შეიძლება შავი სილუეტის გარცევა. ელენამ მოასწრო შემჩნევა რომ სილუეტი კაცის იყო, თუმცა სახ ეარ ჩანდა და სამივე საშინელმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

მამაკაცი მათკენ დაიდრა.

სამივე ისევ ხიდის ქვეშ დაბრუნდა და მიეკრამიწას. ელენა გრძნობდა როგორ ცახცახებდა ბონი, მერედიტის ხელი კი მისსას მიკვროდა.

აქედან ისინი ვერაფერს ხედავდნენ, ამიტომ კინაღამ დაიკვივლეს მოულოდნელობისაგან როცა ხიდზე მძიმე ნაბიჯები გაისმა, რომლებიც თითქოს მეორე ბოლოსკენ მიდიოდა.

“გთხოვ, წავიდეს-ფიქრობდა ელენა-გთხოვ...”

ელენამ მწარედ იკბინა თუჩზე და გაიგონა როგორ აქვითინდა ბონი.

“მე უნდა გავიდე ხიდზე.მას მე ვჭირდები, თვითონ მითხრა. იქნებ რომ გავიდე ბონი და მერედიტი გაუშვას.”

თუმა მთელი მისი გამბედაობდა სადღაც გაქრა და ახლა ადგილზე თითქოს რაღაც ძალა იჭერდა.

ახლა ნაბიჯები პირდაპირ მათ ზემოთ იყო და ნაპირზე რაღაც მოძრეობდა.

“არა!”-ფირობდა ელენა და გრძნობდა რომ შიში მთელ სხეულს ბოჭავდა.

ბონიმ თავი დაადო ელენა მხარზე, თვითონ გოგონა კი პანიკით ხედავდა ვიღაცის ფეხებს რომლებიც სიბნელიდან გამოდიოდნენ.

“არა-ფიქრბდა ის-არა..”

-რას აკეთებთ მანდ?

პირველ წუთებში გონება უარს აცხადებდა ყველაფრის გაცნობიერებაზე. ელენამ შიშიგან კინაღამ შეჰკვივლა როცა მეტმა ხიდის ქვეშ შეიხედა

-ელენა? მანდ რას აკეთებ?

ბონიმ სწრაფად ასწია თავი, მერედიტმა შვებისგან სწრაფად დაიყო სუნთქვა ელენა სკი კიდეც უკანკალებდა მუხლები.

-ღმერთო, მეტ-მხოლოდ შეძლო ამოსუნთქვა.

ბონიმ უფრო სწრაფად მოახდინე ადატაცია.

-თვითონ რას ეკეთებ აქ? გინდა კოლექტიური ინფაქტი მოგვიწყო? რა ჯანდაბას დაეხტები აქ შუალამისას?

მეტმა ჩვევისამებრ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, და ნაპირს უყურებდა სანამ გოგონები გამოძვრნენ ხიდიდან.

-მოგსდევდით.

-რაო რას აკეთებდი?-გადაკითხა ელენამ.

-მოგსდევდით-გაიმეორა მეტმა-ვიცოდი ნახავდით ხერხს სახლიდან გამოსასვლელათ. ჩავჯექი მანქანაში, დავინახე ფანჯრიდან რომ გადმოძვრით და აგედევნეთ.

ელენამ არ იცოდა რა ექნა. ერთი მხრივ, ის საშნლად გაბრაზდა. თანაც მეტმა ეს სტეფანის პირობის გამო გააკეთა. მეორე მხრივკი წარმოიდგინა მეტი თავი ძველ “ფორდში” გაყინული და მომლოდინე. გული აუჩუყდა და ბრაზმა გადაუარა.

-მაპატიე, მეტ-თქვა მან-რაც სახლში გავაკეთე, იმისთვის რომ...რომ...-ელენამ ვერ იპოვე სიტყვები. “ყველაფრისთვის” ჩამოყალიბდა გონებაში.

-მე კი მაპატიეთ რომ შეგაშინეთ. და მაინც რა ჯანდაბა გინდოდათ აქ?

-ბონიმ იფიქრა რომ შტეფანი ხიდის ქვეშ შეიძლება ყოფილიყო.

-ბონის არაფერი ასეთი არ უფიქრია-დააზუსტა ბონიმ-პირიქით, ბონიმ ახლახან თქვა რომ ეს არაა ის ადგილი. რაიმეუფორ ბნელი, ჩუმი და დახურული უნდა ვეძებოთ. მომეჩვენა რომ იქ თითქოს რაღაც მეხვია გარსს-ვერ ახსნა ბონიმ.

მეტმა ისე შეხედა ბონის რომ, გოგონას მისი კბენა მოუნდა.

-რატქმაუნდა რაღაც გეხვია გარსს-მოწყალედ თქვა მეტმა.

-ჩემს ირგვლის ქვები იყო, ოღონდ ასეთები არა-დაამატა ბონიმ.

-კი-კი, ასეთები არა-მეტმა გადახედა მერედიტს, რომელმაც ბოლოს თქვა.

-ბონის ხილვდა ჰქონდა.

მეტმა რამოდენიმე ნაბიჯით დაიხიდა, და სახით თუ ვმსჯელებდით სერიოზულ არჩევანს აკეთებდა. ან წასულიყო, ან დაება სამივე გოგონდა და ფსიქიატრიულ საავდმყოფოში წაეყვანა.

-მართლა, მეტ-თქვა ელენამ-ბონი ნათელმხილველია, მე ცარ მჯეროდა ესეთი რაღაცეების, მაგრამ ეს სიმართლეა. დღეს სადამოს ბონი როგორღაც დაუკავშირდა სტეფენას და ახლა იცის მისი აგდილსამოყოფელი. დაახლოებით.

-კი-კი, ყველაფერი მესმის..

-არ მინდა ეს მამობრივი მოწყალეობა! ამდენად სულელი არ ვარ, მეტ, და გეუბნები ეს ყველაფერი სინამდვილეა. ბონი იყო იქ, სადაც ახლა სტეფენია.

-ის მახეშია –დაამატა ბონიმ-ყელამდე წყალია, ოღონდ სივრცე დახურულია. ირგვლილ ხავსით დაფარული ქვებია, წყალი კი ყინულივით ცივი. კიდევ იქ არასასიამოვნო სუნი იყო.

-მაგრამ რან ახე იქ?-იკითხა ელენამ.

-არაფერი. თითქოს დავბრმავდი. დარწმუნებული ვარ იქ რომ ოდნავ მაინც ყოფილიყო შუქი, ამას ვნახავდი. იქ სამარისებული სიბნელე იყო.

-სამარისებული...-ელენა გადაბურმგლა.

მას იმწასვნე გაახსენდა თითქმის დანგრეული ეკლესია, სასაფლაოსთან სადაც იყო სამარა, რომელიც როგორც მოეჩვენა ერთხელ გაიხსნა.

-მაგრამ სამარეში ამდენი წყალი არ იქნებოდა.-ტქვა მერედიტმა.

-დიახ-დაადასტურა ბონიმ-სწორედ ამიტომ მიჭირს იმის გაგება სად იყო შტეფანი.

სინამდვილეში, შტეფანი ვერ არის გონებრივად კარგად. ის სუსტი და ნაწამებია. კიდევ გაინცდის ძლიერ წყურვილს...

ელენამ პირი დაალო ბონისთვის საკითხავად მაგრამ მეტმა დაასწრო.

-შემიძლია გითხრათ რას გავს ეს-თქვა მან.

სამივე გოგონა მეტს მიუბრუნდა, რომელიც ოდნავ მოშორებით იდგა და უსმენდა მათ საუბარს.

-მერე?

-მერე, მგონი ეს ჭას გავს.

ელენა წამოხტა, ახალი იდეით შთაგონებული.

-ბონი რას ფიქრობ?

-მალიანაც შესაძლებელია. ზომა, და ყველაფერი ემთხვევა, მაგრამ ჭა ხომ ღიაა, ვარსკვლავები უდა დამენახა.

-დახურულებიც არსებობს-თქვა მეტმა-ახლო-მახლო ბევრი ფერმაა მიტოვებული ჭებით. ბევრი სპეციალურად ხურავს ჭას, რომ ბავშვები არ ცაცვივდნენ. ბებიაჩემი და ბაბუაჩემი შვებიან ასე. ელენა ვერ ჩერდებოდა.

-ეს ნამდვილად ჭა უნდა იყოს.

-ხო, თანაც მომეჩვენა რომ ეს ადგილი მიწის ქვეშ იყო.

-მეტ, როგორ ფიქრობ სულ რამდენი ჭა იქნება ქალაქში?-იკითხა მერედიტმა.-

-რამოდენიმე ათეული-უპასუხა მეტმა-მაგრამ დახურული არც ისე ბევრია. თუ თქვენი აზრით იქ სტეანი ჩააგდეს, ეს ისეთია დგილას უნდა იყოს სადაც ცოტა ხალხია. მიტოვებული დასახლება...

-მისი მანქანა პოლიციამ აქ იპოვა-აღნიშნა ელენამ.

-ფრანჩერის ძველი ფერმა-თქვა მეტმა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა. ფრანჩერის ფერმა იმდენად დიდი ხნის წინ დაინგრა რომ აღარავის ახსოვდა როცა. ის ტყის შუა გულში იყო და რახანია უკვემთლიანად მოიცვა ტყემ.

-მოდით უბრალოდ წავიდეთ იქ-თქვა მეტმა

ელენამ მას მხარზე ხელი დაადო.

-დარწმუნებული ხარ?

მეტი ცოტა ხნით გაბრუნდა

-უბრალოდ არ ვიცი რისი მჯეროდეს-თქვა საბოლოოდ-მოდით უბრალოდ ვნახოთ.

მათ დაწიყვნენ წყვილებად და გზას გაუდგნენ. მეტმის არცეული გზას მეტი და ბონი წინ მიყვებოდნენ, ელენა და მერედითი უკან. გზა მალე გათავდა.

-აქედან ფეხით წავიდეთ-შემოთავაზა მეტმა

ელენა უხაროდა რომ თოკი წამოიღო. შტეფანი მართლა ჭაში თუა ის დასჭირდებოდათ მის ამოსაყვანად. თუ არა...

მაგრამ ჯობდა ჯერ ამაზე არ ეფიქრა.

არ იყო ადვილი სიბნელეში გზის გაკვლევა ტყეში. ხის ტოტები ტანსაცმელს ედებოდა, მწერები კი ფრთებით ეხებოდნენ კანს.

ბოლოს და ბოლოს მინდორზე მოხვდნენ. სახლის ფუნდამენტის და საკვამური გარჩევა შესაძლებელი იყო, კედლები კი უკვე ბალახებით დაფარულიყო და ეს ყველაფერი საუკუნის გეგონებოდა.

-ჭა სადღაც უკანა ეზოში უნდა იყოს-თქვა მეტმა.

მალე მერედითმა იპოვა ის. ელენამ სხვებსაც დაუძახა და ოთხივე ოთხკუთხედის ფორმის სახურავთან დადგა რომელიც ოდნავ იყო ამოსული მიწის დონიდან და ჭას ფარავდა.

მეტმა დაიხარა და ყურადღებით დაათვალიერა სახურავი

-ცოტა ხნის წინ გაანძრის-გამოიტანა დასკვნა.

ელენა გული ამოვარდნას ლამობდა. მის ფეთქვას გოგონა ყელში და თითების ბოლოებშიც კი გრძნობდა.

-მოდით ავხადოთ-თქვა მან ძალიან ხმადაბლა.

ქვის სახურავი იმდენად მძიმე აღმოჩნდა რომ მეტმა ძლივს გაანძირა დიდი ძალისხმევით ფასად. ოთხივემ სახურავი დუიმით თუ გამოსწიეს. მეტმა სახელურად ხის ტოტი დაამაგრა და ასე ეცადა, შემდეგ ისევ ოთხივემ.

როდესაც ადგილი თავისთვის და მხრებისთვის საკმაო გახდა, ელენამ ჭაში ჩაიხედა. იმედი მცირე იყო.

-სტეფან?

შემდგომი წამები სანამ ელენა სიბნელეში უსმენდა დაცემული ქვების ეწოს მტანჯველი იყო. როგორც იქნა, რამდენადაც არარეალური არ უნდა ყოფილიყო ეს ძირიდან სუსტი ხმა მოისმა

-ვინ არის აქ? ელენა?

-სტეფან!-ელენა კინაღამ დაიხრჩო საკუთარი გრძნობებისგან-კი! მე აქ ვარ. ჩვენ აქ ვართ და ახლავე ამოგიყვანთ კარგად ხარ? რაიმე გტკივა?-ელენაც ალბათ ქვემოთ დაეცემოდა მეტს რომ მოევლო წელზე ხელი-სტეფან გამაგრდი აქ ტოკი გვაქვს. მითხარი რომ რიგზე ხარ.

ამას მოყვამალიან ზმადაბალი, ძნელად გასარჩევი ხმა. სტეფანის ხმა დასუსტებული, ძალიან დასუსტებული იყო თუმცა გარჩევა შეიძლებოდა

-სინამდვილეში... უკეთაც ვყოფილვარ-ძლივს ამოისუნთქა-ყოველ შემთხვევაში.. ცოცხალი ვარ. ვინ გახლავს?

-ეს მე ვარ, მეტი-მეტმა გამოსწია ელენა და თვითონ დაიხარა ჭისკენ. ელენამ შეამჩნიდა რომ ის ძალიან გაოცებული იყო.-კიდევ აქ ბონი და მერედიტია. ახლა ტოკს ჩამოვუშვებ. იმ პირობით რომ ბონი ლივიტაციით ამოგიყვანს-მეტმა ბონის გადახედა, რომელმაც ოდნავ დაარტყა.

-არ გაბედო ამაზე ხუმრობა! ჯობს ამოიყვანო.

-არის მემ. აი, შტეფან. სცადე ამ ტოკის მოხვევა.

-კარგი-ამოიოხრა სტეფანმა.

მას არ უფიქრია სიცივისგან გაყინულ თითებზე, და იმაზე შეძლებდნენ თუ არა მის ზიდვას. სხვა ვარიანტი უბრალოდ არ იყო.

შემდეგი წუთები ელენასთვის კომმარო იყო. დაჭირდა ოთხივეს ძალისხმევა სტეფანის ამოსაყვანად, თუმცა ბონი მხოლოდ “მიდით, მიდით”-ში ხარჯავდა ენერჯიას. როგორც იქნა, სტეფანის თითები ჭის კუთხეებს მოეჭიდა და მეტმა მას მხრებზე სტაცა ხელი.

მალე ელენა ფრთხილად ეხვეოდა მიწაზე დაწოლილ სტეფანს. საქმე რომ ცუდად იყო ამაზე მისი სხეულის დაბალი ტემპერატურე და სისუსტე მიუთითებდნენ. სტეფანმა ბოლო ძალები, მეგობრების დასახმარებლად დახარჯა როცა მის ამოყვანას ცდილობდნენ. მისი ხელები დაფარული იყო ჭრილობებით რომლებიდანაც სისხლი მოდიოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ელენას აწუხებდა ის რომ სტეფანს იმის ძალაც არ ეყო რომ მას მოხვეოდა.

როდესაც ელენამ გაუშვა ხელები სტეფანს რომ უკეთ ენახა თვალში მაშინვე მისი სიფითრე და თვალეებს ქვემოთ შავი წრეები ეცა. შტეფანი იმდენად ნაწამები გამოიყურებოდა, რომ ოთხივე შიშმა მოიცვა.

-ჯობს საავადმყოფოში წავიყვანოთ-ტქვა მეტმა-ექიმი სჭირდება.

-არა-სუსტი და ბოხი ხმა მოისმა თითქმის მომაკვდავისხეულისგან რომელც ელენას მუხლებზე იწვა.

სტეფანმა დიდი ძალისხმევის ფასად მოიკრიბა ძალები, და თავი ასწია. თვალეებით ელენას სახეს წვავდა და ძლივს წარმოსთქვა.

-არანაირი...ექიმები. დამპირდი...ელენა.

ელენა საერთოდ დაიბნდა.

-გპირდები.

შემდეგ კი იგრძნო როგორ ტოვებდა სტეფანს ძალის ბოლო წვეთები. გოების დაკარგვისას, შტეფანი კვლავ დაეცა ელენას მუხლებში.

- მაგრამ აუცილებელია მან ექიმის დახმარება მიიღოს ის ხომ ფაქტრიურად კვდება! – განაცხადა ბონიმ.

- არა, ეს შეუძლებელია, მე არ შემოძლია ამის ახსნა, მოდით უბრალოდ ის სახლში წავიყვანოთ კარგით? ის ხომ სულ სველ ტანსაცმელშია და იყინება, მერ ეკი ყველაფრის განხილავს შევძლებთ.

სტეფანის ტყიდან მანქანამდე მიყვანა რთული აღმოჩნდა და რაღაც დროის მაძილზე არაფერზე ფიქრი არ შეეძლოთ. სტეფანი უგონოდ იყო და როდესაც ის მეტის მანქანის უკანა სავარძელზე მოათავსეს ყველა გაწვალებული იყო.

მანამ სანამ ისინი პანსიონატში მიდიოდნენ ელენა დაღლილი იჯდა, მერედიტი და ბონი კი უკან მოყვებოდნენ მეორე მანქანით.

- შუქი ანთია – შეამჩნია მეტმა – ალბათ მისის ფლაუერს არ სძინავს, მაგრამ კარი დაკეტილია. ელენამ სტეფანის თავი ფრთხილად მოიშორა, რომელიც მას მუხლებზე ედო, გადმოვიდა მანქანიდან და შეამცნია, რომ პანსიონატის ერთ-ერთ ოთახში შუქი უფრო მკვეთრი გახდა და ადამიანის ფიგურაც გამოჩნდა.

- მისის ფლაუერ! – დაუძახა ელენამ ხელის ქნევით – მისის ფლაუერ ელენა გილბერტი ვარ! სტეფანი ვიპოვეთ, სახლში შემოსვლა გვჭირდება!

ადამიანი ფანჯარაში არც კი განძრეულა, არც კი მიახვედრა მას, რომ მისი სიტყვები გაიგონეს, მაგრამ აშკარა იყო, რომ ის ჯერ კიდევ მათ უყურებდა.

- მისის ფლაუერ ჩვენ სტეფანი ვიპოვეთ! – ისევ იყვირა ელენამ და ხელით მანქანისკენ ანიშნა – გთხოვთ გაგვიღებთ კარი!

- ელენა უკვე ღიაა! – ბონის ხმამ ვერანდიდან, ელენას ყურადღება გადაადატანინა მასზე და ის არ აქცევდა ყურადღებას ფიგურეს ფანჯარაში.

როცა ისევ იქით გაიხედა, შუქი ჩამქრალიყო ფანჯარაში კი აღარავინ არ ჩანდა.

ყველაფერი ეს ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა, თუმცა გაოცების და დაფიქრების დრო არ იყო. ის და მერედიტი მეტს დაეხმარნენ სტეფანის მანქანიდან გადმოყვანაში და მის მიყვანაში მთავარ შესასვლელთან.

სახლში სიჩუმესა და სიბნელეს დაესადგურებინა. ელენამ ისინი კარის პირდაპირ კიბეზე აიყვანა მეორე სართულის დერეფანთან. აქედან ისინი აღმოჩნდნენ საძიმებელში, სადაც ელენამ ბონს საკუჭნაოს კარის გაღება თხოვა. აქ ძალიან ბნელი და ვიწრო კიდეც ერთი კიბე აღმოჩნდა.

_ ვის შეემლო მომხდარის შემდეგ არ დაეკეტა შემოსასვლელი კარი? _ ხრინწიანი ხმით თქვა მეთმა, ვიდრე თავიანთ უგრძობ ტვირთს მიათრევდნენ ზემოთ კიბეზე, _ როგორც ჩანს მისი ფლაუერსმა სულ გარეკა.

_ ის მართლაც გარეკილია, _ შენიშნა ბონიმ, და გამოალო ზედა სართულის კარი, _ ბოლოს როცა აქ ვიყავით ის ისეთ უცნაურ რამეებზე ყბედობდა, _ ამ სიტყვებზე ის შეჩერდა.

_ რაშია საქმე? _ იკითხა ელენამ.

თუმცა საკმარისი იყო მას მიეღწია სტეფანის ოთხამდე, რო თვითონ ნახა ყველაფერი.

ელენას აღარც კი ახსოვდა რა მდგომარეობაში იყო ოთახი, მისი ბოლოს იქ ყოფნისას.

ტანსაცმლით სავსე ჩემოდნები ისე იყო მიყრილ-მოყრილი, თითქოს ვიღაცის გოლიამა ხელმა ისინი ჯერ ერთ კედელზე მიაზღერთა, მერე მეორეზე. რაც ჩემოდანში იყო, ყველაფერი აიტაკაზე მიმოფანტულიყო, ავეჯი იყო გადატრიალებული, ჩამტვრეული ფანჯრიდან ოთახში სიცივე შემოდრიოდა. მხოლოდ ერთი ლამპა ანატებდა კუთხეში და მასზე ირეკლებოდა ჩრდილები.

_ აქ რა მოხდა? – იკითხა მეტმა.

ელენამ არუპასუხა მანამ სანამ სტეფანი საწოლზე არ დააწვინეს.

_ ზუსტად არ ვიცი – როგორც იქნა თქვა მან – მაგრამ წინა ღამით აქ ასე იყო ყველაფერი. მეტ არ დამეხმარები? აუცილებლად უნდა გამოვუცვალოტ ტანსაცმელი.

_ მე სხვა ლამპას მოვძებნი. – თქვა მერედიტმა.

_ არ არის საჭირო აქ ისედაც ყველაფერი ჩანს, - გააპროტესტა ელენამ – უმჯობესი იქნება ბუხრის დანთება სცადო.

ერთ-ერთ გადმობრუნებულ ჩემოდანში მოჩანდა შავი ხალათი. ელენამ აიღო ის, შემდეგ მან და მეტმა სტეფანს სველი ტანსაცმლის გამოცვალა დაუწყეს. ელენამ სვიტერს ხელი მოკიდა და სტეფანის ყელი დაინახა და უგრძობი გახდა.

_მეტ პირასახოცს ხო მარ მოიტანდი?

როგორცკი მეტი შებრუნდა გოგონამ სწრაფად გახადა სტეფანს სვიტერიდა შავი ხალათი მოაფარა. როდესაც მეტი დაბრუნდა სტეფანის კისერზე შარფი შეამჩნია.

ელენას გული ბაგაბუგით უცემდა, გონება კი სწრაფად უმუშავებდა. არ არის გასაკვირი, რომ სტეფანი ასე დასუსტდა. ო ღმერთო! ელენას უნდა დაეთვალაიერებინა ის, შეემოწმებინა, მაგრამ როგორ გააკეტებდა ამ ყველაფერს როდესაც აქ მეტი, ბონი და მერედიტი იყვნენ?

_აუცილებლად ექიმი უნდა გამოვიძახოთ – დაიჭინა მეტმა, ისე, რომ სტეფანისთვის თვალი არ მოუშორებია. – გაიგე ელენა, მას დახმარება სჭირდება.

ელენა პანიკაში ჩავარდა.

_არა მეტ... არა, გთხოვ. მას სიკვდილივით ეშინია ექიმების, ვერც კი წარმოვიდგენ რა შეიძლება მოხდეს, თუ ექიმს გამოიძახებ.

ელენას წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ შეიძლებოდა სტეფანს დახმარებოდა, მანამ სანამ აქ იყვნენ სხვებიც, მას ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული. რისი გაკეთება შეეძლო? სტეფანის საიდუმლო შეენახა მისი სიცოცხლის ფასად? თუ გაყიდოს ის გადარჩენისთვის? მაგრად გადაარჩენს ის სტეფანს თუ ყველაფერს მოუყვება მეტს, ბონის და მერედიტს?

ელენამ მეგობრებს გადახედა, ცდილობდა მათი რეაქცია გამოეცნო იმ შემთხვევაში თუ ისინი მთელ სიმართლეს გაიგებენ სტეფან სალვატორზე.

არა არფერი კარგით არ შემობრუნდება გულახდილობა, მას არ აქვს უფლება ასე გარისკოს, სიმართლემ ხომ კინაღემ ელენაც გააგიჟა. თუ ის რომელსაც ასე უყვარდა სტეფანი, მზად იყო გაქცეულიყო მისგან ნებისმიერ ფასად, მაშინ სხვებისგან რარას უნდა მოელოდეს? ამას გარდა ასევე რჩებოდა მისტერ ტანერის მკვლელობა, თუ ისინი გაიგებენ როგორია სტეფანი, დაიჯერებენ კი მის უდანაშაულობას? თუ პირიქით მას დაადებენ ხელს?

ელენამ თვალები დახუჭა. არა, ეს ძალიან სახიფათო იყო. მერედიტი, ბონი და მეტი მის მეგობრად რჩებოდნენ, მაგრამ მათ ამ საიდუმლოს ვერ გაუმხელდა. მთელ ქვეყანაზე არ იყო ადამიანი რომლისთვისაც შეძლებდა სიმართლის გამხელას. ასე რომ გაჩუმება მოუწევდა. მან მეტს შეხედა.

_სტეფანს ექიმების ეშინია, მაგრამ ექთანის დახმარება მას ნამდვილად არ აწყენდა – აქ ელენა ბონის და მერედიტისკენ შებრუნდა, რომელთაც ბუხართან იდგნენ და ცეცხლის დანთებას ცდილობდნენ. – ბონი, მისმინე, შენს დაზე რა აზრის ხარ?

_მერი? – ბონიმ საათს დახედა – ამ კვირაში მისი სმენა ღამეა კლინიკაში, მაგრამ ახლა უკვე ალბათ სახლში იქნება, მაგრამ...

_ზუსტად ეს გვჭირდება ჩვენ. მეტ შენ ბონისთან ერთად წადი და მერის თხოვე, რომ აქ მოვიდეს, თუ მერი გადაწყვეტს, რომ ექიმია საჭირო, მე წინააღმდეგობას არ გავუწევ.

მეტი წამიერად დაფიქრდა და შემდეგ თქვა:

_კარგი, მე ისევ ვფიქრობ, რომ შენ ცდები, მაგრამ კარგი, წავიდეთ ბონი. მე და შენ გარკვეული მოძრაობის წესების დარღვევა მოგვიწევს.

ისინი კარებისკენ წავიდნენ, მერედიტი კი იქვე დარჩა ბუხართან, დაჟინებით უყურებდა ელენას თავისი შავი თვალებით.

ელენამ აიძულა თავის თავს მერედიტისთვის შეეხედა.

_მერედიტ, მგონი უმჯობესია, ერთად წახვიდეთ.

_დარწმუნებული ხარ?

დაქალი შავი თვალელები ელენას დაუნდობლად ბურღავდნენ. თითქო ცდილობდა მისი აზრების წაკითხვას, მაგრამ მერედიტს მეტი კითხვა აღარ დაუსვია. წამის შემდეგ მან ელენას თავი დაუქნია და უთქმელად წავიდა მეტისა და ბონისკენ.

როგორც ელენამ გაიგო კარის დახურვის ხმამეორე სართულზე, სწრაფად აიღო ლამპა იატაკიდან და აანთო. როგორც იქნა მას შეეძლო სტეფანისთვის ნორმალურად მიეხედა.

ელენამ ყურადღებით შეხედა მას და ის ისევ გააკვირვა მისი კანის სიფერმკრთალები. მისი ტუჩებიც კი უფრო გამხდარიყო და ელენას მოულოდნელად გაახსენდა ტომას ფელი ფელს-ჩერჩის დამაარსებელი. უფრო სწორედ ტომას ფელის ქანდაკება, სტეფანის სახე მარმარილოს მიუგავდა. ელენამ ფრთხილად მოატრიალა სტეფანის თავი, იმისთვის, რომ შეეხედა. ყველაფერი გასაგებია, ელენამ ინსტიქტურად თავის ყელზე მიიღო ხელი. თითქოს ცდილობდა მსგავსება დაედასტურებინა, ელენას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა თითქოს რაღაც ცხოველი ცდილობდა სტეფანისთვის ყელის გამოლადვრას.

ელენა მრისხანებამ მოიცვა. მრისხანებას კი თან ახლა სიძულვილი. ის უცებ მიხვდა თუ როგორ სძულდა დეიმონი. ახლა ელენას ემოციებმა პიკს მიაღწიეს. ამის მაგვარი ელენას არასდროს არაფერი განუცდია. და ახლა... ახლა მან საბოლოოდ შეიძულა დეიმონი, მას საშინლად მოუნდა შური ეძია მასზე, რომ შესძლებოდა თვალს არ დაახამხამებდა ისე გულში ჩასცემდა კოლს. მაგარამ ახლა საჭირო იყო ეფიქრა მხოლოდ სტეფანზე. ელენას ყველაზე მეტად ამ უმოძრაობის ატანა შეეძლო სტეფანისგან.

_სტეფან! – თუმცა ამან შედეგი არ გამოიღო.

ელენამ ხელი მის გულს დაადო რათა გაეგო გულისცემა, თუ გული უცემდა ძალიან ნელა, ისე, რომ ელენას ეს არ ესმოდა.

ოთახის თვალიერებისას ელენამ ჩამტვრეული ფანჯარა შენიშნა. მივიდა და ერთი შუშის ნატეხი აიღო, შეამნია როგორ ბრწყინავდა ის.

შემდეგ კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა და თითი გაიჭრა.

ელენას სული შეეხუთა ტკივისგან. სისხლი თქრიალით წმოვიდა, ელენა სტეფანთან მივიდა, და თითი ტუჩებზე მიადო. ელენა მუხლებზე იდგა და შედეგს ელოდა. ელენას თვალელები სტეფანისკენ იყვნენ მიმართული, უცებ სტეფანის ტუჩები ოდნავ გაიხსნა და სტეფანმა დალია სისხლი.

_როგორც იქნა – გამოთქვა ელენამ – მიდი სტეფან.

_მიდი. – ელენამ მოიცადა.

სტეფანმა თვალელები გაახილა, რის მერეც ელენამ ცალი ხელით ზედა ჩაიხსნა კისრის გამოსაჩენად. მისი მწვანე თვალელები ისევ მიღებული იყო, მაგრამ ახლა მათში პირდაპირობა მოჩანდა.

_არა – ჩახლექილი ხმით თქვა სტეფანმა.

_გაიგე სტეფან, აუცილებლად უნდა გააკეთო ეს. ბავშვები მალე დაბრუნდებიან და თან ექთანს მოიყვანენ, სხვა გზა არ მქონდა თუ შენი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება, თუ შენ ვერ შეძლებ ექთნის დარწმუნებას, იმაში, რომ კარგად ხარ, რომ გაუმკლავდები... – ელენამ სპეციალურად არ დაამთავრდა წინადადება.

მან თვითონაც არ იცოდა რა შეიძლებოდა აღმოეჩინათ ექიმებს ლაბორატორიული კვლევის შემდეგ. ელენა დარწმუნებული იყო, რომ ვითარების ასეთი მობრუნება სტეფანს ძალიან შეაშინებდა. თუმცა სტეფანი ისევ უარზე იდგა.

_არ შემიძლია – თქვა მან – ეს ძალიან სახიფათოა, მე ისედაც... ბევრი მივიღე... წინა ღამეს.

_მომკლავს ეს? – კითხა მან – სტეფან მიპასუხე! მოვკვდები თუ ამას გავაკეთებთ?

_არა მაგრამ...

_მაშინ ამის გაკეთება მოგვიწევს. არ შემეწინააღმდეგო!

ელენა დაიხარა სტეფანისკენ ისე, რომ ხელი არ გაუშვია, მას აოცებდა როგორ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა სტეფანს, ამსგავსებდა მშიერს ბანკეტზე, შეუძლებელს თვალის მოშორების გემრიელი კერძებისგან.

_არა – ისევ გაიმეორა სტეფანმა და ელენამ იგრძნო საკუთარი უძლურება.

ასეთი წინააღმდეგობას ის თავის დღეში არ გადაყროდა.

_არა კიარა კი. თუ კიდევ განაგრძობ ჩემთან დავას, კიდევ გავიწრი რამეს, მაგალითად მაჯას. – და ელენამ გაჭრილი თითი სტეფანს ტუჩებზე მიადო.

სტეფანის თვალები გაფართვდნენ და მან პირი გააღო.

_ისედაც ბევრი დავლიე – თქვა სტეფანმა, თუმცა მისი მზერა სისხლს ვერ შორდებოდა – მე არ შემიძლია... გაკონტროლება.

_ყველაფერი კარგადაა – თქვა ელენამ ისევ მიიტანა თითი სტეფანის ტუჩებთან და იგრძნო როგორ გაიხსნა ის.

შემდეგ ის სტეფანს მიეხუტა და დახუჭა თვალები.

ცივი ტუჩები შეეხო მის ყელს, ელენამ სცადა ორი მჭრელი იარის ატანა ყვირილის გარეშე და შემდეგ მან გაიღიმა.

ელენამ იგრძნო სტეფანის ტანჯვა და სისხლის სურვილი როგორ გადაიქცა ბედნიერებად და სიამოვნებად. ელენა კი იმ ბედნიერებამ მოიცვა, რომ ის სტეფანს მხარს უჭერდა, საკუთარი სიცოცხლით. ის გრძნობდა როგორ ივსებოდა სტეფანი ძალით.

_საკმარისია – ამოიხრიალა სტეფანმა და ელენას მოიშორა.

ელენამ თვალები გაახილა, სტეფანის თვალები მწვანე იყო ისეთი როგორც მანდრაგორას ფოთლებია. სახეზე კი მკაფიოდ იკითხებოდა მონადირის ინსტიქტი.

_სულაც არაა საკმარისი შენ ჯერ ისევ სუსტად ხარ...

_საკმარისია შენთვის. – სტეფანმა ისევ მოიშორა ის და ელენამ შეამჩნია რაღაც სინანულის მსგავსი მის თვალებში. – გაიგე ელენა, თუ კიდევ დავლევ შენ შეცვლას დაიწყებ, ხოლო თუ ახლავე არ... თუ ახლავე ცოტათი არ ჩაიწევი...

ელენა ჩაიწია და საწოლის კიდეში დაჯდა, ის აკვირდებოდა თუ როგორ წამოჯდა და გაისწორა შავი ხალათი. ლამპის შუქზე მან გაარჩია როგორ იღებს მისი კანი ფერს.

_როგორ მენატრებოდი! – ამოისუნთქა ელენამ.

შვება რომელსაც ელენა გრძნობდა გამოიწვია ტკივილი, თითქმის ისეთივე ძლიერი როგორც, როგორც ადრე შიშს და დამაბულობას ბადებდა.

_ელენა... – მათი თვალები შეხვდნენ და ის მიითვისა მწვანე ცეცხლმა.

გაუცნობიერებლად ელენამ ისევ სტეფანისკენ გაიწია, მაგრამ გაიყინა როცა მოულოდნელად სტეფანმა გაიცინა.

_მე არასდროს მინახიხარ შენ ასეთი – აუხსნა მან და ელენამ შეათვალიერა საკუთარი თავი თავიდან-ფეხებამდე.

ტუფლები, ჯინსი და ხელები ამოსვროდა ჭუჭყში, ელენა წამითაც არ დაეჭვებულა, რომ სახეზეც ასეთივე დასვრილი იყო. თმები კი გასჩეჩვოდა. ელენა გილბერტი, მშვენიერი მაგალითი მოდის ლობერტს ლის სახელობის საშუალო სკოლაში, ახლა გამოიყურებოდა როგორც ნამდვილი ბომჟი.

_მაგრამ მე მომწონს – თქვა სტეფანმა და ამჯერად ელენამ მასთან ერთად გაიცინა.

ისინი ჯერ ისევ იცინოდნენ როცა მოულოდნელად გაიღო კარი, ელენამ სასწრაფოდ აიწია სვიტერი და დაიფარა ყელი, მოათვალიერა ოთახი იმ სამხილები ძიებაში რომელსაც შეიძლებოდა ის და სტეფანი გაეყიდათ. სტეფანი წამოჯდა.

-ის უკვე უკეთაა! – წამოიყვინა ბონიმ, ძლივს გადმოაბიჯა მიყრილ-მოყრილ ნივთებს და დაინახა სტეფანი.

მეტი და მერედიტი მას უკან შემოყვინენ და მათ სახეზე იმ წუთშივე აღიბეჭდა ბედნიერი გაოცება, მათ კვალს შემოყვა კიდევ ერთი პერსონა ბონიზე სულ ცოტათი მაღალი. მერი პირადპირ პაციენტისკენ შებრუნდა და მისი პულსის გასინჯვა მოინდომა.

– ე.ი. თქვენ გემინიათ ექიმების? – დაინტერესდა ბონის და.

რალაც წამის განმავლობაში სტეფანი დაიბნა, მაგრამ შემდეგ თავი ხელში აიყვანა.

– ეს ბავშვურ ფობიას გავს – არეულად თქვა მან. სტეფანმა ელენას გადახედა, რომელმაც ნერვიულად გაუღიმა და შეუმჩნევლად დაუქნია თავი. – ასეა თუ ისე თქვენც ხედავთ, რომ არანაირი ექიმი მე არ მჭრიდება.

– იქნებ ამის განსჯის საშუალება მე მომცეთ? პულსი წესრიგშია, ვიტყვოდი, რომ ის წარმოუდგენლად ნელია, სპორტსმენისთვისაც კი. მოდით ტემპერატურე გაისინჯეთ.

– არა. უნდა გამოგიტყდეთ ეს აუცილებელი არ მგონია. – სტეფანმა მერის მიმართა მშვიდ და დაბალ ნოტზე.

ელენას უკვე ნანახი ჰქონდა როგორ მოქმედებდა სტეფანი ადამიანზე, ასე რომ მას მშვენივრად ესმოდა თუ რას აკეთებდა ის, მაგრამ მერიზე ამას არ მოუხდენია არანაირი გავლენა.

– ხალათი გაიხადეთ თუ შეიძლება.

– ახლავე ყველაფერს მივხდებოვ – სწრაფად თქვა ელენამ, გაიწოდა მერისკენ ხელი და გამოართვა თერმომეტრი და იმ წუთშივე პატარა მინა გაუვარდა ელენას ხელიდან – ჯანდაბა! რა ცუდია!

– არააქვს მნიშვნელობა – თქვა სტეფანმა – მე თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ და სწრაფად ვთბები. მერი ჯერ გამტყდარ თერმომეტრს დააკვირდა შემდეგ არეულ ოთახს.

– კარგით ჯანდაბას – სწრაფად თქვა მან – მაშ ასე, რა მოხდა აქ?

სტეფანს თვალის არ დაუმხამხამებია.

– არაფერი განსაკუთრებული – უთხრა მერის ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია – უბრალოდ მისის ფლაუერი ცუდი დიასახლისია.

ელენამ სიცილი ძლივს შეიკავა და შეამჩნია, რომ მერისაც სოწრედ ასე დაემართა. საბოლოოდ ბინის უფროსმა დამ განგარძო გრიმასებების დამუშავება და ხელები გადააჯვარედინა.

– ვფიქრობ პირადპირ პასუხზე იმედიც არ უნდა მქონოდა – თქვა მერიმ – და მე კარგად ვხედავ, რომ თქვენ სულაც არ ხართ ძალიან ცუდად, არ შემოძლია გაიძულოთ საავადმყოფოში წასვლა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ხვალ ექიმთან შეივლით და გაესინჯებით.

– სავსებით შესაძლებელია – ზრდილობიანად უპასუხა სტეფანმა, მაგრამ ელენამ შეამჩნია, რომ სიმართლეს ეს სულაც არ შეესაბამებოდა.

– იცი ელენა – მოულოდნელად ჩაერია საუბარში ბონი – შენ ისეთი ფერი გაქვს, რომ მემგონი არც შენ გაწყენდა ექიმის კონსულტაცია. ფერმკრტალი ხარ როგორც მოჩვენება.

– მე უბრალოდ დავიღალე – თქვა ელენამ – გრძელი დღე იყო.

– ჩემი რჩევა იქნება, სასწრაფოდ წახვიდე სახლში და დაწვე – ურჩია მერიმ – როგორც ვხვდები ანემია არ გჭირს?

– არა უბრალოდ დავიღალე – გაიმეორა მან – ახლა შეგვიძლია სახლში წავიდეთ, თუ რა თქმა უნდა სტეფანი წესრიგშია.

სტეფანმა დამაჯერებლად დააქნია თავი, თვალებით კი მხოლოდ ელენას დაანახა გრძნობები.

– ერთი წუთი მოგვეცით გამოსამშვიდობებლად, კარგით? – თხოვა მან მერის და დანარჩენებს. ოთხივე კიბეებისკენ გაემართნენ.

_ნახვამდის, თავს გაუფრთხილდი – ხმამაღლა თქვა ელენამ შემდეგ კი ჩაიჩურჩულა – რატომ არ გამოიყენე ძალები მერის შესაჩერებლად?

_გამოვიყენე, ყოველ შემთხვევაში ვცადე, ალბათ ჯერ ისევ სუსტად ვარ. არ ინერვიულო გამივლის.

_რა ტქმა უნდა გაგივლის. – დაეთანხმა ელენა, თუმცა გულის კოვზთან რაღაც იგრძნო – ზუსტად იგი, რომ გინდ ამართო დარჩენა? რა მოხდება თუ...

_ყველაფერი კარგად იქნება, მარტო კი ზუსტად შენ არ უნდა დარჩე ელენა – სტეფანის ხმა რბილად მაგრამ მკაცრად ჟღერდა – აქამდე მე არ მქონდა საშუალება გამეფრთხილებინე, მაგრამ ახლა ის გამოჩნდა, იგი ელენა შენ მართალი იყავი, დეიმონი აქ არის, ფელს-ჩერჩში.

_ვიცი. ეს ყველაფერი ხომ მან დაგმართა ას ეარ არის? – ელენამ არც კი ახსენა, რომ ის დეიმონს ეძებდა.

_სიმართლე გითხრა უბრალოდ, არ მესმის... დეიმონი ძალიან საშიშია, მაგრამ დეიმონი ძალიან საშიშია, მომისმინე ელენა, ბონი და მერედიტი დღეს რამე შენთნ ერთად იყვნენ, არ მინდა, რომ მარტო დარჩე და იზრუნე იმაზე, რომ შენს სახლში არავინ შეიპატიჟონ.

_ჩვენ იმწუთშივე ავალთ საძინებელში. – დაარწმუნა ელენამ – და არავის შევიპატიჟებთ.

_კარგი იქნება თუ იზრუნებ ამაზე – სტეფანის ტონი ძალიან სერიოზული იყო და ელენამ თავი დაუქნია.

_მესმის სტეფან, ძალიან ფრთხილად ვიქნებით.

_კარგი – მათ ერთმანეთს აკოცეს – ჩემ მაგივრად გადაუხადე დანარჩენებს მადლობა. – სთხოვა სტეფანმა.

_აუცილებლად.

გარეთ მეტმა მერის სახლში წაყვანა შესთავაზა ასე, რომ ბონის და მერედიტს ელენასთან დაბრუნება შეეძლოთ. მერი ძველებურად ეჭვებით იყო სავსე და ელენას შეეძლო მისი დადანაშაულება ამის გამო, მაგრამ ახლა არ ჰქონდა რამის გარჩევის თავი, ის ძალიან დაიღალა.

_მან მთხოვა ყველასთვის მადლობა გადამეხადა – გაახსენდა ელენას მეტის და მერის წასვლის შემდეგ.

_არაფრის – უპასუხა ბონიმ.

მერედიტი მანქანის კარებს აღებდა. მან არაფერი თქვა, ის ძალიან წყნარად იყო მას შემდეგ რაც ელენა და სტეფანი მარტო დატოვა, ბონიმ მოულოდნელად გაიცინა.

_ჩვენ სულ გადაგვავიწყდა რაღაც – თქვა მან – წინასწარმეტყველება.

_რა წინასწარმეტყველება? – იკითხა ელენამ.

_ხიდთან დაკავშირებით, იმ წინასწარმეტყველებას ვგულისხმობ, რომელზეც ტქვენ მითხარით, რომ მე ვთქვი. მაშ ასე, შენ იყავი ხიდთან, მაგრამ სიკვდილი იქ არ დაგხვედრია. იქნებ თქვენ არასწორად გაიგეთ სიტყვები?

_არა – გააპროტესტა მერედიტმა – ჩვენ ზუსტად ასე გავიგეთ.

_მაშინ... იქნებ სხვა ხიდზე იყო ლაპარაკი, ან იქნებ... – ბონიმ აღარ დაასრულა, პალტოში გაეხვია და თვალები დახუჭა.

თუმცა ელენას გონებამ შეძლო ბონის სიტყვის დასრულება:

სადრაც შორს დაიყვანა ძაღლმა, როცა მერედიტი მანქანას ქოქავდა.

2 ნოემბერი, შაბათი.

ძვირფასო დღიურო!

ამ დილით მე გავიღვიძე და თავი ძალიან უცნაურად ვიგრძენი. უბრალოდ არ ვიცი, როგორ ავლწერო ეს ყველაფერი. ერთის მხრივ, იმდენად სუსტად ვარ, რომ როდესაც ადგომა ვცადე, ფეხებმა ჩემს დაკავებაზე უარი თქვეს. მეორეს მხრივ კი, მე ვიგრძენი.. სიამოვნება. ვგრძნობდი უდიდეს სიმშვიდეს და სიწყანრეს. თითქოსდა ოქროსფერი ნათელის გუბეში დავცურავდი. საერთოდ არ მაინტერესებდა შევძლებდი თუ არა ოდესმე ადგილიდან განძრევას.

შემდეგ გავიხსენე სტეფანი და ისევ ვცადე ადგომა, ჯუდიტმა კი ისევ საწოლში ჩამაწვინა. მან მითხრა, რომ , ბონი და მერედიტი რამოდენიმე საათის უკან წავიდნენ, რადგან მე ისე ძლიერ მეძინა, რომ, ჩემი გაღვიძებაც ვერ შეძლეს. და კიდევ თქვა, რომ , კარგ დასვენებას ვსაჭიროებ.

აი ეხლა კი ვისვენებ. ჯუდიტმა ტელევიზორი ჩემს ოთახში შემოათრია, მაგრამ არ მინდა ყურება. უკეთესია საწოლში ვიწვე და შენ გწერო – ან უბრალოდ ვიწვე. ველოდები, როდის დამირეკავს სტეფანი. მან პირობა მომცა რომ დამირეკავდა. იქნებ არ მოუცია,. ვერ ვიხსენებ. როდესაც ის დამირეკავს, მე უნდა...

3 ნოემბერი, კვირა. საღამოს 10:30

ამ წუთას წავიკითხე გუშინდელი ნაწერი და ძალიან გავნაწყენდი. რა ხდება ჩემს თავს? გავწყვიტე ნაწერი ერთ სიტყვაზე, და ეხლა წარმოდგენა არ მაქვს, რის დაწერას ვაპირებდი. და არაფერი არ ამიხსნია ახალი დღიურის შესახებ და სხვა ყველაფერზე. ალბათ ვერ ვაანალიზებდი ვერაფერს კარგად.

ასეა თუ ისე, ოფიციალურად ვაცხადებ ჩემს ახალ დღიურს გახსნილად. ეს დღიური კანცელარიის მაღაზიაში ვიყიდე. არც ისე ლამაზია, როგორც წინა, მაგრამ მაინც წავა.. უკვე ყველანაირი იმედი დავკარგე, რომ, ჩემს ძველ დღიურს ოდესმე ვნახავ. ის ,ვინც მოიპარა, როგორც ჩანს, არც აპირებს დაბრუნებას. ოღონდ გავიფიქრებ თუ არა, რომ, ვინმე მას კითხულობს, გაიგებს ჩემს საიდუმლო ფიქრებზე და გრძნობებზე სტეფანისადმი, მინდება მოვკლა ეს ადამიანი. და ისე მრცხვენია, რომ მზად ვარ დამცირებისაგან მოვკვდე. არა , არ მცხვენია იმის, თუ რასაც განვიცდი მე სტეფანის მიმართ. მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა. და თან იქ საკმაოდ ინტიმური ჩანაწერებია – იმაზე თუ როგორ ვკოცნიდით ერთმანეთს, როგორ მეხუტებოდა. .. დარწმუნებული ვარ, რომ დიდად არც სტეფანი მოისურვებდა, რომ ვინმეს ეს წაეკითხა. რათქმაუნდა, მანდ არცერთი სიტყვა არაა მის საიდუმლოზე. მე თვითონაც წესიერად არ ვიცოდი. და მაშინ როდესაც სტეფანმა მე თავისი საიდუმლო გამიზიარა, მე მას მართლა გავუგე, და ჩვენ ნამდვილად დავახლოვდით, ერთად აღმოვჩნდით. ეხლა ჩვენ განუყოფელნი ვართ, ერთმანეთის ნაწილები. მე მგონია, რომ მთელი ცხოვრება მას ველოდებოდი.

შეილძება, შენ ფიქრობ, რომ მე თავს საშინლად ვგრძნობ, მისდამი სიყვარული გამო, რომ გაიხსენო ვინაა ის სინამდვილეში კი, სტეფანი შეიძლება იყოს დაუნდობელი და სასტიკი, და ზუსტად ვიცი, რომ მის წარულში არის რაღაცა, რომლისაც მას ცხვენია. მას საერთოდ არ შეუძლია გამოხატოს სისასტიკე ჩემს მიმართ. წარსული დასრულდა. სტეფანს გულში ისედაც ქენჯნის სინდისის გრძნობა! მე ძლიან მინდა ის განვკურნო.

მე არ ვიცი რა იქნება აწი: მე უბრალოდ ბედნიერი ვარ, სტეფანი უსაფრთხოდაა. დღეს მე პანტეონთან ვიყავი და გავარკვითე, რომ პოლიცია გუმინ იქ ყოფილა. სტეფანი ჯერ კიდევ სუსტად იყო და ვერ შესძლო პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მათ არავითარი ბრალი არ დაუდვიათ.

უბრალოდ რამოდენიმე კითხვა დაუსვეს. სტეფანმა თქვა, რომ პოლიციელები ძალიან მეგობრულად ექცეოდნენ, და ეს ჩემში გარკვეულ ეჭვს ჰბადებს. ყველა კითხვა, ბოლოს ერთამდე დადიოდა – სად იყო სტეფანი, როდესაც მოხუც თავს დაესხნენ ხიდის ქვეშ? როდესაც თავს დაესხნენ ვიკის დანგრეულ ეკლესიასთან? და ასევე იმ ღამეს, როდესაც სკოლაში მისტერ ტანერი მოკლეს.

პოლიციას მის წინააღმდეგ არავითარი სამხილი არ აქვს. მერე რა რომ, ეს ამბები მას შემდეგ დატრიალდა, რაც სტეფანი ჩამოვიდა ფელს–ჩერჩში? ეს არაფერს არ ამტკიცებს. კი, იგი იმ ღამეს მისტერ ტანეს ეკამათა.

მერე რა? ყველა ეკამათებოდა მისტერ ტანერს. კი, სტეფანი გაქრა ზუსტად მას შემდეგ, როდესაც მისტერ ტანერის ცხედარი აღმოაჩინეს. მაგრამ ის ეხლა დაბრუნდა, და ცხადია, რომ მასაც თავს დაესხნენ, და თან გააკეთა ეს იმავე პერსონამ, რომელმაც სხვა დანარჩენი თავდასხმაც ჩაიდინა. მერი მოუყვა პოლიციას თუ რა მდგომარეობაში იპოვა ის. და თუ პოლიცია ოდესმე ჩვენ გვკითხავს, მაშინ მე მეტი, ბონი და მერედიტი შევძლებთ განვაცხადოთ, თუ როგორ ვიპოვეთ სტეფანი ჭაში ჩავარდნილი. მის წინააღმდეგ საერთოდ არცერთი სამხილი არ არსებობს.

მე და სტეფანმა ყველაფერ ამის შესახებ ვილაპარაკეთ – და ბევრ სხვა რამეზეც. რა მშვენიერი იყო, კვლავ მასთან ერთად ყოფნა, მიუხედავად იმისა რომ ძალიან ფერმკრთალი და დაღლილი ჩანდა. სტეფანს ისევ არ ახსოვს, თუ როგორ დამთავრდა მისი ღამე ოთხამაბათიდან ხუთამაბათამდე, მაგრამ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მე ვეჭვობდი. ოთხამაბათს საღამოს სახლში გამაცილა და დეიმონის სამებრად გაეშურა. მათ სერიოზულად იჩხუბეს. ჯამში, სტეფანი ნახევრადმკვდარი აღმოჩნდა ჭაში. არაა საჭირო გენიოსობა, რომ მიხვდე, თუ რა მოხდა ამ ორ მოვლენას შორის.

ჯერ კიდევ არ მითქვამს სტეფანისათვის, რომ პარასკევს დილით დეიმონის სამებრად ვიყავი სასაფლაოზე. ალბათ აჯობებს ეს ხვალ გავაკეთო. ვიცი რომ ის გაბრაზდება, გასნაკუთრებით კი მაშინ, როდესაც გაიგებს, თუ რა მითხრა მე დეიმონმა.

აი ასე ეწყობა ყველაფერი. ძალიან დავიღალე. ალბათ არც ღირს დამატებად, რომ ეს დღიური კარგად უნდა დავმალო.

ელენამ ნელა დახედა უკანასკნელ ხაზს. და შემდეგ კიდევ ერთი დაამატა. პ.ს. საინტერესოა ვინ იქნება ისტორიის ახალი მასწავლებელი?

დღიური ლეიბის ქვეშ ამოდო და შუქი ჩააქრო.

ელენა სკოლის დერეფანში მიაბიჯებდა გარშემო ცნობისმოყვარეობის ვაკუუმით შემორტყმული. ჩვეულებრივად მას იკლევდნენ ყველა მხრიდან მოსაბეზრებელი მისალმებებით. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ისმოდა: „გამარჯობა, ელენა!“ მაგრამ დღეს მის მოახლოებისას ყველა თვალს აშორებდა ან საერთოდ ზურგით ტრიალდებოდნენ. და ასე ხდებოდა მთელი დღის განმავლობაში.

ელენამ სვლა ევროპის ისტორიის კაბინეტთან შეაჩერა. რამოდენიმე მოსწავლე უკვე იჯდა კლასში, ხოლო უცნობი დაფასთან იდგა.

ის გამოიყურებოდა, როგორც უფროსკლასელი, ტანადი და ოქროფერი თმით.

დაფაზე კი ეწერა: „ალარის კ. ზალცმენი“ როდესაც უცნობი მობრუნდა, ელენამ შეამჩნია, რომ მას ბავშვური ღიმილი ჰქონდა.

ახალი მასწავლებელი ისევ ილიმოდა და მას შემდეგაც, როდესაც ელენა ადგილზე დაჯდა და სხვა მოსწავლეები კლასში შემოვიდნენ. მათ შორის სტეფანიც აღმოჩნდა. მან და ელენამ ერთმანეთს გადახედეს, სანამ ის მის გვერდით ჯდებოდა, მაგრამ ლაპარაკი არ წამოუწყიათ. სხვა დანარჩენებიც ჩუმად იყვნენ. დაწესებულებაში ნელნელა მკვდარი სიჩუმე დგებოდა.

ბონი ელენას მეორე მხარეს დაჯდა. მეტი მათგან რამოდენიმე მაგიდის მოშორებით იჯდა და წინ იყურებოდა.

ბოლოს კლასში კეროლან ფორბსი და ტაილერ სმოლვუდი შემოვიდა. ისინი აშკარად ერთად მოვიდნენ და ელენას ძალიან არ მოეწონა კეროლანის სახის გამომეტყველება. ძალიან კარგად იცნობდა ამ კატის ღიმილს და მოჭუტულ მწვანე თვალებს. ტაილერის ცხიმოვანი ფიზიონომია სიამოვნებისაგან ბრწყინავდა. თვალის ქვემოთ ლურჯი ლაქები კი თითქმის აღარ ჰქონდა.

–კარგი, რატომ არ დაგვეწყო ეს ყველა მაგიდა წრეზე?

ელენას ყურადღება უცნობისაკენ გადაერთო, რომელიც დაფასთან იდგა და ისევ ილიმებოდა.

–მოდით ასე გავაკეთოთ. მაშინ ჩვენ ყველა ერთმანეთის სახეს დავინახავთ, სანამ

ვილაპარაკებთ. შემოთავაზება წამოაყენა ახალმა მასწავლებელმა.

მოსწავლეები ჩუმად დათანხმდნენ. მასწავლებელი არ დაჯდა მისტერ ტანერის მაგიდასთან. ამის მაგივრად მან სკამი წრის ცენტრში გამოიტანა და დაჯდა.

–აი. – წარმოთქვა მან. – მე ვფიქრობ, რომ ალბათ გაინტერესებთ, ვინ ვარ მე. ნუ, ჩემი სახელი დაფაზე წერია: ალარის კ. ზალცმანი. მაგრამ მინდა რომ მომმართოთ როგორც ალარიკი.

მოგვიანებით ჩემს შესახებ მოგიყვებით, მაგრამ თავიდან მსურს რომ თქვენ ერთმანეთთან გამოლაპარაკების საშუალება მოგცეთ. როგორც ვიცი, თქვენთვის დღეს მძიმე დღეა. ვილაც, თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, გარდაცვლილია, და ეს ალბათ ძალიან მტკივნეულია. მე მინდა შანსი მოგცეთ, რომ თქვენი ფიქრები მე და თქვენს კლასელებს გავუზიაროთ. მე მინდა, რომ თქვენ მოყვეთ თქვენი ტკვილის შესახებ და მისგან განთავისუფლდეთ. შემდეგ კი ერთმანეთზე მიმდობი ურთიერთობის აწყობასაც შევძლებთ. ვის სურს რომ პირველი იყოს? მოსწავლეები ჩუმად შეპყურებდნენ მას. არცერთს წარბიც კი არ შეურხევია.

–კარგი, ვნახოთ... აი შენ?! – ჯერ კიდევ გაღიმებულმა, მიუთითა წითელთმიან ლამაზ გოგონას – მითხარი, რა გქვია, და რას ფიქრობ მომხდართან დაკავშირებით?

აშკარად დაბნეული, გოგონა ადგა.

– მე მქვია სიუ კარსონი, და მე... ჰმ... – მან ჩაისუნთქა და განაგრძო: – მე ვგრძნობ შიშს. იმიტომ რომ, ვინც არ უნდა იყოს ის მანიაკი, ის ჯერ–კიდევ თავისუფალია. და შემდეგში მისტერ ტანერის ადგილას შეიძლება მე აღმოვჩნდე.

–მადლობთ სიუ. დარწმუნებული ვარ, შენი ბევრი კლასელი იზიარებს შენს განგაშს. აი ეხლა კი. თუ სწორად ვხვდები, რამოდენიმე თქვენგანი ტრაგედიის ადგილზეც აღმოჩნდა?

მაგიდები აჭრიალდა, მოსწავლეები უხერხულად აწრიალდნენ სკამებზე. ტაილერ სმოლვუდი წამოდგა, ცოტას იღიმებოდა და თავის მძლავრ კბილებს აჩენდა.

–თითქმის ყველა იქ იყო,–დააზუსტა მან, რის შემდეგაც მას თვალები სტეფანისაკენ გაექცა.

ელენამ მაშინვე შემაჩნია, რომ, რამოდენიმე მოსწავლემ მის მხერას გააყოლა თვალი. – მე იქ აღმოვჩნდი მას შემდეგ, რაც ბონიმ სხეული აღმოაჩინა. და ეხლა მე ვგრძნობ ვალდებულებას ჩემი თანამოქალაქეების მიმართ. ქუჩაში საშიში მკვლელი დასეირნობს, და ჯერ არაფერი გაკეთებულა მის შესაჩერებლად. და ასევე...– აქ ტაილერი შეცბა. ელენამ შეამჩნია, თუ როგორ მიანიშნა კეროლანმა სახით რომ გაჩერებულიყო. უკან ოქროსფერი–მოწაბლისფრო თმა გადაიყარა და ერთი გრძელი ფეხი მეორეზე გადაიღო, როდესაც ტაილერი ისევ დაჯდა.

–კარგი, მადლობა. ანუ თითქმის ყველა იქ აღმოჩნდა. მაშინ ამოცანა უფრო რთული ხდება. და შეიძლება ეხლა იმ ბონის მოვუსმინოთ, რომელმაც სხული აღმოაჩინა? – მასწავლებელმა მიიხედ–მოიხედა.

ბონიმ ნელა აწია თავი, შემდეგ კი ადგა.

– დიახ, მე აღმოვაჩინე, – დაიწყო მან. – ანუ მე მინდა ვთქვა რომ, პირველმა მე შევიტყვე რომ, მისტერ ტანერი ნამდვილად მკვდარია და არ თამაშობს მკვდრის როლს.

ალარიხმა მოულოდნელი შეცდომისაგან გამოწვეული გაოცება ვერ დამალა

– უბრალოდ არ თამაშობს? და მისტერ ტანერი ხშირად თამაშობდა მკვდარს?

გაისმა თავშეკავებული ხითხითი, და ისტორიის ახალი მასწავლებლის სახეზე ისევ ის ბავშვური ღიმილი გაბრწყინდა. ელენა მობრუნდა და სტეფანს შეხედა. ის კი უკმაყოფილოდ მობუზული იყო.

–არა–არა,– დაიწყო ბონიმ ახსნა. – იცით, ის მსხვერპლი იყო. მოჩვენებების

სახლში, ჰელოუნისათვის. ამიტომ ის თავიდანვე სისხლით იყო დაფარული, მაგრამ ეს არანამდვილი სისხლი იყო. და ჩემი ბრალიცაა, მისტერ ტანერს არ სურდა რომ ის სისხლით დაესვარათ, და მე კი ვთქვი, რომ ის შეგუებოდა, თუ არადა არაფერი გამოვიდოდა. თავიდან ის უბრალოდ სისხლიანი ცხედარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მერე გადავწყვიტეთ, რომ, მსხვერპლი იქნებოდა საკურთხეველზე(სამსხვერპლოზე). მისტერი ტანერი განაგრძობდა იმის მტკიცებას, რომ ეს არასწორია და არაჰიგიენურია, და ვერაფერით ვერ ვაცვლევინებდით აზრს, სანამ სტეფანი არ მოვიდა და არ შეეკამათა მას..– აქ ის მიხვდა. – მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მას უბრალოდ დაველაპარაკეთ, და ჯამში მისტერ ტანერი დაგვთანხმდა. მალე მოჩვენებების სახლი ხალხით გაივსო. ცოტა მოგვიანებით კი მე შევიტყვე რომ, მისტერ ტანერი არ ჯდება სამსხვერპლოზე და არ აშინებს ბავშვებს, როგორც უნდა გაეკეთებინა სცენარის მიხედვით. შემდეგ მე მივედი მასთან და ვკითხე, რაში იყო საქმე. მისტერ ტანერმა კი არ მიპასუხა. ის უბრალოდ.. ის უბრალოდ უყურებდა ჭერს. და მაშინ მე მას შევეხე, ხოლო ის.. ეს საშინელება იყო... აღმოჩნდა, რომ მას თითქმის მოჭრილი აქვს თავი..– ბონი გაჩუმდა და ძლივს–ძლივობით გადაყლაპა ნერწყვი.

ელენა თავისი ადგილიდან წამოდგა, ასევე წამოდგა მეტი, სტეფანი და კიდევ რამოდენიმე მოსწავლე. ელენე ბონის ჩაახუტა.

–ბონი ყველაფერი კარგადაა. ბონი, არ გინდა, ყველაფერი კარგადაა...

– და სისხლი ჩემს ხელისგულებზე აღმოჩნდა. იმდენი სისხლი.. იქ ყველგან სისხლი იყო. იმდენი სისხლი.. ყველგან სისხლი იყო.. ძალიან ბევრი სისხლი.– გოგონა ისტერიულად სლუკუნებდა.

–კავით, ეხლა ჩემი ჯერია,–წარმოსთქვა ალარიკ ზალცმანმა.– ძალიან ვწუხვარ. არ მინდოდა თქვენი ასე შეწუხება. მაგრამ ვფიქრობ, რომ მომავალში თქვენ რამენაირად, აუცილებლად უნდა სძლიოთ ეს გრძნობები. ნათელია, რომ თქვენ ნეგატიური ,დამანგრეველი გამოცდილება მიიღეთ.

ისტორიის მასწავლებელი წამოდგა და წრის ცენტრში დაიწყო სიარული, თან ნერვიულად ჭიმავდა მუშტს. ბონი არახმამალა სლუკუნებდა.

– იცით?!– შემოგვთავაზა ალარიკმა, და მისი ბავშვურმა ღიმილმა მის სახეზე ისევ ნათელად იფეთქა,– მე მსურს, რომ ჩვენს ურთიერთობას კარგი დასაწყისი მივცე. მაგრამ არაოფიციალურ ატმოსფეროში. რა აზრის ხართ, რომ ჩემთან სახლში მოხვიდეთ ამ საღამოს, რომ გემრიელად დავილაპარაკოთ ყველაფერზე არაფორმალურ სიტუაციაში? უბრალოდ იმიტომ რომ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, დავილაპარაკოთ მომხდართან დაკავშირებით. შეგიძლიათ მეგობრებიც მოიყვანოთ, თუ მოისურვებთ. აბა როგორია?!

რამოდენიმე წამის განმავლობაში ყველამ ერთმანეთს გადახედა. შემდეგ ვიღაცამ იკითხა :

–თქვენთან სახლში?!

– აჰ, სულ დამავიწყდა. როგორი სისულელაა, მე რამის სახლში გავრჩერდი, მანგოლიის ქუჩაძე.– მასწავლებელმა მისამართი დაფაზე დაწერა.–რამსები–შემი მეგობრები არია, და მათ შემომთავაზეს, რომ მათ სახლში მეცხოვრა, სანამ ისინი შვებულებაში არიან. მე შარლოსტვილიდან ჩამოვედი. სკოლის დირექტორმმა დამირეკა სასტუმროში და მკითხა, შევძლებდი თუ არა მე ვაკანსიის შევსებას. მე ვთქვი, რომ შევძლებდი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მასწავლებლად არასოდეს მიმუშავია.

–ეს ყველაფერს ხსნის,– თითქმის გასაგონად ჩაილაპარაკა ელენამ.

–ასეა თუ ისე, რას ფიქრობთ ამის შესახებ? როგორი ჩემი გეგმა? მოგწონთ? – ალარიკ ზალცმანმა მოსწავლეებს გადახედა.

არცერთს არ ეყო ძალა რომ ღიად ეთქვა უარი. გაისმა ყოყმანით ნათქვამი „კი“ და „რა თქმა უნდა“ –მშვენიერია. ჩავთვალთ, რომ ყველაფერი უკვე დალაგებულია. ასე ჩვენ შევძლებთ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი. და .. ჩვენს გაკვეთილებზე აქტიური დასწრება ხშირ შემთხვევაში შეცვლის კარგი ნიშნების არარსებობას.

– მან მზერა აწია და გაიღიმა. – ეხლა კი შეგიძლიათ წახვიდეთ.

–ჰმ.. ნაგლი.. – ჩაიბურტყუნა ვიღაცამ, სანამ ელენა კარებისაკენ მიდიოდა.

ბონი ეგრევე მის ზურგს უკან აღმოჩნდა, მაგრამ ალარიკმა მას სთხოვა რომ შეყოვნებულიყო.

–უკაცრავად, მაგრამ, შეგიძლიათ დარჩეთ ის მოსწავლეები, ვინც დღეს მსჯელობაში მონაწილეობდნენ?

სტეფანსაც მოუწია წასვლა.

–წავალ, ფეხბურთის ვარჯიშის დაკავშირებით გავარკვავ რამეს,–უთხრა მან ელენას.–მას ალბათ გადადებენ, მაგრამ მირჩევნია ამაში დავრწმუნდე.

ელენამ მშფოთვარეთ შეხედა მას – სტეფანი სახე ღონებამიხდილი იყო, ხოლო მოძრაობდა ისე, თითქოსდა , მოძრაობა ტკივილს აყენებდა.

–თუნდაც არ იყოს გადადებული, ნუთუ გაქვს ძალა და სურვილი რომ მიიღო მონაწილეობა?

–ყველაფერი კარგად იქნება,– ორჭოფით თქვა სტეფანმა.–შენს კარადასთან შევხვდეთ.

ელენამ თავი დაუქნია.

თავის კარადასთან მივიდა თუ არა, დაინახა, როგორ ელაპარაკებოდა კეროლანინი შორიახლოს ორ გოგონას. სამი წყვილი თვალი ელენას თითოეულ მოძრაობას აკვირდებოდა, სანამ ის მოსწავლის

რვეულებს და წიგნებს ინახავდა, და აწია თუ არა ელენამ მზერა, კეროლანთან მოსაუბრენი შეტრიალდნენ. მაგრამ კეროლანის , ჯერ კიდევ ყურადღებით აკვირდებოდა თავდახრილი. მისი ტუჩები ოდნავ მოძრაობდნენ, თან აშკარად არახმამდალ კომენტარებს აკეთებდნენ. ელენამ გაიფიქრა , რომ უკვე ყველაფერი მორჩა. მიაჯახუნა თავისი კარადა და სწრაფად მიუახლოვდა სამ გოგონას.

–გამარჯობა ბეკი.გამარჯობა შეილა.–მიესალმა ის. და შემდეგ გამოკვეთილად დაამატა:–
გამარჯობა კეროლან.–

ბეკიმ და შეილამაც ჩუმად ჩაიბირტყუნეს მისალმება, ბოდიში მოიხადეს და გაცილდნენ იქაურობას. ელენას თავიც არ გაუნძრევია და არ უნახავს როგორ დაიხიეს მათ უკან. ის პირდაპირ თვალებში უყურებდა კეროლანს.

–რა ხდება? – დაინტერესდა ყოფილი მეგობრით ელენა.

–რა მნიშვნელობით?– კეროლანის აშკარად კმაყოფილი იყო სიტუაციით და ცდილობდა რაც შეიძლება ღრმად ჩაეთრია ელენა. – ვისთან დაკავშირებით?

–შენთან კეროლან. ყველასთან. არ ითვალთმაქცო, რომ არაფერ შუაში ხარ, იმიტომ რომ, ზუსტად ვიცი, ამ ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე. ყველა მე გამიბრბის, თითქოსდა შავი ჭირი მქონდეს, ხოლო შენ ისე გამოიყურები , თითქოსდა ეს ესაა ლატარეა მოიგე. აღიარე რა ჩაიღინე? კეროლანის სახეზე კი შეურაცხყოფილი უბილწოება გამოისახა, მაგრამ რამოდენიმე წამის შემდეგ ისევ გადაიზარდა კატის ღიმილში.

–როგორც კი სწავლა დაიწყო, მე გითხარი შენ რომ, ელენა, ამ წელს ყველაფერი სხვანაირად იქნება.–მე სამართლიანად გაგაფრთხილე, რომ შენი დრო ტახტზე იწურება. ყველაფერი დანარჩენი – უკვე ჩემი საქმეა. უბრალოდ ხდება ბუნებრივი გადარჩევა. ჯუნგლების კანონი.

–მარგამ მაინც– რა ხდება კონკრეტულად?

–ასეც შეიძლება ითქვას: ხელიხელჩაკიდებული მკვლელთან ერთად სიარული, ცუდად აისახა შენს რეპუტაციაზე.

გული ისე დაეძაბა ელენას, თითქოსდა კეროლანმა მას სახეში გაარტყა. პირველ წამს თითქმის ვერ შეეძლო შეეკავებინა სურვილი იმისა რომ მასაც გაერთყა. სისხლი ფეთქავს მის ყურებში, მაგრამ კბილი კბილს დააჭია და წამორსოქვა:

–ეს არასწორია. სტეფანს არაფერი ასეთი არ გაუკეთებია. პოლიციამ ის გამოკითხა და ის ექვმიტანილი აღარაა.

კეროლანმა მხრები აიჩეჩა. მისი ღიმილი გაურკვეველი გახდა.

–ელენა, მე შენ საბავშვო ბაღიდან გიცნობ, თქვა მან. – და ჩვენი ყოფილი დიდი მეგობრობის ნიშნად ერთ რჩევას მოგცემ – მიატოვე სტეფანი. თუ ამას ახლა იზამ, კიდევ მოასწრებ თავი აარიდო კეთროვანის ბედს. საწინააღმდეგო შემთხვევაში შეძლებ იგივე წარმატებით იყილო პატარა ჟღარუნა, რომლითაც ხალხს დააფრთხოვ ქუჩაში.

ბრაზისაგან ელენას სუნთქვა შეეკრა. კეროლანის ნელა შებრუნდა და წავიდა, და ნათურების შუქზე ჩანდა თითქოსდა მის წითურ–წაბლისფერ თმას შორის თავის კანი ჩანდა.

რამოდენიმე წამის შემდეგ ელენა ლაპარაკის უნარი ისევ დაიბრუნდა.

–კეროლანი!–ძველი მეგობარი მისკენ მობრუნდა.–დღეს აპირებ რამსების სახლში წვულებაზე წასვლას?

–ალბათ,კი.რატომ?

–არა ისე.უბრალოდ მე მანდ ნამდვილად ვიქნები. სტეფანთან ერთად. ასე რომ ჯუნგლებში შევხვდებით.– ამჯერად ელენა გაბრუნდა პირველი.

მისი სცენის დატოვების დიდებულება შემცირდა, როდესაც ვილაცის ტანადი ფიგურა შეამჩნია დერეფნის ბოლოში. წამით ელენას გათვლილი ნაბიჯის სიჩქარე აერია, მაგრამ ახლოს მისვლისთანავე სტეფანი იცნო.

ელენამ არაჩვეულებრივად იცოდა, რომ, ღიმილი რომლითაც ის ასაჩუქრებდა იყო ხელოვნური, და სტეფანი უაზროდ უყურებდა კარადებს, სანამ სკოლიდან გადიოდნენ.

–ფეხბურთის ვარჯიში გადადებულია? –შეეკითხა ელენა.

სტეფანმა თავი დაუქნია.

–რა მოხდა მანდ?–იკითხა მან.

–არაფერი, უბრალოდ ვკითხე კეროლანის, მოდიოდა თუ არა ამ სადამოს წვეულებაზე.–ელენა თავი უკან გადაადგო რომ, ნაცრისფერ, უხალისო ცაზე შეეხედა.

–და ზუსტად ამაზე ლაპარაკობდით?

რადაც ამდაგვარი მისგან უკვე მოსმენილი ჰქონდა.კი, სტეფანს ნებისმიერ ჩვეულებრივ ადიანზე უკეთესი მხედველობა ჰქონდა, და სმენაც. მაგრამ იყო ის საკმარისი, რომ გაერკვია 40 ფუტის სიშორეზე ნათქვამი სიტყვები?!

–კი,–ჯიუტად უპასუხა ელენამ, ჯერ კიდევ ცას უურებდა

–და ამან გაგაბრაზა ასე ძალიან?!

–კი,–გაიმეორა მან, ტონის შეუცვლელად.

აქ ელენამ მისი დაჟინებული მხერა იგრძნო.

–მომისმინე,ელენა, ეს ხომ სიმართლე არ არის.

–ნუ,შენ თუ ჩემი აზრების წაკითხვა შეგიძლია, მაშინ არანაირი კითხვის დასმა არ ღირს. გაჩერდნენ და ერთმანეთის სახის პირისპირ დადგნენ.

სტეფანის სახეზე კუნთები დაიჭიმა,ტუჩები გამოიწია და სწორ ხაზად იქცა.

–შენ ხომ იცი, რომ მე არასდროს ამას არ გავაკეთებდი,მაგრამ მე მეგონა, რომ შენ ყოველთვის იყავი ურთიერთოაში სამართლიანობის და ნდობის მომხრე.

–კარგი.კეროლანის თავის ჩვეულ ნაბიჯვრულ ამპლუაში იყო და ლაქლაქობდა სხვადასხვა საზიზღრობებს მკვლელობაზე.მერე რა? შენ რაღა საქმე გაქვს?

–მაქვს,–უხეში უბრალოებით თქვა სტეფანმა.იმიტომ რომ, ის შეიძლება მართალი იყო.

მკვლელობაზე არა,შენზე.ჩვენზე.მე უნდა მივხვედრილიყავი, რომ ეს მოხდებოდა. საქმე მარტო კეროლანში არაა, ასეა? მე მთელი დღე ვგრძნობდი ჩემზე მიმართულ წინააღმდეგობის და შიშის ტალღებს. მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი, რომ ეს ყველაფერი გამეანალიზებინა. ყველა ფიქრობს რომ მე ვარ მკვლელი, და ამაში შენ გდებენ ბრალს.

–ისინი რას ფიქრობენ, არ აქვს მნიშვნელობა! ისინი ცდებიან, მაგრამ ბოლოს ყველა მიხვდება ამას. და შემდეგ ყველაფერი ბრწყინვალედ იქნება.

სევდიანმა ღიმილმა სტეფანის პირის კუთხეები აწია.

–შენ მართლა გჯერა ამის?–ის გაბრუნდა და მისი გამოხედვა ისევ უხეში გახდა.– და რა მოხდება თუ იცინი ვერაფერს ვერ მიხვდებიან? რა მოხდება თუ ყველაფერი უარესად გახდება?

–რაზე ლაპარაკობ?

–იქნებ, აჯობებს.–სტეფანმა ჩაისუნთქა და ფრთხილად განაგრძო:–იქნებ რაღაც დროით აღარ შევხვდეთ?თუ ყველა იფიქრებს რომ დავშორდით,იქნებ შემდეგ მოგემვან?

ელენამ ეჭვის თვალით მიაჩერდა მას.

–შენ შეძლებ ამაზე წასვლას? შეძლებ გაურკვეველი დროით ჩემს არ ნახვას და ჩემთან არ ლაპარაკს?

–თუ საჭიროა კი. ჩვენ შეგვიძლია მოვიჩვენოთ, თითქოსდა ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა.–სტეფანა ჯიუტად მოკლმა ტუჩები.

ელენა კიდევ ცოტახნით დაჟინებით უყურებდა მას. შემდეგ მიუახლოვდა, ისე ახლოს მივიდა, რომ თითქმის ერთმანეთს ეხებოდნენ. მას მოუწია მასზე შეეხედა. მათ სახეებს რაღაც დიუმები აშორებდა.

–ამის გაკეთების ერთი ხერხი არსებობს,–დაძაბულად თქვა ელენამ.–კარგი,მე მზად ვარ განვუცხადო მთელ სკოლას, რომ ჩვენი ურთიერთობა გაიწყვიტა. მაგრამ მხოლოდ ერთ შემთხვევაში. თუ შენ მეტყვი, რომ არ გიყვარვარ და არ გინდა ჩემი ნახვა. მითხარი ეს, სტეფან, ეხლავე მითხარი. მითხარი, რომ აღარ გინდა ჩემთან ყოფნა.

სტეფანმა სუნთქვა შეწყვიტა. ის თვალმოუშორებლად უყურებდა ელენას, და მას თვალები როგორ კატას ისე სხვადასხვა ფერებში გადაედვარა –ზურმუხტისფერი, მწვანე ფოთლისფერი, მალახიტისფერი.

–მითხარი,–განაგრძო ელენამ.–მითხარი რომ, შეძლებ ჩემს გარეშე ცხოვრებას. მითხარი... ბოლო ფრაზის დასრულება ელენამ ვერ შეძლო. სტეფანის ტუჩები ელენას ტუჩებს შეეხო.

სტეფანი გილბერტების მისაღებ ოთახში იჯდა და თავაზიანად ეთანხმებოდა ყველაფერს რასაც დეიდა ჯუღუტი ეუბნებოდა. ეს უკანასკნელი კი აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს რადგან სტეფანის მიღება უწევდა. მიუხედავად ამისა დეიდა ჯუღუტი ყველანიარად ცდილობდა ატმოსფეროს განმუხტვას და სტეფანიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. მას უნდოდა რომ ელენა ბედნიერი ყოფილიყო. ელენა!

მისი დანახვაც კი არ სჭირდებოდა, ის გრძნობდა მას უფორ ძლიერად ვიდრე მთელ სამყაროს, მის კანიც კი გრძნობდა როგორც მზის სხივებს დახურულ ქუთუთოებზე. ხოლო როცა სტეფანი მისკენ მიბრუნების უფლებას აძლევდა თავს ეს იყო ტკბილი შოკი ყველა მისი გრძნობის ორგანოსთვის...მას მართლა უყვარდა ელენა! ის აღარასოდეს ადარებდა მას კატერინას, თითქმის დაივიწყა კიდევაც რომ ოდესღაც ელენა მას დაღუპულ გოგონას ახსენებდა. მსაგვსება შემოიფარგლებოდა ღია-ოქრისფერი თმით, რძისფერი კანით და დახვეწილი ნაკვთებით. ელენას გამოხედვა არასოდეს ყოფილა მორცხვი ან ბავშვური, როგორც კეტრინის. პირიქით ელენას თვალები მისი სულის სარკე იყო. ელენა უბრაოდ ელენა იყო და მისმა სახებამ ნელ-ნელა ჩაანაცვლა ნაზი კატერინას აჩრდილი სტეფანის გულში.

მაგრამ ხასიათის ძალა მათ სიყვარულს სახიფათოს ხდიდა. წინა კვირას როცა ელენამ მას სისხლი შესთავაზა მან ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. და ეს მაშინ როცა მზად იყო თავი გაეწირა ოლონდ ელენა არ ჩაეგდო საფრთხეში.

უკვე მეთასეჯერ სტეფანი ყურადღებით ათვალიერებდა მის სახეს და ცდილობდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების მონახვას. ხომ არ გახდა კანი უფრო ფერმკრთალი? ხო მარ შეიცვალა სახის გამომეტყველება?

მათ ორივეს სიფრთხილე მართებდათ. განსაკუთრებით-სტეფანს. მას უნდა ეზრუნა უფრო ხშირს კვებაზე, რომ აღარ ყოფილიყო ცდუნება. მოთხოვნილება ძალიან დიდი არ უნდა ყოფილიყო. გაიფიქრა თუ არა სტეფანმა ამაზე, მიხვდა რომ შიოდა. ნაცნობმა წვამ მოიცვა კაპილარები და განსაკუთრებით ყელი. ახლა მისი ადგილი ტყეში იყო ნადირობისთვის და არა აქ სანამ ელენას კისერზე ღია ლურჯ ვენებს ათვალიერებდა.

უეცრად ელენა თავი მოაბრუნა და ყურადღებით შეხედა.

-გინდა დღევანდელ წვეულებაზე წასვლა?-იკითხა მან.-შეგვეძლო დეიდა ჯუდიტის მანქნით წავსუიყავით.

-მაგრამ მანამდე დარჩებით და ისადილებთ-სწრაფად დაამატა დეიდა ჯუდიტმა.

-აუცილებლად წავიხემსებთ გზაში.

ელენამ იგულისხმა რომ რაიმეს ავიღებდით მისთვის, გაიფიქრა სტეფანმა.

მას თუ საჭირო იყო შეეძლო ჩვეულებრივი საჭმლის დაყეჭვა დაყლაპვა, მაგრამ ეს უაზრო იყო, მან დიდი ხანის რაც ასეთი საკვების გემო დაკარგა.

მაგრამ მისი ნამდვილი შიმშილის გრძნობა ახლა ზედმეტად ძლიერი იყო, გაიფიქრა სტეფანმა.

და თუ ისინი წავიდოდნენ წვეულაზე ეს კიდევრამოდენიმე საათ შიმშილს ნიშნავდა.

მიუხედავად ამისა მან მაინც დაუქნია თავი ელენას თანხმობის ნიშნად.

-თუ შენ გინდა.

ელენას ეს ნამდვილად უნდოდა და სტეფანი ამას თავიდავე ხედავდა.

-კარგი, მაშინ ჯობია გამოვიცვალო.

სტეფანმა უკან გაყვა კიბემდე.

-რაიმე მაღალი საყელოთი ჩაიცვი,-ხმადაბლა ურჩია მან ელენას-მაგალითად, სვიტრი.

ელენამ ცარიელი მისაღები ოთახი შეათვალიერა.

-ყველაფერი რიგზეა-დაამშვიდა მან სტეფანი-იარები თითქმის შემიხორცდა, ხედავს?-ელენამ საყელო ჩამოიწია და კისერი მოიშიშვლა.

სტეფანი მოჯადოებულვით უყურებდა ორ წითელ ნიშნულს რძისფერ კანზე. ახლა ისინი ღია-ბარდოს ფერი იყვნენ, კარგად გახსნილი ღვინის მსგავსად.

სტეფანმა ძლივს მოწყვიტა თვალები იარებს.

-მაგრამ მე სულ სხვა რაღაც ვიგულისხმე!

ოქროსფერი თმა დაეცა კისერს და დაფარა იარები უცხო თვალისგან.

-მართლა?

-შემოდით! შემოდით!

შევიდნენ თუ არა ოთახში ყველა საუბარი შეწყდა. ელენამ შეხედა მათკენ მოპყრობილ მზერებს-დაკვირვებულ, ცნობისმოყვარე და ფრთხილებს. არა ასეთ მზერებს იყო მიჩვეული სკოლის დედოფალი.

კარი კი მათმა კლასელმა გააღო, ალარიკ ზალცმანი არსად ჩანდა. სამაგიეროდ კეროლანინი ბართან ჭამომჯდარიყო სკამზე როგორც ტახტზე და ყველას უჩვენებდა თავის გრძელ ფეხებს. როგორც კი ელენა დაინახა კეროლანინმა დამცინავი მზერა ესროლა და თავის მეზობელს რაღაც გადაუჩურჩულა რაზეც მეორემ გაიცინა.

ელენამ იგრძნო რომ ღიმილი თითქმის მტკივნეული გახდა, სახეს კი წითელი ფერი მოაწვა. ყურში ნაცნობი ხმა ჩაესმა.

-ელენა, სტეფან! აქ მოდიო.

ელენამ შვებით შენიშნა ბონი, მერედიტი და ედი ტიფი რომლევიც კუთხეში იჯდნენ. ისინიც შეურთდნენ და საუბრები ოთახში განახლდა.

უსიტყვო შეთანხმებით არავინ არ ახსენებდა იმ უხერხულობას რაც ელენას მოსვლას მოყვა და არც თვითონ ელენა აპირებდა ამაზე ყურადღების გამახვილებას.

მერედიტი და ბონი კი მხარს უჭერდნენ.

-არაჩვეულებრივას გამოიყურები,-თბილად შეაქო ბონიმ-ეს წითელი სვიტრი საშინლად მომწონს.

-მართლა კარგი რამეა-დაეთანხმა მერედიტიც-არა ედ?

ედი ცოტათი შეშინებული დაეთანხმა მეგობარს.

-ანუ შენი კლასიც დაპატიჟეს-უთხრა ელენამ მერედიტს-მეგონა მხოლოდ ისინი იქნებოდნენ ვისაც მეშვიდე გაკვეთილად ევროპის ისტორია აქვს.

-არამგონია სიტყვა “დაპატიჟებული” სწორად შერჩეულია-მშრაკად თქვა მერედიტმა-თუ გავითვალისწინებთ, რომ “აქტიური მონაწილეობა ზოგჯერ ნიშნების ნაკლებობას აანაზღაურებს.”

-ფიქრობ, ამაზე სერიოზულად ლაპარაკობდა?-ჩაამატა ედმა.

ელენამ მხრები აიჩქრა.

-მომეჩვენა რომ სერიოზულად. რეი სადაა?-ახლა ბონის მიმართა.

-რეი? აჰ, რეი. სადღაც ახლოს იქნება. აქ ბევრი ხალხია.

მისაღები ოთახი მართლაც სავსე იყო მაღალკლასელებით. იმ ადგილიდან სადაც ელენა იჯდა ის კარგად ხედავდა რომ ხალხი უკვე ერთ ოთახში ვერ ეტეოდა და ნელ-ნელა მთელ სახლს ედებოდა. ადამიანები რომლებიც ახლოს გადიოდნენ, ელენას იდაყვას წამოკრავდნენ ხოლმე.

-რაზე უნდაო ზალცმანს თქვენთან საუბარი გაკვეთილების შემდეგ?-იკითხა სტეფანმა.

-ალარიკი-შეუსწორა ბონიმ-მას უნდა ალარიკი დაუმახონ. აჰ, ის იმდენად საყვარელი იყო! ის თავს საშინლად გრძნობდა რომ მაიძულა ამ შემზარავი გამოცდილების გახსენება. მან კი არც იცოდას როგორ მოკვდა ის და რამდენად მგრძნობიარე ვარ. თუმცა ისიც მგრძნობიარეა, ზოდიასის ნიშანიც ამაზე მეტყველებს.

-და მთვარის აღმავალი ხაზებიც-ჩუმად ჩაილაპარაკა მერედიტმა-მისმინე ბონი, შენ ხომ თვითონც არ გჯერა ამ სისულელის? ის ხომ მასწავლებელია და ეს უაზრობები მოსწავლეებში არ უნდა გაავრცელოს.

-ალარიკს არაფერი ასეთი არ გაუვრცელებია! ზუსტად იგივე უთხრა მან ტაილერს და სიუ კარსონსაც. კიდევ თქვა რომ ერთმანეთს უნდა დაუჭიროთ მხარი ყველაფერში რაც იმ საღამოს მოხდა, რეფერატის დაწერაც შემოგვთავაზა ემოციების გამოსახატად. ალარიკმა თქვა რომ მოზარდებზე ადვილია შთაბეჭდილების მოხდენა და არ უნდა რომ ამ ტრაგდიამ დიდი ხნით დაასვას დალი ჩვენს ცხოვრებას.

-რა სიცოცხლეა!-აღნიშნა ედმა, და სტეფანმა ხველება ატეხა ისტერიული სიცილის დასამალად. მაგრამ სიტუაცია მას სულაც არ ამხიარულებდა, ბონისთვის დასმული კითხვა კი მხოლოდ დროის გასაყვანად როდი იყო. ელენას ესმოდა ეს. სტეფანი უყურებდა ზალცმანს როგორც აქ მყოფი მოსწავლეები უყურებდნენ სტეფანს-უნდობელად და სიფრთხილით.

-მართლა უცნაურია-აღნიშნა ელენამ, გაუთვინციობიერებელი პასუხით სტეფანის აზრზე-ალარიკი ხომ ისე იქცეოდა თითქოს წვეულების აზრი სპონტანურად მოუვიდა არადა აშკარად დაგეგმილი იყო.

-უფრო უცნაურია რომ სკოლამ აიყვანა მასწავლებელი და არც კი აუხსნა როგორ დაიღუპა მისი წინამორბედი-მხარი დაუჭირა სტეფანმა-ყველა საუბრობდა მისტერ ტანერის სიკვდილზე, ეს გაზეთებშიც კი იყო.

-მაგრამ იქ დეტალები არ ყოფილა-გაჯიუტდა ბონი-სინამდვილეში უმეტეს ინფორმაციას პოლიცია ახლაც არ აცხადეს რადგან ეს შეიძლება მკვლელის პოვნისთვის იყოს საჭირო.

კერძოდ...-ბონი ხმას დაუწია-იციოთ რა მითხრა მერიმ? ექიმი ფეინბერგი საუბრობდა იმ ადამიანთან რომელმაც ცხედარი გამოიკვლია, და მან განაცხადა რომ ცხედარში არ იყო სისხლი. არცერთი წვეთი.

ელენამ იგრძელო თითქოს ცივმა ქარმა დაუბერა ვენებში, როგორც სასაფლაოზე. მან სიტყვის წარმოთქმაც კი ვერ შეძლო. ედმა იკითხა:

-მაგრამ სად წავიდა?

-არ ვიცი-მშვიდად უპასუხა ბონიმ-ალბათ დაიქცა იატაკაზე და საკურთხეველზე. პოლიცია ზუსტად ამას არკვევს ახლა. ეს უცნაური ცხედრისთვის, რომ სისხლი საერთოდ არაა. ჩვეულებრივ სხეულის ქვემო ნაწილში ყოველთვის რჩება სისხლი. მერე დიტ? რაშია საქმე? -შენი ზედმეტი მგრძობიარობისგან ახლა მადლებებს-ჩახშული ხმით უპასუხა მერე დიტმა-თემის შეცვლა არ შეიძლება?

-სხვათაშორის, შენ არ მოუთათხიხართ ამ სისხლი-ნაწყენმა წამოიყვია ბონიმ, მაგრამ სტეანმა გააწყვეტინა.

-სხვა სამხილებს ვერ მიაგნეს? პოლიცია ახლოს ხომ არაა მკვლელთან?

-არ ვიცი-თქვა ბონიმ შემდეგ კი სახე გაუბრწყინდა-მართლა, ელენა შენ ხომ თქვი რომ იცი ვინც...

-მოკეტე ბონი!-გააწყვეტინა ელენამ.

თუ არსებობდა ადგილი სადაც ამაზე საუბარი შეიძლებოდა ეს ნამდვილად არ ყო ხალხით გატენილი ოთახი სხვის სახლში. ბონიმ თვალეები გააფართოვა, შემდეგ კი თავი დაიქია და დამშვიდდა.

აი ელენას კი არ შეეძლო დამშვიდება. მართალია სტეფანს არ მოუკლავს, მაგრამ სამხილები რომლების მიდიოდნენ დეიმონისკენ, მიდიოდნენ სტეფანისკენაც. და ეს ნამდვილად წავიდოდა სტეფანისკენ რადგანაც დეიმონის არსებობაზე არც კი იცოდნენ. ახლა ის სიბნელეში იმალებოდა და უცდიდა მსხვერპლს. შესაძლოა სტეფანს. ან ელენას.

-მორჩა, მეყოფა! —უეცრად წამოცდა ელენას-წავალ, ვნახავ რით გაგვიმასპინძლდება ეგ ალარიკი. სტეფანი უკვე წამოდგომას აპირებდა, მაგრამ ელენამ ხელი დაიქნია და ანიშნა დაჯექიო. მაინც ვერ მიიღებდა ვერაფერს კარტოფილის ჩიფსებისა და პუნშისგან. მას კი უნდოდა საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. მოძრაობა რომ დამშვიდებულიყო.

ბონისთან და ერედიტთან ურთიერთობამ ელენას ტყუილი უსაფრთხოების გრძნობა ჩაუნერგა. როცა მათ მოშორდა ისევ შეხვდა ამ გამოხედვებს და შექცეულ ზურგებს. მაგრამ ახლა ეს უფრო აბრაზებდა ელენას და წინ თავდაჯერებული მიიწევდა.

“მე ვარ ცნობილი და მშვენიერი-ფიქრობდა ელენა-მე შემიძლია ვიყო ნამდვილი ძუკნა”

ელენა მშვიდი იყო ამიტომ ესამოვნა როცა მაგიდაზე მრავალფეროვანი მსუბუქი საკვები იპოვა.

ერთჯერად თეფშზე ცოტა სტაფილო დაიდო ისე რომ ყურადღება არც კი

მიუქცევია კლასელებისთვის. ის არ აპირებდა არავისთან დალაპარკებას პირველად.

მტელი ყურადღება საჭმელზე გადაიტანა, იხრებოდა მაგიდისკენ ტკბილეულობის ასაღებად ზურგით ეტაკებოდა ახლოს მყოფ ადამიანებს უირმნის ძებნისას და ბოლოს ყირადღების ცენტრშიც აღმოჩნდა. ელენამ ჩაკბიჩა პურის ჩხირი, დაიჭირა კბილებში როგორც ფანქარი და მობრუნდა მაგიდიდან.

-ხომ არ გამიმასპინძლდები?

ელენას თვალეები გაუფართოვდა შოკისგან და სუნთქვა შეწყვიტა. ტვინი უარს აცხადებდა დანახულისა და გაგონილის აღქმაზე. და მიუხედავად იმისა რომ სერიოზული აზრები ტოვებდნენ გონებას, გრძნობები აფიქსირებდნენ ყველაფერს: მუქ თვალეებს, რომლებიც დაუნდობლად უმზერდნენ, საისამოვნო არომატიც და ორი გრძელი თითი რომლებიც მის ნიაპს შეეხო. დეიმონმა ძალიან ფრთხილად ჩაკბიჩა ჩხირის მეორე ბოლო.

ამ მონეტში მათ ტუჩებს რომდენიმე დიუმი აშორებდა. დეიმონი დაიხარა მისი ტუჩებისკენ, ელენა ამან გამოაფხიზლა და სასწრაფოდ უკან გაიწია. მისმა ხელებმა ავტომატურად გაისროლეს ჩხირი. დეიმონმა კი რეფლექსები წარმოაჩინა და მარტივად დაიჭირა.

და ის კვლავ არ აშორებდა მას თვალს. როგორც იქნა ელენამ თვითონაც არ იცოდა რატომ ღრმად ჩაისუნთქა და პირი დააღო. ალბათ ყვრილი უნდოდა. გაფრთხილება ყველას რომ გაქცეულიყვნენ შორს ამ ურჩხულისგან.

-მშვიდად!

დეიმონმა თეფში წაართვა და მაჯაზე სტაცა ხელი. მას ხელი მშვიდად ეკავა თითქოს პულსს სინჯავდა და ხელის გულზე თითებს უსვამდა თითქოს ამშვიდებდა.

-მშვიდად. ყველაფერი რიგზეა.

“აქ რას აკეთებ?”-გაიფიქრა ელენამ.

-ელენა ყველაფერი რიგზეა?-სიუ კარსონმა ხელი დაადო ელენას მხარზე.

-ვიფიქრე რომ სუნთქვა უჭირდა-ახნსა დეიმონმა და ხელი გაუშვა-ხომ არ წარგვადგენ?

ალბათ ის მათ მოკვლას აპირებდა...

-მისმინე ელენა, ეს დეიმონია..ჰმ...

-სმიტი-დაამთავრდა დეიმონმა და ჭიქა ასწია-გაცნობისთვის.

-ის სტუდენტია. ვილგერმისა და მარიის კოლეჯიდან.

-არამრტო-დეიმონი მხოლოდ ელენას უყურებდა სიუს ჯურადლებასაც არ აქცევდა-მიყვარს მოგზაურობა.

უცებ ელენას სამყარო თავის ადგილას ჩადგა, მაგრამ ეს სამყარო ზედმეტად ცივი აღმოჩნდა. ადამიანები ყველა კუთხიდან მათ დიალოგს უსმენდნენ რასა რ ამღევდა თავისუფალი საუბარის უფლებას. მიუხედავად ამისა სწორედ ამ ადამიანების გამო იყო ის უსაფრთხოდ.

რადაც აუხსნელი მიზეზების გამო დეიმონი თამაშობდა ერთ-ერთი მათგანის როლს და მისი მოკვლა არ შეეძლო ამდენი მოწმის წინაშე...ყოველ შემთხვევაში ელენას ამის იმედი ქონდა.

თამაში. წესებს კი დეიმონი ადგენდა. და ახლა ის იდგა მის წინ და ეთამაშებოდა ელენას.

-დეიმონი რამოდენიმე დღით ჩამოვიდა-გააგრძელა სიუმ-მეგობრების მოსანახულებლად, არა? თუ ნათესავების?

-მეგობრების-თავი დაუქნია დეიმონმა-და ნათესავების.

-ანუ შენ იმდენად გაგიმართლა რომ თავისუფალი ხარ ნათესავებისგან?-იკითხა ელენამ.

თვითონაც არ იცოდა რატომ თქვა ეს. უბრაოდ მითვის ნიღაბის ახდა უნდოდა.

-გამართლება არაფერ შუაშია-უპასუხა დეიმონმა-ცეკვა გიყვარს?

-კოლეჯის რა სპეციალიზაცია გაქვს?

-ამერიკული ფოლკლორი. მაგალითად იცი რომ ხალი კისერზე სიმდიდრეს ნიშნავს? შეიძლება ვნახო?

-არა, არ შეიძლება.

ნათელი, დაბალი და მშვიდი ხმა გაისმა მის ზურგს უკან. სტეფანის ასეთი ხმა ელენას მხოლოდ ტაილერთან საუბრისას ახსვოვდა იდ ღამეს სასაფლაოზე. დეიმონის თითები ჰაერში შეჩერდა და მისი ზემოქმედებისგან განთავისფლებულმა ელენამ უკან დაიხია.

-განა შენი სიტყვები რამეს ნიშნავს?-კითხა დეიმონმა

მძევი პირისპირ იდგნენ.

ელენას თავში კი აზრების კორიანტელი იყო.

“ყველა ჩვენ გვიყურებს, ალბათ ეს სურათი ნებისმიერ ფილმს აჯობებს...ადრე არ შემიმჩნევია რომ სტეფანი ოდნავ მაღალია...ბონი და მერედიტი ვერ ხვდებიან რა ხდება...სტეფანი

გაბრაზებულია მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ ავადაა...თუ დეიმონთან იჩხუბებს დამარცხდება.”

“ეს მისთვის დალუპვას ნიშნავს-გაიფიქრა ელენამ-სტეფან გევედრები არ გააკეთო ეს. მას შენი მოკვლა უნდა უბრალოდ შანსს ეძებს.”

და უცებ ელენამ მოძრაობდა დაიწყო თუმცა სხეული არ ემორჩილებოდა, როგორც თოჯინა სხეულის ნაწილები ხის ეგონა.

-სტეფან-ელენამ ცივი ხელი მოუჭირა-სახლში წავიდეთ.

ელენამ იგრძნო სტეფანის დამაბულობა, კანზე თითქოს ელექტრო დამაბულობა იმნებოდა. სტეფანი ბოლომდე იყო მობილიზებული დეიმონზე თვალეზში კი ენთო შუქი რომელიც ხანჯლის წვერზე ნაპერწკლების ცეკვას გავდა. ელენას ასეთი სტეფანი ჯერ არ ენახა და ეს მას აშინებდა.

-სტეფან-ელენას ხმა ისე ჟღერდა თითქოს ის ბინდში დაიკარგა და მისი პოვნა არ შეეძლო-სტეფან, გთხოვ.

და ნელ-ნელა ელენამ იგრძნო რომ სტეფანმა სუნთქვა დაიწყო, მოდუნდა და გონება დაუბრუნდა. სტეფანმა ელენას შეხედა და უეცრად დაინახა.

-კარგი-ხმადაბლა თქვა-წავედით.

ელენამ უფრო მაგრად ჩაჭიდა ხელები სტეფანს სანამ მათ დეიმონს ზურგი აქციეს და მთელი ნებისყოფა მოიკრიფა რომ არ მიბრუნებულიყო უკან. ელენას კანზე თითქოს ნაპერწკლები დახტოტდნენ და ის ნებისმიერ მომენტში ელოდა რომ ზურში დანას ჩასცემდნენ.

ამის მაგივრად დეიმონის ჩუმი და ირონიული ხმა მოისმა:

-გსმენიათ რომ წითურა გოგონას კოცნა გერპიტიურ დაავადებას არჩენს?

პასუხად ბონის სიცილი მოისმა, რომელიც აშკარად ნასიამოვნები იყო.

უკვე კარებთან მათ როგორც იქნა მასპინძელსაც შეხვდნენ.

-უკვე მიდიხართ?-იკითხა ალარიკმა-საუბარიც კი ვერ მოვასწარი თქვენთან.

ალარიკი გამოიყურებოდა როგორც ლეკვი რომელმაც იცოდა რომ არ გაასეირნებდნენ მაგრამ მაინც ყმუოდა. ელენას ცუდი წინათგრძნობა ქონდა ალარიკთან დამ ის სტუმრებთან დაკავშირებით ისინი ხომ დეიმონთან რჩებოდნენ!

ელენას ჯერ კიდევ ქონდა იმედი რომ დეიმონი გააგრძელებდა მასკარადს მაგრამ მისთვის მთავარი ახლა სტეფანი იყო.

-თავს შეუძლოდ ვგრძნობ-ხელი უფრო მაგრამ მოუჭირა სტეფანს-გვაპატიეთ

-ვწუხვარ-თქვა ალარიკმა-ნახვამდის.

მხოლოდ როცა კარებს მიაღწიეს ელენამ შეამჩნია მუქი-იასამნისფერი ქალღმრთის ნაგლეჯი მისი ჩანთის გვერდით ჯიბეში. ფურცელი ამოაძრო და მექანიკურად გაშალა სანამ გინებას სხვა აზრები ბინდავდა.

ფურცელზე იყო წარწერა-ნათელი და ერთაზროვანი. კალიგრაფია უცნობი იყო, თუმცა წაიკითხა თუ არა ნაწერი მაშინვე მთელი სამყარო თითქოს შეირყა.

“ესლა მაკლა”-გაიფიქრა ელენამ.

-რა არის?-იკითხა სტეფანმა.

-არაფერი-ელენამ ფურჩელი ისევ ჩანთაში ჩატენა რაც შეიძლება ღრმად-არაფერია, სტეფან. და ისინი გაუყვნენ გზას სანამ თავსხმა წვიმა თამაშობდა ასფალტზე.

-შემდეგში, – არახმამალა ჩაილაპარაკა სტეფანმა, – მე ასე ადვილად არ წავალ.

ელენა მიხვდა, რომ ის სერიოზულად ლაპარაკობდა, და ეს მას აშინებდა. მაგრამ ეხლა ემოციებმა იფეთქა და მას არ სურდა შეკამათება.

–წარმოდგენელია,–გაოცებულად ჩაილაპარაკა ელენამ, – დამონი იქ იყო. ყველაზე ჩვეულებრივ სახლში, ყველაზე ჩვეულებრივი ხალხით სავსე სახლში, თითქოსდა ყველანაირი უფლება ჰქონოდა იქ ყოფნის. ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ის ამას გაბედავდა.

–რატომაც არა?–სიმწრით სავსე ხმით გამოეპასუხა ელენა.–მეც აღმოვჩნდი ყველაზე ჩვეულებრივ სახლში, ყველაზე ჩვეულებრივი ხალხით სავსე სახლში, თითქოსდა ყველანაირი უფლება მქონოდა იქ ყოფნის.

–საერთოდაც არ მინდოდა, რომ ასე გამოსულიყო. უბრალოდ ერთადერთხელ ვნახე დამონი ფართო საზოგადოებაში ისიც მოჩვენებების სახლში, როდესაც ნიდაბში იყო და საკარნავალო კოსტიუმში, და გარშემო ბნელოდა. და ისე ეს ყოველთვის უკაცური ადგილი იყო, როგორც – ფიზკულტურის დარბაზი, როდესაც მე მარტო დავრჩი, ანდა სასაფლაო...

ახსენა თუ არა სასაფლაო, მიხვდა, რომ , შეცდომა დაუშვა. მას ხომ ჯერ არ მოუყოლია სტეფანისათვის, როგორ წავიდა სამი დღის წინ იქ დამონის სამებნელად. საჭესთან მჯდომი ადგილზევე გაქვავდა

–სასაფლაოზე?

–კი.. მე ის დღე ვიგულისხმე, როდესაც მე, ბონის, და მერედიტს, ვიღაც გამოგვეკიდა. ეხლა კი ვთვლი, რომ ზუსტად რომ, დამონი მოგვსდევდა. ადგილი სრულიად უკაცო იყო, ჩვენ სამს თუ არ ჩავთვლით.

რატომ ატყუებდა მას ელენა?! შემდეგ კი ბოროტულად უპასუხა ბნელმა ხმამ მას თავში, რომ , წინაღმდეგ შემთხვევაში, სტეფანი გატყუდებოდა. იმის ცოდნა, თუ რა უთხრა დამონმა, რა დაპირდა, საკმარისი იყო, რომ სტეფანს საზღვარზე გადაეხიჯა.

„ვერასოდეს ვერ შევძლებ მას ამის შესახებ მოვუყვე,– მტკივნეულად გაიაზრა ელენამ.– ვერც იმ სცენაზე სასაფლაოზე, ვერც იმაზე თუ რა პირობა მისცა დამონმა. თუ ის დამონს შეეჭიდება დაილუპება. ანუ, ვერ ვერასოდეს გაიგებს,–საკუთარ თავს პირობა მისცა მან. – ყველანაირად შევეცდები, რომ ის შებრძოლებისგან დავიცვა. ნებისმიერი ხერხით“

რადაც დროით ელენა გამყინავი საფრთხის გრძნობით აივსო.

500 წლის წინ კატრინაც ცდილობდა ძმების დაცვას ერთმანეთისაგან, მაგრამ ყველა მისმა მცდელობამ ჯამში სასიკვდილო შეჯახება გამოიწვია.

„არა,არა, მე არ დავუშვებ იგივე შეცდომას“, –ბრაზით გაიფიქრა ელენამ.

კატრინას მეთოდები სულელური და ბავშვური იყო. ვინ მოიკლავდა თავს გიჟი ბავშვის გარდა, იმის იმედით, რომ, ორი, მისი ხელისთვის მებრძოლი მტერი, მეგობრები გახდებოდა?! ეს ყველაზე უხეირო შეცდომა იყო მის სავალალო საქმეში. მის გამო მტრობა სტეფანსა და დამონს შორის ღია სიძულვილში გადაიზარდა. და რაც ყველაზე უარესი აღმოჩნდა, სტეფანი გულში საკუთარ თავს იდანაშაულებდა, ის თავს ბრალს სდებდა კატრინას სისუსტესა და სულელობაში. ელენა საუბარის წამოწყებას შეეცადა:

–არ ფიქრობ, რომ დამონი იქ ვიღაცამ დაპატიჟა?!

–ფაქტია, რადგან ის იქ იყო.

–ესეიგი, ეს მართალი რასაც ამბობენ ... შენნაირ ადამიანებზე, რომ აუციელებელია თქვენი დაპატიჟება. მაგრამ დამონმა შეაღწია ფიზკულტურის დარბაზში ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე.

–ეს იმიტომ, რომ, ფიზკულტურის დარბაზი, არ არის ცოცხალი არსებების საცხოვრებელი ადგილი. ეს არის ერთადერთი კრიტერიუმი. არ აქვს მნიშვნელობა, სახლია ეს, კარავი თუ ბინა მაღაზიის თავზე. თუ იქ ცოხალი ადამიანები ჭამენ და იქვე სძინავთ, აუცილებელია, რომ ჩვენ დაგვაპტიჟონ.

–მაგრამ მე შენ არ დამიპატიჟებიხარ ჩემთან სახლში.

–არა, დამპატიჟე. იმ პირველ ღამეს, როდესაც სახლში მიგიყვანე, შენ ფართოდ გააღე კარები და თავი დამიქნიე. სულ აც არ არის აუცილებელი, რომ, მიპატიჟება სიტყვიერი იყოს. თუ სურვილი არის, ეს უკვე საკმარისია. და პერსონა რომელიც გაპატიჟებს, არ არის აუცილებელი სახლის მაცხოვრებელი იყოს. ნებისმიერი ადამიანი წავა.

ელენა დაფიქრდა.

–და მცურავი სახლი?!

–ყველაფერი იგივეა. მაგრამ მორბენალი წყალი, შეიძლება ერთგვარ ბარიერადაც ჩავთვალოთ. ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის თითქმის შეუძლებელია მისი გადაკვეთა.

ელენამ ცხადა წარმოიდგინა თუ როგორ მირბოდა დაწული ხიდისაკენ თავქუდმოგლეჯილი ბონისა და მერედიტთან ერთად. რაღაცნაირად ის მიხვდა, რომ, თუ ისინი საპირისპირო მხარეს გადავიდოდნენ, უსაფრთხოდ იქნებოდნენ, და დაუსხლტებოდნენ იმ არსებას, რომელიც მათ მოსდევდა.

–ანუ რატომ მოხდა ეს ყველაფერი ასე, –ჩაიჩურჩულა ელენამ.

პრინციპში, ჯერ კიდევ გაურკვეველად რჩებოდა, საიდან შეიტყო ამის შესახებ ელენამ. ისეთი შტაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოსდა, ეს ინფორმაცია ჩაუდეს მას გონებაში, რაღაც გარე წყაროს მეშვეობით. შემდეგ ელენა კიდევ მიხვდა რაღაცას.

–შენ ჩემთან ერთად გაიარაე ხიდზე. ანუ შენ შეგიძლია მორბენალი წყლის გადაკვეთა.

–ეს იმიტომ, რომ, მე სუსტი ვარ – სტეფანმა ეს ყოველგვარი ემოციის გარეშე თქვა. – აქ რატომღაუნდა არის გარკვეული ირონია. მაგრამ, რაც უფრო ძლიერია შენი ძალა, მით უფრო გეხება გარკვეული შეზღუდვები. რაც უფრო ეკუთვნის სიბნელეს, მით უფრო გბოჭავს უკუნითვის კანონები.

–კიდევ რა კანონები არსებობა?! – ჰკითხა ელენამ.

მის თავში უკვე იწყებდა გარკვეული გეგმა შედგენას, მომავლისათვის. ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმედი, ასეთი გეგმის შესაქმნელად.

სტეფანმა ყურადღებით შეხედა მას.

–კი, ყველაფერი ასეა, – თავი დაუქნია. – ვფიქრობ, დროა მათ გაეცნო. რაც უფრო მეტს გაიგებ დამონზე, მით უფრო მეტი შანსია, რომ თავის დაცვას შეძლებ.

„თავის დაცვას შელებ?“

შეიძლება სტეფანმა უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ელენას ეგონა. მაგრამ როდესაც გვერდით ქუჩაზე ჩაუხვია და მანქანა გააჩერა, ის უბრალოდ დაინტერესდა:

–და ნიორი ხომ არ მეჭამა?!

სტეფანს გაეცინა.

–მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საკუთარი სახელის შელახვა გსურს. მაგრამ არსებობს გარკვეული მცენარეები, რომელიც შეძლებენ შენს დახმარებას. მაგალითად ვერბენა. ეს ბალახია, რომელიც მოჯადოებისადა და შთაგონებისგან დაგიცავს. და ტან გონების სისხლის შენარჩუნებაში დაგეხმარება, როდესაც ვინმე შეეცდება შენს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას.

ძირითადად მას ტომსიკით ყელზე ატარებენ. ბონის ვერბენა ალბათ მოეწონებოდა – ის დრუიდებში წმინდა მცენარედ ითვლებოდა.

–ვერბენა,–გაიმეორა ელენამ, თითქოსდა გემოს უსინჯავდა უცნობ სიტყვას.–კიდევ რა?!
 –ნათურების კაშკაშა სინათლე და პიდაპირი მზის სხივები ძალიან მტკივნეული შეიძლება აღმოჩნდეს. მალე შეამჩნევ რომ, ამინდი შეიცვალა.
 –უკვე შევამჩინე,–გამოეპასუხა ელენა.–შენ გინდა თქვა რომ, დამონი აკეთებს ამას.
 –კი, ალბათ, ეს ისაა. სტიქიების კონტროლისათვის კოლოსალური ენერჯიაა საჭირო, და შემდეგ მას უფრო უადვილდება დღისით მოგზაურობა. სანამ ცა ღრუბლებითაა დაფარული, დამონს თვალების დაცვაც არ სჭირდება.
 –და შენც,–შენაჩნია ელენამ.–და რაც შეეხება... ნუ ჯვარი და ეგეთები?
 –არანაირი ეფექტი,–თავი გაიქნია სტეფანმა.–თუმცა, თუ ადამიანს, რომელსაც უკავია ჯვარი, ნამდვილად სჯერა მის დაცვაში, ეს ძალიან გაამძლიერებს წინააღმდეგობის ძალას.
 –და... ვერცხლის ტყვიები?!

სტეფანმა მოკლედ გაიცინია.

–ეს მაქციებისთვისაა. რამდენადაც მე ვიცი, მათ არ მოსწონთ ვერცხლი ნებისმიერ ფორმაში. ხოლო ვერხვის სარი გულში, – ეს ჯერკიდევ ყველაზე ეფექტური მეთოდია ჩემნაირების გასანადგურებლად. მაგრამ არსებობს სხვა ხერხებიც, არანაკლებ ეფექტური: დაწვა, თავის მოკვება, ლურსმნების ვისკებიში შესობა. ან ყველაზე უკეთესი...
 –სტეფან!–დაკარგულმა, დარდით სავსე ღიმილმა, ძალიან შეაშინა ელენა.– და რაც შეეხება ნუ... ცხოველებად გადაქცევას?!–ჰკითხა მან.–ადრე შენ ამბობდი, რომ , თუ საკმარისი ძალა გაქვს, ამის გადალახვა შეგიძლია. თუ დამონს შეუძლია ნებისმიერ ცხოველად გადაქცევა, საერთო როგორ შევძლებთ მის ამოცნობას.
 –სულაც არა.. ნებისმიერ ცხოველად ვერა.. დამონი ერთი ცხოველითაა განსაზღვრული, ან მაქსიმუმ ორით. ეჭვი მეპარება რომ მისი ძალითაც რაიმე მეტის შესაძლებლობა ჰქონდეს.
 –ანუ ვაგრძელებთ ყვავის ძებნას.
 –სწორია. და თან, ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ჩვეულებრივი ცხოველების ქცევას, შენ შემდეგ მიხვდე, რომ ის სადღაც შორიახლოსაა. ცხოველები ძირითადად არც ისე კარგად რეაგირებენ – ისინი ყნოსავენ, და ჩვენ მონადირეები ვართ.
 –იანზცი უჩვეულოდ უყფფდა იმ ყვავს. თითქოსდა იცოდა, რომ, რაღაც სხვაა მასში,–გაიხსენა ელენამ,– ეხ.. სტეფან, –დაუმატა მან შეცვლილი ტონით, როდესაც ახალმა აზრმა გაუელვა თავში.
 – და სარკეები?! არ მახსოვს, რომ ოდესმე სარკეში ჩაგეხედოს.
 რაღაც დროით სტეფანი ინარჩუნებდა დუმილს.
 –ლეგენდის თანახმად,– თქვა შემდეგ მან,– სარკეები აირეკლავენ იმ ადამიანის სულს, რომელიც იქ იხედება.აი რატომ ეშინიათ პრიმიტიულ ადამიანებს სარკეში ჩახედვის, – ისინი ფიქრობენ, რომ მათი სულები შეპყრობილი იქნება ხაფანგში და მოიტაცებენ. ვარაუდია, რომ, ჩემნაირები საერთოდ არ აირეკლებიან სარკეში,– ჩვენ ხომ სული არ გვაქვს.
 ნელ–ნელა მან ხელი უკანა ხედვის სარკისკენ გაქია და და ისე დახარა, რომ ელენას ჩაეხედა. მოვერცხლისფრო მინაში, მან მისი თვალები დაინახა, დაკარგული და უსაზღვროდ სევდიანი. ია მიხვდა, რომ, ეხლა აუცილებელი იყო სტეფანის თანაგრძნობა.
 –მიყვარხარ, – ჩაიჩურჩულა მან.
 ეს ერთაერთი თანაგრძნობა იყო, რომელიც შეეძლო მას მისთვის წარედგინა. მეტი მათ არაფერი არ დარჩენოდათ.
 სტეფანმა მაგრად ჩაიხუტა ელენა და სახე მის თმებში ჩამალა.
 –შენ –ჩემი სარკე ხარ, – საპასუხოდ ჩასჩურჩულა მან.

დაძაბულობა თანდათანობით გადიოდა მისი სხეულიდან, სანამ სითბო და სიმშვიდე პირიქით იღვრებოდა შიგნით. ელენამაც იგრძნო შვება, და სიმშვიდეც თითქოსდა მასში იჟღინთებოდა. ისეთი სიამოვნების კორიანტელი იყო, რომ ელენას კინაღამ დაავიწყდა სტეფანისთვის ბოლო ფრაზის აზრის კითხვა. ამაზე მხოლოდ მაშინ ჰკითხა, როდესაც ერთმანეთს ელენას სახლის შესასვლელ კართან ემშვიდობებოდნენ.

–მე–შენი სარკე ვარ?– ჰკითხა ელენამ, თან სტეფანს უყურებდა.

–შენ წაილე ჩემი სული, – აუხსნა მან.– ჩაკეტე კარი და ამ დამეს აღარ გააღო.

შემდეგ სტეფანი წავიდა.

–მადლობა ღმერთს, ელენა!– წამოიძახა ჯუდიტმა. როდესაც ელენამ მას უაზროდ შეხედა, დეიდამ დაამატა : – ბონი გადმორეკა წვეულებიდან. მან თქვა, რომ, შენ უცებ ცუდად გახდი. როდესაც სახლში არ დაბრუნდი, შევშფოთდი.

–მე და სტეფანმა გასეირნება გადავწყვიტეთ– ელენას ძალიან არ მოეწონა, თუ როგორ შეიცვალა ჯუდიტის სახის გამომეტყველება სტეფანის ხსენებისას.– და რა, არის რამე პრობლემა?

–არა–არა, უბრალოდ..–დეიდა ჯუდიტმა აშკარად არ იცოდა, როგორ დაემთავრებინა წინადადება. – იცი, ელენა, მე ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა თუ..... თუ სტეფანს უფრო იშვიათად ნახავ.

ელენა გაქვავდა.

–შენც?!

–არა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ჭორების მჯერა,– დაიწყო მისი დაჯერე ჯუდიტმა,– მაგრამ შენივე სასარგებლოდ, არ აჯობებდა, მის გარკვეულ დისტანციაზე ყოფნა, თუარადა...

–იქნებ საერთოდ მივატოვო? განვუდგე სტეფანს, იმიტომ, რომ, ხალხი მასზე რაღაც ჭორებს უშვებს? მოვშორდე, იმის შიშით, რომ ტალახის ნაწილი მეც მომეცხება?– ბრაზი სასურველი გამოსავალი იყო, და სიტყვები ელენას ყელში დახტდნენ, ცდილობდნენ იქიდან ამოდრომას. – არა დეიდა ჯუდიტ, მე არ ვფიქრობ, რომ ეს უკეთესი იქნება. და ლაპარაკი რობერტზე რომ იყოს? – ელენა გიკრძალავ ასეთი ტონით შემთან ლაპარაკს!..

–მე მაინც დავამთავრე! – დაიყვირა ელენამ და უცხად მიბრუნდა კიბისაკენ.

მან შეძლო ცრემლების შეკავება, სანამ თავის საძინებელში არ მოხვდა და კარი არ მიიკეტა. მერე კი საწოლზე პირდაღმა დაეგდო და მწარედ აქვითინდა.

მაღე ელენამ თავს დააძალა რომ ამდგარიყო და ბონისთვის დაერეკა. ბონი აღფრთოვანებული იყო და აჩქარებული ლაპარაკობდა. რატომ კითხულობს ელენა, მოხდა თუ არა რამე უცნაური, მას შემდეგ, რაც, ის და სტეფანი წავიდა? უცნაური მათი წასვლა გახდა! არა იმ ახალ ბიჭ დამონს არაფერი ისეთი არ უთქვამს სტეფანზე, უბრალოდ ცოტახანი ილაპარაკა იქ და მერე გაქრა. არა ბონის არ უნახავს, რომ ის ვინმესთან ერთად წავიდა. თორე რა? ელენა ეჭვიანებოს? კი–კი, რათქმაუნდა ეს ხუმრობას! მაგრამ ის მართლაც შესანიშნავი იყო, ასე არ არის? თითქმის სტეფანზე მშვენიერი, ნუ რათქმაუნდა თუ მოგწონს, მუქი თმები და შავი თვალები. მეორე მხრივ თუ შენ მოგწონს უფრო ღია თვალები და ყავისფერი თვალები ...

აქ ელენა მოულოდნელად მიხვდა, რომ ალარის ზალცმენს ყავისფერი თვალები აქვს.

როგორც იქნა ყურმილი დაკიდა და მხოლოდ მაშინღა გაახსენდა ჩანაწერზე, რომელიც ჩანთაში იპოვა. ალბათ ღირდა, რომ ბონისთვის ეკითხა, ნახა თუ არა ვინმე მის ჩანთასთან მისული, სანამ სასადილოში იყო. მეორესმხრივ ბონი და მერედიტიც გავიდნენ სასადილოში. ვინმეს შეეძლო ნაწერის ჩადება, ზუსტად მაშინ. მუქი–იასამნისფერი ფურცლის ერთი შეხედვით ელენას პირში

სპილენძის გემო გაუჩნდა. ძლივს უყურებდა. მაგრამ, როდესაც მარტო დარჩა, უკვლევრივ უნდა გადმოებრუნა ფურცელი და თავიდან წაეკითხა. შეიძლება წინათ უბრალოდ შეეშალა რამე. სიტყვები არ ჩეცვლილა. მკაფიო, კუთხური ასოები მკვეთრად იკვეთებოდნენ ფერმკრთალ ფონზე, თითქოსდა 10 ფუტის მაღლა ყოფილიყვნენ.

მე ძალიან მინდა შევეხო მას. უფრო მეტად, ვიდრე, სხვა ნაცნობ ბიჭებს. სტეფანსაც უნდა რომ შემეხოს, იმიტომ რომ, აშკარად იკავებს თავს.

თავისი სიტყვები. თავის დღიურში ჩაწერილი. იმ დღიურში, რომელიც მოიპარეს.

მომდევნო დღეს ბონიმ და მერედიტმა გილბერტების სახლის კარზე დააკაკუნეს.

–სტეფანმა დამირეკა გუშინ საღამოს, – აცნობა მერედიტმა.–მან მითხრა, რომ, არ სურს, რომ სკოლაში დღეს მარტო წახვიდე. თვითონ სტეფანი არ აპირებს სკოლაში მოსვლას დღეს, ამიტომ მან მითხრა, რომ მე და ბონიმ გაგაცილოთ.

–ესკორტირება მოვახდინოთ,–დააზუსტა ბონი, რომელიც აშკარად კარგ ხასიათზე იყო.– ჩემი აზრით ძალიან საყვარელია, როდესაც ასე ზრუნავს შენზე.

–უნდა ვიფიქროთ. ისიც მერწყულია,–ივარაუდა მერედიტმა.–წავიდეთ, ელენა. თუარადა ამ სულელს მოვკლავ თუ კიდეც წამოცდება ალარბიზე.

ელენა მიდიოდა და დუმდა, თან ფიქრობდა, რა საქმეები გამოუჩნდა სტეფანს, რომ სკოლის გაცდენა გადაწყვიტა. დღეს თავს ისე მტკივნეულად და დაუცველად გრძნობდა, თითქოსდა კანი გააცალესო. ასეთ დღეებში ელენა მზად იყო ნებისმიერ წვრილმანზე ატირებულიყო.

განცხადებების დაფაზე კანცელარიაში მიმაგრებული იყო მუქი–იისფერი ფურცლის ნაგლეჯი. ადრევე უნდა მიმხვდარიყო. ღრმად ელენა უკვე ხვდებოდა. ქურდი არ გაჩერდება იმაზე, რომ ელენამ გაიგო იმის შესახებ, რომ ის მის პირად ნაწერებს კითხულობს. ეხლა ის დემონსტრირებას ახდენდა, რომ ნაწერები ყველასათვის გახდებოდა ცნობილი. ელენამ მოგლიჯა ნაწერი დაფიდან და დაკუჭა მას შემდეგ რაც წაიკითხა. სიტყვები თითქოსდა იწვოდნენ მის წინ.

მეჩვენება, რომ ვიღაცამ მიაყენა საშინელი ტკივილი წარსულში, და სტეფანმა ვერ შეძლო ამასთან შეგუება. და კიდე მეჩვენება, რომ მას აქვს რაღაც საშინელი საიდუმლო, და მას ძალიან ეშინია, რომ მე შევიტყობ ამის შესახებ.

–ელენა, ეს რაღაა?! რაშია საქმე? ელენა, დაბრუნდი!

ბონი და მერედიტი მისდევდნენ მას უახლოეს ქალის ტვალეტამდე, სადაც ელენა ნაგვის ბუნკერის წინ დადგა და დააქუცმაცა ნაწერი, თან ისე სუნთქავდა, თითქოსდა 100მეტრიანი ირბინა. ბონიმ და მერედიტმა ერთმანეთს გადახედეს და შემდეგ მეგობრულად შეხედეს კაბინებს.

–ნუ, კარგი,–ხმამაღლა თქვა მერედიტმა.–უფროსების პრივილეგია. ეი, შენ!– მან ერთადერთი დაკეტილი კაბინის კარზე დააკაკუნა.–გამოდი!

რაღაც ხმა გაისმა, ხოლო შემდეგ კაბინიდან მერვეკლასელი გაოცებული გოგონა გამოვიდა.

–მაგრამ მე არც...

–მოწყდი აქედან,–უბრძანა ბონიმ.–ხოლო შენ, –მიუთითა ნიჟარასთან მდგომ გოგონას, რომელიც ხელს იბანდა,– კარებთან დადექი და იზრუნე იმაზე, აქ არავინ შემოვიდეს.

–მაგრამ რატომ?! თქვენ აქ რას...

–ტემში, მამალკა! თუ ვინმე შემოვა, პასუხს შენ აგებ.

როგორც კი კარები დაიკეტა, ბონი და მერედიტი ელენას მიადგნენ.

–კარგი, ეს შეიარაღებული თავდასხმაა, თქვა მერედიტმა.– მიდი ელენა, დაფქვი.

ელენამ ფურცელის უკანასკნელი ნარჩენი დაგლიჯა და არ იცოდა რა ექნა, ეცინა თუ ეტირა.

მას უნდოდა ყველაფერი მოეყოლა დაქალებისთვის, მაგრამ არ შეეძლო. შემდეგ მან გადაწყვიტა მოეყოლა მათთვის დღიურზე.

მოკლე ისტორიის მოსმენის შემდეგ, ბონიც და მერედიტიც ისეთივე შეძრწუნებული და შემფოთებული იყვნენ, როგორც ელენა.

–დღიური ალბათ წვეულებაზე მოგპარეს,–როგორც იქნა დაასკვნა მერედიტმა, მას შემდეგ რაც სამივე მორჩა ქურდის ხასიათების განხილვას, მსჯელობას მის მორალურ გამოსახულებაზე და სავარაუდო განსასვენებელზე სიკვდილის მერე.– მაგრამ ამის გაკეთება ნებისმიერს შეეძლო. მე არ მახსოვს, რომ ვინმე კონკრეტული მისულიყო შენს ჩანთასთან, მაგრამ მეორეს მხრივ, მისაღები ოთახი სავსე იყო ხალხით, და მე შემეძლო ვერ შემენიშნა.

–მაგრამ რატო მოუნდებოდა იმ ვილაცას ამის გაკეთება?–ჩაამატა ბონიმ–თუ არა..

ელენა გახსოვს, იმ გაღმს, როდესაც ჩვენ სტეფანი ვიპოვეთ, შენ რაღაცა თქვი. შენ მაშინ თქვი, რომ ალბათ იგი ვინაა მკვლელი.

–ალბათ კი არა, ვიცი. და თუ იმას გულისხმობ რომ ქურდი და მკვლელი – ერთ და იგივე პიროვნებაა, მე ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. მაგრამ მხოლოდ ვარაუდი შემიძლია, რომ ასე შეიძლება გამოსულიყო. კი, ამის გაკეთება, ერთი და იმავე პიროვნებას შეეძლო. ბონი ამკარად შემინებული იყო.

–მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მკვლელი – სკოლის მოსწავლეა! – როდესაც ელენამ უარყოფითად გაიქნია თავი, ბონიმ გააგრძელა : – და რადგანაც, წვეულებაზე, მხოლოდ ორი ადამიანი იყო, რომელიც სკოლის მოსწავლე არ არის, – ის ახალი ბიჭი და ალარიხი– მისი სახის გამომეტყველება უეცრად შეიცვალა.–მაგრამ ალარიხს არ მოუკლავს მისტერ ტანერი! ის ფელს–ჩერჩშიც არ იყო!

–ვისი. ალარიხს ეს არ გაუკეთებია.–ელენამ უკვე საკმაოდ შორს შეტოვა, რომ გაჩერებულიყო. ბონიმ და მერედიტმა ძალიან ბევრი იცოდა. – ეს დამონმა გააკეთა.

–ის ახალი ბიჭი მკვლელია! ის , რომელმაც მაკოცა?

–ბონი დამშვიდი.–როგორც ყოველთვის სხვისი ისტერიკის შემხედვარე ელენა უფრო მობილიზირებული ხდებოდა. –კი, ის მკვლელია, და ჩვენ ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ.აი რატომ გიყვებით ამ ყველაფერს. არასდროს, არავითარ შემთხვევაში, არ მიიპატიჟოთ ის სახლში. ელენა გაჩუმდა, თან მეგობრების სახეებს ათვალერებდა. ისინი ყურადღებით უყურებდნენ ელენას, და ელენას წუთით ღებინებისმაგვარი გრძნობა აღმოუცენდა, თითქოსოდა მას არ დაუჯერეს. და არამარტო არ დაუჯერეს, მზად იყვნენ კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინათ მისი სულიერი ჯანმრთელობა.

მაგრამ მერედიტმა თანაბარი , მშვიდი ხმით კითხა :

–დარწმუნებული ხარ?

–კი.დარწმუნებული ვარ. დამონი მკვლელია, მან ჩასვა სტეფანი ჭაში, და შემდეგში შეიძლება ერთერთ ჩვენთაგანს აეკიდოს. და მე არც ვიცი, არსებობს თუარა რაიმე საშუალება მის შესაჩერებლად.

–მაშინ კარგი,–თქვა მერედიტმა, თან წარბებს მალლა ქაჩავდა. – არაა გასაკვირი, რატომ დატოვეთ წვეულება შენ და სტეფანმა ასე მალე.

როდესაც ელენა სასადილოში შევიდა, კეროლაინმა მას ბოროტი მავნე ღიმილი აჩუქა. მაგრამ ელენას ყურადღება არ მიუქცევია.

მან ეგრევე შეამჩნია რომ სასადილოსი ვიკი ბენეტი იყო.

ვიკი სკოლაში იმ ღამის მერე არ ყოფილა, როდესაც მეტმა, ბონიმ და მერედიტმა ის გზასთან იპოვეს. მაშინ რაღაცეებს ბოდავდა ნისლზე, თვალეზე სიბნელეში და რაღაც საშინელებას სასაფლაოზე. ექიმებმა, რომლებმაც ის შემდეგ გასინჯეს, თქვეს, რომ, არანაირი ფიზიკური ცვლილება მას არ აღენიშნებოდა, მაგრამ პოპერტ ლის სახელობის საშუალო სკოლაში, ის მაინც არ დაბრუნებულა. ხალხი ჩურჩულით ლაპარაკობდა რაღაც ფსიქიატრიული წამლებით მკურნალობაზე, რომელიც თითქოსდა მას დაუნიშნეს.

მაგრამ ვიკი საერთოდ არ ჩანდა გიჯი, გაიფიქრა ელენამ. მაგრამ, მაინც ფერმკრთალი იყო სახეზე, და უსიამოვნოდ გამოიყურებოდა. ვიკიმ თვალეები მაღლა აწია და იქვე ელენას გააყოლა თვალი, შეშინებული შვლის გამომეტყველებით.

ელენასთვის ძალიან უცნაური იყო ნახევრადცარიელ მაგიდასთან ჯდომა, სადაც მის კომპანიაში მხოლოდ მერედიტი და ბონი იყო. ჩვეულებრივ ხალხი ირეოდა მათ გარშემო.

–ამ დილით ვერ დავილაპარაკეთ კარგად,–თქვა მერედიტმა.–მოდით რამე საქმელი მოვიპოვოთ, და მერე გადავწყვიტოთ, რა ვუყოთ ამ ჩანაწერებს.

–მე არ მშია,–მონოტონურად ჩაილაპარაკა ელენამ.– და რას ვიზამთ ჩვენ? თუ ეს დამონია, ვერაფრით ვერ შევაჩერებთ. დამიჯერეთ ეს ის არ არის, რითაც პოლიციას დაკავებული. აი რატომაც არ ვუთხარი პოლიციელებს, რომ ისაა მკვლეელი. არანაირი სამხილი არ არსებობს, და ამასგარდა, ის არასოდეს.... ბონი, არ მისმენ.

–მაპატიე,–თქვა ბონიმ, რომელიც ელენას უკან იყურებოდა.–მაგრამ იქ რაღაც ძალიან უცნაური ხდება.

ელენა თავი შეატრია. ვიკი ბენეტი სასადილოს ცენტრში იდგა, მაგრამ უკვე არ დამოიყურებოდა აბნეულად. ეშმაკური ღიმილით ის შნობას ათვალეებდა.

–საერთოდაც ნორმალურად არ გამოიყურება, მაგრამ უცნაურს მას ვერ ვუწოდებდი,–შეამჩნია მერედიტმა, და შემდეგ დაამატა:–მოციადეთ.

ვიკი ქურთუკის ღილებს იხსნიდა. მაგრამ ამას თითების თამაშით აკეთებდა და ყველას იდუმალი ღიმილით შესცქეროდა,–ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა. როდესაც ბოლო დილი გახს, აორი თითით ელეგანტურად მოიხადა ქურთუკი მხრებიდან და იატაკზე მოისროლა.

–შესაძლოა, “უცნაური”–ზუსტად ის სიტყვაა,–დაასკვნა მერედიტმა.

ლანგრიანი მოსწავლეები, რომლებიც ვიკის გვერდს უვლიდნენ, გოცებით შეჰყურებდნენ მას. ჩავლის მერე შებრუნებული თავებით აკვირდებოდნენ. მაგრამ გაჩერება დაიწყეს, როდესაც ვიკიმ ფეხსაცმელი გაიხადა.

ეს მან ძალიან ელეგანტურად გააკეთა. დაბალი(ბალეკტა) სტილის ფეხსაცმლის ერთი ქუსლი მეორის ცხვირით დაიჭია და გაიხადა, შემდეგ მეორეზეც იგივე გააკეთა.

–ასეთივე მონდომებით არ უნდა გააგრძელოს,–ჩაიბურტყუნა ბონიმ, როდესაც ვიკის თითებმა ღილების გახსნა დაიწყეს მის თეთრ აბრეშუმის ბლუზაზე.

ყველა თავი მისკენ გატრიალდა, მოსწავლეები ერთმანეთს უჯიკედნენ და ჯესტიკულირებას ახდენდნენ. ვიკის გარშემო მაყურებლების ჯგუფი შეიკრიბა, ზოგიერთი უფრო შორს იდგა, რომ, სხვებისთვის არ შეეშალათ.

თეთრი ბარხატის ბლუზი იატაკზე დასრიალდა, როგორც დაჭრილი მოჩვენება. მის ქვეშ თეთრი ნაქსოვი თეთრეული აღმოჩნდა.

მკვდარ სიჩუმეს სასადილოში მხოლოდ მოკუმული ჩურჩული არღვევდა. არავინ არ ჭამდა. ვიკის გარშემო მაყურებლები გაიზარდა.

ჯიუტად მომღიმარმა, ვიკიმ ქამრის გახსნა დაიწყო. პლისირებული კაბა იატაკზე დავარდა, ვიკი გადმოვიდა კაბიდან და ფეხით მოისროლა.

ვიღაცამ სასადილოს უკანა მხრიდან დაიწყო დეკლამირება:

–ყველაფერი გაიხადე! გაიხადე ყველაფერი!

სხვა ხმები შემოუერთდა.

–არავინ არ აპირებს მის შეჩერებას?–შემფოთდა ბონი.

ელენა მაგიდიდან წამოდგა. როდესაც ის უკანასკნელად მიუახლოვდა ვიკის, ის აყვირდა და შეეცეკადა ელენას თავზე დასხმოდა. მაგრამ ეხლა, როდესაც ელენა მიუახლოვდა, ვიკიმ უბრალოდ მოლაპარაკე ღიმილით დაასაჩუქრა. გოგონას ტუჩები ამოდრავდა, მაგრამ საერთო ჩოჩქოლის გამო, ელენამ ვერ გაარკვია თუ რას ლაპარაკობდა იგი.

–კარგი, ვიკი,–თქვა ელენამ.–წამოდი.

ვიკის ღია–წაბლისფერი თმები ახტუნდა, როდესაც მან სწრაფად გაიქნია თავი, შემდეგ კი თეთრეულის თასმების გახსნა დაიწყო.

ელენა დაიხარა, ქურთუკის ასაღებად, რათა ვიკის სუსტ მხრებზე ჩამოეცვა. როგორც კი ეს გააკეთა და შეეხო მას, ვიკის ნახევრად დაკეტილი თვალები ფართოდ გაიღო და ისევ ისე გაუხდა, როგორც შეშინებულ შველს. გოგონა გაცეცხლებული შეჰყურებდა ელენას, თითქოსდა ესაა ძლიერი ძილისაგან გამოაფხიზლესო. შემდეგ კი უნდობლად დაათვალიერა მთელი ტანი. მაგრამ შეიფუთა ქურთუკში და და წაბორძიკდა. სასადილოში სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველაფერი კარგადაა,–დაამშვიდა გოგონა ელენამ.–წამოდი.

მისი ხმის გაგონებაზე გოგონა შეცბა, წამოხდა, თითქოსდა გაშიშვლებული მაღალი ვოლტის კაბელით შეეხეს. ის ელენას მიაჩერდა. და თითქოსდა უცბად აფეთქდა:

–შენ ერთერთი მათგანი ხარ!მე შენ გნახე! შენ ბოროტი ხარ!

ვიკი უხეშად გაბრუნდა და ფეხშიშვილი გაიქცა სასადილოდან, ელენა კი შოკის მდგომარეობაში დატოვა.

-და იცით რა არის ყველაზე საინტერესო, იმ წარმოდგენაში, რომელიც ვიკიმ მოაწყო? იკითხა ბონიმ, თან ნაყინს შოკოლადი მოაჭამა.- ნათელ ფაქტებს ვგულისხმობ

-რა?-სულელურად ჰკითხა ელენამ.

-როგორ გამოიყურებოდა ის, როდესაც მარტო თეთრეულში დარჩა. მე მინდა ვთქვა, რომ, ვიკი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როდესაც, გზის პირას ვიპოვეთ. ყველაფერს პლიუს მაშინ დაკაწრულიც იყო.

- და ჩვენ გავიფიქრეთ,რომ, ამ ნაკაწრების მიყენება კატასაც თავისუფლად შეეძლო.-აღნიშნა მერედიტმა,და კრუსასანი ჩაკვიჩა. ის დადუმებული იყო და ელენას დაჟინებით აკვირდებოდა.- მაგრამ რაღაც არამგონია..

ელენამ დაქალს შეხედა.

-იქნებ მართლა ჩავარდა რაიმე მაყვლის ბუჩქში,-ივარაუდა მან.-ნუ კარგით, როდესაც ჭამა მორჩით, არ გინდათ, პირველი ნაწერის ნახვა?

თეფშები ნიჟარაში დატოვეს და ელენას ოთახისაკენ გაემურეს. სანამ ბონი და მერედიტი პირველ ნაწერს კითხულობდნენ, ელენამ იგრძნო, რომ წითლდებოდა. ისინი მისი საუკეთესო და ამჟამად ერთადერთი მეგობრები იყვნენ. კი, ის უკითხავდა მათ, ამონარიდებს თავისი დღიურიდან, მაგრამ ეს უკვა სხვა საქმე იყო. ასეთი დამამცირებელი გრძნობა ელენას ცხოვრებაში პირველი იყო.

-აბა?-კითხა მერედიტს.

-ადამიანი, რომელმაც ეს დაწერა, ხუთი მეტრი და 10 დიუმი სიმაღლით, ცოტას კოჭლობს სიარულისას და ატარებს ხელოვნურ უღვაშებს.- ჩაარაკრაკა მერედიტმა.-ბოდიში,-დაამატა მაშინ, როდესაც შეამჩნია თუ როგორ შეიცვალა ელენას სახე.-სინამდვილეში საერთოდ არაა სასაცილო. მაგრამ განსაკუთრებულ დასკვნებს ხომ ვერ გამოიტან აქედან, ასე არაა? თითქოსდა ბიჭმა დაწერა, მაგრამ ყველაფერი რაღაც ქალურად გამოიყურება.

-კი, ამ ისტორიაში არის რაღაც სფეციფიკური ქალური,- დაამატა ბონიმ,რომელიც ელენას საწოლზე იჯდა და ოდნავ ქანაობდა.-კი, მართლა-თითქოსდა თავს იცავდა, განაგრძო.- ნაწერების ციტირება შენივე დღიურიდან - ასეთი ჩემი აზრით, მხოლოდ ქალს თუ მოუვიდოდა თავში. კაცები ძირითადად არ ინტერესდებიან დრიურებით.

-შენ უბრალოდ არ გინდა, რომ დამნაშავე დამონი იყოს,-ბრალი დასდო მერედიტმა.-და საერთოდაც მე ვფიქრობ, რომ ის შენ უფრო განაღვლებს როგორც ფსიქოპატი მკვლეელი,ვიდრე დღიურების გამტაცებელი.

-არ ვიცი. მკვლელები თითქოსდა რომანტიულები არიან. მხოლოდ წარმოიდგინე, როგორ კვდები, შენ კისერს კი ვიღაცის ხელები ეხვევა. შენ გახრჩობენ და სიცოცხლეს გართმევენ, ხოლო უკანასკნელი რასაც ხედავ მისი სახეა.-ბონიმ კისერში ხელი წაიჭირა, ამოიოხრა, ტრაგიკულად ჩაისუნთქა და საწოლზე გაგორდა.-მას შეუძლია ნებისმიერ მომენტში მომახრჩოს-თვალგაუხეღავად დაიკვნესა მან.

ელენას ტუჩებზე კი უკვე ტრიალებდა ფრაზა:“ნუთუ ვერ ხვდები, რომ, ეს სერიოზულია?!”მაგრამ ამის მაგივრად სტვენით შეისუნთქა ჰაერი.

-ღმერთო ჩემო!-დაიკვილა და ფანჯარასთან მიიბრინა.

ასეთ სირისტიან და დახუთულ დღეს, ფანჯარა რათქმაუნდა ღია იყო. გარეთ ბიის ხის მშრალ ტოტებზე უზარმაზარი ყვავი იჯდა.

ელენამ ისე სწრაფად დაუშვა ჩარჩო, რომ, მინამ დაიწკარუნა. ყვავი მათ ობსიდინის(ვულკანური ქანი) მაგვარ შავ თვალებს არ აშორებდა. კაშკაშა შავი ნაკრტენი ნათლად ბრწინავდა.

-რატომ ლაპარაკობ ასე?-მოუბრუნდა ბონის ელენა.

-კარგი რა, მანდ ხომ არავინაა-დამამშვიდებლად თქვა მერედიტმა-ფრინველებს თუ არ ჩავთვლით.

ელენა უხმოდ მობრუნდა. ყვავის გაფრენილიყო.

-ბოდიში,-ჩუმად ჩაიბუზღუნა ბონიმ - უბრალოდ ეს ყველაფერი რაღაც არარეალური ჩანს.

მისტერ ტანერის სიკვდილის არ ჩანდ რეალური. ხოლო დამონი მართლა გამოიყურება... ნუ, უბრალოდ შესანიშნავად. მაგრამ სახიფათოდ. სიამოვნებით დავიჯერებდი, რომ ის სახიფათოაა.

-და კიდევ დამონი არ მოგიჭერდა კისერში. პირდაპირ გადაგიჭრიდა,-აღნიშნა მერედიტმა.-

მისტერ ტანერს ასე მოექცა და... მაგრამ მოხუცს ხიდის ქვეშ კისერი გადაგლეჯილი ჰქონდა.-თითქოსდა ეს რაიმე ცხოველმა გააკეთა.- მერედიტმა ნიშნისმოგებით შეხედა ელენას.-მაგრამ დამონს ხომ არ ყავს ცხოველები?

-არა.არ ვიცი.-მოულოდნელად ელენამ საშინელი დაღლილობა იგრძნო.

მას ჯერ კიდევ აწუხებდა ბონის სულელური მაღალფარდოვანი აზრები.

„კი, მე შემძლია გაგიკეთო შენი, ყველაფერი, რაც მომინდება. და ყველას ვინც შენი გიყვარს“, - უცებ გაიხსენა ელენამ.

მაგრამ რისი გაკეთება შეეძლო დამონს ეხლა? მას ზუსტად არ ესმოდა ეს.

ყოველთვის როდესაც ხვდებოდნენ, ის სხვანაირი იყო. ფიზიკულტურის დარბაზში დამონი აცდუნებდა მას და დასცინოდა. შემდეგში ის სერიოზული იყო, ამაზე ელენა დაიფიცებდა კიდევაც. მაშინ დამონი მას ლექსებს უკითხვდა და ცდილობდა მასთან ერთად წაეყვანა. წინა კვირას, სასაფლაოს ცივი გამყინავი ქარის მწვავე დარტყმების ქვეშ დამონი ემუქრებოდა, იყო უხეში და სასტიკი. და წუხანდელ დამცინავ სიტყვებშიც ელენა გრძნობა იგივე მუქარას. ელენას წამოდგენა არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა იგი შემდეგში.

რაც არ უნდა გეგმები ჰქონოდა დამონს, ელენას უნდა დაეცვა მისგან ბონი და მერედიტი.

განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათი გაფრთხილება მას არ შეეძლო.

და რას ამბობდა სტეფანი? ყველაზე მეტად ელენას ელა ის ესაჭიროებოდა. სად არის?

იმ დილით კიდევ ერთი საუბარი შედგა.

-მოდით, ყველაფერს გავაანალიზებ. - ჩაილაპარაკა მეტმა, და მისი ფორდ სედანის შელახულ კორპუსს მიეყრდნო, როდესაც სტეფანი მასთან სკოლის შემდეგ მივიდა. - შენი გინდა დროებით ჩემი მანქანა?

-კი-თავი დაუქნია სტეფანმა.

-და მისი თხოვნა გინდა იმიტომ, რომ, გინდა ჩამოუტანო განსაკუთრებული ელენას ყვავილები.

-კი

-და ეს განსაკუთრებული ყვავილები რომელიც გინდა ელენას მოუტანი, აქ არ იხრდება.

-შეიძლება იზრდებოდეს აქ. მაგრამ ასე ჩრდილოეთით, მათი ყვავილეობის დრო უკვე დამთავრდა. და ყინვამ ალბათ უკვე გააფუჭა ყველაზე გამძლეებიც კი.

-და შენი გინდა სამხრეთით წასვლა, -რამდენად სამხრეთით არ ვიცი, - იმიტომ რომ, იპოვო მანდ ეს ყვავილები და შემდეგ უბრალოდ აჩუქო ელენას.

-უკიდურეს შემთხვევაში თვითონ მცენარეები, - დაამტკიცა სტეფანმა. - მაგრამ აჯობებს ცოცხალი ყვავილები.

-რადგან შენი მანქანა შავ სიაშია, გინდა ჩემის წაყვანა. იმ დროით გინდა წაყვანა, რამდენიც საკმარისი იქნება სამხრეთით წასასვლელად, რომ იპოვო ყვავილები, რომელიც ელენასთვის საჩუქრად გინდა.

- მე ვფიქრობ რომ, შენი მანქანით შევძლებ ქალაქის დატოვებას უფრო შეუმჩნევლად, აუხსნა სტეფანმა. - არ მინდა, რომ პოლიცია ამეკიდოს.

-ხო. და ზუსტად ამიტომ გინდა ჩემი მანქანა.

-კი. და აპირებ მომცე?

-ვაპირებ თუ არა მივცე მანქანა ბიჭს, რომელმაც წამართვა გოგო, და ახლა უნდა წავიდეს სამხრეთით, რომ იპოვოს განსაკუთრებული ყვავილები, რომელიც მისთვის უბრალოდ აუცილებელია? შენი რა გაგიჟდი? - მეტი, რომელიც მთელი ამხნის განმავლობაში კარკასის სახლების სახურავებზე იყურებოდა საპირისპირო ქუჩაზე, სტეფანისაკენ შემობრუნდა და ყურადღებით მიაჩერდა.

მისი ცისფერი თვალები, რომელიც ძირითადად სავსე იყო ბედნიერებით და სიმართლით, უკვე მთლიანად გავსებულიყო უნდობლობით და შეჭმუხნულ წარბების ქვეშ იმალებოდნენ.

სტეფანი გაბრუნდა. ის თავიდანვე უნდა მიმხვდარიყო. მას შემდეგ რაც მეტმა მისთვის გააკეთა, კიდევ რაიმეს მოლოდინი უკვე ზედმეტი იყო. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს აურჟოლებდა მისი ნაბიჯის ხმის გაგონებაზე და თვალს არიდებდნენ, მიახლოებისთანავე. იმის ლოდინი, რომ მეტი, რომელსაც ყველანაირი მიზეზი ქონდა აღშფოთების, გაუწევდა მსგავს სამსახურს წესიერი ახსნის გარეშე, სუფთა ნდობით, სუფთა სიგიჟე იყო.

-არა, არ გავგიჟებულვარ,-ჩუმად თქვა სტეფანმა და წასასვლელად გატრიალდა.

-არც მე,-თქვა მეტმა.-და მე უფრო ადრე მომიწევდა გაგიჟება, სანამ ჩემ მანქანას მოგცემდი. მაგრამ ჯანდაბას. მე შენთან ერთად წამოვალ.

როდესაც სტეფანი მობრუნდა, მეტტი მას აღარ უყურებდა, ის მანქანას უყურებდა და ჭკვიანურ სახეზე ქვედა ტუჩები გამოებრა.

-ბოლოს და ბოლოს,- თქვა მეტტმა, და ფორდის სახურავს ხელი დაჰკრა,- შეიძლება სადებავი გამიჩხაპნო. ან კიდევ რამე გამიფუჭო.

ელენამ ტელეფონის ყურმილი დაკიდა. პანსიონატში ვიღაც იყო, იმიტომ რომ ყურმილს ვიღაც ყოველ ჯერზე იღებდა, მაგრამ პასუხად მკვდარი სიჩუმე იყო, შემდეგ კი ტკაცუნის და მოკლე ზარები. ელენა ეჭვობდა რომ, ეს მისის ფლაურეს ასე ერთობოდა, მაგრამ აქიდან წარმოუდგენელი იყო გაეგო სტეფანის ადგილსამყოფელი. ინსტიტუტურად მას პანსიონატში წასვლა უნდოდა. მაგრამ ქუჩაში სიბნელე იყო და სტეფანმა თქოვა რომ არსად არ გასულიყო დაბნელების შემდეგ, და მითუმეტეს არ მიახლოებოდა სასაფლაოს და ტყეს. პანსიონატი კი ზუსტად რომ ახლოს იყო.

-კიდევ არ არის პასუხი? - ჰკითხა მერედიტმა, როდესაც ელენა დაბრუნდა და დაჯდა საწოლზე.

-მისის ფლაურესი იღებს ყურმილს და შემდეგ კი კიდებს, - შესჩივლა ელენამ და თითქმის გასაგონად შეიგინა.

-შენ ხომ თვითონ თქვი, რომ ჯადოქარია.

-შეიძლება არა, მაგრამ ძალიან გავს,-გამოეპასუხა ელენა.

-მისმინე, - უპასუხა ბონიმ, და ახლოს დაჯდა.- თუ სტეფანი საერთოდ აპირებს დარეკვას, ის აქ დარეკავს. შენ არანაირი მიზეზი არ გაქ, რომ ღამე ჩემთან გაატარო.

სინამდვილეში მიზეზები იყო, თუმცა ელენას თავისთვისად არ შეემლო წესიერად ახსნა.

ბოლოს და ბოლო დამონა აკოცა ბონის აღარიხის წვეულებაზე. პირველ რიგში თვითონ ელენა იმაში დამნაშავე, რომ, ბონი საფრთხეში აღმოჩნდა. უცნაურად ელენა გრძნობდა, რომ თუ ის ბონისთან დარჩებოდა, შეძლებდა მის დაცვას.

-ჩემთან სახლში ყველანი არიან-დედაც,მამაც და მერიც,-ჯიუტობდა ბონი.-თან იმის მერე რაც მისტერ ტანერი მოკლეს, ჩვენ ძალიან მაგრად ვკეტავთ ფანჯრებს და კარებს. ამ უიკენდზე მამამ დამატებითი საკეტები დაათენა. უბრალოდ ვერ ხვდები რისი გაკეთება შეგიძლია შენ.

ელენა ამასაც ვერ ხვდებოდა. მაგრამ გადაწყვიტილების შეცვლას არ აპირებდა.

მან დაუტოვა დეიდა ჯუდიტს შეტყობინება სტეფანის შესახებ,რომ ცოდნოდა თუ სად ათენებდა ღამეს. ელენასადა და ჯუდიტს შორის ჯერ კიდევ იყო გარკვეული დამაბულობა.

„ეს ყველაფერი გაგრძელდება მანამდე, -გაიფიქრა ელენამ,-სანამ დეიდა ჯუდიტი არ შეიცვლის აზრს სტეფანზე“

მაკკალოგების სახლში ელენა შეიყვანეს ოთახში, რომელიც ადრე ბონის ერთერთ დას ეკუთვნდა, ის უნივერსიტეტში სწავლობდა. პირველ რიგში ელენამ ფანჯარა შეამოწმა, ის მყარად იყო ჩაკეტილი, გარეთ კი არავითარი ხე არ იყო, და არც წყალსადენი მილი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ოთახში შემოდღევა. ყოველგვარი ეჭვის გამწოვევის გარეშე ელენამ ბონის ოთახიც შეამოწმა და სხვა დანარჩენიც სადაც შეძლო შეღწევა. ბონი მართალი იყო - ყველა ოთახი საიმედოდ იყო ჩაკეტილი. გარედან იქ მოხვედრა შეუძლებელი იყო.

იმ ღამეს ელენა დიდხანს იწვა საწოლში და ჭერს უყურებდა, არანაირად არ შეეძლო ძილი. ის იმ საოცნებო სტრიპტიზს იხსენებდა, რომელიც ვიკიმ სასადილოში გამართა. რა იყო ეს?

აუცილებლად უნდა ეკითხა სტეფანისათვის.

სტეფანზე ფიქრები სასიამოვნო გრძნობას გვრიდა, მიუხედავდ იმ ყველა საშინელებისა, რომელიც ბოლო დღეებში გადახდათ. ელენამ გაიღიმა სიბნელებში და გონებას უფლება მისცა თავისუფლად ეძრწო. ერთ მშვენიერ დღეს ეს გაურკვევლობა დამთავრდება და ის და სტეფანი შეძლებენ ერთად იოცნებონ მომავალზე. კი, რატომაუნდა სტეფანი არაფერს არ ლაპარაკობდა ამის შესახებ, მაგრამ ელენა არც ეჭვობდა რომ ის ამაზე ფიქრობდა. ელენა მხოლოდ სტეფანზე აპირებდა გათხოვებას - ან საერთოდ არავიზე. სტეფანი უნდა დაქორწინებულიყო მხოლოდ ელენაზე - და სხვა არავიზე...

ძილში გადასვლა ისეთი მშვიდი და თანდათანობითი იყო, რომ ელენამ ვერ შეამჩნია. მაგრამ რაღაც უცნაურად გრძნობდა, რომ ძინავდა. თითქოსდა მისი პატარა ნაწილი გარეთ რჩებოდა და თვალყურს ადევნებდა ძილს როგორც რაიმე თამაშს.

ელენა სკამზე იჯდა გრძელ დერეფანში, რომლის ერთმხარეს სარკეები იყო განთავსებული და მეორე მხარეს ფანჯრები. ის რაღაცას ელოდა. შემდეგ გარეთ რაღაცა ჩრდილმა გაიელვა, და მინასთან მდგარი სტეფანი დაინახა. მისი სახე ფერმკრთალი იყო, ხოლო თვალები ბრაზით ბრწყინავდნენ. ელენა ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ მინიდან ვერ გაიგო რას ლაპარაკობდა სტეფანი. ერთ ხელში მას წიგნი ეჭირა იასამნისფერ ბარხატის გარეკანზე. თან რაღაცას ეკითხებოდა და წიგნზე მიუთითებდა. შემდეგ მან ის დააგდო და გაბრუნდა.

-სტეფან, არ წახვიდე! არ დამტოვო მარტო! - დაიყვირა ელენამ.

მისი მინაზე მყარად მიჭერილი თითები გათეთრდა. შემდეგ საკეტი შეამჩნია ჩარჩოზე და ფართოდ გააღო ფანჯარა და სტეფანს უძახოდა. მაგრამ ის გაქრა, გარეთ მხოლოდ თეთრი ბინდის მორევი ჩანდა.

ელენა უნუგემოდ გაბრუნდა ფანჯრიდან და დერეფანს ჩაუყვა. მისი საკუთარი ანარეკლები ჩნდებოდა ერთი სარკიდან მეორეში, სანამ ის იქ მიდიოდა. სარკიდან ელენას საკუთარი თვალები უყურებდა, მაგრამ ეს ავაზაკური და ეშმაკური გამომეტყველება, არაფრით არ იქნებოდა მისი. ასეთი გამომეტყველება ჰქონდა ვიკისაც, როდესაც სასადილოში იხდიდა. ხოლო იდუმალი ღიმილი კი გამოწვევი-მშვიერი იყო.

სანამ ელენა მშვიდად იდა და იყურებოდა, უცებ ანარეკლმა მოძრაობა დაიწყო, თითქოსდა ცეკვავდა. ელენას თავზარი დაეცა. ის გაიქცა დერეფანში და ხოლო ანარეკლები თითქოსდა გაცოცხლდნენ და მისკენ იზიდავდნენ, იცინოდნენ და მოძრაობდნენ თითქოსდა რაღაც დემონურ ცეკვას ასრულებენო. იმ დროს როდესაც ფიქრობდა რომ მისი გული ამ საშინელებისგან გასკდებოდა, დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა და კარები შეაჭო.

ის დიდ დარბაზში აღმოჩნდა. მაღალი ჭერი მორთული იყო დახლართული ჩუქურთმებით და ინკრუსტაცია კი ოქროსი იყო, კარის გასასვლელში თეთრი მარმარილოთი ბზინავდნენ.

კედლების გასწვრივ ნიშებში კი ანტიკური ქანდაკებები იდგა. ელენას ჯერ არ უნახავს ასეთი მდიდრული დარბაზი, მაგრამ ზუსტად იცოდა სადაც იყო, - იტალიაში, რენესანსის პერიოდში, როდესაც სტეფანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

შემდეგ საკუთარი თავი დაათვალიერა და მიხვდა რომ მასზე კაზა იყო - იმის კოპია რაც ჰელოუნისათვის შეიკერა - გაყინული ცისფერი საბანკეტო ტანისამოსი, ალორძინების ხანის. მაგრამ ეს კაზა ლალისფერი, როგორც სისხლი, ხოლო წელზე შემორტყმული ქონდა ვიწრო ცუპი კაშკაშა წითელი თვლებით. ისეთივე თვლები უბრწინავდა მას თმებში. როდესაც ელენა მოძრაობდა, აბრეშუმი ციმციმებდა და ათასობით ჩირაღდნის ცეცხლის ნათელში იღვრებოდა.

საპირისპირო მხარეს, ღია ორკარედში მამაკაცის ფიგურა გამოჩნდა. ელენას შესახვედრად ახალგაზრდა მამაკაცი მოდიოდა კაგებში და ბეწვის პიჯაკში გამოწყობილი, - იგივე ეპოქის ტანსაცმელით.

სტეფან! ელენა ვნებიანად გაიქცა მისკენ, თან მისი ბრწყინვალე კაზის სიმძიმეს გრძნობდა. მაგრამ ახლოს მივიდა თუ არა გაჩერდა და მკვეთრად ჩაისუნთა, ეს დამონი იყო. მშვიდად და თანდაჯერებულად ის უახლოვდებოდა. დამონი გამომწვევად ილიმებოდა. კარგად მიუახლოვდა თუ არა ელენას ერთი ხელი მკერდზე დაიდო და მეორე ელენას გაუწყოდა, თითქოსდა სთავაზობდაო.

„არ მეცეკვებოდი“ - ჰკითხა მან.

მაგრამ დამონის ტუჩები არც ამოძრავებულა. მისი ხმა ელენას გონებაში ესმოდა.

შიში მოულოდნელად გაქრა და ელენამ გაიცინა. რა ჭირდა მას ასეთი, რატომ აშენიდა აქამდე დამონის? ისინი მშვენივრად უგებედნენ ერთმანეთს. მაგრამ იმის მაგივრად რომ, ხელი მოუეკიდებინა, ელენა გაბრუნდა და მისი სისხლისფერი კაზის შრიალით, უკან მოუხედავად ერთერთი ქანდაკაბეს მიადგა, იმის შესამოწმებლად დამონი გასდევდა თუ არა. ელენამ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა ვითომ, ქანდაკების განსჭვრეტით იყო დაკავებული, და ეგრევე სხვაგან გადაადგილა როგორც კი დამონი მიუახლოვდა. თან ამ დროს ტუჩებ იკვნეტდა რომ არ გასცინებოდა. ამ წუთას ელენა თავს მშვენივრად გრძნობდა. ყველაფერი ისეთი ცოცხალი იყო, ისეთი მშვენიერი. საშიშროება? კი, რათქმაუნდა, ეს თამაში იყო სახიფათო. მაგრამ ელენა ყოველთვის აღმერთებდა რისკს.

როდესაც დამონი კიდევ ერთხელ მიუხლოვდა ელენას, ელენამ მას კეკლულუცად შეხედა და ისევ გაბრუნდა. დამონმა ხელი გაუწყოდა, მაგრამ ხელში მხოლოდ ქამრის ბოლო შერჩა. დამონმა ხელი გაუშვა და გამბრუნებულმა ელენამ შეამჩნია რომ თვლის წვეტიანმა მხარემ დამონს თითი გაუჭრა

სისხლი წვეთი თითზე ზუსტად ისეთი ფერის იყო, როგორც ელენას კაზა. დამონმა აღმაცერად შეხედა მას, სახეზე კადნიერი ღიმილი გაეშალა და გაჭრილი თითი მაღლა ასწია.

„ვერ გაბედავ“, - ამბოდა მისი თვალები.

„ხო? ვერ გაბედავ?“ - თვალებითვე უპასუხა ელენამ.

მან გაბედულად აიღო დამონის ხელი და წამით გააჩერა, თან თავის თავყვანისმცემელს აჯავრებდა. შემდეგ გაჭრილი თითი ტუჩებთან მიიტანა.

წამების შემდეგ ელენამ თითი გაუშვა და დამონს შეხედა.

„მე, მართლა მინდა ცეკვა“, - თქვა მან, და აღფრთოვანდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ, დამონის მსგავსად, მასაც შეეძლო ფიქრების გაცემა.

გრძნობა შესანიშნავი იყო. დარბაზის ცენტრისაკენ გაემართა და მოლოდინში ადგილზე გაშეშდა.

დამონმა მას გასდია, გრაციოზულად, როგორც ვეფხვი ეპარება ხოლმე მსხვერპლს. მისი თითები თბილიდა მაგარი აღმოჩნდა, როდესაც ელენას ხელს შეეხო.

სადაც შორს მუსიკა აჟღერდა, ზოგჯერ ტალღებად აწვებოდა, როგჯერ ჩუმდებოდა. დამონა მეორე ხელი ელენას წელზე დაადო. ელენამ იგრძნო თითები სითბო და მსუბუქი დაწოლა. მან კაბა აიწია და მათ ცეკვა დაიწყო.

ცეკვამ მას ისეთი აღმაფრთოვანებელი გრძნობები მოუტანა, თითქოსდა ეს ფრენა იყო და ელენას სხეულმა ზუსტად იცოდა თითოეული მოძრაობა. ის და დამონი ცეკვავენ და ცეკვავენ ცარიელ დარბაზში, და იდეალურად კმაყოფილდებოდნენ ერთმანეთით.

მაგრამ თანდათანობით ცეკვა ნელდებოდა, და დამონის ღიმილი ქრებოდა. ელენა გაუნძრევლად იდგა მისი ხელების ბეჭედში. დამონის მუქი თვალები ადარბრყინავდნენ ბედნიერებით. ისინი გააფრთხილებული და ვნებიანი იყო. ელენამ ფხიზელი სერიოზულობით შეხედა მას, არაფრის არ ეშინოდა. და იმ მომენტში, მას ნათლად მოეჩვენა, რომ, ეს მხოლოდ სიზმარი იყო. ელენამ ისეთი აპათია და სისუტე იგრძნო, რომ თავბრუდაეხვა.

ბრწყინვალე დარბაზი თითქოსდა ჩაბნელდა. ელენა ნათლად ხედავდა მხოლოდ დამონის თვალებს, და ისინი იწვევდნენ უფრო და უფრო მეტ ძილიანობას. ელენამ ნება მისცა თავის თვალებს თითქმის დახუჭვის და მძიმედ ჩაისუნთქა.

ეხლა მას შეეძლო ეგრძნო დამონის მზერა თავის ტუჩებზე და კისერზე. თავისთავს გაუღიმა და თვალები ბოლომდე დახუჭა.

დამონს ის მყარად ეჭირა და არ აქცევდა. ელენა გრძნობდა მის ტუჩებს თავის ტელზე, ისეთი ცხელი, თითქოსდა სიცხე ჰქონოდა. შემდეგ ფრთხილი ჩხვლეტა იგრძნო. ტკენამ ეგრევე გაუარა და ელენა მოდუნდა სიამოვნებისაგან, სანამ დამონი, მისგან სისხლს იწოვდა.

ელენამ გაიხსენა ეს გრძნობა - ის თითქოსდა ცურავდა ოქროსფერი ნათელის მდინარეში.

უდიდესი სიმშვიდე მის მთელ ტანში იყო. ელენა ძილიანობას გრძნობდა, თითქოსდა თითოეული მოძრაობა ძალიან დიდ მონდომებას მოითხოვდა. მაგრამ მას არ სურდა განძრევა - ძალიან კარგად იყო.

ელენა ნაზად ეფერებოდა დამონს თავზე, კისერზე უფრო იჭერდა და თითებს თმაში აცურებდა. დამონის თმები აბრეშუმით იყო, თითქოსდა ისინი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ მის თითებს ქვეშ. ელენამ ცოტათი შეაღო თვალები. მის წინ კი ჩირაღდნების სინათლეში ცისარტყელა დაინახა. წითელი, ცისფერი, ლალისფერი, ისევე როგორც... ისევე როგორც... ნაკრტენი... ბუმბული...

და აქ ყველაფერი ნაკუწებად დაიშალა. მოულოდნელად იფეთქა უაზრო ტკივილმა მის კისერზე, და გრძნობა თითქოსდა სული ამოაძრეს. ის დამონს იცილებდა, და დაუნდობლად კაწრავდა, და ურტყამდა მოშორების მიზნით. წივილ-კივილი ზუზუნებდა მის ყურებში. დამონი გამწარებით ებრძოდა მას, მაგრამ არა ადამიანური იერით - ეს ყვავი იყო. უზარმაზარი ფრთები საზარელი ბუმბულით ელენას ურტყამდა.

მისი თვალები ფართოდ იყო გახელილი. ელენა მიხვდა, რომ გაიღვიდა და ყვირილი მოტლო. დარბაზი გაქრა, და გოგონამ ბნელ საძინებელში გამოიღვიძა. მაგრამ საზარელი სიზმარი ცხადშიც მოსდევდა. როდესაც ელენამ შუქი აანთო, კომმარო ახალი ძალით დაატყდა თავს. ფრთები თავზე ურტყამდა ხოლო ბასრინისკარტი მისი კისრისაკენ მიიწევდა.

ერთი ხელით ელენა ფრინველს იგერიებდა, მეორეთი თვალებს იფარავდა. ის ჯერ კიდევ ყვიროდა ბოლო ხმაზე. მაგრამ ვერსად წავიდოდა. საშინელი ფრთები აგრძელებდა ტყლაშუნს, თითქოსდა ვიღაცა ათას კარტის დასტას ერთდროულად ჩეხავდა. ოთახის კარი ფართოდ გაიღო და უკვე ელენას კვილს სხვისი კვილიც დაერთო. ყვავის თბილი მძიმე სხეული ელენას თავზე

დაეცა. გოგონა ვიღაცა საწოლიდან ჩამოათრია და წამის შემდეგ ის ბონის მამიც ზურგს უკან აღმოჩნდა,, მისი დაცვის ქვეშ, მისტერ მაკკალოგს იატაკის საწმენდი ჯოხი და ქონდა და მას აქეთ-იქით სასოწარკვეთილად იქნევდა, რომ ყავისთვის მოერტყა. ბონის კარებში იდგა. ელენა მივარდა მას და ჩაეხუტა. ბონის მამა აყვირდა და ჯოხი ფანჯრის რამას მოხვდა.

-გაფრინა,-ამოილულლულა მისტერ მაკკალოგმა, თან მძიმედ სუნთქავდა.

მერი და დედამისი საშინაო ხალათებში გახვეულები დერეფანში იდგნენ.

-სისხლი მოგდის,-მიმართა თავზარდაცემულმა მისსის მაკკალოგმა ელენას, - დაწყევლილმა არსებამ დაგკორტნა.

-არაფერია, არაფერი, - გამოეპასუხაელენა და ლოყაზე სისხლის ლაქა მოიწმინდა.

-მაგრამ როგორ მოხვდა აქ?-იკითხა ბონიმ.

მისტერ მაკკალოგმა ფანჯარას დაუწყო თვალიერება.

-არ ღირდა ფანჯრის გაღება,-უთხრა ელენას,- და რაში დაგჭირდა ყველა საკეტის გახსნა?

-მაგრამ მე საერთოდაც არ გამიღია!-აღშფოთდა გოგონა.

-როდესაც გავიგე როგორ ყვიროდი და შემოვედი ფანჯარა ღია იყო,-უკმაყოფილოდ თქვა ბონის მამამ.-უბრალოდ არ ვიცი, ვის შეეძლო შენს გარდა ამის გაკეთება.

ელენამ თავისი პროტესტები ჩაიკლა. სახიფათო ყოყმანით ფანჯარასთან მივიდა. მისტერ მაკკალოგი არ იტყუებოდა - საკეტები ღია იყო. და ამის გაკეთება მხოლოდ შიგნიდან შეიძლებოდა.

-აღბათ ლუნატიმით ხარ დაავადებული,-ჩაერთო ბონი, და ელენა განზე გაიყვანა, სანამ მამამისი ფანჯარას კეტავდა.-წესრიგში უნდა მოგიყვანოთ.

ლუნატიზმი.სომნამბულიძმი. და მოულოდნელად ელენამ ის მთელი კოშმარი გაიხსენა.

დერეფანი სარკეებით, დარბაზი, და დამონი. გოგონა ბონის გაეცალა.

-მე თვითონ მოვიწესრიგებ თავს,-თქვა მან, რომელსაც აშკარად ესმოდა თავისი ხმის კანკალი ისტერიკის საზღვარზე,- არა.. მართლა... მე თვითონ.-სააბაზანოში გაიქცა და კარი მოიკეტა, ფა სარკის წინ დადგა, თან შეეცადა სუნთქვის შეჩერება.

ელენას ყველაზე ნაკლებად სურდა საკუთარი თავის საკეში დათვალიერება. და მაინც მთლიანად აკანკალებულმა უფლება მისცა საკუთარ თავს სარკეში ჩახედვის. დიუმ-დიუმად ნელნელა მოძრაობდა სანამ, მისი ანარეკლი მთლიანად არ გამოისახა ვერცხლიფერზეპადირზე.

მას წინ მომკვდო-ნაცრისფერი სახე გამოესახა. შეშინებული თვალების ქვეშ ლურჯი ლაქები ქონდა. სახეც სისხლის ლაქებით ჰქონდა მოთხვრილი.

ელენამ ნელნელა შეაბრუნა თავი და თმა ასწია. თავისი კისრის შემხედვარემ, უნებლიედ შეჰკვივლა.

იდეალურ გლუვ კანზე ორი ახალი პატარა ჭრილობა ჩანდა.

- "ვხვდები ,რომ შემოდლია ვინანო ,მაგრამ მაინც გკითხავ,"-წარმოსთქვა მეტმა და აწითლებული თვალებით შეხედა სტეფანს.- "შეგიძლია მითხრა,რატომ დაგვჭირდა ამ განსაკუთრებული, ძნელად საშოვნი და ტროპიკული ყვავილების შოვნა ელენასთვის?" სტეფანი უკან მიიხედა და თვალი გადაავლო მათი ძიების "შედეგს",რადგან ყვავილი სრულიად ჩამოჰკვნა და შესახედათაც "საწყლად" გამოიყურებოდა,რთული იყო იმის მტკიცება ,რომ იგი რაიმე განსაკუთრებულს წარმოადგენდა.

- "რომ გითხრა მისგან განსაკუთრებულად ეფექტური თვალის ჩასაწვეთი კეთდება-თქო არაუშავს?"- უპასუხა სტეფანმა.-"ან ვთქვათ ,რაიმე სახის სამკურნალო ჩაი?"

- "ხოო? მართლა აპირებდი რაიმე ამგვარის თქმას?"
- "არა.სრულიადაც არა."
- "ძალიან კარგი,იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში "გაგაფერადებდი".

ამ სიტყვებზე სალვატორეს გაეღიმა.

მან უცნაურად იგრძნო თავი.ამგვარი არაფერი უგრძნვია ხუთი საუკუნის განმავლობაში, ელენასთან შეხვედრას თუ არ ჩავთვლით. იგი აღიარეს, იგი მიიღეს.

სტეფანი უყოფდა სითბოს ნამდვილ მეგობარს, რომელმაც სიმართლე არ იცოდა,მაგრამ მიუხედავად ამისა ენდობოდა,რომელიც მთელი ძალებით ცდილობდა დაეჯერა მისთვის.

სალვატორეს ეჭვი ეპარებოდა , რომ იმსახურებდა ამგვარ დამოკიდებულებას,მაგრამ ვერ ძალავდა ეს ფაქტი მისთვის რამდენს ნიშნავდა.ახლა იგი თავს.....ადამიანად თვლიდა.

ელენა თვალს არ აშორებდა თავის გამოსახულებას სარკეში.არა, ეს არ იყო სიზმარი.არა მარტო სიზმარი....იარა მის კისერზე ამას ადასტურებდა.ახლა, როდესაც გოგონამ საგულდაგულოდ შეათვალიერა ჭრილობა,მან თავბრუსხვევა იგრძნო.

ამაში მხოლოდ გილბერტი იყო დამნაშავე. გოგონა ისე გულდასმით უჩიჩინებდა მერედიტსა და ბონის უცხო არავინ შემოეპატიჟებინათ სახლში, ამ დროს კი არც ახსოვდა,რომ თავად დართო დეიმონს ნება ბონის სახლში შემოსულიყო,როდესაც მათ "მუნჯი ვახშამი" ჰქონდათ მოწყობილი ბენეტების სამზარეულოში.

ამ მოწვევის ვადა- უსასრულოა იყო. დეიმონს ნებისმიერ დროს შეეძლო სახლში

შეხწევა.განსაკუთრებით ახლა, როდესაც ელენა იმდენად სუსთად გრძნობდა თავს,რომ ჰიპნოზის ქვეშ მყოფს ფანჯრის გაღება შეეძლო.

აბაზანიდამ გამოსული ,ელენა გაეშურა ოთახისკენ და თანსაცმლის ჩალაგება დაიწყო.

- " არა ელენა! შენ არ შეგიძლია ახლა სახლში წასვლა"-
- " პირიქით,აქ დარჩენა არ შემიძლია"- უპასუხა გოგონამ ბონის.

ელენამ გული რევა იგრძნო და გაბრუნდა.

- ;; კარგი კარგი - უთხრა ბონიმ,- თავს ასე ცუდად თუ გრძნობ ,მამას ვთხოვ წაგიყვანოს."

- "შენც უნდა წამოხვიდე.- მოულოდნელად მიხვდა გილბერტი,რომ მეგობრის აქ დატოვება სახიფათო იყო.

>- გაახსენდა ელენას და ბონის ხელი სტაცა.

- "აუცილებლად,ბონი. აუცილებლად უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთად."

როგორც იქნა გზას შეუდგნენ.მაკკალოგებმა გადაწყვიტეს, რომ ელენა ისტერიკაში ჩავვარდა ან შოკი განიცადა,მაგრამ ბოლოს დანებდნენ და გოგოები გილბერტების სახლში წაიყვანეს.

სამწუხაროდ აქაც ვერ მოახერხა დაწყნარება ელენამ. იგი დილამდე შესცეროდა ფანჯარას და გვერდით მძინარე მეგობარს.

მოულოდნელად გოგონამ მანქანის ხმა გაიგო,მან უცებ იცნო მეტის მანქანის ჭრიყინი.ელენა ჩუმად გამოვიდა ოთახიდან და როდესაც შემოსასვლელი კარი გააღო:

- " სტეფან!"- მას არასოდეს გაჰხარებია ასე ვინმეს დანახვა.

იგი მივარდა სტეფანს ისე,რომ კარის მოხურვაც არ აცალა. ძლიერ მოეხვია და ხელს არ უშვებდა.

სალვატორე გაკვირვებული დარჩა ასეთი დახვედრით, ჩვეულებრივ ეკენა ასე არ იქცეოდა.

- " მეც ძალიან მიხარია შენი ნახვა"- მოფერებით უპასუხა ყმაწვილმა- "ფრთხილად ,ყვავილები არ დაკუჭო".

- " ყვავილები? "- გოგონამ დახედა თაიგულს , შემდეგ კი სტეფანის სახეს.

როგორც იქნა მან მეტსაც გახედა,რომელიც მეორე მხრიდან გადმოდიოდა. მისი სახე გასიებული იყო,ხოლო თვალები გაწითლებული უძილო ღამის შემდეგ.

- “ჯობია სახლში შემოხვიდე, - უთხრა ელენამ= ორივე საშინლად გამოიყურებით.”

- “ეს ვერბენაა”- ცოტა ხნის შემდეგ ახსნა სტეფანმა.

იგი ელენასთან ერთად სამზარეულოში იჯდა,საიდანაც კარგად სჩანდა დივანზე წამოგორებული მძინარე მეტი.დეიდა ჯუდიტს, მარგარეტსა და ბონის ჯერ კიდევ ეძინათ,ამიტომ სტეფანი ჩურჩულით ლაპარაკობდა.

- “გახსოვს რას გიყვებოდი ამ მცენარეზე?- ჰკითხა ვამპირმა.

- “შენ თქვი,რომ ვერბენა გვეხმარება ნათელი გონება შევინარჩუნოთ ,როდესაც ვინმე ძალის გამოყენებას ცდილობს”- წყნარად უპასუხა ელენამ.

- “სწორია. ეს კი დეიმონის სამიდან ერთ-ერთი ხრიკია.მას შეუძლია იგი გამოიყენოს დიდ მანძილებზე,მიუხედავად იმისა გმინავს თუ არა.”

გოგონას თვალეზე ცრემლები მოაწვა . მან შეათვალიერა გამშრალი ყვავილები და შემდეგ იკითხრა:

- “სიზმარშიც?”

- “კი. მას შეუძლია სახლიდან გამოსვლა ან პირიქით,მისი სახლში შემოშვება გაიძულოს,მაგრამ ვერბენა ამას ხელს შეუშლის”- სტეფანი საკუთარი თავით კმაყოფილი სჩანდა. > = გაიფიქრა ელენამ.

გილბერტი ცდების მიუხედავად მაინც ატირდა.

- “ელენა! - სტეფანი ანერვიულდა,- რა მოხდა? მითხარი!”

სტეფანი ცდილობდა მისთვის სახეში შეეხედა ,მაგრამ ელენამ ძლიერ ჩაეხუტა და სახე დამალა.

- “მითხარი!- ჩასჩურჩულა სალვატორემ.

დადგა ის ჟამი. თუ ელენა აპირებდა სტეფანისთვის ყველაფრის მოყოლას, ახლა სწორედ ამის დრო იყო,მაგრამ განერვიულებული გოგონა საჭირო სიტყვებს ვერ ჰპოულობდა.

> - გაიფიქრა ელენამ.

- “უბრალოდ.....შენზე ძალიან ველავდი - თავს ძალა დაატანა გილბარტმა.- არ ვიცოდი სად გაქრი და როდის დაბრუნდებოდი.”

- “ჯობდა გამეფრთხილებინა,მაგრამ ეს ყველაფერია? მეტი არაფერი განერვიულებს?”

- “სულ ეს არის” - უპასუხა მან. ახლა საჭირო იყო ბონის არაფერი წამოსცდენოდა ყვავის შესახებ.ერთი ტყუილი მეორეს იწვევდა...- “ვერბენა როგორ უნდა გამოვიყენოთ?”

- “სალამოს გაჩვენებ,როდესაც მარცვლებიდან სითხეს გამოვიღებ- შენ შესძლებ შხაპის დროს შეიზილო ან გამშრალი ფოტლები თან იქონიო.”

- “ცოტა ოდენს ბონის და მერედიტსაც მივცემ,მატაც ესაჭიროებათ დაცვა.”

სტეფანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- “მაგრამ ახლა....- მან ყვავილს მოსტეხა პატარა ფესვი და ელენას ხელზე დაუდო,- მინდა ეს თან ჰქონდეს,როდესაც სკოლაში წახვალ. მე პანსიონატში დავბრუნდები რათა დავამუშავო ვერბენა.- უცებ დადუმდა ,ხოლო შემდეგ განაგრძო,-მომისმინე,ელენა....”

- “რა?”

- “რომ ვიცოდე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა,აქედან წავიდოდი.მე არ გავუმხელდი დეიმონს შენს არსებობას.ალარ ვარ იმაში დარწმუნებული,რომ თან გამომყვება.ვფიქრობ შეიძლება დარჩეს.....შენს გამო.”

- “წასვლაზე არც იფიქრო!” - მკაცრად წარმოსთქვა ელენამ.-“გაიგე სტეფან, შენს წასვლას ნამდვილად ვერ გადავიტან დამპირდი რომ არ წახვალ.დამპირდი!!”

- “მე არ დაგტოვებ დეიმონთან პირისპირ,”- უპასუხა სალვატორემ,რას შეკითხვას არ პასუხობდა.

ელენამ ფანჯრიდან ადევნებდა თვალს როგორ მიდიოდნენ ბიჭები, შემდეგ კი ოთახში ავიდა, რათა სკოლისთვის მოზადებულყო.

მთელი საუზმის განმავლობაში ბონი ამოქნარებდა, იგი საბოლოოდ გამოფხიზლდა ცივი ნიავის წყალობით, როდესაც გარეთ გამოვიდნენ.

- "ამაღამ უცნაური სიზმარი ვნახე.." - უთხრა ელენას.

ელენას გული შეუწუხდა, მან მოასწრო ვერბენის მოთავსება ბონის ჩანთაში, მაგრამ თუ ღამით დეიმონმა უკვე მიაღწია.....

- "რა სიზმარი?" - შეძლებისდაგვარად დაწყნარებულმა ჰკითხა გოგონამ.

- "იქ შენ იყავი. ხის ქვეშ იდექი. ძლიერი ქარი იყო. რატომღაც შენი ძალიან მეშინოდა და მოახლოვებას ვერ ვბედავდი. შენ.... სხვანაირი იყავი. ძალიან გაფითრებული იყავი და თითქოს ბზინავდი. შემდეგ ხიდან ყვავი ჩამოფრინდა და შენ ხელის ერთი გაქნევით დაიჭირე. შენი მოძრაობა იმდენად ჩქარი იყო, რომ არარეალურს ჰგავდა. შემდეგ მე შემომხედე და სახეზე უცნაური გამომეტყველება შეგრჩა. გამიღიმე, მაგრამ ამისგან გაქცევა უფრო მეტად მომინდა. ამ ყველაფრის შემდეგ კი ყვავს თავი მოგრიხე, სრულიად წყნარად მოკალი."

ელენას შიში ერეოდა, როდესაც ამ ყველაფერს ისმენდა.

- "საშინელი სიზმარია!" - ბოლოს წარმოსთქვა მან.

- "მართლაც! - უპასუხა ბონიმ, - საინტერესოა რას ნიშნავს ეს სიზმარი. ყვავი საერთოდ ცუდის ნიშანია, - იგი სიკვდილს თან სდევს."

- "აღბათ ეს უბრალოდ ღამის კოშმარის გაგრძელება იყო შენს გონებაში!"

- "ეს ასე იქნებოდა, მაგრამ..... ეს სიზმარი იქამდე ვნახე სანამ ყვირილს ატეხდი"

ამ დღეს განცხადებების დაფაზე გამოჩნდა კიდევ ერთი ფურცელი, რომელზეც მხოლოდ ერთი ფრაზა ეწერა : >.

- "რა სარეკლამო განცხადებები?" - ვერ მიხვდა ბონი.

პასუხი მერედიტისაგან გაიგეს. იგი მიუახლოვდა გოგონებს და ხელში გაზეთი > ეჭირა.

- "უკვე ნახეთ?"

ანონიმური წერილი სარეკლამო განცხადებებში იყო გამოქვეყნებული სახელწოდების გარეშე. **იმ აზრთან შეგუება მიჭირს, რომ ოდესმე შეიძლება დავკარგო. სტეფანი არ არის ბედნიერი. თუ არ მეტყვის რომ ბოლომდე მენდობა, მაშინ ჩვენთვის არანაირი მომავალი არ არსებობს.**

ამის წაკითხვის შემდეგ ელენამ ახალი ენერჯის ტალღა იგრძნო. იგი მთელი გულით ვერ იტანდა იმას, ვინც ეს გააკეთა! წარმოსახვაში იგი თოფიდან ესვროდა ამის გამკეთებელს და, შემდეგ უყურებდა როგორ ეცემოდა იგი მიწაზე და სისხლისაგან იცლებოდა. მოულოდნელად მის გონებაში სხვა სცენა წარმოიქმნა, გილბერტი თმაში სწვდება "ანონიმს" და კისერში კბენს. უკანასკნელი სცენა იმდენად რეალურად მოეჩვენა გოგონას, რომ შეკრთა. გამოფხიზლებულმა შეამჩნია, თუ როგორ აკვირდებიან ბონი და მერედიტი.

- "რა იყო?" - გაიკვირვა ელენამ.

- "მივხვდი რომ არ მისმენდი, - განაგრძო ბონიმ, - მე ვთქვი რომ ეს არ ჰგავს მკვლელის ნამუშევარს. მე ვთვლი, რომ ნამდვილი მკვლეელი არ მოიმოქმედებდა ამას და არ გამოიყენებდა ასეთ "წვრილმანს".

- "ბონი მართალია, - დაეთანხმა მერედიტი, - ეს უფრო სიდამპლეს წააგავს. ამის გაკეთება შეეძლო იმას ვინც შენზე ნაწყენია და უბრალოდ უნდა გაგტანჯოს."

ელენა ჩაფიქრდა.

- "ეს ვიღაცა კარგად იცნობს სკოლის წესებს - აღნიშნა მან, - სარეკლამო განაცხადების ფორმულიარი ერთ-ერთი ჟურნალისტიკისკლასში უნდა იყოს შევსებული."

- “და კიდევ ამ ვიღაცამ იცის ,რომ დღიური მიგყავს და მისი მოპარვა გადაწყვიტა. გაიხსენე ელენა ვინ შეიძლება იყოს. იქნებ ის ვიღაც შენს გვერდით იჯდა,როდესაც დღიური სკოლასი მოიტანე.გახსოვს?როდესაც მისტერმა ტანერმა კინალამ დაგიჭირა?- დაამატა ბონიმ.

- “ მის გალპერმა ნამდვილად დამიჭირა. მე მეგონა რომ ჩემს ჩანაწერს მთელი კლასის წინაშე წაიკითხავდა. არა, მოიცადეთ...ბონი იმ საღამოს როდესაც დღიური მოიპარეს, რამდენი ხანი იყავით ოთახში?”

- “რამოდენიმე წუთი.იანცმა ყევა დაასრულა და მე წავედი ,რათა სახლში შემომეშვა და....”

- “ ე.ი ქურდს კარგად უნდა შესძლებოდა შენს სახლში ორიენტირება - აღნიშნა ბონიმ,-მან შესძლო სახლში შემოღწევა,დღიურის აღება და გაქრობა იქამდე სანამ შევამჩნევდით.მოკლედ ჩვენ ვეძებთ ერთ-ერთ კლასელს,ვისაც გარკვეული ინფორმაცია გააჩნია ელენას შესახებ და რომელიც ბონის სახლში არა ერთხელ არის ნამყოფი. იგი ელენაზე ნაწყენია და ყველაფერს გადააბიჯა ,რათა დღიურამდე მიეღწია...ო, ღმერთო!!”

გოგოებმა ერთმანეთს შეხედეს.

- “ ის არის”- თქვა ბონიმ.

- “ რა სულელები ვართ, უნდა მივხვდარვიყავით, - მკაცრად თქვა მერედიტმა.

- “კეროლანინი!!!- მთელი სიზღითა და სიმწით წარმოსთქვა ელენამ.

კეროლანინი. ელენა მზად იყო ადგილზე გაესრისა ბავშვობის მეგობარი და მზად იყო მის სამებნელად წასულიყო მეგობრებს რომ არ გაეჩერებინათ.

- “სკოლის შემდეგ ელენა,-უთხრა მერედიტმა,-გაკვეთილების შემდეგ შევძლებთ განმარტოვებულ ადგილას მის გამოჭერას. სკოლის შემდეგ”

სასადილოსკენ მიმავალმა ელენამ შეამჩნია კეროლანინი დერეფანში,სადაც მუსიკისა და ხელოვნების კლასები იმყოფებოდა და გაახსენდა სტეფანის სიტყვები,იმის შესახებ როგორ მიჰყავდა იგი ფოტო-საქმის ოთახში , როგორც თავად კეროლანინი ხსნიდა- განმარტოვებისათვის.

- “ აქ დარჩით! მე რაღაც გამახსენდა და მალე მოვალ”- თქვა ელენამ და პროტესტების-და მიუხედავად გაეშურა ხელოვნების კლასში.

ყველა კლასში სიბნელე იყო , მაგრამ ფოტო-საქმის კლასში კარი შეღებული იყო.ელენამ ფრთხილად ჩამოსწია სახელური ..საინტერესოა კეროლანინი იქ არის? და თუ იქ არის, მაშ რას აკეთებს მარტო სიბნელეში?

მოულოდნელად ელენას ხმები მოესმა:

- “რატომ ხარ დარწმუნებული რომ მაინცდამაინც მას აირჩევენ?”- ეს კეროლანინის ხმა იყო.

- “მამაჩემი ტყუილად არ შედის სასკოლო დირექციის შემადგენლობაში.ისინი ნამდვილად მას აირჩევენ, - ეს ტაილერის ხმა იყო.-შენი აზრით სხვა ვინ უნდა იყოს? > სული უნდა იყოს კარგად ჩამოყალიბებულიც და მოაზროვნეც.”

- და შენი აზრით მე უტვინო ვარ?

- “ მე რა ეგ ვთქვი?მომისმინე, თუ თეთრი კაბის ტარება გინდა სადღესასწაულო აღლუმზე,ეს ერთია. მაგრამ თუ იმის ნახვა გინდა ,როგორ გარბის ქალაქიდან სტეფან სალვატორე იმ ინფორმაციის გაშუქების შემდეგ რაც ამ დღიურშია....”

- “ რა საჭიროა ამდენ ხანს ლოდინი?”

- “ იმიტომ რომ , ამ შემთხვევაში ზეიმი ჩაიშლება.ზეიმი ფელლების საპატივცემლოდ. რატომ უნდა მივუგოთ ასეთი პატივი?სმოლვუდები პირველები იყვნენ.

- “ჯანდაბა, სულ არ მენაღვლება ამ ქალაქის წარმოშობის ისტორია.....მე მინდა მთელი სკოლის წინაშე დამცირებული ელენას სახის ნახვა”

- “ და სალვატორესიც - ისეთი ზიზღით წარმოსთქვა ტაილერმა ,რომ ელენა შეკრთა,-მას გაუმართლებს თუ სიცოცხლეს რომელიმე ხეზე ჩამოხრჩობილი დაასრულებს.დარწმუნებული ხარ ,რომ ამ დღიურში ყველა საჭირო სამხილია?”
 - “რამდენჯერ უნდა გაგიმეორო? აქ ნათქვამია,რომ 2სექტემბერს ელენამ დაკარგა თმის ლენტა.შემდეგ მანდ ნათქვამის,რომ სტეფანმა იმ დღსვე იპოვა და შეინახა იგი. ხიდი სასაფლაოსთან ახლოს არის.ეს იმას ნიშნავს,რომ 2სექტემბერს,როდესაც იმ ბერიკაცზე თავდასხმა მოხდა სალვატორე იქ იმყოფებოდა.იმის შესახებ კი,სად იყო სტეფანი ვიკისა და ტანერზე თავდასხმის დროს ყველამ ისედაც იცის.კიდევ რა გინდა?”
 - “ სასამართლოსთვის ეს საკმარისი არ არის.იქნებ საჭიროა რაიმე დამატებითუ სამხილის პოვნა?ვთქვათ, მისის ფლაურს რომ ვკითხოთ, იმ ღამით როდის დაბრუნდა სტეფანი სახლში?”
 - “ ოხ, ეს უკვე აღარავის აღელვებს..ყველამ ისედაც იცის,რომ სტეფანი დამნაშავეა.დღიურში რაღაც “დიდი საიდუმლოს” შესახებ წერია- და არა ერთხელ,ყველა იმ წამსვე მიხვდება რა საიდუმლოზეა საუბარი.”
 - “ ხომ კარგად შეინახე დღიური?”
 - “არა ტაილერ, სასადილო მაგიდაზე დევს! შენ რა მართლა სულელი გგონივარ?”
 - “ ყოველი შემთხვევისთვის ერთი სისულელე უკვე გააკეთე” - უთხრა ტაილერმა,- რა საჭირო იყო ანონიმური წერილების გაგზავნა ელენასთვის? ფრთხილად უნდა ვიყოთ ,თორემ მიხვდება...”
 - “ და რას გააკეთება?”
 - “ პოლიციაში წავა.”
 - “ მე მაინჯე მინდა რომ შეწყვიტო ეგ ბავშვური საქციელი. ცოტაც მოიცადე და შენი თვალით ნახავ ,როგორ ჩამოდნება ყველას წინაშე ჩვენი ყინულის დედოფალი.”
 - “ და დაემშვიდობება სტეფან სალვატორეს. მისმინე ტაილერ, სტეფანს სერიოზულ ზიანს არავინ მიაყენებს ხომ?”
 - “ ვის რაში ენაღვლება? - დასცინა ტაილერმა,- ეს მე და ჩემს მეგობრებს მოგვანდე,შენ უბრალოდ შენი როლი შეასრულე კარგი?”
- კეროლანის ხმა ჩურჩულამდე დაიწია.
- “ სცადე ჩემი დარწმუნება,- მცირე პაუზის შემდეგ გაიცინა ტაილერმა. გაისმა რაღაც ხმები და ელენა ისევე გაქრა ოთახიდან,როგორც შემოვიდა- უხმოდ. დერეფანში გამოსვლის თანავე ელენა ფიქრს მიეცა. იმდენი ინფორმაცია მიიღო ,რომ რთული იყო ‘გადახარშვა’.
- ე.ი - მისმა ბავშვობის მეგობარმა კეროლანმა უღალატა და მისი მთელი სკოლის წინაშე დამცირება სურს.ტაილერმა ,რომელიც ცხოვრებისეულ იდიოტად მიაჩნდა, მიზნად დაისახა სტეფანის ქლაქიდან გამევეება ან მით უარესი- მოკვლა. და ყველაფერზე საზარელი ის იყო , -რომ ამ ყველაფერში მის დღიურს იყენებდნენ.
- ახლა ელენამ გაიგო იმ სიზმრის არსი ,რომელიც წინა ღამით ნახა. სტეფანი გაბრაზებული უყურებდა მას და შემდეგ ფეხებში რაღაც წიგნს უგდებდა და მიდიოდა.
- არა, უბრალო წიგნი კი არა - მისი დღიური იყო.ეს დღიური ისეთ სამხილს მოიცავდა,რომელიც სტეფანისთვის გადამწყვეტი იყო. ფელს-ჩიორჩში სამი თავდასხმა იყო და სამივე ჯრ სტეფანი სადმე მახლობლად იმყოფებოდა.
- ელენას სიმართლის თქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა. და მაინც რას იტყოდა?
- “სტეფანი უდანაშაულოა.ნამდვილი მკვლელი მისი ძმა დეიმონია,რომელმაც იცის როგორ ეზიზღება სტეფანს ტკვილისა და სიკვდილზე ფიქრი.დეიმონი თან სდევს ძმას და კლავს

ხალხს,რათა სტეფანს ეგონოს რომ ამ ყველაფერს თავად ჩასდის.ესდემონი ახლა ქალაქშია- ეძებთ სასაფლაოსა და ტყეში. მაგრამ მხოლოდ ყმაწვილს ნუ ეძებთ,რადგან მას შავ ყვავად გადაქცევა შეუძლია. ხო მართლა, იგი - ვამპირია.”

ამის თქმა მხოლოდ დაცინვას და ზედმეტ ყურადღებას მოიქცევს,ამას არავინ დაიჯერებს.კისრის არეში ტკივილმა გაახსენა, რომ ეს სინამდვილე იყო.

დემონი.ყველაფერში ის იყო დამნაშავე, დღიურის ამბავს თუ არ ჩავთვლით- ეს ელენას სინდისზეა. ამდენი რომ არ დაეწერა სტეფანი შესახებ და სკოლაში რომ არ ეტარებინა ეს დაწყველილი დღიური.....

ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა- დღიურის დაბრუნებაა.

ზარი გაისმა. ელენას არ ეყო დრო რომ სასადილოში დაბრუნებულიყო და ბონისა და მერედიტისთვის ყველაფერი მოეყოლა, ამიტომ შემდეგ გაკვეთილზე გაემართა, თან აშკარად გრძნობა ბოროტ თვალებს, რომლებიც მას ბოლო დროს სულ დასდევდნენ.

ისტორიის გაკვეთილზე არ ეყო ძალა რომ კეროლანის გამოხედვებისაგან თავი შეეკავებინა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეგრძნობინებინა, რომ ყველაფერი იცოდა. ალარიხმა რაღაც იკითხა მეტტსა და სტეფანზე, რომელის უკვე მერემდენე დღე იყო სკოლას აცდენდენ, და როდესაც ყველამ ელენას შეხედა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ის არ ენდობოდა ამ ბავშვური ღიმილის მქონე კაცს, რომელსაც თაფლისფერი თვალები ჭონდა და ძალიან იზიდავდა მისტერ ტანერის სიკვდილი. ხოლო ბონი , რომელიც მიშტერებოდა ალარიხს ვერაფრით ვერ დაეხმარებოდა მას.

გაკვეთილის მერე ელენამ დაილოგის ნაგლეჯი მოისმინა სიუ კარსონის მონაწილეობით. —ეხა არდადეგები აქვს, რომელიღაცა უნივერსიტეტიდან,—დამავიწყდა რომელი უნივერსიტეტია..

ხმის ამოუღებლობა ელენასთვის წარმოუდგენელი იყო. მოზრუნდა და პირდაპირ სიუს და მის თანამოსაუბრეს საუბარში ჩაეჭრა.

—შენს ადგილას, — რეკომენდაცია გაუწია სიუს, — დამონისგან თავს შორს დავიჭერდი. სერიოზულად.

პასუხად კი გაცეხული და მორიდებული სიცილი მიიღო. სიუ ერთერთი იმ ცოტა გოგონათაგანი იყო სკოლაში, რომელთან ელენასთან ურთიერთობის არ ეშინოდათ. მაგრამ სახის გამომეტყველებით მიხვდებოდით, რომ აშკარად შეცვალა დამოკიდებულება.

—გინდა თქვა რომ , — ყოყმანით თქვა სიუმ, — რომ ისიც შენი აღმზრდელია? ქვეშაა? თუ.. ელენას სიცილი მოულოდნელი იყო.

—იმას ვგულისხმობ რომ საშიშია, — დაიღრინა მან. — და არ ვხმურობ.

გოგოები მას ჩუმად უყურებდნენ. ელენა მკვეთრად მოზრუნდა ქუსლებზე და ისინი უხერხული სიტუაციისაგან იხსნა, რომელიც შეიძლება მომდევნო პასუხით პროვოცირებული ყოფილიყო.

ბონი ალარიხის მოყვარულთა ფან კლუბიდან წამოიყვანა და მერედიტის კარადისაკენ გაემურა. —სად მივდივართ? ვფიქრობდი რომ კეროლანთან საუბარს ვაპირებდი.

—უკვე აღარ ვაპირებთ, — გამოეპასუხა ელენა. — მოითმინე სანამ სახლამდე მივალთ, მერე ყველაფერს მოგიყვები.

—უბრალოდ ვერ ვიჯერებ ამას, — თქვა ბონიმ,ერთი საათის მერე. — იმას ვგულისხმობ რომ, შენი მჯერა, მაგრამ არა ბოლომდე. ვერ ვიჯერებ რაც კეროლანის ეხება.

–ეს ყველაფერი ტაილერია, – დააზუსტა ელენამ. – შორსგათვლილი გეგმები ზუსტად მან შეადგინა. ეს იმ ჩვენ საუბარს მახსენებს, სადაც ვთქვით, რომ მამაკაცებს არ იზიდავთ დღიურები.

–უნდა ვაღიაროთ ის, – ჩაერთო მერედიტი.– მისი წყალობით დრო დამფუძნებლების დღემდე გვაქვს (День основателей), რათა თუნდაც რაიმე მოვიმოქმედოთ. და რატომ ამბობ რომ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დამფუძნებლების დღეს?

–რადაც აქვს ტაილერეს ფელებზე.

–მაგრამ ეგენი ხომ ყველანი მკვდრები არიან, – აღნიშნა ბონიმ.

–როგორც ჩანს ტაილერისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ვიხსენებ როგორ ლაპარაკობდა რადაცას სასაფლაოზე იმ დამეს, როდესაც მისი წინაპრების საფლავებს ვათვალიერებდით. ტაილერი თვლის რომ, ფელებმა მის წინაპრებს მოჰპარეს უფლება ყოფილიყვნენ ქალაქის დამაარსებელი. –რადაც ამდაგვარი.

–მომისნიმე ელენა, – სერიულად მიმართა მერედიტმა,– იქნებ არის რაიმე კიდევ დღიურში რამაც შეიძლება ავნოს სტეფანს?

–ეს არ არის საკმარისი? – ელენა ცუდად გრძნობდა დაქალის უმოძრაო თვალებით დაჟინებულ მზერას. არ ესმოდა თუ რას ეკითხებოდა მერედიტი.

–საკმარისია იმისთვის რომ სტეფანი გახდეს იძულებული ქალაქიდან გაიქცეს, როგორც ისინი ამბობდნენ– ჩაერთო ბონი.

–საკმარისია იმისთვის რომ ჩვენს წინაშე აუცილებლობა გახდეს, რომ კეროლინს დღიური წავართვათ, – თქვა ელენამ. – ერთადერთი კითხვა – როგორ?

–კეროლინმა თქვა, რომ, მან დღიური საიმედო ადგილას დამალა. ალბათ სახლი იგულისხმება.

– მერედიტმა ქვედა ტუჩზე იკბინა. – მისმინეთ, მისი ერთადერთი ძმა მერვე კლასელია არა?! დედამისი კი არ მუშაობს და ხშირად დადის შოპინგზე როანოუკზე. არ იცით, მათ ჯერ კიდევ ყავთ მოასმსახურე?

– და რა? – დაინტერესდა ბონი. – რა მნიშვნელობა აქვს?

– ნუ ხომ არ გვსურს, რომ ვინმემ მოგვისწროს როდესაც სახლს გაეჩხრიკავთ?

–სანამ რას ვიზამთ? – აღშფოთება ვერ დამალა ბონი. – კარგი რა, ამას სერიოზულად ხომ არ ამბობ?

–და რა უნდა ვქნათ? უბრალოდ ვიჯდეთ და დამფუძნებელთა დღეს დაველოდოთ? და მივცეთ კეროლინს ელენას დღირის წაკითხვა მთელი ქალაქის წინაშე? მან ის უპრობლემოდ მოიპარა, პირდაპირ შენი სახლიდან! დღიური უბრალოდ უნდა დავიბრუნოთ, – ცივად გადმოსცა მერედიტმა.

–დაგვიჭერენ და სკოლიდან გაგვირცხავენ. საერთოდ ციხეში თუ არ ჩავსვავს. – მუდარით ბინი ელენას მიუბრუნდა. – გთხოვ უთხარი!

–ნუ–უ... – მსგავსმა პერსპექტივმა ელენაშიც კი აღზრა გარკვეული ყოყმანი.

და მას უფრო ანერვიულებდა ის აზრი კი არა რომ სკოლიდან გარიცხავდნენ ან ციხეში ჩასვამდნენ, არამედ ის რომ დანაშაულის ადგილზე დაიჭერდნენ. მისსის ფორსის ამაყი და ბრაზით სავსე სახე თვლანაწინ ამოუტივტივდა. შემდეგ კი კეროლინის მოღმირაი სახე წარმოიდგინა, სანამ მისსის ფორსის ბრაზს ელენაზე ანთხევდა.

თან სახლში შეჭრა, იმისათვის რომ გაეჩხრიკათ იქაურობა, ძალიან.. ძალიან არასწორი იყო. ეს კანონის დარღვევა იყო. ელენა ძალიან გაბრაზდებოდა ვინმეს მისთვის ასეთი რამ რომ გაეკეთებინა.

მაგრამ მას ასეთი რამე უკვე გაუკეთეს. კეროლანის ბონის სახლში შეიჭრა, და მას ეხლა ხელში ელენას ყველაზე პირდაული ნივთი ეჭირა.

–მოდით, მაინც ვქნათ ეს, – ჩუმად თქვა ელენამ. – მაგრამ ძალიან ფრთხილად.

–იქნებ განგვეხილა მაინც, –თქვა ბონიმ და მზერა მერედიტისი კონცენტრირებული სახიდან ელენესაზე გადაიტანა.

–არაფერზეა აქ სასაუბრო.ჩვენთან ერთად წამოხვალ, – მკაცრად უთხრა მერედიტმა, – ხომ მოგვეცი პირობა, – ისევ მოუჭრა სიტყვა, როდესაც შეამჩნია რომ ბონი წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა

–მაგრამ ის ფიცი სისხლზე, მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ელენას დაეხმარებოდიო სტეფანის დასაპყრობად! – წამოიყვირა ბონიმ.

–გაიხსენე,–აღნიშნა მერედიტმა. – შენ დაიფიცე რომ ყველაფერში დაეხმარებოდი ელენას, სტეფანთან დაკავშირებით. მანდ არსად არ იყო ნახსენები, რომ ფიცი გაუქმდებოდა, როდესაც სტეფანი ელენასი გახდებოდა.

ბონის პირი უმოწყალოდ გაიღო. მან ელენას შეხედა, რომელიც ძლივს იკავებდა სიცილის.

–სიმართლე, – საზეიმოდ გამოაცხადა ელენამ. – და შენთვისონ თქვი : „სისხლზე ფიცი ნიშნავს რომ, შემ მოგიწევს მისი დაცვა, ნებისმიერ სიტუაციაში.“

ბონიმ პირი დამუწა და წინ ყბა გამოწია.

–კი, მართლა, – უწყურად დათანხმდა ის. – უკვე მთელი ცხოვრება ვალდებული ვარ, გავაკეთო ყველაფერი რასაც მოუწოდებებს ელენა, სტეფანთან დაკავშირებით. მშვენიერია.

– ბოროტად არ გამოვიყენებ თქვენს დახმარებას, –თქვა ელენამ. – და ამას გპირებდებით. ვფიცავ

..

–არ გინდა! – იყვირა მერედიტმა, და მოულოდნელად დასერიოზულდა, – არ გინდა, შემდეგ შეიძლება ინანო.

– შენც წინასწარმეტყველებებით დაკავდი? –დაინტერესდა ელენა, შემდეგ კი იკითხა : – და ვაპირებთ თუ არა კეროლანის სახლის გასაღების დათრევას?

.

9 ნოემბერი, კვირა

ჩემო ძვირფასო დღიურო!

მაპატიე, რომ ამდენი ხანია არ დამწერია. ბოლო დროს ან ძალიან დაკავებული ვიყავი ან ძალიან მოდუნებული, რომ დამეწერა რამე.

ან ერთი ან მეორე..

თან ამ მოხდარის შემდეგ საერთოდ მეშინია დღიურის ქონდა. თან ვინმე მჭირდება რომ მივმართო, რადგან დედამიწის ზურგზე არცერთი ცოცხალი არსება არ არის, რომელთანაც შევძლებდი გულდია ლაპარაკს.

ბონი და მერედიტი ვერ გაიგებენ სიმართლეს სტეფანზე. სტეფანი ვერ გაიგებს სიმართლეს დამონზე. დეიდა ჯუდიტმა კი საერთოდ არაფერზე არ უნდა გაიგოს. ბონიმ და მერედიტმა იციან კეროლანზე და დღიურზე. სტეფანმა არა. სტეფანმა იცის ვერბენაზე, რომელსაც ყოველდღე ვიყენებ : ბონიმ და მერედიტმა არ იციან, მაგრამ ორივეს მივეცი პატარა ტომსიკები. ერთით კარგია, ვერბენა, როგორც ჩანს მოქმედებს. ყოველშემთხვევაში ლუნატიზმის შემთხვევები აღარ გადამხდენია თავს იმ ღამის შემდეგ. მაგრამ ტყუილი იქნება , რომ ვთქვა დამონზე სიზმრები აღარმინახავსო. ის აუცილებლად არის ჩემი ღამის კომმარების მონაწილე.

ეხლა ჩემი ცხოვრება არის სავსე ტყუილით და მე მჭირდება ის ვისთანაც შემეძლება ყველაფერის გაზიარება. ვალდებული ვარ დღიური საკუჭნაოში ცალფიცრების ქვემოთ დავმალო, და ვერავინ

ვერ იპოვეს თუნდაც რომ მოვკვდე და ჩემი ოთახი ჩემი ნივთებისაგან დაცალონ. შეიძლება ერთდრს მარგარიტას ერთერთი შვილიშვილი იქ ითამაშებს შემთხვევით გამოწვევს ცალფიცარს და მანდ დღიურს იპოვის, მაგრამ მანამდე მას ვერაფერ ვერ იპოვის.

დღიური – ჩემი მთავარი საიდუმლო

არ ვიცი, რატომ ვფიქრობ ამდენს სიკვდილზე. მაგრამ ეს პუნქტი ბონისთვის უფრო დამახასიათებელია, მხოლოდ ის ფიქრობს რომ სიკვდილი შეიძლება რომანტიული იყო. ნამდვილად ვიცი თუ სინამდვილეში რას გავს სიკვდილი – სულაც არ იყო რომანტიული ჩემი მშობლების სიკვდილი. ამაზე პესიმისტური გრძნობა ცხოვრებაში არ განმიცდია. მინდა დიდი ხანი ვიცხოვრო, გავთხოვდე სტეფანზე(მაგასაც ვნახავთ, ავტ.შენიშვნა) და ვიყო ბედნიერი. ყველა ჩვენი პრობლემის ფესვები ჩვენშია.

მართლა, არის ხოლმე მომენტები როდესაც ვშინდები და საკუთარი თავის რწმენას ვკარგავ. და კიდევ არის სხვადასხვა დეტალები რომელიც მე ძალიან მაღიზიანებს. მაგალითად, რატომ ატარებს სტეფანი ჯერ კიდევ ყელზე კატრინას ბეჭედს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მე ვუყვარვარ. და რატომ არ უთქვას ერთხელაც რომ ვუყვარვარ, მიუხედავად ამისა, ზუსტად ვიცი რომ ეს ასეა.

მაგრამ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდება. ყველაფერი უბრალოდ თავის ადგილას უნდა დადგეს. შემდეგ კი მე და სტეფანი ერთად ვიქნებით და არაფერი არ შეგვიშლის ხელს. არაფერი არ არის რაც ჩვენს ბედნიერებას ხელს შეუშლიდა. არაფერი არ არის რაც ჩვენს ბედნიერებას ხელს შეუშლიდა. არაფერი არ არის...

ელენამ კალამი გადადო და შეეცადა თავის ნაწერზე მოეხდინა კონცენტრაცია. მაგრამ ნაწერები მის თვალწინ ბუნდოვანი გახდა, და რვეული სასწრაფოდ დახურა, სანამ ცრემლი ნაწერზე დაეცემოდა. შემდეგ საკუჭნაოსთან მივიდა ცალფიცარი ფრჩხილების ქბილით აწია და დღიური მის ქვეშ ამოღო.

ფრჩხილები ქლიბი ერთი კვირის მერეც ჯიბეში ქონდა, როდესაც ის, ბონი და მერედიტი კეროლაინის სახლის უკანა კარებთან იდგნენ.

–ჩქარა, – გატანჯული სახით თქვა ბონიმ, და ისეთი სახით დაათვალიერა ეზო, ვითომდაც ესეც იყო რაღაც თავს დაესხმოდა მათ. – მიდი, მერედიტი!

–აი, – ამოისუნთქა მერედიტმა, როდესაც გასაღები როგორც იქნა გადმოტრიალდა ინგლისურ კლიტეში და კარის ხელი დანებდა. – ჩათვალეთ რომ უკვე ადგილზე ვართ.

– და დარწმუნებული ხარ რომ, მანდ არავინაა? მომისმინე ელენა, იქნებდა უფრო ადრე დაბრუნდნენ, ვიდრე ჩვენ გვგონია? დღის შუქზე რატო არ გაგვეკეთბინა ეს ყველაფერი?

– კარგი რა ბონი. იქნებდა შეხვიდე? ისედაც გვეყოფა სანერვიულო. დღისით აქ ყოველთვისაა მსახური ქალი. და დღეს სადამოს ფორბსები ადრე არ დაბრუნდებიან, შეზღუდისში ვინმე ცუდად თუ არ გახდა. მიდი შედი! – უჯიკა ელენამ.

– არავინ არ გაბედავს აღიარებს რომ ცუდად გახდა მისტერ ფორბსის დაბადებისდღის აღსანშნავ სადამოზე, – თქვა მერედიტმა, და ბონის დამშვიდება ცადა, როდესაც როგორც იქნა სახლში შევიდა. – სრულიად უსაფრთხოდ ვართ.

– თუ ფორბსებს საკმარისი თანხა აქვთ მდიდრულ რესტორნებში ივანშმონ, უსაფრთხოებისთვის რამოდენიმე ნათურას დატოვებდნენ ანთებულს. –შეამჩნია ბონიმ, რომელიც ვერაფრით ვერ მშვიდდებოდა.

ელენა გულის სიღრმეში ეთანხმებოდა მეგობარს. შიშით და უცნაურად ბოდილისხვის სახლში არ იყო ნორმალური. გული ფეთქავდა, სანამ კიბებზე აღიოდნენ.

ელენას ხელი, რომელშიც ელექტრო ფანარი ეჭირა ოფლიანი და სველი გახდა. მაგრამ ფიზიკური პანიკის მიუხედავად, ელენას გონება ფხიზლად და წყნარად მუშაობდა.

დასამალი ადგილი ალბათ საძინებელში იქნება – გადაწყვიტა მან.

კეროლაინის ოთახიდ ფანჯარა ქუჩაზე გამოდიოდა, და ეს იმას ნიშნავდა, რომ, სამ მეგობარს უსაფრთხოების ზომები უნდა დაეცვა ფანართან დაკავშირებით. ერთი საქმეა ვიღაცის ოთახის გაჩხრეკვის დაგეგმვა. და მათ არც იცოდნენ საიდან დაეწყოთ. რაიმეს შეხებასაც კი უფრთხილდებოდნენ, მერე რომ კეროლაინს არ აღმოეჩინა.

მისი ორი მეგობარიც სრულ უმოძრაობაში იყო.

– იქნებდა უბრალოდ დავბრუნდეთ სახლში? – ჩუმიად შეიხვეწა ბონიმ.

და ამ შემთხვევაში მერედიტმა არ გაუწია წინააღმდეგობა.

– უნდა ვცადოთ. უკიდურეს შემთხვევაში ვცადოთ მაინც, – ამოისუნთქა ელენამ, რომელიც მისი დაკონსერვებული ხმით იყო შოკირებული.

B

მაღალი კომიდის თარო გამოწია და ფანარი უმაღლესი ხარისხით საცვლებს მიანათა. ნელა შეეხო და დარწმუნდა რომ მანდ არაფერი წიგნის მაგვარი არ იყო. შემდეგ ოდნავ არეული ნაწილი გაასწორა და თარო დახურა.. და ამოისუნთქა.

– ყვეალფერი არც ისე რთულია, – მხიარულად წარმოტყვა ელენამ, – მხოლოდ გვჭირდება რამოდენიმე სექციად დავყოთ ოთახი, და ძებნა დავიწყოთ, ნებისმიერ თაროსადა და კარადაში. ყველა ნივთი სადაც შეიძლება დღიური იყოს.

ელენამ თავისთვის გარდერობი აირჩია და ცალფიცრები გასინჯა თავისი ფრჩხილის ქლიბით.

მაგრამ ყველა ფიცარი მყარად იყო დამაგრებული. კედლებზე ბრაზუნმაც ვერაფერი ვერ გამოიღო. ტანსაცმელში ქექვისას ელენამ აღმოაჩინა რამოდენიმე ნივთი, რომელიც კეროლაინმა მისგან ითხოვა წინა წელს. მოუნდა ნივთების უკან დაბრუნება, მაგრამ ამის გაკეთება რატემაუნდა არ შეეძლო. ტუფლების და ჩანტების თვალთვალბამაც არაფერი არ გამოიღო. შედეგი იგივე იყო როდესაც სკამზე დადგა და კარადის თავი დაათვალიერა.

მერედიტი იატაკზე იჯდა და ფუმფულა სათამაშო ცხოველებს ათვალიერებდა, რომლებიც ზარდახმაში ეყოდა კეროლაინის სხვა ბავშვობის ნივთებთან ერთად. ლამაზი გრძელი თითებით თოჯინებს ხელს უსვამდა და მატერიალში სიმყარეს ეძებდა. როდესაც ფუმფულა პუდელს მიადგა ცოტა შეყოყმანდა.

– ეს ხომ მე ვაჩუქე, – ჩაიჩურჩულა. – 10 წლის როცა გახდა. ვფიქრობდი რომ დიდი ხანია გადააგდო.

ელენას არ შეეძლო მისი თვალების დანახვა – მერედიტის ფანარი პუდელზე იყო მიმართული. მაგრამ გადასარევად იცოდა თუ რას განიცდიდა თავისი მეგობარი.

– მასთან შერიგებას ვცდილობდი, – არახმამალა თქვა ელენამ – მართლა მერედიტ, ჯერ კიდევ მოჩვენებების სახლში. მაგრამ კეროლაინმა უბრალოდ მითხრა, რომ არასოდეს არ მაპატიებდა იმ სამარცხვინო საქციელს. სტეფანი რომ წავართვი. ვფიქრობდი რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, მაგრამ მან საშუალებაც არ მომცა.

– ანუ ომი!

– კი, ომი. – მშვიდად თქვა ელენამ.

უემოციოდ უყურებდა, თუ როგორ გადადო მერედიტმა პუდელი და მორიგი სათამაშო აიღო. შემდეგ კი საკუთარ საქმეს მიუბრუნდა.

მაგრამ გარდერობზე უკეთ ვერ კომოდში ვერ ქნა ვერაფერი. ყოველი წამის შემდეგ თავს უფროდაუფრო უხერხულად გრძნობდა. რატომღაც ეჩვენებოდა რომ ფორბსების მანქანა სახლს უახლოვდებოდა.

–აზრი არ აქვს, – ამოიოხრა მერედიტმა, რომელიც კეროლანის მატრასის ქვეშ დაძვრებოდა. ალბათ დამალა ... ასე– ასე, ერთი წამით. იქ რაღაც არის. კუთხეს შევხეხე. წამით გაყინულნი ბონი და ელენა ოთახის სხვადასხვა კუთხეებიდან მიშტერებოდნენ მერედიტს.

–არის, ვიპოვე! ელენა, ეს დღიურია!

ელენას გულზე მოეშვა, და თავი დაკუჭულ ქაღალდად იგრძნო, რომელიც ვიღაც კეთილმა საკუთარი ხელით გაასწორა. იცოდა რომ სტეფანთან არაფერი საშინელება არ გადახდებოდა, არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ ვერ მოხდებოდა. ცხოვრება ვერ იქნებოდა ასეთი სასტიკი – არა, ელენა გილბერტის მიმართ არა! აწი ყველაფერი კარგად ექნებათ.

მაგრამ მერედიტის ხმა იმედეგაცრუებით აივსო.

– ეს მართლა დღიურია. მაგრამ მწვანეა, და არა ლურჯი. ეს ის არ არის!

–რა?

ელენამ სტაცა ხელი დღიურს და ფანარი მიანათა, თითქოსდა სინათლის ძალით აძალებდა ზურმუხტისფერ მწვანე ფერს ლურჯი საფირონის ფერი გამხდარიყო. ზუსტად ისეთივე დღიური იყო როგორც მას, მაგრამ სხვა ფერის.

– ეს კეროლანის დღიურია, – შტერულად თქვა ელენამ, თან ჯერ კიდევ არ სურდა დაჯერება.

ბონი და მერედიტი ერთად იდგნენ. ჯერ დახურულ დღიურს შეხედეს მერე ერთმანეთს.

–მანდ შეიძლება რამე მინიშნება იყო, – ნელა თქვა ელენამ.

– სამართლიანი იქნებოდა, – დაეთანხმა მერედიტი.

მაგრამ მხოლოდ ბონიმ გაბედა წიტელი წიგნაკის გადაშლა.

ბონის მხრიდან ელენამ გადახედა კეროლანის ხელწერას, პირიქით დახრილი და წვეტებიანი ასოებით იყო, კვადრატული ასოები მუქ ლილისფერ ფურცელზე. თავიდან თვალებს არ შეეძლოთ ფოკუსირება, მაგრამ შემდეგ ერთი სახელი გაარჩია. ელენა.

– მოიცადეთ, რა არის ეს?

ბონი, ერთადერთი იყო, რომელსაც ტექსტის გარჩევა შეეძლო. ჩუმად ამოძრავებდა ტუჩებს. შემდეგ კი ჩაიქშინა.

–ერთი ამას მოუსმინეთ, – თქვა როგორც იქნა ბონიმ და ტექსტიდან ფრაგმენტი წაიკითხა :

– „ელენა ყველაზე ეგოისტური პერსონაა, რომელსაც ოდესმე შევხვედრე. ყველას გონია, რომ ის უმაღლეს დონეზე მშვიდი და თავდაჯერებული, მაგრამ სინამდვილეში ეს სიცივეა. საშინელი საყურებელია, თუ როგორ ეკვრის მას ხალხი, და ტან ვერ ხვდებიან, რომ ელენას ყველასთვის მიუფურთხებია, არავინ ადარდებს საკთარი თავის გარდა?“

– და ამას ამბობს კეროლანი? როგორ ბედავს ამის თქმას? – და ელენამ ვერ შეძლო სიწითლის დამალვა. თითქმის იგივე უთხრა მეტმა, როდესაც ელენამ მიატოვა და სტეფანისკენ გაეშურა.

– გააგრძელე, კიდევაა აქ რაღაც, – შესთავაზე მერედიტმა, და მუჯლუგუნი კრა, რომელმაც შეურაწყოფილი ხმით განაგრძო:

–„ბოლო დროს ბონიც აუტანელი გახდა. ყოველთვის ცდილობს გამოჩნდეს საჭირო პერსონად. ამ წელს გადაწყვიტა მედიუმად თავის მოჩვენება, რომ, სხვებმა ყურადღება მიაქციონ. მართლაც რომ მედიუმი იყოს, მიხვდებოდა, რომ ელენა უბრალოდ იყენებს მას.

ამას უხერხულმა სიჩუმემ მოზღია, და შემდეგ ელენამ იკითხა:

– მორჩა?

– არა, აქ არის ცოტა რამ მერედიტზეც.

„მერედიტი არაფერს არ აკეთებს, რომ ეს მასხარაობა შეაჩეროს. სინამდვილეში, საერთოდ არაფერს არ აკეთებს : მხოლოდ მეთვალყურეობს. ჩანს, რომ საერთოდ არ შეუძლია მოქმედება, მხოლოდ ათასგვარ სისულელეზე საუბრობს. თან გავიგე როგორ საუბრობდნენ ჩემი მშობლები მის ოჯახზე – არაა გასაკვირი, რომ მერედიტი არასდროს არ ახსენებს მათზე“ მერედიტი არც განძრეულა, და მუქ სინათლეში ელენამ მხოლოდ მისი კისერი და ყბა დაინახა. როგორც იქნა მერედიტმა ჩუმად ამოღერდა

–რაზე?

–ამას არ აქვს მნიშვნელობა, გააგრძელე ბონი, რამე მოძებნე ელენას დღიურის შესახებ.

– სადღაც 18 ოქტომბრის ჩანაწერები ნახე. ზუსტად იმ დღეს მოიპარეს, – გააგრძელა ელენამ, და სხვა კითხვები თავიდან მოიცილა. მათ მერედიტს სხვა დროს დაუსვამს.

არავითარი ჩანაწერი 18 ოქტომბერზე და შემდეგ ვიქენდზე დღიურში არ აღმოჩნდა. ბოლო კვირებში კეროლაინი ძალიან ცოტას წერდა. და არცერთი ამ სამეულიდან მეტჯერ ნახსენები არ იყო.

– მორჩა, – შეაჯამა მერედიტმა, და საწოლზე დაჯდა, – ეს დღიურს აზრი აღარ აქვს. მხოლოდ თუ შანტაჟირები არ გვინდა . ანუ – არავის არ ვაჩვენებთ კეროლაინის დღიურს, თუ ის არ აჩვენებს შენსას.

თავიდან იდეა მიმზღიველი ჩანდა, მაგრამ ბონი ეგრევე უპოვა ნაკლი.

– მაგრამ აქ არაფერი არ არის ცუდი კეროლაინზე, მხოლოდ წუწუნი სხვებზე. ძირითადად ჩვენზე. დარწმუნებული ვარ, კეროლაინს ძალიან მოეწონებოდა ის ფაქტი რომ, დღიურს მთელი სკოლის წინაშე წაიკითხავდნენ, ეს მისი განდიდების დღე იქნებოდა.

– და რა ვუყოტ მას?

–ადგილზე დავაბრუნოთ, – დაღლილი ხმით თქვა ელენამ, და ფანარი ბნელ ოთახში შემოატარა. და მოეჩვენა რომ ძეზნის მერე ოთახში ყველაფერი სხვანაირად გამოიყურებოდა. – უბრალოდ უნდა გავაგრძელოთ სიმულიანტობა, თითქოსდა არვიცი, რომ კეროლაინს აქვს დღიური. და რაიმე შანსის იმედი გვქონდეს.

–კარგი, – დათანხმდა ბონი. თან დღიურს ფურცლავდა, და შიგადაშიგ ჩაიფრუტუნებდა ხოლმე.

– არა უბრალოდ მოუსმინეთ! – წამოიღვირა აღშფოთებით.

– დრო არ არის! – ეცა ელენა.

გაგრძელებას აპირებდა, როდესაც საუბარში მერედიტი ჩაერთო, მისი ტონი ისეთი მკვეთრი იყო, რომ უმალ მიიპყრო დაქალების ყურადღება.

–მანქანა!

გოგონებს მხოლოდ ერთი წამი დასჭირდათ, დარწმუნებისათვის, რომ გზაზე ფორბსების მანქანა გამოჩნდა. ბონის თვალები და პირი დამგვრალდა, ლოგინჯე მჯდომიარე დღიურით ხელში, პარალიზებული გეგონებოდა.

– წავედით, – ბრძანება გასცა ელენამ, და ბონის დღიური წაართვა – მიდით! გამორთეთ ფანრები. უკანა კარისაკენ!

მაგრამ უკვე ისინი თვითონ მოძრაობდნენ. მერედიტი წინდაწინ ბონის მიათრევდა. ელენა ჩქარა დაეშვა მუხლებზე და მატრასი აწია. მეორე ხელით დღიური ადგილზე შეაცურა. ზამბარები ელენას ხელზე დაენცო, როდესაც ხელი ორსაწოლიან მატრასში მოყვა. რამოდენიმეჯერ დღიური უფრო შორს გაწია, წამოდგა და გადასაფარებელი გაასწორა.

გასვლის დროს, ელენამ ნერვიულად გადახედა ოთახს. რაიმეს შესწორების დრო აღარ იყო. როდესაც ჩუმი სიჩქარით კიბისაკენ გაემშურა, შემოსასვლელში გასადების გადატრიალების ხმა გაიგო.

შემდეგ რაც მოხდა, ძალიან გავდა კომმარულ დამალობანას. ელენა არაჩვეულებრივად ხვდებოდა, რომ სპეციალურად მას არავინ მოსდევდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი შეგრძნება ქონდა, თითქოსდა ფორბსების ოჯახს გადაწყვეტილი ქონდა, მისი აღმოჩენა. როდესაც კიბისკენ მობრუნდა, ხმებმა და სინათლემ დერეფანი აავსო. ელენა სახლის პატრონებს გაექცა, და კორიდორში უკანასკნელ კარებში შევარდა, მაგრამ მათ თითქოსდა იცოდნენო, იქითკენვე აიღეს გეზი. ფორბსებმა კიბეების მოედანი გადალახეს და მთავარ საძინებელს მიადგნენ. შემდეგ ელენამ მომდევნო სააბაზანოსკენ შეტრიალდა, მაგრამ კარის ქვეშ სინათლის სხვისი დაინახა, რომელმაც გადარჩენის გზა გაუქრო.

ელენა ხაფანგში აღმოჩნდა. კეროლაინის მშობლებს შეეძლოთ ნებისმიერ წამს შემოსულიყვნენ ოთახში. როდესაც ორიანი კარი დაინახა ბალკონზე გამვალი, იმ წამსვე მიიღო გადაწყვეტილება. გარეთ ჰაერი სუფთა იყო. იხრჩობოდა და გრძნობა, თუ როგორ უშვებდა ცხელ ჰაერს პირიდან. ოთახში რომელიც უკან მოიტოვა, უცბად შუქები აინთო, და აივნის მარცხენა მხარეს გაიწია, თან შეეცადა დარჩენილიყო შეუმჩნეველი. შემდეგ კი ისეთი ხმა გაიგო, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდა : აივნის კარის სახელურმა დაიტკაცუნა, ფარდები ოთახში შეფრიალდა.

ელენამ შიშით მიიხედ მოიხედა. გადახტომისთვის ძალიან მაღლა იყო, ხოლო ალპინისტური დაშვებისთვის კი, არავითარი გამოზნექილი ადგილი ან საფეხურები არ იყო. დარჩა მხოლოდ სახურავი, მაგრამ იქაც ვერაფრით ვერ ამვრებოდა. მაგრამ ინსტიქტმა აიძულა შეეცადა, და აივნის ზღუდეზე აღმოჩნდა და ტავს ზემოთ რაიმე საჭიდს ეძებდა, როდესაც თხელი ფარდების ფონზე ჩრდილი გამოჩნდა. ვიღაცის ფიგურა ეგრევე გამოჩნდა აივანზე, როდესაც ელენამ იგრძნო, რომ ზევით მიმართულ ხელებში ვიღაცა მოეჭიდა და მაღლა ასწია. მექნიკურად ფეხებით ტანს უბიძგა და შემდეგ წამს უკვე ყავარულ სახურავზე იდგა. არეული სუნთქვის დამშვიდებაში იყო, როდესაც თავის გადამრჩენელს შეხედა და ფერი წაუხდა.

-ჩემი გვარი-სალვატორე,გადამრჩენელს ნიშნავს. -თქვა მან და წამიერად სიბნელეში მისმა თეთრმა კბილებმა გაიელვა.

ელენამ დაბლა ჩაიხედა. სახურავის ნაპირი აივანს ფარავდა მაგრამ იმ დახშული ხმებით რაც გაიგონა ელენა მიხვდა მას არავინ ეძებდა, არც მისი კომპანიონის ნათქვამისთვის მოუკრავს ვინმეს ყური. ერთი წუთის შემდეგ კი ფრანგული სტილის ფანჯრების დახურვის ხმა გაისმა.

-მე მეგონა შენი გვარი სმიტი იყო. -თქვა ელენამ, თუმცა ისევ დაბლა სიბნელეში იყურებოდა.

დეიმონმა გაიცინა. მისი სიცილი საოცრად მომაჯადოებელი და გადამდები იყო და არა სტეფანის სიცილივით დანაშაულის გრძნობით გაჟღენთილი. ელენას ყვავის შავ ფრთებზე ცისარტყელის ფერების ელვარება გაახსენდა.

ელენა ამით არ მოტყუვდა. რაც არ უნდა მომხიბვლელი ჩანდეს, დეიმონი წარმოუდგენლად საშიში იყო. მისი მოქნილი სხეული ჩვეულებრივ ადამიანზე ათჯერ ძლიერი იყო. მისი მუქი, ზანტად მოძრავი თვალები სიბნელეში შესანიშნავად ხედავდნენ. ლამაზი, გრძელთითებიანი ხელი, რომლითაც სახურავზე აიყვანა, გასაოცრად სწრაფად ასრულებდა ყველანაირ მოძრაობას. მაგრამ ყველაზე საშიში იყო ის, რომ დეიმონის გონება მკვლელის, მტაცებლის გონებასავით იყო მოწყობილი.

ელენა გრძნობდა როგორი განსხვავებული იყო დეიმონი შინაგანად, არაადამიანური. უკვე იმდენი ხანი შეადგენდა მისი ცხოვრების სტილს ნადირობა და მკვლელობა რომ სხვანაირად არსებობა უკვე დავიწყებული ჰქონდა. რაც მთავარია დეიმონს მოსწონდა ასე ცხოვრება, სტეფანივით არ ებრძოდა თავის ბუნებას, პირიქით ყველაფერში ემორჩილებოდა. დეიმონს სინდისის ნატამალიც არ გააჩნდა და არც არანაირი მორალი; ელენა კი ახლა, შუადამისას, ამ არსების გვერდით იყო დატყვევებული.

სწორედ ამიტომ, ელენა ჩაიმუხლა და დაწოლა ცალ ქუსლზე გადაიტანა, ასე ნებისმიერ წამს იყო მზად მოქმედებისთვის. წესით მასზე გაბრაზებული უნდა ყოფილიყო, იმისთვის რაც სიზმარში გაუკეთა. იყო კიდევაც, მაგრამ ამ წუთას სიბრაზის გამოხატვა არ ღირდა. დეიმონმა თვითონაც კარგად იცოდა როგორი გაბრაზებული იყო ელენა, ახლა მხოლოდ გაიცინებდა მის ნათქვამზე.

ელენა იჯდა და აკვირდებოდა დეიმონს, ელოდა თუ რას მოიმოქმედებდა ის შემდეგ.

დეიმონი არც კი ინძრეოდა. მისი გველებივით სხარტი ხელები ახლა მუხლებზე უძრავად იყო დასვენებული. მისი გამომეტყველება ნაცნობი იყო ელენასთვის, დეიმონმა მას მაშინ შეხედა ასე როდესაც პირველად შეხვდნენ - მოზომილი პატივისცემით. ერთი განსხვავება ის იყო, რომ მაშინ დეიმონის თვალებში გაოცებაც იკითხებოდა, ახლა არა.

-არ აპირებ რომ დამიყვირო? ან გული წაგივიდეს? -დეიმონმა მშვიდად ჩამოუთვალა შესაძლო მოქმედებები.

ელენა ისევ აკვირდებოდა მას. დეიმონი მასზე გაცილებით სწრაფი და ძლიერი იყო, მაგრამ ელენას აზრით, თუ საჭირო გახდებოდა შეძლებდა სახურავის ნაპირამდე მიღწევას სანამ დეიმონი დაიჭერდა. აივანს თუ აცდებოდა დაახლოებით ათი მეტრი ვარდნა მოუწევდა მიწამდე. ელენა მზად იყო გაერისკა, ყველაფერი დეიმონის ქვევაზე იყო დამოკიდებული. -გული არ მიმდის ხოლმე, -უპასუხა ელენამ-და ვითომ რატომ უნდა გიყვირო? ჩვენ თამაშს ვთამაშობდით, მე სულელივით მოვიქეცი და წავაგე. შენ ხომ გამაფრთხილე იმ დამით, სასაფლაოზე, შესაძლო გართულებების შესახებ.

დეიმონმა ერთხელ ჩაისუნთქა და გვერდზე გაიხედა.

-ალბათ მომიწევს ბოლოს და ბოლოს ჩემს "აჩრდილთა დედოფლად" გაქცეო. -დეიმონმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და განაგრძო: - ბევრი ცხოვრების თანამგზავრი მყოლია. შენსავით ახალგაზრდა გოგონები და ევროპის ულამაზესი ქალბატონები. მაგრამ ჩემს გვერდით მინდა მხოლოდ შენ იყო. ერთად განვაგებთ სამყაროს, რაც გვინდა და როცა გვინდა იმას მივიღებთ; ყველა მდაბალი სულიერი შენს შიშში იქნება და შენ გაგაღმერთებს. რა ეს ყველაფერი ცუდი იქნება?

-მე თვითონ ვარ ერთ-ერთი "მდაბალი სულიერი", -თქვა ელენამ-მე და შენ მტრები ვართ დეიმონ, სხვა ურთიერთობა არასოდეს გვექნება.

-დარწმუნებილი ხარ?-დეიმონმა შეხედა და ელენამ იგრძნო მისი გონება როგორ შეეხო ელენასას, თითქოს თავისი გრძელი თითებით ეფერებაო. მაგრამ ამჯერად ელენას არ უგრძვნია არც თავბრუს ხვევა, არც სისუსტე ან დამორჩილების შეგრძნება. ეს იმიტომ რომ შუადამისას, როგორც ბოლო დროს ყოველდღე აკეთებდა ხოლმე, ვერვეინით გაჟღენთილ აბაზანაში ინებივრა.

დეიმონიც მიხვდა ამას მაგრამ მარცხს ამაყად შეეგუა.

-აქ რას აკეთებ? -კითხა მან ელენას უბრალოდ.

უცნაური ის იყო, რომ ელენას სულაც არ უნდოდა და არც სჭირდებოდა მისთვის ტყუილის თქმა.

-ვეროლანმა ჩემი საკუთრება მიითვისა, ჩემი დღიური. აქ იმისთვის მოვედი რომ უკან დამებრუნებინა.

დეიმონის თვალეზში სულ სხვა გამოხედვა გაჩნდა.

-ექვცი არ მეპარება ისევ ჩემი უვარგისი ძმის დაცვას ცდილობ როგორღაც. -გალიზიანებულმა ჩაიბურტყუნა.

-სტეფანი არაფერ შუაშია!

-ოჰ, ნუთუ არა? -ელენას შეეშინდა რომ დეიმონმა იმაზე მეტი გაიგო ვიდრე მას აწყობდა რომ ბიჭს სცოდნოდა. -უცნაურია, რადგან სტეფანი ყოველთვის გარეულია ხოლმე ცუდ ამბებში. ის თვითონ ქმნის ხოლმე პრობლემებს. აი, დავუშვათ რომ ის საერთოდ გაქრეს...

ელენას სიმშვიდე არ დაუკარგავს: -თუ სტეფანს კიდევ რამეს დაუშავებ, განანებ.

დამიჯერე, დეიმონ, რაიმეს მოვიფიქრებ და მწარედ განანებ ჩადენილს.

-ჰო ვიცი, ვიცი. ესე იგი ჯერ შენ უნდა დაგიყოლიო, ხომ მართალია?

ელენამ არაფერი უპასუხა. თვითონ მიიმწყვდია საკუთარი თავი კუთხეში როცა დეიმონს მისივე სასიკვდილოდ საშიშ თამაშში აყვა, ისევე. ელენამ გვერდზე გაიხედა.

-საბოლოოდ მაინც ჩემი იქნები, ეს ხომ იცი? -წყნარად თქვა დეიმონმა, ზუსტად ისეთი ხმით როგორც წვეულებაზე უთხრა "მშვიდად, მშვიდად". მაგრამ ახლა მის ხმაში არც დაცინვა იგრძნობოდა და არც სიბოროტე, მან მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი დაასახელა. - "ხერხით ან ღონით", როგორც თქვენ ადამიანები ამბობთ ხოლმე, კარგი ფრაზაა სხვათაშორის, შენ უკვე ჩემი იქნები სანამ პირველი თოვლი დადნება.

ელენამ სცადა შინაგანი სიცივე და ჟრჟოლა დაემალა, მაგრამ იცოდა რომ დეიმონმა მაინც შეამჩნია.

-ეგ კარგია, -თქვა დეიმონმა -ცოტოდენი აზრი გქონია, მართალი ხარ ჩემი რომ გეშინია. მე ალბათ ყველაზე საშიში არსება ვარ ვისაც კი ოდესმე შეხვდები. მაგრამ ახლა მე შენთან საქმიანი წინადადება მაქვს.

-საქმიანი წინადადება?

-დიახა. მითხარი აქ დღიურის წამოსაღებად მოვედიო მაგრამ თან არაფერი გაქვს. -ცარიელ ხელეზზე მიანიშნა -ალბათ ვერ იპოვე, არა? -ელენამ არაფერი უპასუხა და მან განაგრძო: -რადგანაც შენ არ გინდა ჩემი ძმა ჩარეო ამ ამბავში, შესაბამისად ის ვერ დაგეხმარება. მე კი შემძლია დახმარება. მე დაგეხმარები.

-მართლა?

-რა თქმა უნდა... საფასურის სანაცვლოდ.

ელენა მიაშტერდა, სახეში სისხლი მოაწვა. როგორღაც სიტყვების წარმოთქმა მოახერხა, მხოლოდ ჩურჩულით.

-რის... სანაცვლოდ?

სიბნელე დეიმონის ღიმილმა გაანათა.

-შენი დროის რამდენიმე წუთი, ელენა. შენი რამდენიმე წვეთი სისხლი. მინდა ერთი საათი ან ცოტა მეტი მხოლოდ ჩემთან გაატარო.

-შე... -ელენამ საჭირო სიტყვა ვერ მონახა. ნებისმიერი სალანძღავი ეპითეტი რაც კი მოაფიქრდა დეიმონისთვის ზედმეტად რბილად ნათქვამი იყო.

-ხომ იცი, ბოლოს მაინც მივიღებ რაც მინდა, -დასაბუთების კილოთი თქვა დეიმონმა -საკუთარ თავთან მაინც იყავი გულახდილი და აღიარე. "ჩვენი ბოლო ეპიზოდი" სულაც არ იყო ბოლო და შენ ეს იცი, რატომ არ გინდა შეიგნო? -დაბალი, მაცდუნებელი ხმით გააგრძელა დეიმონმა. - დაიმახსოვრე...

-მირჩევნია ყელი გამოვიჭრა.-შეაწყვეტინა ელენამ.

-საინტერესო აზრია.მაგრამ მაგას მე უკეთ მოვახერხებ.

დეიმონი მას დასცინოდა. ყველაფერი იმის შემდეგ რაც დღეს გადაიტანა ეს ბოლო წვეთი იყო.

-საზიზღარი ხარ,იცი ალბათ- უთხრა ელენამ- გულისამრევი ხარ. -ელენა კანკალებდა და ვედარ სუნთქავდა. -მირჩევნია მოვკვდე ვიდრე შენ დაგემორჩილო,მირჩევნია...

ელენამ თვითონაც არ იცოდა ეს რატომ გააკეთა. როდესაც დეიმონის გვერდით იყო რაღაც განსაკუთრებული ინსტინქტი შეიპყრობდა ხოლმე. იმ წუთას ელენამ იგრძნო, რომ ყველაფერს გარისკავდა ოღონდ დეიმონს ამჯერადაც არ გაემარჯვა. გონების ერთი ნახევრით მან შეამჩნია, რომ დეიმონი მშვიდად იჯდა და უყურებდა მისივე თამაშში მოვლენების განვითარებას.მეორე ნახევრით ელენა ანგარიშობდა თუ რამხელაზე გასდევდა სახურავი აივანს.

-მირჩევნია ასე მოვიქცე.-წარმოთქვა ელენამ და სახურავიდან გადაეშვა.

მართალი გამოდგა.დეიმონი იმდენად გააოგნა ელენას საქციელმა საკმარისად სწრაფად ვერ იმოქმედა მის შესაჩერებლად. ელენას ფეხების ქვეშ მხოლოდ ცარიელი ჰაერი იყო და ის შიშმა მოიცვა როდესაც ნახა აივანი იმაზე შორს იყო ვიდრე ეგონა.ნამდვილად აცდებოდა.

მაგრამ ელენას დეიმონის საქციელი არ გაუთვალისწინებია.მართალია ის საკმარისად სწრაფი არ აღმოჩნდა რომ გოგო სახურავზე დაეკავებინა, მაგრამ სამაგიეროდ მის უფრო დაბლა ჩავარდნას შეუშალა ხელი,თან ისე ადვილად თითქოს ელენა არც არაფერს იწონიდა.

ინსტინქტურად ელენა სახურავის კიდეს მოეჭიდა და სცადა ერთი მუხლი აეტანა მაღლა.

დეიმონი გამძვინვარებული იყო: -შე პატარა სულელო. თუ მასე ძალიან გინდა სიკვდილი მაგის გაკეთება მეც შემიძლია.

-ხელი გამიშვი. -კბილებშუა გამოცრა ელენამ. მან იცოდა,ყოველ წამს შეიძლებოდა აივანზე ვინმე გამოსულიყო. -ხელი გამიშვი.

-აქვე და ამწუთას? -მის განუზომლად ლამაზ,შავ თვალებში რომ ჩახედა, ელენა მიხვდა დეიმონი სერიოზულად ამბობდა. თუ კი-ს ეტყოდა,ხელს გაუშვებდა და ძირს ჩააგდებდა.

-ასე ეს ყველაფერი უფრო სწრაფად დამთავრდებოდა,არ მეთანხმები? -თქვა ელენამ.მისი გული გამშაგებული ცემდა შიშისაგან, მაგრამ ის ყველანაირად ცდილობდა შიში დეიმონს არ შეემჩნია.

-მაგრამ როგორ დანაკარგი. -დეიმონის ერთი მოძრაობა და ისინი სამშვიდობოს იყვნენ,ერთმანეთზე აკრულები. დეიმონმა მკლავები უფრო მაგრად შემოაჭდო,თავის გამხდარ,მკვრივ სხეულზე მიიკრა. ელენა ვერაფერს ხედავდა,სულ მთლიანად ჩაფლული იყო დეიმონის სხეულში. უცებ მან იგრძნო ბიჭის კუნთები როგორ დაიძაბა და ორივენი სივრცეში გადაეშვნენ,

ვარდნისას ელენას სხვა გზა არ ჰქონდა გარდა იმისა რომ მაგრად მოსჭიდებოდა დეიმონს,რადგანაც იმ წუთას ის იყო ერთადერთი მყარი საგანი მის გარშემო დატრიალებულ სამყაროში. დეიმონი ადვილად და მოხდენილად დაეშვა მიწაზე,როგორც რაიმე დიდი,კატის სახეობის ცხოველი.

ერთხელ სტეფანმაც გააკეთა მსგავსი რამ.მაგრამ სტეფანს შემდეგ ის ასე მტკივნეულად არ ჰყავდა მკლავებში მოქცეული, არც ასე ახლოს-მათი ტუჩები თითქმის ეხებოდნენ.

-ჩემს შემოთავაზებაზე იფიქრე. -თქვა დეიმონმა.

ელენას არც განძრევა შეემლო და არც გვერდზე გახედვა. ამჯერად დეიმონი არანაირ განსაკუთრებულ ძალას არ იყენებდა,ეს მათ შორის არსებული ველური და მხურვალე მიზიდულობის ბრალი იყო.ამის უარყოფა უაზრობა იქნებოდა. ელენას სხეული დეიმონისას პასუხობდა,ტუჩებზე მის სუნთქვას გრძნობდა.

-არაფრისთვის არ მჭირდება.-უთხრა ელენამ მას.

ელენას ეგონა რომ დეიმიონი ახლა აკოცებდა,მაგრამ შეცდა. მათ მაღლა ფანჯრის გაღების ხმა მოისმა და ვიღაცამ გაბრაზებულმა დაიყვირა:

-ჰეი! რა ხდება მანდ? ვინ არის?

-ამჯერად უბრალოდ დაგეხმარე, -ჩუმიად თქვა დეიმიონმა,ელენა ისევ ისე ეჭირა. -შემდეგში სამაგიეროს მოვითხოვ.

იმ წუთას დეიმიონს რომ მისთვის ეკოცნა ელენა თავის მიბრუნებასაც ვერ მოახერხებდა და ამის უფლებას მისცემდა. მაგრამ უეცრად დეიმიონის მკვრივი მკალეები ტანზე შემოადნა და მისი სახეც ბუნდოვანი გახდა,თითქოს ბნელეთს ის უკან,თავისთან მიყავდა. ამ დროს ჰაერი შავმა ფრთებმა გაკვეთა და უზარმაზარი ყვავი შორს გაფრინდა.

აივნიდან ყვავს რაღაც მძიმე საგანი ესროლეს,წიგნი თუ ფეხსაცმელი,მაგრამ ააცილეს. საზიზღარი ჩიტები! -ზემოდან მისტერ ფორბსის ხმა მოისმა. -ალბათ სახურავზე აქვთ ბუდე.

ელენა ცოტა ხანს იცდიდა სიბნელეში,კანკალებდა და მკლავები სხეულზე ჰქონდა შემოხვეული.შემდეგ უკან შებრუნდა.მერედიტი და ბონი ჭიშკართან უცდიდნენ.

-ამდენ ხანს სად იყავი? -უჩურჩულა ბონიმ -გვეგონა დაგიჭირეს.

-თითქმის.დარჩენა მომიწია სანამ გამოსვლა უსაფრთხო არ იქნებოდა. -ელენა უკვე ისე იყო მიჩვეული დეიმიონის გამო ტყულის თქმას, ამას უკვე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აკეთებდა. -სახლში დავბრუნდეთ,აქ ველარაფერს გავაკეთებთ.-დაიჩურჩულა მან.

ელენას კარებთან ერთმანეთს რომ ემშვიდობებოდნენ,მერედიტმა თქვა:-დამფუძნებლების დღემდე სულ რაღაც ორი კვირა დარჩა.

-ჰო,ვიცი. -წამიერად ელენას გონებაში დეიმიონის წინადადებამ გაუელვა მაგრამ თავი გააქნია რომ ეს ფიქრი მოეშორებინა. -რამეს მოვიფიქრებ.-თქვა მან.

მეორე დღეს ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდა მოფიქრებული.გამამახნევებელი ფაქტი ის იყო,რომ კეროლაინს,როგორც ეტყობოდა,ვერაფერი შეემჩნია შეცვლილი თავის ოთახში-ეს იყო ერთადერთი გამამხნევებელი რამ. ამ დილით სკოლაში კრება ჩატარდა,სადაც გამოაცხადეს,რომ ელენა იქნებოდა მოსწავლე ვინც წარმოადგენდა "ფელს ჩარჩის სულს". მთელი დრო როცა დირექტორი ლაპარაკობდა კეროლაინს გამარჯვებული და ბოროტული ღიმილი არ გაქრობია სახიდან.

ელენა ცდილობდა ყურადღება არ მიექცია კეროლაინისთვის და აშკარა ყურადღების ნაკლებობისთვის ყველას მხრიდან.ხანდახან ეს ისე უჭირდა, უნდოდა ვინმესთვის დაერტყა და მთელ ხმაზე ეყვირა,მაგრამ ჯერჯერობით მაინც ახერხებდა თავის ხელში აყვანას.

შუადღისას,სანამ მეექვსე პერიოდის ისტორიის გაკვეთილის დამთავრებას ელოდა,ელენა ტაილერ სმოლუდს აკვირდებოდა. რაც ტაილერი სკოლაში დაბრუნდა პირადად მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. კრების დროს კი ზუსტად კეროლაინით ბოროტულად იღიმებოდა. ახლაც,როგორც კი მარტო მდგომ ელენას მოკრა თვალი,დიკ კარტერს გვერდში იდაყვი გაკრა. -ერთი იქით გაიხედე,-თქვა მან-ეგ ვინ არის?მარტოსული ყვავილი?

სტეფან სად ხარ? გაიფიქრა ელენამ. პასუხი მშვენივრად იცოდა-სკოლის შორეულ ნაწილში,ასტრონომიის გაკვეთილზე.

დიკმა პირი გააღო რაღაცის სათქმელად მაგრამ მერე გამომეტყველება შეეცვალა და ელენას უკან დერეფანს მიაშტერდა.ელენამ მიიხედა და ვიკი დაინახა.

სკოლის დაწყების აღსანიშნავ საღამომდე ვიკი და დიკი ერთმანეთს ხვდებოდნენ,ამიტომ ელენა ვარაუდობდა რომ ისინი ისევ შეყვარებულებად ითვლებოდნენ. მაგრამ თვითონ დიკს

ეტყობოდა რომ არ იყო ამაში დარწმუნებული,თითქოს არ იცოდა რას უნდა ელოდოს გოგოსგან რომელიც ახლა მისკენ მიემართებოდა.

ვიკი მართლაც უცნაურად გამოიყურებოდა და დადიოდა. ისე მოძრაობდა თითქოს მიწას ფეხს არც კი აკარებდა. გაფართოებული და მეოცნებე თვალებით იყურებოდა.

-ჰეი,გამარჯობა. -გაუბედავად მიესალმა დიკი და წინ დაუდგა.ვიკიმ ისე ჩაუარა არც კი შეხედა და პირდაპირ ტაილერისკენ გაემართა. რაც შემდეგ მოხდა წესით სასაცილო უნდა ყოფილიყო,მაგრამ არ იყო. ელენა ამ ყველაფერს თვალყურს ადევნებდა და მისი დამაბულობა იზრდებოდა.

ტაილერი გაოცებული იყო. ვიკიმ ხელი გულზე დაადო და მანაც ძალდატანებით გაუღიმა. ვიკიმ ხელი ქურთუკის ქვეშ რომ შეუცურა ტაილერის ღიმილი გაქრა.გოგომ მას მეორე ხელიც მკერდზე დაადო,ტაილერმა დიკს გახედა.

-ეი ვიკ,კარგი გეყოფა. -სწრაფად ჩაილაპარაკა დიკმა მაგრამ ნაბიჯითაც არ მიახლოებია წყვილს.

ვიკის ორივე ხელი ზემოთ ააცურა ტაილერის მკერდზე და მისი ქურთუკი მხრებს ქვემოთ ჩამოეცურდა. ტაილერმა სცადა ისევ ცაეცვა ქურთუკი ისე რომ არც წიგნებისთვის გაეშვა ხელი და არც უკმაყოფილება შეეტყობოდა. ვერ შეძლო. ვიკიმ თითები მისი მაისურის ქვეშ შეაცურა.

-გეყოფა.გააჩერე,რატომ არაფერს აკეთებ? -მიმართა ტაილერმა დიკს,რომელიც კედელზე ატუზულიყო.

-ჰეი,ვიკი,გაუშვი. ნუ აკეთებ მაგას. -დიკი დისტანციას ინარჩუნებდა. ტაილერმა გაბრაზებულმა დაუბღვირა და ვიკის მოშორება სცადა.

რალაც ხმაური მოისმა,თავიდან ჩვეულებრივი ადამიანისთვის ძნელად გასაგონი,მაგრამ ყოველ წამს უფრო და უფრო ხმამაღალი. ეს იყო ღრენა,შემადრწუნებელი და მუქართი სავსე,რომელმაც ელენას ხერხემალი გაუყინა. ტაილერს თვალები გადმოკარკლული ჰქონდა და სახეზე ურწმუნო გამომეტყველება ჰქონდა აკრული. მაშინვე,ელენა მიხვდა რატომაც-ხმა ვიკისგან მოდიოდა.

ყველაფერი ერთდროულად მოხდა. ტაილერი იატაკზე იწვა,მის კისრიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით ვიკი კბილებს აკრაჭუნებდა. ელენას სულ დაავიწყდა მისი და ტაილერის მტრობა და დიკთან ერთად ცდილობდა ვიკი მისგან მოეშორებინა. ტაილერი ღმუოდა. ისტორიის ოთახის კარი გაიღო და ალარიკმა დაიყვირა:

-ფრთხილად იყავით,არაფერი დაუშავოთ! ეპილეფსიის შეტევა აქვს და როგორმე უნდა დავაწვინოთ!

ვიკიმ კბილები კიდევ ერთხელ გააკრაჭუნდა როდესაც ალარიკი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაერთო. ეს გაჩხიკული გოგო ყველა მათგანზე ერთად ძლიერი იყო,უკვე მასზე კონტროლს კარგავდნენ,დიდხანს ვეღარ გააკავებდნენ. ელენამ საოცარი შვება იგრძნო როდესაც მხარს უკან ნაცნობი ხმა გაიგონა.

-ვიკი,დაწყნარდი.ყველაფერი კარგადაა.უბრალოდ მოეშვი.

სტეფანს ვიკი მკლავით ეჭირა და დამამშვიდებლად ელაპარაკებოდა,ელენამ გაბედა და თვითონ ჩაჭიდება მოადუნა. თავიდან სტეფანის სტრატეგიამ იმოქმედა,ვიკის მოკაკვული თითები მოეშვა და შეძლეს მისი ტაილერისგან აფხეკა. სტეფანი მასთან ლაპარაკს განაგრძობდა,ვიკი სულ მოეშვა და თვალები დაეხუჭა.

-კარგია.შენ ძალიან დაილაღე.შეგიძლია დაიძინო.

უეცრად სტეფანის დამამშვიდებელ-მომაჯადოებელმა მოქმედებამ ძალა დაკარგა. ვიკიმ თვალები დაჭყიტა,მათ არაფერი ჰქონდათ საერთო კაფეტერიაში ნანახ შემინებული ნუკრის

თვალბთან. ვიკის თვალები სიძულვილით ჩასისხლიანებოდა. მან ერთი შეუღრინა სტეფანს და გაორმაგებული ძალით განაგრძო ბრძოლა.

ხუთი თუ ექვსი ადამიანი გახდა საჭირო რომ ვიკი გაეკავებინათ, ვიღაცამ პოლიციაში დარეკა. მათ მოსვლამდე ელენა ვიკისთან დარჩა. ელაპარაკებოდა, ხან უყვიროდა, მაგრამ უშედეგოდ.

უკან რომ დაიხია, მხოლოდ მაშინ შეამჩნია მოგროვილი მაყურებლები. ბონი პირველ რიგში იდგა და პირდაღებული იყურებოდა. იქვე იყო კეროლანინც.

-რა მოხდა? -იკითხა ბონიმ ვიკი რომ წაიყვანეს.

ელენამ თვალბიდან თმა გადაიწია, ცოტათი სული ეხუთებოდა და მძიმედ სუნთქავდა.

-უცებ გაგიჟდა და ტაილერის გახდას ცდილობდა.

ბონიმ ტუჩები მოპრუწა.

-მაშინ მართლა გაგიჟებულა ეგ თუ უნდოდა, არა? -მხარს უკან კეროლანინის მისამართით დამცინავად ჩაიცინა.

ელენას მუხლები ეკეცებოდა, თითქოს რეზინის მუხლები ჰქონდა, და ხელები უკანკალებდა. იგრძნო ვიღაცამ მკლავი რომ შემოხვია და მადლიერების გრძნობით მიეყრდნო სტეფანს.

-ეპილეფსია? -სტეფანს ახედა ელენამ სახეზე სკეპტიკური გამომეტყველებით.

სტეფანი დერეფნის გასწვრივ ვიკის მიშტერებოდა. ალარიკ სოლცმანი, რომელიც ისევ ინსტრუქციებს გაჰყვიროდა, როგორც ჩანს ვიკის და ოფიციალურ პირებს მიყვებოდა. ჯგუფი მოსახვევში მიიმალა.

-მე მგონი გაკვეთილი დამთავრდა, -თქვა სტეფანმა -წავედით.

პანსიონატამდე ხმისამოუღებლად იარეს. ორივე ფიქრებში იყო დაკარგული. ელენამ რამდენჯერმე შუბლშექმუხნულმა გადახედა სტეფანს, მაგრამ სანამ მის ოთახში არ ავიდნენ იქამდე არაფერი უთქვამს.

-სტეფან, გამაგებინე რა ხდება? ვიკის რა მოსდის?

-მეც ეგ მაინტერესებს. მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება იყოს, რაც მე მომდის თავში-ის ისევ ზემოქმედების ქვეშაა.

-შენ გინდა თქვა, რომ დეიმონი ისევ-ღმერთო ჩემო! სტეფან, უნდა მივმხვდარიყავი, მისთვის ცოტა ვერვეინი უნდა მიმეცა...

-არავითარი განსხვავება არ იქნებოდა, დამიჯერე. -ელენა კარისკენ იყო შეტრიალებული და ვიკისთან წასასვლელად გამზადებული, მაგრამ სტეფანმა ნაზად დაახვეინა უკან. -ზოგიერთი ადამიანის მანიპულირება უფრო ადვილია სხვებთან შედარებით, ელენა. ვიკი არც ადრე იყო ძლიერი შინაგანი ძალის მქონე, ახლა კი მთლიანად დეიმონს ეკუთვნის.

ელენა ნელა ჩამოჯდა.

-არავის არაფრის გაკეთება არ შეუძლია? სტეფან, ნუთუ ის გახდება...შენი და დეიმონის მსგავსი?

-ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. -მშრალად თქვა სტეფანმა- რაც არ უნდა ბევრი სისხლი დაკარგოს, ეს არ იქნება საკმარისი მის მთლიანად შესაცვლელად. მას დეიმონის სისხლიც სჭირდება მარღვებში. სხვა შემთხვევაში მისგან მხოლოდ მისტერ ტენერივით სისხლისგან დაცლილი, გამომშრალ-გამოფიტული გვამი დარჩება.

ელენამ ღრმად ჩაისუნთქა. კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა სტეფანისთვის, ამ შეკითხვის დასმა მას დიდი ხანია უნდოდა.

-სტეფან იქ, სკოლაში, ვიკის რომ ელაპარაკებოდი თავიდან თითქოს მოქმედებდა. შენს ზემოქმედების ძალას იყენებდი, ხომ ასეა?

-ჰო, ასეა.

-მაგრამ შემდეგ ისევ დაკარგა ჭკუა. იმას ვგულისხმობ, რომ...სტეფან, ხომ კარგად ხარ? მთლიანად დაგიბრუნდა შენი ძალა?

სტეფანმა არაფერი უპასუხა, მაგრამ მისი სიჩუმე საკმარისი პასუხი იყო ელენასთვის.

-სტეფან, რატომ არაფერი მითხარი? რა გჭირს? -ელენა მის წინ ჩაიმუხლა, სტეფანი იძულებული გახდა მისთვის შეეხედა.

-უბრალოდ ცოტა უფრო მეტი დრო მჭირდება ძალების აღსადგენად, მეტი არაფერი. შენ არ ინერვიულო.

-მე უკვე ვნერვიულობ. რა შეიძლება გავაკეთოთ?

-არაფერი. -თქვა სტეფანმა და თვალები დახუჭა.

ელენა მიხვდა და უკან დაიხია. -უი.-დაიჩურჩულა. შემდეგ ისევ გაიწია სტეფანისკენ და მისი ხელების თავისაში მოქცევა სცადა. -სტეფან მომისმინე...

-არა, ელენა! ვერ ხედავ როგორი საშიშია ეგ? ორივესთვის და განსაკუთრებით შენთვისაა სახიფათო. შეიძლება მოკვდე, ან უარესი რამ მოხდეს...

-მხოლოდ მაშინ თუ შენ კონტროლს დაკარგავ, -თქვა ელენამ -მაგრამ ეს არ მოხდება. მაკოცე!

-არა! -გაიმეორა სტეფანმა და შემდეგ უფრო რბილი ტონით დაამატა. -ამაღამ, როგორც კი დაბნელდება სანადიროდ წავალ.

-ეგეც ისევე იმოქმედებს? -ელენა თვითონაც იცოდა, რომ მხოლოდ ადამიანის სისხლი ანიჭებდა ვამპირებს ძალას. -სტეფან, კარგი რა. ხომ ხედავ როგორი მონდომებული ვარ. შენ არ გინდა?

-ნუ მაწვალებ ელენა, ეს უსამართლობაა. -ტანჯული თვალებით შეხედა სტეფანმა -შენც ხომ იცი ეს ერთი და იგივე არ არის, ხომ იცი როგორ მინდა... -სტეფანმა თავი მიაბრუნა და ხელები მომუშტა.

-მერე რატომ ჯიუტობ? სტეფან, მე მჭირდება, რადგან... -ელენამ წინადადების დასრულება ვერ შეძლო. სტეფანს ვერ აუხსნიდა რატომ სჭირდებოდა მას ასე ძალიან მათ შორის ადრე არსებული კავშირის განახლება და გამყარება, მასთან სიახლოვე. ელენას უნდოდა გაეხსენებინა თუ როგორი იყო სტეფანთან ერთად ყოფნა და ამით გონებიდან ამოეშალა სიზმარში დეიმონთან ერთად ცეკვა, ან მის მკლავებში მოქცეული ყოფნა. -მინდა ისევ ერთად ვიყოთ -დაიჩურჩულა მან.

სტეფანი ისევ მიბრუნებული იყო. უარის ნიშნად თავი გააქნია.

-კარგი მაშინ. -ისევ ჩურჩულით დაეთანხმა ელენა. ის თავს დამარცხებულად გრძნობდა და ამავე დროს მწუხარებამ და შიშმა დაუარა მთელ სხეულში. უმეტესად ის შიშობდა სტეფანის გამო, რომელიც თავისი ძალის გარეშე თითქმის უმწეო იყო, ფელს ჩარჩის ჩვეულებრივ, მოკვდავ მოქალაქესაც შეეძლო მისთვის ზიანი მიეყენებინა. ელენა თავის თავზეც დარდობდა.

ელენამ ხელი გაიწოდა რომ მაღაზიის თაროდან ქილა ჩამოეღო.

-ცოტა ადრე ხომ არაა მოცვის წვენი სთვის? -მოესმა ვილაცის ხმა. ელენამ აიხედა.

-მეთ, გამარჯობა. ჰო ცოტა ადრეა, მაგრამ არ გახსოვს დეიდა ჯუდიითი მაღლიერების დღის სადილს ერთი კვირით ადრეც რომ აკეთებს, გასასინჯად? რაც მეტი პრაქტიკა ექნება, მით უფრო ნაკლები შანსია იმისა რომ რაღაცა საშინელებას ჩაიდენს.

-მაგალითად, სადილამდე 15 წუთით ადრე მოაგონდეს რომ მოცვის წვენი არ უყვია?

-ხუთი წუთით ადრე, -საათზე დაიხედა ელენამ და მეთმა გაიცინა. ელენას ეს იამოვნა ამ ხმის გაგონება, დიდი ხანი იყო რაც მეთის სიცილი აღარ მოესმინა. სალაროსთან გადაინაცვლა და ნავაჭრის ფული გადაიხადა. უცებ შეყოყმანდა და უკან მიიხედა.

მეთი გაზეთების ვიტრინასთან იდგა და ერთი შეხედვით კითხვით გართული ჩანდა, თუმცა მხრები ისე ჰქონდა ჩამოყრილი ელენას მასთან მისვლა მოუნდა.

-შენ თვითონ რა გეგმები გაქვს სადილისთვის?-თითი ატაკა მეთის გაზეთს. მისი უხერხული გამოხედვა რომ დაინახა, დაამატა:-მანქანასთან ბონი მელოდება, ისიც იქ იქნება. მის გარდა მხოლოდ ოჯახის წევრები, და რობერტი რა თქმა უნდა; უკვე იქ უნდა იყოს.-ამით ელენას უნდოდა მეთისთვის ეცნობებინა, რომ სტეფანი არ იქნებოდა სადილად. მთლად დარწმუნებული არ იყო რა ურთიერთობა ჰქონდათ ბიჭებს ბოლო ხანებში. ერთმანეთს კი ელაპარაკებოდნენ.

-ჩემით უნდა მოვახერხო რამე, დედაჩემი თავს კარგად ვერ გრძნობს.-თქვა მეთმა და თემა შეცვალა:-მერედიტი სადაა?

-თავის ოჯახთან. ნათესავებს სტუმრობენ მგონი.-გაურკვეველად განაცხადა ელენამ, რადგან თვითონ მერედიტი იყო გაურკვეველი და ჩაკეტილი პიროვნება; ოჯახზე იშვიათად თუ რამეს იტყოდა. -ჰა, რას ფიქრობ? გარისკავ დეიდა ჯუდიტის მომზადებული კერძების ჭამას?

-ძველი დრო გავიხსენოთ?

-ძველი მეგობრობა გავიხსენოთ.-უპასუხა ელენამ წუთიერი ყოყმანის შემდეგ და გაუღიმა. მეთმა თვალები დაახამხამა და დაბნეულად გაიხედა გვერდზე.

-ასეთ მიპატიჟებაზე უარს როგორ ვიტყვი?-ყრუ ხმით იკითხა მან. თუმცა, როდესაც გაზეთი უკან, თაროზე დააბრუნა და ელენასთან ერთად გარეთ გავიდა, მეთიც ილიმოდა.

ბონი მხიარულად მიესალმა მას და სახლში რომ მივიდნენ, დეიდა ჯუდიტიც ფრიად ნასიამოვნები დარჩა სამზარეულოში შემოსული მეთი რომ დაინახა.

-სადილი თითქმის მზადაა,-გამოაცხადა მან და ელენას ნავაჭრით სავსე ჩანთები გამოართვა.- რობერტი რამდენიმე წუთის წინ მოვიდა. მოდი თქვენც გადით უკვე სასადილო ოთახში.

ჰო, ელენა კიდევ ერთი სკამი დაგჭირდება. მეთი უკვე მეშვიდეა.

-მეექვსე, დეიდა ჯუდიტო,-ღიმილით შეუსწორა ელენამ.-შენ და რობერტი, მე და მარგარეტი, მეთი და ბონი.

-ეგ სწორია, საყვარელო, მაგრამ რობერტს სტუმარიც ახლავს. უკვე მაგიდასთან სხედან.

ელენამ წუთით გვიან გაიაზრა სიტყვების მნიშვნელობა. თუმცა, როდესაც სასადილო ოთახის ზღურბლს გადააბიჯა, უკვე იცოდა. როგორღაც, ოთახში შესვლამდეც გრძნობდა თუ რა ელოდა.

რობერტი იქვე იდგა, მხიარული ჩანდა და თეთრი ღვინის ბოთლის გახსნას ცდილობდა. მაგიდის ცენტრში მდგარი შემოდგომის სიმბოლოს და ანთებული, მაღალი სანთლებისგან მოშორებით, მაგიდას მისჯდომოდა დეიმონი.

ელენა მხოლოდ მაშინ მიხვდა ერთ ადგილას გაშეშებული რომ იდგა, ბონი რომ დაეჯახა უკნიდან. მან თავს ძალა დაატანა და ფეხები აამოძრავა, მაგრამ გონებას ვერაფერი მოუხერხა, ის ისევ ისე გაყინული იყო.

-ელენა, როგორც იქნა,-რობერტმა ხელი გაუწოდა-ეს ელენაა, გოგონაზე რომ გიყვებოდი.- მიუბრუნდა დეიმონს-ელენა ეს არის დეიმონ...

-სმიტი.-შეახსენა დეიმონმა.

-ჰო, რა თქმა უნდა.-დეიმონი ჩემი ძველი ნაცნობია კოლეჯიდან და დღეს შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს აფთიაქთან. სადილად წასასვლელი არსად არ ჰქონდა და ჩვენთან დაგვაპატიჟე. დეიმონ, გაიცანი ესენი ელენას მეგობრები არიან, მეთი და ბონი.

-გამარჯობა.-მიესალმა მეთი. ბონი ცოტა ხანს დეიმონს მიმტერებოდა და შემდეგ ელენას მიაპყრო გაფართოებული თვალები.

ელენა საკუთარი თავის ხელში აყვანას ცდილობდა. არ იცოდა რა მოემოქმედა-ეკვილა,ოთახიდან გავარდნილიყო, თუ დეიმონისთვის სახეში შეესხა ღვინო რობერტი რომ ასხამდა ჭიქებში. იმ მომენტში ისე იყო გაბრაზებული,შიშის გრძნობაც კი გაუქრა.

მეტი სასტუმრო ოთახიდან სკამის გამოსატანად გავიდა. ელენა თავიდან გააოცა იმ ფაქტმა,რომ მან ასე ჩვეულებრივად მიიღო დეიმონი,შემდეგ გაახსენდა მეტი ალარიკის წვეულებაზე რომ არ ყოფილა და შესაბამისად არ იცოდა რა მოხდა იქ სტეფანსა და "კოლეჯის ძველ მეგობარს" შორის.

აი ბონი კი უკვე ძალიან ახლოს იყო პანიკასთან. დეიმონს მისთვის სკამი ჰქონდა გამოწეული,მაგრამ ბონი დაჯდომის მაგივრად ელენას შეჰყურებდა ვედრებით.

სანამ ელენა ბონისთვის სათქმელს მოიფიქრებდა,კარიდან მარგარეტის წვრილი და მაღალი ხმა მოისმა.

-მეთ,გინდა ჩემი კნუტი განახო? დეიდა ჯუდითმა მითხრა შეგიძლია დაიტოვო,თოვლის გუნდა უნდა დავარქვა.

ელენას იდეა მოუვიდა.

-რა საყვარელია,-დაუზარებლად მოეფერა მეტი მარგარეტის მკლავებში მოკალათებულ თეთრი ბეწვის გუნდას. ბიჭი ძლიერ გოცეხებული დარჩა,როდესაც ელენამ უცერემონიოდ ააცალა კნუტი ცხვირწინ.

-მარგარეტ,მოდით შენი კნუტი რობერტის მეგობარსაც ვანახოთ,-ამის თქმაზე ელენამ ფუმფულა გორგალი დეიმონს პირდაპირ სახეში შეანარცხა.

ამას ნამდვილი აურზაური მოჰყვა. "თოვლის გუნდას" ბალანი ყალყზე დაუდგა და ამით თავის ჩვეულებრივ ზომაზე ორჯერ დიდი გამოჩნდა. კნუტმა გახურებულ ტავაზე დასხმული წყლის ხმა გამოსცა,ელენა და დეიმონი დაკაწრა,ცოტა ხანი ოთახის გარშემო კედლებს ფურთხებით და ჩხავილით ეხეთქებოდა და შემდეგ ფართხა-ფურთხით გავარდა კარში.

ერთი წამის განმავლობაში ელენას ჰქონდა სიამოვნება დეიმონის ღამესავით შავი თვალები უჩვეულოდ გაფართოებული ეხილა. შემდეგ ქუთუთოებმა ისევ დაჩრდილეს ისინი და ელენა შემობრუნდა,რათა ოთახში მყოფი სხვა ადამიანების რეაქცია შეეფასებინა.

მარგარეტს უკვე პირი დაელო და მალე ორთქლის მატარებელივით ღრიალს დაიწყებდა,რობერტმა დროზე ჩააჩუმა ბავშვი და კატის მოსამებნად წაიყვანა. ბონი ზურგით კედელს მიყრდნობოდა და საცოდავად გამოიყურებოდა. მეტი და დეიდა ჯუდითი,რომელიც სამზარეულოდან იჭყიტებოდა,უბრალოდ გაოგნებულები ჩანდნენ.

-როგორც ჩანს,ცხოველებს დიდად არ მოსწონხართ.-უთხრა ელენამ დეიმონს და მაგიდას მიუჯდა. ელენამ ბონი თავის დაკვრით მოიხმო,ისიც როგორც იყო აეფხიკა კედლიდან და თავის სკამამდე ისე სწრაფად მიირბინა,დეიმონმა შეხებაც ვერ მოასწრო. ბონის ყავისფერი თვალები მიაცილებდა დეიმონს სანამ ის მის კუთვნილ ადგილას არ დაჯდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ,რობერტი დაბრუნდა ოთახში ნამტირალე მარგარეტთან ერთად და ელენას მკაცრად შეუბღვირა. მეტმა უხმაუროდ გამოსწია სკამი,თუმცა მისი წარბები ფაქტიურად მის თმაში იყო გაბლანდული.

დეიდა ჯუდითი შეუერთდათ და სადილი დაიწყო,ელენამ ახედ-ჩახედა მაგიდას. ყველაფერი არარეალურად მოეჩვენა,თითქოს ნისლით იყო დაფარული. თუმცა,ეს სცენა საოცრად სრულყოფილი იყო,რეკლამიდან სცენას მოგაგონებდათ. ერთი ჩვეულებრივი ოჯახი შემოსხდომია მაგიდას და ინდაურს მიირთმევენ,გაიფიქრა ელენამ -ერთი ცოტათი დაბნეული,გაუთხოვარი დეიდა,რომელიც ნერვიულობს საჭმელს რაიმე ზედმეტი ხომ არ ვუყავი ან ხომ არ დამეწვაო. ერთიც უწყინარი მომავალი ბიძა. ერთი ოქროსფერთმიანი თინეიჯერი

დიშვილი და მისი ქერა, ფუმფულა თმიანი პატარა დაიკო. ერთი ცისფერთვალემა მეზობელი ბიჭი. ერთი ფერიის მსგავსი მეგობარი გოგონა. ერთიც საოცრად მომხიბლავი ვამპირი, რომელიც დატკბილულ მიწის თხილს აწოდებს გვერდზე მჯდომს. -ნამდვილად ტიპიური ამერიკული ოჯახია.

სადილის პირველი ნახევარი ბონი ელენას "რა ვქნათ? რა უნდა გავაკეთო?" მესიჯებს უგზავნიდა თვალებით, როდესაც ელენასგან "არაფერი"-ს გარდა სხვა ვერაფერი მიიღო, გადაწყვეტიტა ბედისწერას მინდობოდა და ჭამა დაიწყო.

ელენამ არ იცოდა რა მოემოქმედა. მისი ასე კუთხეში მოქცევა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო და ეს დეიმონმაც შესანიშნავად იცოდა. ბიჭმა უცებ მოაჯადოვა დეიდა ჯუდითი და რობერტი, სადილის შესახებ კომპლიმენტებით და კოლეჯზე ზედაპირული საუბრით. უკვე მარგარეტიც ღიმილით შეჰყურებდა და მალე ბონიც მოექცეოდა მისი გავლენის ქვეშ.

-მომავალ კვირას ფელს ჩარჩში დამფუძნებლების დღე აღინიშნება, -აუწყა დეიდა ჯუდითმა დეიმონს, მისი გამხდარი ლაწვები ცოტათი შევარდისფერებულიყო. -კარგი იქნებოდა რომ მოსულიყავით.

-სიამოვნებით მოვალ. -გულწრფელად უპასუხა დეიმონმა. დეიდა ჯუდითს ძალიან გაუხარდა.

-წელს ელენას მნიშვნელოვანი როლი ერგო -"ფელს ჩარჩის სული" უნდა წარმოადგინოს.

-ალბათ მისით ძალიან ამაყობთ. -თქვა დეიმონმა.

-დიახ, ძალიან. -დაუდასტურა დეიდა. -ესე იგი, მოხვალთ?

ელენა სასწრაფოდ ჩაერთო, თან ფუნთუშას კარაქს გამწარებით უსმევდა.

-ვიკიზე ახალი ამბავი მაქვს, გახსოვთ ის გოგო თავს რომ დაესხნენ? -თქვა ელენამ და პირდაპირ დეიმონს შეხედა.

-არ ვიცი ვისზე ამბობთ, არაფერი გამიგია. -ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა დეიმონმა.

-მე კი დარწმუნებული ვარ რომ იცი ვისზეც ვამბობ. დაახლოებით ჩემი სიმაღლის, ყავისფერი თვალები და ღია ყავისფერი თმა აქვს...ნუ მოკლედ, უფრო და უფრო ცუდად ხდება.

-რა საშინელებაა. -ჩაილაპარაკა დეიდა ჯუდითმა.

-ჰო, თან ექიმებიც ვერ იგებენს რა სჭირს. დღითი დღე ცუდად ხდება, თითქოს თავდასხმა ჯერ კიდევ გრძელდებოდეს. -მთელი ეს დრო ელენას დეიმონისთვის თვალია არ მოუცილებია, მაგრამ მისი სახე მხოლოდ და მხოლოდ მცირე დაინტერესებას გამოხატავდა. -კიდევ ცოტა სატენიც მიირთვი. -უთხრა ბოლოს და ჯამი შეაჩეჩა.

-არა გმადლობ. ცოტა შელეს კი დავიმატებ. -მოცვის ჟელეთი სავსე კოვზი მალა ასწია და მასში სანთლის შუქმა გაიარა. -როგორი ნერწყვის მომგვრელი ფერია.

როგორც სუფრის დანარჩენმა წევრებმა, ბონიმაც აიხედა მალა დეიმონის ამ სიტყვებზე, მაგრამ ელენამ შეამჩნია რომ მას დაბლა აღარ დაუხედავს. ბონი დიდხანს მიშტერებოდა სანთლის მოცეკვავე ალს და ნელ-ნელა მისი სახიდან ყველანაირი გამოხედვა გაქრა.

-ოღონდ ეს არა. -გაიფიქრა ელენამ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა გახსენებაზე. რა ნაცნობი იყო ეს არაფრისმთქმელი გამოხედვა. ელენამ სცადა ბონის ყურადღება მიექცია, მაგრამ გოგო სანთლის გარდა ვეღარაფერს ხედავდა.

-...შემდეგ დაწყებითი კლასის ბავშვები დგამენ წარმოდგენას ქალაქის ისტორიაზე. -დეიდა ჯუდითი უყვებოდა დეიმონს. -მაგრამ ცერემონიას მაღალი კლასების მოსწავლეები ხურავენ. ელენა, წელს რამდენი მოსწავლე კითხულობთ?

-მხოლოდ ჩვენ სამნი. -ელენას შებრუნება მოუწია რომ დეიდასთვის პასუხი გაეცა და ზუსტად იმ დროს, როცა მის მომღიმარ სახეს შეჰყურებდა მოესმა ხმა.

-სიკვდილი.

დეიდა ჯუდიტი შეკრთა და ღრმად ამოისუნთქა. რობერტს პირთან მიტანილი ჩანგალი გაუშეშდა. ელენამ კი, მგზნებარედ მაგრამ სრულიად უიმედოდ, მერედიტი ინატრა.

-სიკვდილი, -გაიმეორა ხმამ-სახლში სიკვდილია.

ელენამ მაგიდის გარშემო მიმოიხედა, მიხვდა ვერავინ დაეხმარებოდა, ყველა ერთნაირად გამეშებულიყო, თითქოს სურათს უყურებდა.

თვითონ ბონი ისევ სანთლის ალს უყურებდა, სახე წაშლილი ხოლო თვალები გაფართოებული ჰქონდა, ზუსტად ისე როგორც ადრე. ახლა ეს ბრმა თვალები მისკენ შეტრიალდა. -შენი სიკვდილი, -თქვა ხმამ-შენ სიკვდილი გელოდება. მალე...

ბონი იხრჩობოდა, ხველებით წინ გადმოიხარა და კინაღამ თავის თეფშზე დაეცა.

წამით ყველა პარალიზებული იყო, მეორე წამიც და ყველა ამოდრავდა. რობერტი წამოხტა, ბონის მივარდა და ხელში აიყვანა. ბონის კანს მოლურჯო სითეთრე გადაკრავდა, თვალები დახუჭული ჰქონდა. დეიდა ჯუდიტიც ზედ დაჰფოფინებდა, სახეზე სველ ცხვირსახოცს ადებდა. დეიმონი ამ ყველაფერს დაწვრილებული თვალებით, ფიქრიანად აკვირდებოდა.

-კარგადაა, -თქვა რობერტმა და აშკარა შვებით ამოისუნთქა. -მგონი უბრალოდ გული წაუვიდა. ალბათ ისტერიული შეტევა ჰქონდა. მაგრამ ელენა იქამდე ვერ დამშვიდდა, სანამ ბონიმ მთვრალივით თვალები არ გაახილა და არ იკითხა ყველა რას მიშტერებოდა.

ინციდენტმა წარმატებით დაასრულა სადილი. რობერტმა ბონის სასწრაფოდ სახლში წაყვანა დაიჟინა, სახლი აფუსფუსდა. ელენამ დრო იხელთა და დეიმონს უჩურჩულა.

-გაეთრიე!

-რა? -წარბები აზიდა დეიმონმა.

-გითხარი გაეთრიე მეტქი. ახლავე! წადი თორემ ყველას ვეტყვი რომ მკვლეელი ხარ.

-არ გგონია, რომ სტუმარს ცოტა უფრო თავაზიანად უნდა მოექცე? -საყვედურის კილოთი თქვა დეიმონმა. ელენას საპასუხო გამოხედვაზე კი უბრალოდ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

-გმადლობთ სადილად რომ მიმიღეთ, -ხმამალლა მიმართა დეიდა ჯუდიტს, რომელმაც ამ დროს ჩაუარათ, მას მანქანისკენ პლედი მიჰქონდა. -იმედი მაქვს ოდესმე მეც მექნება თქვენი სტუმრობის პატივი. შენ კი მალე გნახავ. -უჩურჩულა ელენას.

ეგ ხომ ისედაც გასაგები იყო, გაიფიქრა ელენამ. რობერტი გაემგზავრა თავისი მანქანით და მოლუშული მეთი და ნახევრად-მძინარე ბონიც თან გაიყოლა. დეიდა ჯუდიტი ტელეფონზე ელაპარაკებოდა მისის მაკალაჰს.

-მეც ვერ ვხვდები რა სჭირთ ამ გოგოებს, -იმხდა ის-ჯერ ვიკი, ახლა ბონი... ელენაც თავის თავს არ გავს ბოლო დროს...

სანამ დეიდა ჯუდიტი ლაპარაკობდა და მარგარეტი თავის დაკარგულ კნუტს ეძებდა, ელენა ოთახში გადი-გამოდიოდა.

სტეფანისთვის უნდა დაერეკა, მეტს ვერაფერს იზამდა. ბონიზე არ ლელავდა, მას ადრეც მოსვლია ასეთი "შეტევები" მაგრამ გვერდითი ეფექტები არ გამოუწვევია. დეიმონს ამაღამ სხვა საქმეებიც ექნებოდა, ვიდრე ელენას მეგობრების აწიოკება.

ის აქ მოვიდოდა, რათა თავისი "დახმარების" სამაგიერო მიეღო. ელენამ ზუსტად იცოდა, სწორედ ეს იყო დეიმონის ბოლო სიტყვების დაფარული მნიშვნელობა. სტეფანისთვის ყველაფრის თქმა მოუწევდა, რადგან ამაღამ დამცველი სჭირდებოდა.

თუმცა, განა სტეფანს რისი გაკეთება შეეძლო? წინა ღამეს, არც ელენას ხვეწნა-მუდარამ გამოიღო შედეგი და არც მისმა არგუმენტებმა, სტეფანმა გადაჭრით განაცხადა უარი მისი

სისხლის მიღებაზე. დაიჟინა, რომ ძალები ისედაც აღუდგებოდა, მაგრამ ელენამ იცოდა რომ ის ჯერ კიდევ დასუსტებული იყო. სტეფანი აქაც რომ ყოფილიყო, შეძლებდა კი დეიმონის შეჩერებას? რომც მოეხერხებინა, ალბათ თვითონაც შეაკვდებოდა.

ბონის სახლი თავშესაფრად არ გამოდგებოდა, მერედიტი კი აქ არ იყო. ვერავინ დაეხმარებოდა, ვერავის ენდობოდა. მაგრამ აქ მარტო ყოფნაზე და დეიმონისთვის ლოდინზე ფიქრიც კი აუტანელი იყო.

გაიგონა როგორ დადო დეიდამ ყურმილი. ავტომატურად სამზარეულოსკენ გაემართა, გონებაში სტეფანის ნომერი უტრიალებდა. უცებ შეჩერდა და უკან მოტოვებულ სასტუმრო ოთახს გამოხედა.

ფანჯრები იატაკიდან ჰერამდე იყო აზიდული, გრანდიოზული ბუხარი კი საგულდაგულოდ და ლამაზად გამოკვეთილი და მოჩუქურთმებული. ეს ოთახი ორიგინალი სახლის ნაწილი იყო, რომელიც სამოქალაქო ომის დროს თითქმის მთლიანად დაიწვა. ელენას ოთახი ზუსტად მის მაღლა მდებარეობდა.

რადაც დიდი აღმოჩენის ზღვარზე იყო. ელენამ შეხედა სასტუმრო ოთახის ჰერზე ჩუქურთმებს, რომელიც შემდეგ უფრო თანამედროვე სასადილო ოთახს უერთდებოდა. ის თავისი ოთახისკენ გაექანა, გული გამალებით უცემდა.

-დეიდა ჯუდით, -კიბეებზე შეეჩება ქალს, -დეიდა, რადაც უნდა გკითხო. დეიმონი სასტუმრო ოთახში შევიდა?

-რა? -დაბნეულმა დაუბრუნა კითხვა ქალმა.

-რობერტმა დეიმონი სასტუმრო ოთახში თუ შეიყვანა? დაფიქრდი დეიდა ჯუდით, გთხოვ, უნდა ვიცოდე.

-არა, არა მგონია. არა ნამდვილად არ შეუყვანია. მოვიდნენ თუ არა პირდაპირ სასადილოში შევიდნენ. ელენა რა უცნაური კითხვაა...-ელენამ დასრულება აღარ აცალა, იმპულსურად მაგრად მოეხვია მას.

-მაპატიე დეიდა, უბრალოდ ბედნიერი ვარ. -ელენა ღიმილით შებრუნდა და უკან კიბეებს ჩაუყვა.

-ასეთი სადილის შემდეგ, კარგია თუ ვინმე მაინც არის ბედნიერი. თუმცა, იმ სასიამოვნო ყმაწვილმა, დეიმონმა, მგონი კარგი დრო გაატარა. იცი, ელენა შენი ქცევის მიუხედავად მგონი საკმაოდ მოეწონე.

-მერე მაგით რა? -მიუბრუნდა ელენა.

-უბრალოდ, ჩემი აზრით ერთი შანსი უნდა მისცე, მეტი არაფერი. ჩემი აზრით ძალიან სანდომიანი ჩანდა, ისეთი ახალგაზრდა ყმაწვილი, როგორც ნახვასაც ვისურვებდი ამ სახლში ხშირად.

ელენამ თვალები დაჰყიტა და ერთი წუთი ასე იდგა, შემდეგ ნერწყვი გადაყლაპა რომ ისტერიული სიცილი არ ამოსკდომოდა პირიდან. დეიდამისი სთავაზობდა სტეფანის მაგივრად დეიმონს შეხვედროდა, იმიტომ რომ... დეიმონი უფრო უსაფრთხო იყო? ჰმმ, სანდომიანი ყმაწვილი რომლის ნახვასაც ხშირად ისურვებდა?

-დეიდა ჯუდით, -ქოშინით დაიწყო ელენამ, მაგრამ გადაიფიქრა, მიხვდა აზრი არ ჰქონდა რამის მტკიცებას. მუნჯურად გააქნია თავი, დამარცხების ნიშნად ხელები მაღლა ასწია და უყურებდა როგორ აიარა დეიდამისმა კიბე.

ჩვეულებრივ ელენა კარჩაკეტილ ოთახში იძინებდა ხოლმე, მაგრამ ამდამ ღია დატოვა, საწოლზე დაწვა და ჩაბნელებულ დერეფანს დაჟინებით მიაშტერდა. დროდადრო კომოდზე მდგარი საათის მანათობელ ციფრებს გახედავდა ხოლმე.

არანაირი საშიშროება არ იყო, რომ შეიძლებოდა ჩასძინებოდა, თუმცა რაც დრო გადიოდა თითქოს უნდოდა კიდევ ასე მომხდარიყო. დრო მტანჯველად ნელა გადიოდა.

11:00...11:30...შუალამე.1:00... 1:30...2:00.

2:10-ხმაური გაიგონა.

ისევ საწოლზე იწვა და უსმენდა ჩურჩულივით ხმადაბალ მოძრაობას. იცოდა, დეიმონი მოახერხებდა როგორღაც შემოსვლას, თუკი მოინდომებდა. დეიმონი რომ რამეს ასე მტკიცედ გადაწყვეტდა, მას ვერავითარი საკეტი თუ ბოქლომი ვერ შეაჩერებდა.

ელენას გონებაში ბონის სახლში, სიზმარში მოსმენილი მუსიკის უბრალო, ვერცხლივით წვრილა ნოტები ამოუტივტივდა და უცნაური გრძნობა გაუღვიძა. თითქოს ახლაც სძინავსო, ადგა და კარის ზღურბლზე დადგა.

დერეფანი ჩაბნელებული იყო მაგრამ ელენას თვალები დიდი ხნის წინ შეეჩვია სიბნელეს. დაინახა ღამეზე მუქი სილუეტი როგორ ამოდიოდა კიბეზე. ბოლო საფეხურზე რომ ამოაბიჯა, ელენამ მისი ღიმილის სწრაფი და სასიკვდილო ანარეკლი დაინახა.

ელენა ელოდა, არ იღიმებოდა, სანამ ის მის პირდაპირ არ დადგა, მათ მხოლოდ ასიოდე მეტრი აშორებდა. მთელ სახლში აბსოლიტური სიწყნარე სუფევდა. დერეფნის გასწვრივ მარგარეტს ეძინა; მის ბოლოს დეიდა ჯუდითი გახვეულიყო სიზმრებში და წარმოდგენა არ ჰქონდა მის ცხვირწინ რა ხდებოდა.

დეიმონს არაფერი უთქვამს, მხოლოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა გრძელ, მაღალ, მაქმანის ყელიან ღამის პერანგში გამოწყობილი ელენა. ელენამ ის იმიტომ აარჩია, რომ ყველაზე მოკრძალებული იყო რაც კი გააჩნდა, თუმცა დეიმონს აშკარად ეტყობოდა რომ მოეწონა. ელენა თავს აიძულებდა წყნარად მდგარიყო, თუმცა პირი ჰქონდა გამშრალი და გულიც სუსტად უცემდა. უკვე დრო იყო, ერთი წუთიც და ზუსტად ეცოდინებოდა.

ზღურბლიდან უკან დაიხია, არც სიტყვით და არც შესტით არ გამოუხატავს, რომ დეიმონის შეშვება უნდოდა. დაინახა როგორ უსწრაფესად ანთო ცეცხლი მის უძირო თვალებში და როგორი მონდომებით გადმოდგა მისკენ ნაბიჯი. და გაჩერდა.

დეიმონი მისი ოთახის გარეთ იდგა, საოცრად დაბნეული და გაოცებული. კიდევ სცადა შესვლა, მაგრამ ამაოდ. რაღაც არ აძლევდა საშუალებას წინ წასულიყო. მის სახეზე გაკვირვება ჯერ დაბნეულობამ, შემდეგ კი ბრაზმა შეცვალა.

დეიმონმა მაღლა აიხედა, ჯერ საკეტი დაათვალიერა და შემდეგ ჭერი, ზღურბლის ორივე მხარეს. როცა მთლიანად გაიაზრა რა ხდებოდა, კბილები დაკრიჭა და ცხოველისმაგვარი ღრენა ამოუშვა.

ზღურბლის თავის მხარეს უსაფრთხოდ მდგარმა ელენამ ჩუმად გაიცინა. გამოვიდა. -ჩემი ოთახი და მის დაბლა სასტუმრო ოთახია სულ შემორჩენილი ძველი სახლიდან, -განათლა ელენამ დეიმონი-ეს სულ სხვა საბინადრო იყო, სადაც შენ არავის დაუპატიჟებხარ და არც არასდროს მიგიწვევენ.

დეიმონს მკერდი აუღ-ჩაუდიოდა სიბრაზისგან, ნესტოები გაფართოებოდა, თვალები ველურად უელავდა. მძვინვარებისგან ხელები უკანკალებდა და ჩანდა უნდოდა სახლის კედლები დაენგრია.

გამარჯვებამ და შვებამ ელენას თავბრუ დაახვია. -ჯობს წახვიდე, -თქვა მან-აქ აღარაფერი დაგრჩენია.

კიდევ ერთი წუთის განმავლობაში შეჰყურებდა მას დეიმონი მუქარით სავსე, მოელვარე თვალებით, შემდეგ კი შებრუნდა. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ კიბისაკენ წასულიყო, დეიმონმა ერთი ნაბიჯი გადადგა და მარგარეტის ოთახის კარს მიაღო ხელი.

იმის გაუზარებლად რას აკეთებდა, ელენა წინ წავიდა, თუმცა ზღურბლზე შეჩერდა; კარის ჩარჩოს ებლაუჭებოდა და მიმოდ სუნთქავდა.

დეიმონმა თავი მოაბრუნდა და ნელი, ულმობელი ღიმილით გაუღიმა. სახელური სულ ოდნავ დასწია, ისე რომ არც კი დაუხედავს. მისი თვალები, რომლებიც თხევადი აბანოზის გუბებს მიაგავდნენ, ისევ ელენას უყურებდნენ.

-არჩევანი შენია, -თქვა მან.

ელენა გაშეშებული იდგა, თითქოს ყინულად გადაიქცაო. მარგარეტი ხომ სულ პატარა ბავშვი იყო, არ შეიძლებოდა დეიმონი სერიოზული ყოფილიყო. არავინ შეიძლებოდა ისეთი ურჩხული ყოფილიყო, რომ ოთხი წლის ბავშვისთვის რაიმე დაეშავებინა.

მაგრამ დეიმონის სახეზე სინაზის ან სიბრალულის ნატამალიც არ იყო. ის ხომ მონადირე იყო, მკვლელი, სუსტი ადამიანები კი მისი მსხვერპლნი ხდებოდნენ. ელენას გაახსენდა როგორ შეცვალა მისი სახის ლამაზი ნაკვთები ცხოველურმა ღრენამ ცოტა ხნის წინ და მიხვდა მარგარეტის ბედს დეიმონს ვერ ანდობდა.

ყველაფერი შენელებული კადრით ხდებოდა-დაინახა დეიმონის ხელი კარის სახელურზე, მისი შეუბრალებელი თვალები, ელენამ ზღურბლს გადააბიჯა და უკან მოიტოვა თავისი ერთადერთი თავშესაფარი.

სახლში სიკვდილია, ასე თქვა ბონიმ. და ახლა ელენა საკუთარი ნებით მიდიოდა სიკვდილთან შესახვედრად. თავი ჩაღუნა რათა თვალზე მომდგარი ცრემლები დაემალა, ისინი ვერაფერს უშველიდნენ. ყველაფერი დამთავრდა. დეიმონმა გაიმარჯვა.

ელენას მალა არ აუხედავს, მაგრამ მის გარშემო ჰაერის მოძრაობით იგრძნო როდის მიუახლოვდა დეიმონი. თავიდან გააჟრჟოლა, მაგრამ შემდეგ მის გარშემო მხოლოდ ნაზი, უსასრულო სიბნელე იყო, რომელიც მას გარს შემოხვეოდა, როგორც რაიმე დიდი ფრინველის ფრთები.

ელენა შეიშმუნა და დამძიმებული თვალები გაახილა. ფარდების ნაპირებიდან ოთახში სინათლე შემოდოდა. განძრევა არ შეეძლო, ასე რომ იწვა ლოგინზე და სცადა გაეხსენებინა თუ რა მოხდა წინა ღამეს.

დეიმონი. დეიმონი იყო აქ და მარგარეტით ემუქრებოდა. ამიტომაც ელენა დაემორჩილა მას. მან გაიმარჯვა.

მაგრამ რატომ არ დაასრულა დაწყებული? ელენამ კისერზე მოიკიდა დასუსტებული ხელი, თუმცა უკვე იცოდა რასაც იპოვიდა. და რა თქმა უნდა იპოვა კიდევ-ორი პატარა ნაჩხლეტი, შეხებაზე მგრძნობიარე.

და მაინც, ელენა ცოცხალი იყო. დეიმონმა ბოლომდე არ მიიყვანა "დანაპირები". რატომ?

ბოლო რამოდენიმე საათის მოგონებები ბუნდოვანი და არეული იყო. მარტო ფრაგმენტები ახსოვდა ნათლად. დეიმონის თვალები, მას რომ შეჰყურებდნენ და ელენას მთელი სამყარო მათით იყო სავსე. კისერზე მწვავე ჩხვლეტა. და შემდეგ, როგორ გაიხადა დეიმონმა პერანგი, მისი სისხლი როგორ მოდიოდა კისრის პატარა ჭრილობიდან.

დეიმონმა აიძულა მისი სისხლი დაეღია. თუმცა აიძულა არ იყო ზუსტი სიტყვა. ელენას არ ახსოვდა, რომ საერთოდ გაეწიოს წინააღმდეგობა ან ზიზღი ეგრძნოს. მას თვითონაც უნდოდა ამის გაკეთება.

მაგრამ ის არც მკვდარი იყო და არც სერიოზულად დასუსტებული. არც ვამპირად გადაუქცევია დეიმონს. ზუსტად ამას ვერ ხვდებოდა ელენა.

დეიმონს არც მორალი გააჩნია და არც სინდისი, შეახსენა თავს. ასე რომ, გულმოწყალების გულისთვის ნამდვილად არ აიღებდა განზრახვაზე ხელს. ალბათ უნდა თამაში გაწელოს, უფრო მეტად დაგტანჯოს სანამ ბოლოს მოგიღებს. შეიძლება გიპირებს ვიკისნაირი გაგხადოს, ერთი ფეხი აჩრდილთა სამყაროში რომ უდგას, მეორე კი სინათლის და ასე ნელ-ნელა სიგიჟის ზღვარს სცილდება.

ერთ რამეში დარწმუნებული იყო ელენა: არ მოტყუვდებოდა იმ აზრით თითქოს დეიმონმა კეთილშობილება გამოიჩინა. ან იმიტომ, რომ მას შეიძლება თავისი თავის გარდა ვინმეს ბედი აინტერესებდეს.

ელენამ საბანი გადასწია და საწოლიდან წამოდგა. გაიგონა როგორ მოძრაობდა დეიდა ჯუდიითი შემოსასვლელში. ორშაბათი დილა იყო და სკოლისთვის უნდა მომზადებულიყო.

27 ნოემბერი, ოთხშაბათი

ძვირფასო დღიურო,

თავს ვერ მოვიტყუებ ვითომ არ მეშინია, იმიტომ რომ ეს ასეა. ხვალ მადლიერების დღეა და იქიდან ორ დღეში დამფუძნებლების დღე, მე კი ჯერ კიდევ ვერ მომიფიქრებია როგორ შევაჩერო კეროლაინი და ტაილერი.

არ ვიცი რა გავაკეთო. თუ კეროლაინისგან ჩემი დღიური არ დავიბრუნე, ის მას ყველას თვალწინ წაიკითხავს. ამისთვის მას ბრწყინვალე შესაძლებლობა აქვს, კეროლაინი ერთ-ერთია იმ სამ უფროსკლასელთაგან ვინც პოეზიის წაკითხვით უნდა დახუროს ცერემონია. სხვათა შორის, მოსწავლეები სკოლის საბჭომ აირჩია, რომლის ერთ-ერთი წევრი ტაილერის მამაცაა. ნეტავ ის რას იფიქრებს ეს ყველაფერი რომ დასრულდება?

თუმცა მაგას რა მნიშვნელობა აქვს? თუ იქამდე რაიმე გეგმა არ დავსახე, ყველაფერი რომ დასრულდება ჩემთვის აღარაფერს ექნება ნიშნელობა. სტეფანიც აღარ იქნება აქ, ფელს ჩარჩის პატიოსანი მოქალაქეების მიერ იქნება განდევნილი. ან შეიძლება მოკლან კიდევ თუ თავისი ძალა არ დაიბრუნა. ის თუ დაილუპება, მეც მოვკვდები. აი ასე, უბრალოდ.

ეს ნიშნავს, რომ როგორმე დღიური უნდა დავიბრუნო. სხვა გზა არ მაქვს.

მაგრამ გამოსავალი არ ჩანს.

ვიცი, მელოდები როდის ვიტყვი, რომ გამოსავალი არის, მხოლოდ ის დამრჩენია დეიმონის პირობები მივიღო.

მაგრამ შენ არ გესმის ეს როგორ მაშინებს. არა იმიტომ, რომ დეიმონის მეშინია. მე იმის მეშინია, რა შეიძლება მოხდეს თუ მე და ის ისევ ერთად, მარტო აღმოვჩნდებით. მეშინია რა შეიძლება მომივიდეს მე... და "მე და სტეფანს".

აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, ძალიან მტკივნეულია. რომ იცოდე, როგორი დაბნეული და მარტოსული ვარ. არავინაა რომ დახმარებისთვის მივმართო, ან უბრალოდ დაველაპარაკო. მე ვერავინ გამიგებს.

რა უნდა ვქნა?

28 ნოემბერი, ხუთშაბათი, 22:30.

ძვირფასო დღიურო,

დღეს ყველაფერი უფრო ნათელია ჩემთვის; ალბათ იმიტომ, რომ გადაწყვეტილება მივიღე. ის მე ძალიან მაშინებს, მაგრამ სხვა ალტერნატივებს ნამდვილად ჯობს.

სტეფანს ყველაფერი უნდა ვუთხრა.

ეს ერთადერთი რამაა რისი გაკეთებაც ახლა შემიძლია. 'დამფუძნებლების დღე' შაბათსაა და მე არანაირი გეგმა არ მაქვს. იქნებ სტეფანმა მოიფიქროს რამე, როცა გაიგებს როგორ ცუდადაა საქმე

და როგორი სასოწარკვეთილი ვარ. ხვალ მთელი დღის გატარებას პანსიონატში ვაპირებ და იქ რომ მივალ სტეფანს ყველაფერს ვეტყვი,რაც აქამდეც უნდა მექნა.

ყველაფერს. დეიმონის შესახებაც.

არ ვიცი რას იტყვის. სულ მახსენდება მისი სახე ჩემს სიზმრებში. როგორი ბრაზით და სიმწარით მიყურებდა,თითქოს არც კი ვუყვარდი. თუ ხვალაც ასე შემომხედა...

ო,როგორ მეშინია,მუცელი მიწრიალებს. მადლიერების დღის სადილს პირიც ვერ დავაკარე და ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები,ასე მგონია მილიონ ნაწილად გავიხლიჩები-მეთქი. ნეტავ დამემძინება დღეს? ჰა!

როგორ მინდა სტეფანმა გამიგოს და მაპატიოს.

სასაცილო ის არის,რომ მინდოდა მისი გულისთვის უკეთესი ადამიანი გავმხდარიყავი,რომ მისი სიყვარული დამემსახურებინა. სტეფანს თავისი აზრი აქვს ღირსებაზე,იმაზე რა არის კარგი და რა ცუდი. ახლა,როცა გაიგებს როგორ ვატყუებდი,რას იფიქრებს ჩემზე? დამიჯერებს რომ მხოლოდ მის დაცვას ვცდილობდი? მენდობა კიდევ ოდესმე?

ხვალ გავიგებ ამ ყველაფერს. ოჰ,ნეტავ უკვე მორჩენილი იყოს,არ ვიცი იქამდე როგორ მივალწევ.

ელენა ჩუმად გამოვიდა სახლიდან,ისე რომ დეიდა ჯუდითვის არც უთქვამს სად მიდიოდა. ტყუილებმა დაღალა,მაგრამ იცოდა რომ ეთქვა სტეფანთან მივდივარო,ერთი ამბავი ატყუებოდა. რაც დეიმონი იყო მათთან სტუმრად დეიდა ჯუდითი სულ მასზე ლაპარაკობდა,ხან პირდაპირ და ხან შეფარვით გადაუკრავდა ხოლმე სიტყვას ყველა საუბრის დროს. რობერტიც ზუსტად ასევე იქცეოდა,ელენა ხანდახან ფიქრობდა ის ხომ არ აქეზებს დეიდასო.

ელენა ზანტად მიეკრა პანსიონატის კედელს და ზარი დარეკა. ნეტა ამ დღეებში მისის ფლაურის სად იყო? კარი სტეფანმა გაუღო. გარეთ გასასვლელად იყო მზად,ქურთუკის საყელოც კი ჰქონდა აწეული.

-ვიფიქრე გავისეირნებდით,-თქვა მან.

-არა.-მტკიცედ განაცხადა ელენამ. სტეფანისთვის წესივრად გაღიმებაც ვერ შეძლო,ბოლოს ცდასაც თავი დაანება.-სტეფან,მოდი მალლა ავიდეთ. სალაპარაკო გვაქვს.

ერთი წუთი სტეფანი გაკვირვებით მისჩერებოდა მას. ალბათ სახეზე შეეტყო რამე,რადგან ბიჭის სახე თანდათანობით გაქვავდა და გამკაცრდა. სტეფანმა ღრმად ჩაისუნთქა და თავი დააქნია,შემდეგ უსიტყვოდ შებრუნდა და თავისი ოთახისკენ გაუძღვა.

რა თქმა უნდა,უკვე დიდი ხანია რაც ოთახის ავეჯი მოწესრიგებული თავიანთ ადგილებზე ელაგა,მაგრამ ელენას მოეჩვენა თითქოს პირველად ახლა შეამჩნია ეს. რატომღაც,გოგოს გაახსენდა პირველად რომ იყო ამ ოთახში,მას შემდეგ რაც სტეფანმა იგი ტალიერისგან იხსნა. ელენამ თვალი გადაავლო კომოდზე დალაგებულ ნივთებს:მეთხუთმეტე საუკუნის იტალიური ოქროს მონეტები, სპილოს ძვლის ტარიანი ხანჯალი, პატარა,რკინის ყუთი ანჯამებიანი თავსახურით. მაშინ,პირველ ღამეს,სცადა მისი გახსნა მაგრამ სტეფანმა არ აცალა,არ მისცა ნება.

შებრუნდა. სტეფანი ფანჯარასთან იდგა. ნაცრისფერი,დამთრგუნველად მოქუფრული ცის ფონზე მხოლოდ მისი სილუეტი ჩანდა. ამ კვირის განმავლობაში,ყოველი დღე ერთნაირად ცივი და ნისლიანი იყო და არც დღევანდელი დღე წარმოადგენდა გამონაკლისს. სტეფანის გამომეტყველება ამინდივით მოქუფრული იყო.

-აბა,-ჩუმად თქვა მან-გისმენ.რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

კიდევ ერთი წამი დასჭირდა ელენას რომ ძალა მოეკრიბა და საბოლოოდ მიეღო გადაწყვეტილება. შემდეგ ხელი გაიწოდა და რკინის ყუთს თავი ახადა.

შიგნით ატმისფერი,გრძელი,აბრეშუმის მოელვარე ნაჭერი იდო. ელენას თმის ბაფთა. ზაფხული გაახსენდა,ზაფხულის დღეები ახლა დაუჯერებლად შორეული რომ ჩანდა. ბაფთა ხელში აიღო და სტეფანს გაუწოდა.

-ამაზე უნდა ვილაპარაკოთ.-ყუთს რომ ხელი შეახო სტეფანი დაიძაბა და მოუახლოვდა,მაგრამ ახლა დაბნეული და გაკვირვებული იყურებოდა.

-ამაზე?

-ჰო,სტეფან,მე ვიცოდი რომ ეს აქ იდო. დიდი ხნის წინ ვიპოვე,ერთ დღეს როცა შენ რამდენიმე წუთით ოთახიდან გახვედი. არ ვიცი რატომ მინდოდა ასე ძალიან გაგება რა იდო ყუთში,მაგრამ თავის შეკავება ვერ შევძელი და ბაფთა ვიპოვე. შემდეგ კი...-ელენა შეჩერდა და მოემზადა-მასზე ჩემს დღიურში დავწერე.

სტეფანი სულ უფრო და უფრო გაოგნებული იყურებოდა,თითქოს ამ საუბარს საერთოდ არ მოელოდაო. ელენა ხელებს იქნევდა და წვალობდა რომ საჭირო სიტყვები ეპოვა.

-იმიტომ დავწერე,რომ მეგონა ეს იყო მტკიცებულება,რომ შენ მთელი დროის განმავლობაში ჩემდამი გრძნობა გქონდა,საკმარისად ძლიერი რადგან ბაფთა აიღე და შეინახე. მაშინ ვერ ვხვდებოდი,რომ ის სხვა რამის მტკიცებულებადაც გამოდგებოდა.

უცებ ელენა სწრაფად ალაპარაკდა და სტეფანს ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა. თუ როგორ წაიღო დღიური ბონის სახლში და როგორ მოიპარეს. უთხრა ნაწყვეტებს რომ იღებდა წერილების სახით და ისიც როგორ აღმოაჩინა რომ კეროლაინი იყო მათი ავტორი. ბოლოს,მისგან შებრუნებულმა,მოუყვა კეროლაინის და ტაილერის გეგმის შესახებ,თან თითებს შორის ნერვიულად ათამაშებდა ზაფხულისფერ ბაფთას.

-მას შემდეგ სულ შეშინებული ვარ,-ბოლოში კინაღამ ხმა წაერთვა,ჩურჩულებდა და ბაფთას თვალს არ აშორებდა.-მეშინოდა რას იტყოდი შენ,რას აპირებენ ის ორნი, უბრალოდ მეშინია. ვცადე დღიურის დაბრუნება სტეფანს,კეროლაინის სახლშიც კი შევიპარე,მაგრამ ძალიან კარგად აქვს დამალული. სულ ვფიქრობ და ვფიქრობ,მაგრამ ვერაფერი მოვიგონე რომ ხელი შევუშალო.- ბოლოსდაბოლოს ახედა სტეფანს-ძალიან ვწუხვარ.

-უნდა წუხდე კიდევ!-მკაცრად წარმოთქვა სტეფანმა. ელენამ გაფითრდა,მის ასეთ რეაქციას არ ელოდა,მაგრამ სტეფანი ულმობლად აგრძელებდა.-უნდა წუხდე რომ ასეთი რამ დამიმალე,მაშინ როცა მე შემეძლო დაგხმარებოდი. ელენა,რატომ ადრე არ მითხარი?

-იმიტომ,რომ ყველაფერი ჩემი ბრალია. თან დამესიზმრა,რომ...-სცადა აეხსნა როგორი სახე ჰქონდა სტეფანს მის სიზმრებში,როგორი თვალეებით უყურებსა,თითქოს ბრალს სდებდა.-ალბათ მოკვდებოდი ჩემთვის მართლა მასე რომ შემოგეხედა.-საცოდავად ჩაილულლულა. მაგრამ სტეფანის სახეზე ახლა მხოლოდ შვება და გაცემა იკითხებოდა.

-სულ ესაა,-თავისთვის ჩაილაპარაკა სტეფანმა-სულ ეს იყო რაც გაწუხებდა. ელენამ პირი გააღო პასუხის გასაცემად,მაგრამ სტეფანი აგრძელებდა.-ვიცოდი რომ რაგაც რიგზე ვერ იყო,ვხვდებოდი რომ რაღაცას მიმაღავდი.მე კი მეგონა...-სტეფანმა თავი გააქნია და მის სახეზე ღიმილიც გამოკრთა-უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. არ მინდოდა კითხვებით შემეწუხებინე და თურმე მთელი ეს დრო შენ მე მიცავდი.

ელენას ენა სასაზე აეკრა და სიტყვები ყელში გაეჩხირა. კიდევ ჰქონდა მოსაყოლი,მაგრამ სტეფანის თვალები და სახე ისე იყო გაბრწყინებული ახლა ვერ ეტყოდა.

-დღეს რომ მითხარი უნდა ვილაპარაკოთო,მეგონა აპირებდი გეთქვა რომ ჩემზე აზრი შეიცვალე.- უბრალოდ,ყოველგვარი თავის შეცოდების გარეშე თქვა სტეფანმა-და არც გაგამტყუნებდი. ამის ნაცვლად კი...-ერთხელ კიდევ გააქნია თავი-ელენა,-ეს თქვა და ელენა სტეფანის მკლავებში აღმოჩნდა.

რა კარგი იყო მის მკლავებში, და სწორიც. აქამდე ვერც ხვდებოდა მათი ურთიერთობა როგორ იყო რელსებიდან გადასული, მხოლოდ ახლა დაინახა, როცა ყველაფერი გამოსწორდა და კალაპოტში ჩადგა. ეს ყველაფერი მისთვის ძალიან ნაცნობი და ახლობელი იყო, ზუსტად ასე გრძნობდა თავს იმ პირველ, ჯადოსნურ ღამეს სტეფანი რომ პირველად ჩაეხუტა. მსოფლიოს მთელი სიტკბო და სინაზე მათ სხეულში უვლიდა. ელენა სახლში იყო, აქ იყო მისი ადგილი და ყოველთვის აქ იქნებოდა.

ყველაფერი დანარჩენი დავიწყებას მიეცა.

როგორც დასაწყისში, ელენა ახლაც გრძნობდა თითქოს სტეფანის აზრების წაკითხვა შეეძლო. ისინი დაკავშირებული იყვნენ, ერთმანეთის ნაწილი. მათი გულებიც ერთ რიტმში ცემდა.

ერთი დეტალი აკლდა რომ ყველაფერი სრულყოფილი ყოფილიყო. ელენამ ზუსტად იცოდა რაც, მან თმა უკან გადაიყარა და შემდეგ ხელით გადაიწია კისრიდან. ამჯერად სტეფანს პროტესტი არ გამოუთქვამს და არც ხელი უკრია მისთვის. უარის ნაცვლად მთელი მისი სხეული თანხმობას და მოთხოვნილებას ასხივებდა.

ელენა სიყვარულის, აღტაცების და უდიდესი მადლიერების გრძნობამ მოიცა და მიხვდა რომ ამას სტეფანი განიცდიდა. წამიერად, თავისი თავი დაინახა სტეფანის თვალებით და იგრძნო თუ რა ძლიერ უყვარდა ბიჭს ის. ასეთი სიყვარული ალბათ შეაშინებდა კიდევ თვით ელენას გრძნობებიც რომ ასეთივე ძლიერი არ ყოფილიყო.

ტკივილი საერთოდ არ უგრძნვია, როდესაც სტეფანის კბილები მას კისერში ჩაესო. ელენა ვერც კი მიხვდა რომ, სრულიად გაუცნობიერებლად სტეფანს კისრის მეორე მხარე შესთავაზა და არა ის სადაც დეიმონმა უკბინა, მიუხედავად იმისა რომ ჭრილობა მთლიანად შეხორცებული იყო უკვე.

სტეფანმა თავის აწევა რომ დააპირა ელენამ ისევ უკან მიიკრა. თუმცა ბიჭი ჯიუტი იყო და ბოლოს ელენა იძულებული გახდა დაეთმო. ისე რომ ელენასთვის ხელი არ გაუშვია, სტეფანი კომოდზე სპილოს ძვლის ტარიან ხანჯალს გადასწვდა და ერთი სწრაფი მოძრაობით ხელი გაიჭრა. ელენას მუხლები მოეკვცა და სტეფანმა ის საწოლზე ჩამოაჯინა. ასე, უბრალოდ ჩახუტებულები ისხდნენ, მათთვის არც დრო არსებობდა და არც სხვა დანარჩენი. ელენას ეჩვენებოდა, თითქოს მარტო ის და სტეფანი არსებობდნენ.

-მე შენ მიყვარხარ. -ნაზად უთხრა ბიჭმა.

სასიამოვნო ბურუსში გახვეულმა ელენამ თავიდან მხოლოდ გაიგონა სიტყვები, მხოლოდ მოგვიანებით გაიაზრა მათი მნიშვნელობა და ტკბილად გააჟრჟოლა.

სტეფანს ის უყვარდა. აქამდეც იცოდა ეს რომ ასე იყო, მაგრამ ეს სიტყვებით პირველად უთხრა მან.

-მეც მიყვარხარ, სტეფან. -უჩურჩულა ელენამ. გაუკვირდა სტეფანი რომ შეირხა და ცოტათი განზე გაიწია, მერე დაინახა რასაც აკეთებდა. სტეფანმა სვიტერის ქვემოდან ამოაძვრინა ჯაჭვი რომელსაც მოუხსნელად ატარებდა მთელი დრო რაც კი ელენა მას იცნობდა. ჯაჭვზე ეკიდა ნატიფი და დახვეწილი ოქროს ბეჭედი ლურჯი, ლაპის ლაზულის ქვით.

ქეთრინის ბეჭედი. ელენა უყურებდა როგორ მოიხსნა სტეფანმა ჯაჭვი და ბეჭედი გამოაცალკევა.

-ქეთრინი რომ მოკვდა, -თქვა მან-მეგონა სხვას ვედარავის შევიყვარებდი. ვიცოდი მას ენდომებოდა ეს ჩემთვის, მე მაინც არ მეგონა თუ მსგავსი რამ შესაძლებელი იყო. თურმე ვცდებოდი. -სტეფანმა ცოტა ხანს შეისვენა და განაგრძო- ამ ბეჭედს ქეთრინის სამახსოვროდ ვინახავდი, რათა სულ გულში მყოლოდა. ახლა კი მიხდა რომ ამიერიდან ამ ბეჭედს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდეს. -ერთხელ კიდევ შეყოყმანდა, თითქოს ელენას თვალებში ჩახედვის ეშინოდა- ამჟამინდელ ჩემს სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, ამ შეკითხვის დასმის უფლებაც

არ მაქვს მაგრამ, ელენა...-რამოდენიმე წუთი ეძებდა სტეფანი საჭირო სიტყვებს, ბოლოს დანებდა და უსიტყვოდ ჩახედა თვალებში.

ელენა სიტყვას ვერ ძრავდა. ვერც კი სუნთქავდა. სტეფანმა არასწორად გაიგო მისი სიჩუმე, მის თვალებში იმედის შუქი ჩაქრა და შეტრიალდა.

-მართალი ხარ, -თქვა მან-ეს ხომ შეუძლებელია. უამრავი დაბრკოლება გვახვევია, სულ ჩემს გამო. იმის გამო რაც ვარ მე. შენნაირი ადამიანი ჩემნაირ არსებას ბედს როგორ დაუკავშირებს, არც უნდა მესხენებინა...

-სტეფან, -ხმა ამოიღო ელენამ-სტეფან, ცოტა ხანი თუ გაჩუმდები...

-...უბრალოდ დაივიწყე რაც გითხარი...

-სტეფან. სტეფან, შემომხედე.

ბიჭი დაემორჩილა და ნელა შეტრიალდა მისკენ. ელენას თვალებში რომ ჩახედა, სტეფანის სახიდან მწარე, თვითმგვემი გამომეტყველება წაიშალა და მის ნაცვლად გაჩნდა ისეთი გამოხედვა ელენას ყოველ ჯერზე სუნთქვას რომ უჩერებდა. შემდეგ, ნელი მოძრაობით აიღო ელენას გამოწვდილი ხელი თავისაში და ორივე უყურებდა როგორ შეაცურა თითზე ბეჭედი.

ბეჭედი ზუსტად მოერგო, თითქოს ელენასთვის ყოფილიყოს გაკეთებული. სინათლეში ოქრო მდიდრულად ბრწყინავდა, ხოლო ლაპისის ქვა კი მუქ ლურჯად ანათებდა, როგორც სპეტაკი თოვლით გარშემორტყმული კრიალა ტბა.

-მოგვიწევს ცოტა ხანს საიდუმლოდ შევინახოთ, -ხმის კანკალით თქვა ელენამ. -დეიდა ჯუდითი ჭკუიდან შეიშლება თუ გაიგო სკოლის დამთავრებამდე დავინიშნე. იქით ზაფხულს თვრამეტის ვხდები და მერე ვეღარ შეგვიშლის ხელს.

-ელენა, დარწმუნებული ხარ რომ ეს გინდა? ჩემთან ერთად ცხოვრება ადვილი არ იქნება. რაც არ უნდა ვეცადო, შენგან ყოველთვის განსხვავებული ვიქნები. თუ როდესმე აზრს შეიცვლი...

-სანამ გეყვარები აზრს არასოდეს შევიცვლი.

სტეფანმა ისევ ჩაიკრა გულში და ელენა სიმშვიდის და კმაყოფილების გრძნობამ მოიცვა. მაგრამ შიში მაინც ჩარჩენილი იყო მისი გონების კუთხეში და აწვალებდა.

-სტეფან, თუ ხვალ კეროლაინი და ტაილერი თავიანთ განზრახვას სისრულეში მოიყვანენ, უკვე აღარ ექნება მნიშვნელობა მე აზრს შევიცვლი თუ არა.

-ესე იგი, ხელი უნდა შევუშალოთ განზრახვის შესრულებაში. თუ ბონი და მერედიტი დამეხმარებიან მგონი შევძლებ შენი დღიური დავიბრუნო, მაგრამ რომც ვერ შევძლო მე არსად გავიქცევი ელენა, აქ დავრჩები და ვიბრძოლებ.

-სტეფან, ისინი რამეს დაგიშავებენ და მე მაგას ვერ ავიტან.

-მე კი შენს მიტოვებას ვერ ავიტან, ეს გადაწყვეტილია. დანარჩენზე დარდი მე მომანდე: რამე გზას ვიპოვი. თუ ვერ ვიპოვი... რაც არ უნდა მოხდეს შენთან დავრჩები, ერთად ვიქნებით.

-ერთად ვიქნებით. -გაიმეორა ელენამ და სტეფანს თავი მხარზე დაადო. ბედნიერი იყო, რომ ცოტა ხნით მაინც შეეძლო არაფერზე ეფიქრა და უბრალოდ ეარსება.

29 ნოემბერი, პარასკევი

ძვირფასო დღიურო,

უკვე გვიანია მაგრამ ვერ ვიძინებ. როგორც ჩანს, იმდენი ძილი აღარ მჭირდება როგორც ადრე. ხვალ არის გადამწყვეტი დღე.

სალამოს ბონის და მერედიტს ველაპარაკეთ, სტეფანის გეგმა უმარტივესია. რა ხდება იცი, სადაც არ უნდა ჰქონდეს კეროლაინს დღიური დამალული, ხვალ ხომ მაინც უნდა გამოიტანოს სამალავიდან და თან წაიღოს. ჩვენი პოეზიის კითხვა ცერემონიის სულ ბოლო ნაწილია, იქამდე

კი კეროლაინი მსვლელობაშიც მონაწილეობს და კიდევ სხვა გამოსვლებში. ამ დროს სადღაც ხომ უნდა შეინახოს დღიური. ასე რომ, ჩვენ თუ მას ვუთვალთვალებთ იმ წუთიდან როცა სახლიდან გამოვა იქამდე სანამ სცენაზე ავა, დავინახავთ სად დამალავს დღიურს. მას წარმოდგენაც არ აქვს რომ ჩვენ ეჭვი გვაქვს, ასე რომ არც იფრთხილებს.

აი ასე დავიბრუნებთ დღიურს.

წესით გეგმამ უნდა იმუშავოს, რადგან მისი ყველა მონაწილე დღესასწაულის პერიოდის სამოსში ვიქნებით. მისის გრიმსბი, ბიბლიოთეკარი და გვეხმარება მსვლელობისთვის 19-ე საუკუნის კაბების მორგებაში და ყველანაირი აქსესუარის ტარება იკრძალება რაც ამ პერიოდის არაა. არანაირი ხელჩანთა ან ზურგჩანთა. არანაირი დღიური! ასე რომ, კეროლაინს მოუწევს ამ დროს დღიური სადმე დადოს.

ერთმანეთს შევენაცვლებით თვალთვალში. ბონი სახლთან დაელოდება და დააკვირდება თან რას წაიღებს. მე დავაკვირდები გამოცვლისას მისის გრიმსბის სახლში. შემდეგ, საზეიმო მსვლელობის დროს, სტეფანი და მერედიტი სახლში-ან ფორბსების მანქანაში, თუ დღიურს იქ დატოვებს-შეაღწევენ და თავიანთ საქმეს გააკეთებენ.

ვერ ვხვდები როგორ შეიძლება ჩაიშალოს გეგმა. ვერც აგიწერ რამდენად უკეთ ვგრძნობ თავს. რა კარგია, რომ შემიძლია სტეფანს ყველაფერი ეს გავუზიარო. მორცა, ჭკუა ვისწავლე; ამიერიდან აღარასდროს არაფერს დავუმალავ მას.

ხვალ ჩემი ბეჭედი უნდა გავიკეთო. თუ მისის გრიმსბი შემეკითხება, ვეტყვი რომ ბეჭედი 19-ე საუკუნეზე უფრო ძველია, რენესანსის იტალიიდანაა. მისი სახე მაინტერესებს ამას რომ ვეტყვი. ცოტა მაინც უნდა წავუძინო. იმედია არაფერი დამესიზმრება.

მაღალი, ვიქტორიანული ტიპის სახლის წინ მომლოდინე ბონის გააჟრჟოლა. უკვე დილის რვა საათი იყო, მზე კი ჯერ კიდევ არ ამოსულიყო და ყინულივით ცივი ჰაერი უბერავდა. ცაზე თეთრი და რუხი ღრუბლები შეჯგუფებულიყო და არასასიამოვნო ბინდ-ბუნდი იდგა.

ბონი უკვე ფეხებს აბაკუნებდა და ხელებს იხელდა, ამ დროს ფორბსების სახლის კარი გაიღო. ბონი უკან, ბუჩქებში შეიმალა და აკვირდებოდა ოჯახის მსვლელობას მანქანამდე. მისტერ ფორბსს მხოლოდ კამერა ეჭირა ხელში, მისის ფორბსს-ხელჩანთა და დასაკეცი სკამი, მეორე ასეთივე სკამი მიჰქონდა დანიელს, კეროლაინის პატარა ძმას, თვითონ კეროლაინს კი...

ბონი წინ გადაიხარა და კმაყოფილებისგან დაუსტვინა. კეროლაინი ჯინსებში და სქელ სვიტრში იყო გამოწყობილი, მას თან ჰქონდა თეთრი, რეზინის მოსაჭერიანი ხელჩანთის მსგავსი რამ. ჩანთა არც ისე დიდი იყო, მაგრამ პატარა დღიური თავისუფლად ჩაეტეოდა.

წარმატებით ფრთაშესხმულმა და გამთბარმა ბონიმ დაიცადა სანამ მანქანა თვალს არ მიეფარა, შემდეგ კი ელენასთან შესახვედრად გაემშურა.

-აი, იქ დგას დეიდა ჯუდიტ, კუთხეში. -მანქანამ დაამუხრუჭა და ბონი უკანა სავარძელზე მოკალათდა, ელენას გვერდით.

-თეთრი ხელჩანთა აქვს თან. -ყურში უჩურჩულა ბონიმ ელენას, როდესაც დეიდა ჯუდიტმა მანქანა ხელახლა დაძრა.

-კარგია. -ამოისუნთქა ელენამ და ბონის ხელზე ხელი მოუჭირა. აღტაცებისგან და აღელვებისგან ტანზე დაბურბგლა. -ახლა ვნახოთ თუ შემოიტანს ჩანთას მისის გრიმსბის სახლში; თუ არა, მერედიტს უთხარი მანქანაშია-თქო. -ბონიმ თავი დაუქნია და მანაც მოუჭირა ხელი.

მისის გრიმსბისთან ზუსტად იმ დროს მივიდნენ, კეროლანინ რომ მხარზე თეთრ ჩანთა-გადაკიდებული შედიოდა. ბონიმ და ელენამ ერთმანეთს გადახედეს. ახლა ელენას უნდა ეთვალთვალა და გაერკვია სად დატოვებდა კეროლანინ ჩანთას.

-მეც აქ ჩამოვალ, მის გილბერტ. -თქვა ბონიმ და ის და ელენა მანქანიდან გადმოხტნენ. მას და მერედიტს სახლის გარეთ უნდა დაეცადათ სანამ ელენა შეატყობინებდა ჩანთის ადგილმდებარეობას. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კეროლანინს არაფერი უნდა ეეჭვა.

ელენას კარი მისის გრიმსბიმ გაუღო. იგი ფელს ჩარჩის ბიბლიოთეკარი გახლდათ და მისი სახლიც ბიბლიოთეკას მიაგავდა; ყველგან წიგნის კარადები იდგა და იატაკზეც წიგნები ელაგა. ის ასევე ინახავდა ფელს ჩარჩის ისტორიულ არტეფაქტებს, მათ შორის უძველესი დროის ტანსაცმელს.

ამ წუთას, სახლი ნახევრად ჩაცმულ-გახდილი, ხმაურიანი მოსწავლეებით იყო სავსე. მისის გრიმსბი ყოველთვის აკონტროლებდა ცერემონიისთვის კოსტიუმების შერჩევას. ელენა მზად იყო ეთხოვა მისთვის იმ ოთახში მოეთავსებინა სადაც კეროლანინი იყო, მაგრამ ეს საჭირო არ აღმოჩნდა. მისის გრიმსბის უკვე შეჰყავდა იქ.

კეროლანინი მხოლოდ თავის მოდურ საცლებში გამოწყობილი იდგა. ელენას ერთი შეხედვით გულგრილი გამოხედვა ესროლა, თუმცა ელენამ შეამჩნია დაფარული ბოროტი სიხარული მის მხერაში. თვითონ ტანსაცმლის გროვას არ აშორებდა თვალს, რომელიც მისის გრიმსბიმ საწოლიდან აიღო.

-აი შენი კოსტიუმიც ელენა. ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული ექსპონატია, მთლიანად ორიგინალი, ბაფთებიც კი. შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ეს კაბა თვით ონორია ფელს ეკუთვნოდა.

-რა ლამაზია, -ამოთქვა ელენამ, როცა მისის გრიმსბიმ თხელი, თეთრი ნაჭრის კაბა გაშალა. -რა ნაჭრითაა შეკერილი?

-ძველი ჩეხური მუსლინით და აბრეშუმის მარლა. დღეს ძალიან ცივა, ამიტომ შეგიძლია ის ხავერდის მოსაცმელიც ჩაიცვა. -ბიბლიოთეკარმა სკამზე გადაკიდებულ, მტვრიან, ვარდისფერ ტანსაცმელზე მიანიშნა.

ელენამ გამოცვლა დაიწყო და თან ჩუმად კეროლანინს გახედა; ჩანთა მის ფეხებთან იდო. მოუნდა უცებ მივარდნოდა და აეღო, მაგრამ მისის გრიმსბი ჯერ კიდევ ოთახში იმყოფებოდა.

მუსლინის კაბა ძალიან უბრალო იყო, მკერდს ქვემოთ ღია ვარდისფერი ბაფთით იკვრებოდა და დანარჩენი თავისუფლად იყო გაშვებული. ოდნავ შეკუმშული, იდაყვამდე სიგრძის მკლავებიც ამავე ფერის ბაფთებით იყო მორთული. მოდა მეცხრამეტე საუკუნეში საკმარისად თავისუფალი ყოფილა მეოცე საუკუნეში მაცხოვრებელი გოგონებისთვისაც კი-ყოველ შემთხვევაში გამხდარი გოგონებისთვის. ელენა ღიმილით გაყვა მისის გრიმსბის სარკისკენ

-მართლა ონორია ფელის იყო ეს კაბა? -იკითხა მან და თან დანგრეულ ეკლესიაში, სარკოფაგზე გამოხატულ ქალის მარმარილოსგან გამოთლილ სახეზე ფიქრობდა.

-ყოველ შემთხვევაში ასეა ცნობილი, -უპასუხა მისის გრიმსბიმ-თავის პირად წიგნაკში ასეთივე კაბას აღწერს და ამიტომაც თითქმის დარწმუნებულები ვართ.

-დღიურს წერდა? -გაუკვირდა ელენას.

-ო, დიახ. სასტუმრო ოთახში მაქვს შენახული, გასვლისას გაჩვენებ. მოდი ქურთუკიც ჩაიცვი. ეს რა არის? -რადაც იისფერი ფრიალით დაეშვა იატაკზე როდესაც ელენამ ვარდისფერი შემოსაცმელი აიღო. იგრძნო როგორ გაეყინა სახე. მისის გრიმსბის დაასწრო ქალაღდის აღება და დახედა.

ერთადერთი ფრაზა. ელენას ახსოვდა ამ სიტყვების წერა თავის დღიურში 4 სექტემბერს, სკოლის პირველ დღეს. მაგრამ დაწერა თუ არა მაშინვე გადახაზა. ახლა, ამ ფურცელზე, ეს სიტყვები გადახაზული არ იყო. პირიქით, მკვეთრი და ნათელი.

დღეს რაღაც საშინელება მოხდება.

ელენამ ძლივს შეიკავა თავი, რომ კეროლაინს არ მივარდნოდა და ცხვირწინ არ აეფრიალებინა მისთვის ეს ნაწერი. მაგრამ ასეთი საქციელი ყველაფერს გააფუჭებდა. თავი აიძულა დამშვიდებულიყო, ქალაქი დაკუჭა და სანაგვე ყუთში მოისროლა.

-უბრალო ნაგავია. -თქვა მან, მხრებში გასწორდა და ისევ მისი გრიმსბის მიუბრუნდა. კეროლაინს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ელენა მისი მოზეიმე, მწვანე თვალების მზერას გრძნობდა.

-შენ დამაცადე, - გაიფიქრა ელენამ. - დამაცადე სანამ დღიურს დავიბრუნებ. ჯერ იმას დავწვავ და მერე შენ დაგელაპარაკები.

-მზად ვარ. - მიმართა მისი გრიმსბის.

-მეც. - თავმდაბლად წარმოთქვა კეროლაინმა. ელენამ გულგრილად შეათვალიერა გოგო. კეროლაინის ღია მწვანე, თეთრ და მწვანე სარტყელებიანი კაბა მის სამოსთან სილამაზით ახლოსაც ვერ მოვიდოდა.

-შესანიშნავია. გოგონებო ახლა გადით და თქვენ-თქვენ ტრანსპორტს დაელოდეთ. კეროლაინ, რედიკული არ დაგრჩეს.

-არავითარ შემთხვევაში. - ღიმილით თქვა კეროლაინმა და ფეხებთან დადებულ თეთრ ხელჩანთას დასწვდა. ელენას გაუმართლა, რომ იმ წუთას კეროლაინს არ შეეძლო მისი სახის დანახვა, რადგან მისი გულგრილობა და ინდიფერენტული დამოკიდებულება მთლიანად დაიმსხვრა. ის სულელივით მიშტერებოდა როგორ იბამდა კეროლაინი ჩანთას წელზე. მისი განცვიფრება არ გამოჰპარვია მისი გრიმსბის.

-ეს რედიკულია, თანამედროვე ხელჩანთის წინაპარი. - მშვიდად აუხსნა ქალმა-ქალები მასში ხელთათმანებს და მარაოებს ინახავდნენ. კეროლაინმა რამდენიმე დღით ადრე წაიღო ის, რათა მოშვებული მძივები დაეკერებინა. რა ყურადღებია... .

-აბა, ნამდვილად. - დახშული ხმით ამოდერდა ელენამ. ახლავე უნდა წასულიყო აქედან თორემ რაღაც საშინელება ამ წუთასვე მოხდებოდა; ან წივილ-კივილს ატეხდა, ან კეროლაინს მივარდებოდა ანდა სულაც აფეთქდებოდა. - სუფთა ჰაერი მჭირდება. - თქვა მან და გარეთ გავარდა.

ბონი და მერედიტი მერედიტის მანქანაში იცდიდნენ. ელენას გული უცნაურად უცემდა, მანქანას რომ მიუახლოვდა და ფანჯარაში შეყო თავი.

-კეროლაინი ჩვენზე ჭკვიანი აღმოჩნდა, - წყნარად თქვა მან-ჩანთა მისი კოსტიუმის ნაწილია და მთელი დღე თან ექნება.

ბონი და მერედიტი ჯერ ელენას მიშტერებოდნენ, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს.

-კი მაგრამ... ახლა რაღა ვქნათ? - იკითხა ბონიმ.

-არ ვიცი, - ახლადა გააცნობიერა ბოლომდე სიტუაცია ელენამ და შემფოთებით გაიმეორა: - არ ვიცი!

-შეგვიძლია მაინც ვუთვალთვალოთ. იქნებ ლანჩის დროს მოიხსნას ჩანთა ან... - მაგრამ მერედიტის სიტყვები მშრალად ჟღერდა. სამივემ იცოდა სიმართლე, ფიქრობდა ელენა, სიმართლე კი ის იყო, რომ ყველაფერი უიმედო იყო. ისინი დამარცხდნენ.

ბონიმ უკანახედვის სარკეში ჩაიხედა და შემდეგ უკან მიტრიალდა.

-შენი ტრანსპორტი მოვიდა. - უთხრა ელენას.

ელენამ მიიხედა. ორ თეთრ ცხენს მოყავდა მშვენივრად შეკეთებულ- გადაკეთებული, ორადგილიანი ეტლი. ეტლს ბორბლებზე მაგარი ქალაქი ჰქონდა შემოხვეული,

დასაჯდომი გვიმრით იყო მორთული, გვერდზე კი დიდი ბანერი იყო გაკრული, რომელზეც ეწერა: ფელს ჩარჩის სული.

-უთვალთვალეთ, თუ ერთ მომენტში მაინც დარჩეს კეროლანინი მარტო...-მხოლოდ ამ სასოწარკვეთილი მესიჯის დატოვება მოასწრო ელენამ, უკვე მისი წასვლის დრო იყო.

მთელი გაწეილი და საშინელი დილის განმავლობაში კეროლანინი ერთხელაც არ დარჩენილა მარტო. ის ყოველთვის მაყურებელთა ბრბოთი იყო გარშემორტყმული.

ელენასთვის საზეიმო მსვლელობა ნამდვილი წამება იყო. ეტლში ქალაქის მერთან და მის ცოლთან ერთად იჯდა, ცდილობდა გაეღიმა და ჩვეულებრივ მოქცეულიყო, მაგრამ შიშის გრძობა მძიმედ აწვა გულზე და სულს უხუთავდა.

სადღაც მის წინ, მარშით მოსიარულე მონაწილეთა ჯგუფების და სახურავ-გადახდილი მანქანებს შორის, იმყოფებოდა კეროლანინი. ელენას დავიწყებოდა გაგება რომელ ფლოტილიას ეკუთვნოდა ის, ალბათ პირველს. მაშინ მასთან ერთად ბევრი პატარა ბავშვიც იქნებოდა, კოსტიუმებში.

მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. კეროლანინი სადაც უნდა ყოფილიყო, მაინც ნახევარი ქალაქი ხედავდა ალბათ.

მსვლელობას საერთო ლანჩი მოყვა, რომელიც სკოლის კაფეტერიაში ჩატარდა. ელენა მერ დოულის და მისი ცოლის მაგიდასთან იჯდა გამომწყვდეული. კეროლანინიც მის ახლოს მაგიდასთან იჯდა, ელენა ხედავდა მის კეფაზე მოელვარე ჟღალ თმას. მის გვერდით კი ტაილერ სმოლვუდი იჯდა და ხშირად პირადი მცველივით ევარებოდა მას.

ელენას თავისი ადგილიდან იდეალურად აკვირდებოდა დრამას, რომელიც შუა ლანჩის დროს გაიმართა. გული ყელში მიებჯინა, როდესაც დაინახა სტეფანი, ნელი ნაბიჯით რომ მიუახლოვდა კეროლანინის მაგიდას.

ის რაღაცაზე ელაპარაკებოდა კეროლანინს. ელენას საერთოდ არ გახსენებია, რომ პირდაუკარებელი საჭმლისთვის უბრალოდ მაინც გაეკრა ჩანგალი. შემდეგ რაც მოხდა იმან კი გული უსწრაფესად აუბგერა. კეროლანინმა თავი გააქნია, სტეფანს მოკლე პასუხი დაუბრუნა და ჭამა განაგრძო. ტაილერი კი ფეხზე წამოიჭრა და სახეაჭარხლებული საჩხუბრად მოემზადა. სანამ სტეფანი მათ მაგიდას არ გაშორდა აღარ დამჯდარა.

სტეფანმა ელენას გამოხედა სანამ წავიდოდა, წამიერად მათი თვალები შეხვდა და მათ უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს.

ესე იგი, ვერც სტეფანმა იღონა რამე. ძალა კი დაუბრუნდა მაგრამ ტაილერი არ უშვებდა კეროლანინთან. ძლიერი შიში ახლა ელენას ფილტვებს დააწვა და ძლივსღა სუნთქავდა.

დარჩენილი დრო ელენა უბრალოდ იჯდა, ჩაკარგული თავის უბედურებაში და სასოწარკვეთილებაში, სანამ ვიღაცამ არ უბიძგა და უთხრა დრო იყო კულისებში წასულიყო.

გულგრილად უსმენდა მერ დოულის მისასალმებელ სიტყვას. მერმა ილაპარაკა, რომ ბოლო დროს ფელს ჩარჩს "გამოცდის ხანა" დაუდგა და ამ თვეების განმავლობაში მათთემის სული ეხმარებოდა. შემდეგ დაარიგეს ჯილდოები, კარგი სწავლისთვის, სპორტულობისთვის და საჯარო საქმიანობისთვის. მეთი სცენაზე ავიდა და მიიღო მისი კუთვნილი "წლის საუკეთესო სპორტსმენის" ჯილდო, ელენამ დაინახა როგორ ცნობისმოყვარედ გამოხედა მას.

ამას მოყვა წარმოდგენა. დაწყებითი კლასის ბავშვები კისკისებდნენ, ფეხი ეშლებოდათ და სიტყვები ავიწყდებოდათ, როდესაც სამოქალაქო ომის დროს ფელს ჩარჩის დაარსების სცენებს წარმოადგენდნენ. ელენა ამ ყველაფერს უყურებდა მაგრამ ვერაფერს აღიქვამდა. წინა ღამის შემდეგ თავბრუ ეხვეოდა და აჟრჟოლებდა, ახლა ისეთი გრძობა ჰქონდა თითქოს სადაცაა გრიპი

უნდა შეეყაროსო. მისი ტვინი,სადაც ყოველთვის ირეოდა ათასი გეგმა და გაანგარიშება,ახლა სრულიად ცარიელი იყო. უკვე აღარ შეემლო ფიქრი და თითქმის აღარც ანაღვლებდა ეს.

წარმოდგენა დამთავრდა და მას მოყვა უამრავი ფოტოაპარატის ნათება და ხმაურიანი ტაში. როდესაც ბოლო პატარა კონფედერაციის ჯარისკაცმაც დატოვა სცენა,მერმა დოულიმ მაყურებელს სიჩუმისკენ მოუწოდა.

-ახლა კი,-დაიწყო მერმა-სცენაზე ვიხმობ მოსწავლეებს,რომლებიც დაასრულებენ დღესასწაულს. გთხოვთ მივეგებოთ-"დამოუკიდებლობის სული", "ერთგულების სული"და "ფელს ჩარჩის სული"!

ტაშმა იქუხა. ელენა ჯონ კლიფორდის გვერდით იდგა,ტვინიკოსი უფროსკლასელის,რომელიც დამოუკიდებლობის სულს წარმოადგენდა. ჯონს მეორე მხარეს კეროლანინი ედგა. ელენა ყველაფრისგან გამოთიშული იყო,თუმცა ასეთ აპათიურ მდგომარეობაშიც კი შეამჩნია,რომ კეროლანინი დიდებულად გამოიყურებოდა:თავი უკან გადაეხარა,თვალები უელავდა და ლოყები აღაჟღაჟებოდა.

პირველი ჯონი გავიდა წინ. სათვალე და მიკროფონი გაისწორა და დაიწყო კათედრაზე დადებული მძიმე,ყავისფერი წიგნიდან კითხვა. ოფიციალურად,მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ თვითონ აერჩიათ წასაკითხი მასალა; თუმცა,პრაქტიკაში ყველა უმეტესად კითხულობდა ემ.სი.მარშის ლექსებს-ის გახლდათ ერთადერთი პოეტი,რომელიც ფელს ჩარჩმა დაბადა.

მთელი დრო რაც ჯონი კითხულობდა,კეროლანინი მის წილ ყურადღებას ითვისებდა. მაყურებელს უღიმოდა,თმას მომხიზვლელად ისწორებდა,ან წელზე მობმული რედიკულით თამაშობდა. ის სიყვარულით ნაზად ეფერებოდა ჩანთის სახელურს და ელენა კი ჰიპნოზის ქვეშ მყოფივით მისჩერებოდა მას,თითქოს ყველა მძივი სათითაოდ უნდა შეისწავლოს და დაიმახსოვროსო.

ჯონმა თავი დაუკრა მსმენელს და ისევ თავის ადგილას დადგა,ელენას გვერდით. კეროლანინი მხრებში გასწორდა და კათედრამდე მოდელივით განარნარდა. ამჯერად ტაშს სტვენაც შეერია,მაგრამ კეროლანინს არ გაუღიმიო; ის ტრაგიკული პასუხისმგებლობის გამომეტყველებით იყურებოდა. მან დაიცადა სანამ კაფეტერიაში სრული სიჩუმე არ ჩამოვარდა და დაიწყო:

-დღეს ემ.სი.მარშის ლექსის წაკითხვას ვგეგმავდი,-ყურადღებით აღსავსე სიჩუმეში დაიწყო გოგომ,-მაგრამ გადავიფიქრე. რატომ წავიკითხო აქედან,-კეროლანინმა მეცხრამეტე საუკუნის ლექსების კრებული აიღო,-როდესაც სხვა წიგნიც ვიპოვე...ბევრად უფრო...საინტერესო?

იპოვე კი არა მოიპარე,გაიფიქრა ელენამ. ბრბო მოათვალაიერა და სტეფანი იპოვა. თითქმის სულ უკან იდგა,ორივე გვერდში ბონი და მერედიტი ამოდგომოდნენ,თითქოს იცავნო. ელენამ სხვებზე შეამჩნია; ტაილერი,დიკთან და რამდენიმე სხვა ბიჭთან ერთად ცოტა მოშორებით იდგა. ბიჭები სკოლის მოსწავლეებზე ბევრად უფროსები ჩანდნენ,მოსული ტიპები,თან ხუთნი. წადი,გაიფიქრა ელენამ და სტეფანის თვალები მონახა. უნდოდა მიეხვედრებინა რასაც ფიქრობდა. წადი,სტეფან.; სანამ რამე მოხდება დატოვე აქაურობა. წადი,ახლავე.

ძალიან ნელი,თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით სტეფანმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

კეროლანინის თითები გამალებით დამკრებოდა ჩანთაში,თითქოს ველარ ითმენსო.-რასაც ახლა წავიკითხავ დღევანდელ ფელს ჩარჩს ეხება,და არა ასი ან ორასი წლის წინანდელ ქალაქს.-მეტი და მეტი აღტაცებით საუბრობდა კეროლანინი.-ეს ამბავი მნიშვნელოვანია ახლა,რადგან ის არის პიროვნებაზე,რომელიც ამჟამად ცხოვრობს ჩვენს შორის. სხვათა შორის,ის ახლა ამ ოთახში იმყოფება.

ალბათ ტაილერმა დაუწერა სიტყვა, გადაწყვიტა ელენამ. წინა თვეში, სპორტდარბაზში, ამ განხრით საკმაო ნიჭი გამოავლინა. ო, სტეფან, ო, სტეფან, როგორ მეშინია... ელენას ფიქრები გაურკვეველ ნაწყვეტებად იქცა, როდესაც კეროლიანმა ღრმად ჩაყო ხელი ჩანთაში.

-მგონი უკეთ გაიგებთ რისი თქმაც მინდა, როდესაც თქვენი ყურით მოისმენთ. -თქვა კეროლიანმა, სწრაფი მოძრაობით ამოიღო ჩანთიდან ხავერდის წიგნაკი და დრამატულად ასწია მაღლა. -ჩემი აზრით, ეს ფელს ჩარჩში ბოლო დროს მიმდინარე ბევრ მოვლენას ახდის ფარდას. - სწრაფად მაგრამ მსუბუქად სუნთქავდა, ნელა მოწყვიტა თვალი მოჯადოებულ მაყურებელს და მზერა წიგნაკზე გადაიტანა.

ელენამ კინაღამ გონება დაკარგა, კეროლიანმა რომ დღიური ამოიღო. თვალწინ კაშკაშა სინათლეები დაურბოდნენ. გულისრევის შეგრძნება მოეძალა, თითქმის სძლია კიდეც, მაგრამ უცებ ელენამ რაღაც შეამჩნია.

ალბათ თვალი ატყუებდა. სცენის განათება და ფოტოაპარატების კაშკაშა სინათლეები უბინდავდა თვალებს. ყოველ წუთს შეიძლება გული წასვლოდა. გასაკვირი არც იყო, რომ წესივრად ველარც არჩევდა ფერებს.

წიგნაკი კეროლიანის ხელში მწვანე ეჩვენებოდა და არა ცისფერი.

ალბათ ვგიჟდები... ან მესიზმრება... ან განათების ბრალია. მაგრამ კეროლიანის სახეს შეხედეთ!

კეროლიანს სულ მიავიწყდა მაყურებელი და ხავერდის წიგნაკს მიშტერებოდა. დღიურს ხელში ნერვიულად ატრიალებდა, ყველა მხრიდან სინჯავდა. მერე ხელი რედიკულში ჩაყო, თითქოს იქ კიდეც რაიმეს პოვნის იმედი ჰქონდა. გაცოფებულმა სცენასაც მოავლო თვალი, რასაც ვეძებ იატაკზე ხომ არ დამივარდაო.

ხალხში ჩურჩული გაისმა, მაყურებელს მოუთმენლობა ემატებოდა. მერი დოული და სკოლის დირექტორი პირმოკუმული უბღვერდნენ ერთმანეთს.

იატაკზე რომ ვერაფერი ნახა, კეროლიანი ისევ პატარა წიგნს მიაშტერდა. მაგრამ ახლა ისე იბღვირებოდა, თითქოს წიგნი კი არა მორიელი ეჭირა ხელში. უცარი მოძრაობით წიგნი გადაშალა და შიგნით ჩაიხედა, ალბათ იმედი ჰქონდა რომ მხოლოდ ყდა იყო შეცვლილი და სიტყვები ელენას იქნებოდა. შემდეგ ნელა მოაშორა თვალეები წიგნს და გადაჭედულ კაფეტერიას გახედა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მომენტი გაიწელა, ყველა როგორც ერთი მისჩერებოდა ღია მწვანე კაბაში გამოწყობილ გოგონას. კეროლიანმა გაუმართავი ენით ჩაიბურტყუნა რაღაც, შებრუნდა და სცენიდან ქუსლების კაკუნით ჩავიდა. გზად ელენას მხარი გაკრა და გაცოფებული, სიძულვილით სავსე სახით შეხედა.

ნელი მოძრაობით, თითქოს დაფრინავსო, ელენა დაიხარა და აიღო საგანი რითაც კეროლიანმა დაარტყა - კეროლიანის დღიური.

ელენას გარშემო ფუსფუსი და აურზაური ატყდა; ზოგი კეროლიანს გაეკიდა, დანარჩენები კი ხმაურთანად განიხილავდნენ ინციდენტს. ელენამ სტეფანს იპოვა. სიხარულის გრძნობა ნელ-ნელა მასაც ეპარებოდა, მაგრამ ისიც ელენასავით გაოგნებული და თავგზააზნეული იყო. ისევ როგორც ბონი და მერედიტი. სტეფანის მზერას რომ შეეჩხა, ელენა მაღლიერების და სიხარულის გრძნობით აივსო, მაგრამ ყველა გრძნობას მაინც მოწიწება სძლევდა.

სასწაული მოხდა. ყველა იმედი გადაწურული ჰქონდათ, მაგრამ გადარჩნენ. ვიღაცამ ან რაღაცამ გადაარჩინათ.

ამ დროს ბრბოში კიდეც ერთი შავი თმით დამშვენებული თავი შეამჩნია.

დეიმონი მიყუდებული... არა ჩასაფრებული იყო ჩრდილოეთ კედელთან. მისი ტუჩების მხოლოდ ნახევარი იღიმოდა, მან თამამად გაუსწორა ელენას თვალი.

მერი დოული ელენასთან გაჩნდა,წინ გასვლას სთხოვდა და თან ხალხს აწყნარებდა,წესრიგის აღდგენას ცდილობდა. არაფერი გამოუვიდა. ელენამ გაფანტული,მეოცნებე ხმით ჩაიკითხა შერჩეული ლექსი,მაინც არავინ აქცევდა ცოტაოდენ ყურადღებასაც კი,ყველა თავისთვის ლაპარაკობდა. არც ელენა აქცევდა ყურადღებას,წარმოდგენა არ ჰქონდა რა სიტყვებს წარმოთქვამდა. დროდადრო დეიმონს გახედავდა ხოლმე.

რომ დაამთავრა აქა-იქ ტაში დაუკრეს და შემდეგ მერმა გამოაცხადა დანარჩენი პროგრამა. მერე ყველაფერი მორჩა და ელენას შეეძლო წასულიყო.

სცენიდან ჩამოფარფატდა,წარმოდგენა არ ჰქონდა საით წასულიყო; ფეხებმა ჩრდილოეთ კედლისკენ წაიყვანეს. დეიმონის მუქთმიანი თავი გვერდით კარიდან გავიდა და ელენაც მას მიყვა.

ჩახუთული,გადაჭედული ოთახის მერე ეზოს გრილი ჰაერი საოცრად ესიამოვნა,ზემოთ ვერცხლისფერი ღრუბლები ირეოდა. დეიმონი მას ელოდა.

ნაბიჯებს უკლო მაგრამ არ გაჩერებულა,სანამ დეიმონისგან ოცდაათიოდე სანტიმეტრი არ აშორებდა და გამალებით აკვირდებოდა მის სახეს. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სიჩუმე იდგა,რომელიც ელენამ დაარღვია:

-რატომ?

-მე მეგონა შენ უფრო დაგაინტერესებდა როგორ? -მრავალმნიშვნელოვნად დაიფერთხა ქურთუკი დეიმონმა.-წინა კვირას ნაცნობობის ისტორია შევთხზე და ამ დილას ყავაზე დავაპატიჟებინე თავი.

-მაგრამ რატომ?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა,თუმცა ერთი წამის განმავლობაში მის ნახატივით ლამაზ სახეზე შიშის მსგავსმა გამომეტყველებამ გაირბინა. ელენა მიხვდა,რომ დეიმონმა თვითონაც არ იცოდა რატომ გააკეთა ეს,ან უბრალოდ არ უნდოდა აღიარება.

-ჩემი საკუთარი მიზნებისთვის.-თქვა ბოლოს დეიმონმა.

-შენი არ მჯერა.-მათ შორის რაღაც გრძნობა იღვიძებდა და ელენას ამ რაღაცისსიძლიერის შეეშინდა.-სულაც არ ვფიქრობ რომ ესაა მიზეზი.

-ნუ მეტამაშები,ელენა.-სახიფათოდ გაიელვა დეიმონის შავმა თვალებმა.

ელენა კიდევ უფრო მიუახლოვდა,თითქმის ეხებოდა მას და თვალებში ჩახედა.

-მე კი მგონია,-უთხრა დეიმონს-რომ შენ სწორედ ეგ გჭირდება.

დეიმონის სახეს მხოლოდ სანტიმეტრები აშორებდა და ელენამ არ იცოდა რა შეიძლებოდა მომხდარიყო მათ შორის,ზუსტად იმ მომენტში ხმას რომ არ შეეწყვიტა მათი საუბარი.

-რა კარგია,რომ მაინც მოახერხეთ მოსვლა! როგორ მიხარია!

დეიდა ჯუდიითი. ელენას ისეთი გრძნობა ჰქონდა,თითქოს ერთი სამყაროდან მეორეში გადააფრინესო. თავბრუდახვეულმა დაახამხამა თვალები და უკან დაიხია. ამოისუნთქა და მერე მიხვდა თურმე სუნთქვა შეკრული ჰქონია.

-ელენას წაკითხულიც მოისმინეთ,-ბედნიერად აგრძელებდა დეიდა-შენ ძალიან კარგი იყავი ელენა,მაგრამ ის ვერ გავიგე კეროლაინს რა სჭირდა. ამ ქალაქის გოგონები ამ ბოლო დროს მოჯადოებულებივით იქცევიან.

-ალბათ ნერვების ბრალია,-ფრთხილად მაგრამ მოზეიმე სახით თქვა დეიმონმა. ელენას ჯერ გაცინება მოუნდა,მაგრამ უცებ ძლიერ გაღიზიანდა. იმას წყალი არ გაუვა,რომ თავიანთ გადარჩენას დღეს დეიმონს უნდა უმადლოდნენ,მაგრამ დეიმონი რომ არა არც ეს პრობლემა შეექმნებოდათ. სწორედ დეიმონმა ჩაიდინა ის დანაშაულები,რომლების დაბრალებაც უნდოდა კეროლაინს სტეფანისთვის.

-და სტეფანი სადღაა?-ხმამალა გააგრძელა ფიქრი ელენამ. დაინახა ეზოში მარტო მდგარი ბონი და მერედიტი. დეიდა ჯუდიტის სახე აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა.

-არ დამინახავს,-თქვა მან მოკლედ და შემდეგ ნაზად გაიღიმა.-თუმცა იდეა მაქვს. რატომ შენ არ წამოხვალ ჩვენთან სადილად დეიმონ? სადილის შემდეგ კი შენ და ელენას შეგეძლოთ...

-შეწყვიტე!-დეიმონს მიმართა ელენამ. ბიჭის სახე მხოლოდ ზომიერ გაკვირვებას გამოხატავდა.

-რა ხდება?-დაიბნა დეიდა ჯუდიტი.

-შეწყვიტე!-გაუმეორა ელენამ დეიმონს.-მშვენივრად ხვდები რაზეც გეუბნები. ახლავე შეწყვიტე ეგ!

-ელენა,როგორ უხეშობ!-დეიდა ჯუდიტი ხშირად არ ბრაზდებოდა,მაგრამ ახლა აშკარად გაბრაზებული იყო.-უკვე საკმარისად დიდი ხარ იმისთვის,რომ ასე იქცეოდე.

-სულაც არ ვუხეშობ! შენ არ გესმის...

-მშვენივრადაც მესმის. დეიმონი რომ ჩვენთან სადილად მოვიდა,მაშინაც ზუსტად ასე იქცეოდი. არ გგონია რომ სტუმარს ცოტა უფრო თავაზიანად უნდა მოექცე?

ელენა განრისხდა.-შენ არც კი იცი რას ამბობ,-მიმართა დეიდას. არა ეს უკვე მეტისმეტი იყო. დეიმონის სიტყვების დეიდა ჯუდიტის პირიდან მოსმენა...აუტანელი იყო.

-ელენა!-დეიდა ჯუდიტის სახე აელეწა.-შენ მე მაოგნებ! არა მაინც უნდა ვთქვა,შენი ასეთი სულელური,ბავშვური საქციელები მას შემდეგ დაიწყო,რაც იმ ბიჭთან დაიწყე შეხვედა.

-ოჰ, "იმ ბიჭთან" არა?-შეუბღვირა ელენამ დეიმონს.

-დიახ,იმ ბიჭთან!-უპასუხა დეიდა ჯუდიტმა.-რაც მასზე გაგიჟდი და გადაირიე,შენს თავს აღარ გავხარ,სულ სხვა ადამიანი გახდი; უპასუხისმგებლო,საიდუმლოებით მოცული,და უტიფარი! თავიდანვე უარყოფით გავლენას ახდენდა შენზე და მე ვეღარ შევეგუები თქვენს ურთიერთობას.

-მართლა?ასე არა?-ელენა ხან დეიდას უყურებდა და ხან დეიმონს,ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს ორივეს ერთდროულად ელაპარაკებოდა. ბოლო დღეების,კვირების და სულაც თვეების განმავლობაში,მას შემდეგ რაც სტეფანი გაიცნო,ყველა ემოციას გულში იხვევდა. ახლა კი ეს ყველაფერი ერთად ზედაპირზე ამოტივტივდა როგორც დიდი ტალღა,თითქოს მის გულში მოქცევა დაიწყო და ელენას ამ სიტუაციაზე არავითარი კონტროლი არ ჰქონდა. ელენა ერთიანად კანკალებდა.

-იცი რა,ეგ ძალიან ცუდია,რადგან მოგიწევს შეეგუო. მე სტეფანს არასოდესმივატოვებ,არავის გულისათვის,მითუმეტეს არა შენთვის!-ეს ბოლო ნაწილი დეიმონის მისამართით იყო განკუთვნილი,მაგრამ დეიდა ჯუდიტის განცვიფრების შემახილი აღმოხდა.

-ახლა გეყოფა!-მკაცრად მიმართა რობერტმა,რომელიც მარგარეტთან ერთად გამოჩნდა და მოღუშული იყურებოდა.-თუ ის ბიჭი გაქეზებს რომ დეიდას ასე ელაპარაკო...

-ნუ ეძახით "იმ ბიჭს"!-ელენამ უკან დაიხია რომ ყველასთვის ერთად შეეხედა. ნამდვილ წარმოდგენას მართავდა,ეზოში ყველა მას უყურებდა,მაგრამ ელენას არ აინტერესებდა. უკვე რამდენი ხანია შიშს,მღელვარებას თუ გაბრაზებას გულში ჩაკეტილს ინახავდა და არ ამუღავნებდა. ვერავინ ხედავდა როგორ წუხდა სტეფანზე,ემინოდა დეიმონის; არავის აჩვენებდა რა სირცხვილის და დამცირების ატანა უხდებოდა სკოლაში ბოლო დროს. ეს ყველაფერი ღრმად ჰქონდა გულში ჩაფლული,მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დაუბრუნდა-ყველაფერი ერთად და ერთდროულად,როგორც უძლიერესი მორევი. გული გამალებით უცემდა და ყურები უწიოდა. იმ წუთას,ელენასთვის სხვა აღარაფერი არსებობდა,გარდა სურვილისა რომ მის წინაშე მდგარი ხალხისთვის ტკივილი მიეყენებინა,რომ ენახებინა მათთვის...

-ადარ დაუძახოთ "ის ბიჭი",-ყინულივით ცივი ხმით გამიმორა ელენამ.-მას სტეფანი ჰქვია და მე ის ყველაზე მეტად მიყვარს. სხვათა შორის,ჩვენ დავინიშნეთ.

-ოხ,კარგი ერთი,რას სულელობ!-დაიგრგვინა რობერტმა. ეს ელენასთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

-ესე იგი ეს სისულელეა?-ელენამ ხელი ასწია და ბეჭედი დაანახა-ჩვენ დაქორწინებას ვაპირებთ!

-შენ მას ვერ გაყვები!-დაიწყო რობერტმა. ყველა გაცოფებული იყო; დეიმონმა მისი ხელი აიღო და ერთხანს ბეჭედს მიშტერებოდა,შემდეგ მკვეთრად შებრუნდა და დიდი ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას,მის თითოეულ ნაბიჯში ჩანდა ძლივს დამალული სისასტიკე. რობერტი სიბრაზისგან ცოფებს ყრიდა, დეიდა ჯუდიტიც განრისხებული იყო.

-ელენა,მე შენ სასტიკად გიკრძალავ...

-შენ დედაჩემი არ ხარ!-იყვირა ელენამ. ცრემლები აწვებოდა. აქედან უნდა წასულიყო,მარტო უნდოდა ყოფნა ან იმასთან ერთად ვისაც უყვარდა.-თუ სტეფანი მიკითხავს,უთხარით რომ პანსიონატში ველოდები.-დაამატა ელენამ და ბრბო გაარღვია.

თითქმის ელოდებოდა რომ ბონი ან მერედიტი გამოყვებოდა,გაუხარდა როცა არც ერთი აეკიდა. ავტოსადგომი მანქანებით იყო სავსე,მაგრამ ხალხი თითქმის არ იყო. ოჯახების უმეტესობა შუადღის წარმოდგენაზე დარჩა. უცებ დაინახა ძველი ფორდ სედანი ახლომახლო,ნაცნობი ფიგურა აღებდა მის კარს.

-მეთ! მიდიხარ?-წამიერად მიიღო გადაწყვეტილება ელენამ. ძალიან ციოდა და პანსიონატამდე ფეხით ვერ მივიდოდა.

-რა? არა,მწვრთნელს მაგიდების ჩამოლაგებაში უნდა მივებმარო. უბრალოდ,ამის შენახვა მინდოდა.-ამ სიტყვებზე ბიჭმა "საუკეთესო სპორტსმენის" პლაკატი დააგდო წინა სავარძელზე.-ჰეი,კარგად ხარ?-ჰკითხა ელენას მისი სახე კარგად რომ შეათვალიერა.

-კი-არა. კარგად გავხდები აქაურობას რომ გავეცლები. შეიძლება შენი მანქანა წავიყვანო?ცოტა ხნით..?

-ჰო...რა თქმა უნდა,მაგრამ...იცი რა,მოდით მე წაგიყვან. წავალ მწვრთნელს ვეტყვი...

-არა! უბრალოდ მარტო ყოფნა მინდა...ძალიან გთხოვ არაფერი მკითხო.-თითქმის ძალით გამოგლიჯა ბიჭს გასაღებები ხელიდან.-მალე დაგიბრუნებ,გპირდები. ან სტეფანი მოგიყვანს. ჰო,თუ სტეფანს ნახავ,უთხარი რომ პანსიონატში ვიქნები. და მადლობა.-მეთი ისევ გაპროტესტებას აპირებდა მაგრამ ელენამ კარი მაგრად მიხურა და მანქანა დაქოქა. სიჩქარეში ჩაგდება გაუჭირდა და ცოტა უხეშად გამოუვიდა,მექანიკურ სიჩქარის კოლოფს მიუჭვეველი იყო. მეთი ისევ იქ იდგა და გაშტერებული უყურებდა როგორ გაეცალა ელენა იქაურობას.

ელენას მანქანა ისე მიყავდა,ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა.

გულამოსკვნილი ტიროდა და მის სულში დატრიალებულ ემოციების ქარიშხალში იყო ჩაფლული. ის და სტეფანი გაიქცეოდნენ...ისინი ერთად გაეცლებოდნენ აქაურობას...და ყველას აჩვენებდნენ. არასოდეს ფეხს აღარ ჩამოადგამდა ფელს ჩარჩში.

მაშინ მაინც ხომ იზანებდა დეიდა ჯუდიტი,რობერტიც მიხვდებოდა თურმე როგორ ცდებოდა. მაგრამ ელენა მათ არასოდეს აპატიებდა. არასოდეს.

თვითონ ელენას რაც შეეხება,მას არავინაც არ სჭირდება. პირველ რიგში რობერტ ი.ლი-ს სულელური სკოლა არ სჭირდებოდა,სადაც შეიძლება მეგა-პოპულარული მოსწავლე ერთ დღეში გახდეს ყველაზე არაპოპულარული,მარტო იმიტომ რომ საზოგადოებისთვის მიუღებელი პიროვნება შეუყვარდა. არც ოჯახი სჭირდებოდა და არც მეგობრები...

ელენამ სიჩქარეს მოუკლო და პანსიონატის მოსახვევში შეუხვია,ამ დროს ცოტათი მისი გონება და ფიქრებიც ჩაწყნარდა.

ნუ ეხლა...ყველა მეგობარზე კი არ ბრაზობდა. ბონის და მერედითს მისთვის არაფერი დაუშავებიათ, არც მეთს. მეთი კარგი მეგობარი იყო. შეიძლება თვითონ ბიჭი არა, მაგრამ მისი მანქანა კი ძალიანაც გამოადგა.

განწყობის მიუხედავად, ელენას მოგუდული სიცილი მოაწვა კისერში. საწყალი მეთი, ყოველთვის ყველა მის ჯაბახანა მანქანას ნათხოვრობდა. ალბათ ელენასა და სტეფანზე იმასაც ფიქრობდა, ესენი ცოტა ვერ არიანო.

სიცილმა კიდევ რამდენიმე წვეთ ცრემლს გაუხსნა გზა, ელენამ ცრემლები მოიწმინდა და თავი გადააქნია. ღმერთო, როგორ უკუღმა შეტრიალდა ყველაფერი. იმის მაგივრად, რომ გამარჯვებას ზეიმობდეს რომ კეროლიანს სძლიეს, ის მარტოდმარტო ტირის მეთის მანქანაში.

ისე კეროლიანი რა სასაცილო იყო. ელენას ისტერიკული სიცილი აუვარდა. რა სახე ჰქონდა, იმედია ვინმემ ვიდეოზე გადაიღო.

ბოლოს და ბოლოს, ელენამ ტირილ-სიცილს უკლო და ბოლოს სულ შეწყვიტა. უეცრად დაღლილობის ტალღამ დაუარა. ცოტა ხანს საჭეზე გადაწვა და სცადა არაფერზე ეფიქრა, შემდეგ მანქანიდან გადავიდა.

წავა და სტეფანს დაელოდება, მერე ისინი ორივე დაბრუნდებიან უკან და ელენას გაფუჭებულ საქმეებს გამოასწორებენ. ეს არც ისე ადვილი იქნება, გაიფიქრა ელენამ, საწყალი დეიდა ჯუდიითი; ნახევარი ქალაქის თვალწინ უყვირა.

ასე ძალიან მაინც რატომ გაბრაზდა? თავის თავს რატომ მისცა უფლება ასე გამოსულიყო წყობიდან? ელენამ პანსიონატის ზარი დარეკა მაგრამ არავინ უპასუხა, კარიც დაკეტილი იყო.

მაგარია, ესღა მაკლდა, გაიფიქრა მან და თვალეები ისევ აუწყლიანდა. ალბათ მისის ფლაურსიც დამფუძნებელთა დღის წვეულებაზე იყო წასული. ახლა ელენას არჩევანი ჰქონდა, მანქანაში დაბრუნებულიყო თუ ამ ქარიშხალში მდგარიყო...

ახლავა შეამჩნია როგორ ამინდი იყო და გარშემო შემფოთებით მიმოიხედა. დილაღ ღრუბლიანი და ცივი იყო, მაგრამ ახლა მიწაზე ნისლიც ჩამოწვა, თითქოს ახლომახლო მინდვრების ნასუნთქიაო. ღრუბლები უბრალოდ კი არ ირეოდნენ, დუღდნენ და ქარიც ძლიერდებოდა.

ქარი მუხის ხეების ტოტებშიდან კვნესოდა, ხეებზე შერჩენილ ფოთლებს გლეჯდა და წვიმასავით ყრიდა დაბლა. ნელ-ნელა ხმასაც უწევდა და ახლა უკვე კი არ კვნესოდა, ღმუოდა.

მაგრამ იყო კიდევ რაღაც სხვა. ეს რაღაც ქარის გამოწვეული არ იყო, არამედ ჰაერის. უფრო სწორედ ის ჰაერის გარშემო იყო თითქოს შემოხვეული. ეს იყო შეგრძნება დახუთულობის, საფრთხის და რაღაც წარმოუდგენელი ძალის. ის უფრო და უფრო იკრებდა ძალას, უახლოვდებოდა და დატყვევებას უპირებდა.

ელენა მუხის ხეებისკენ შებრუნდა. რამდენიმე იდგა შენობის უკან, შემდეგ კიდევ ცოტა მეტი, რომლებიც ტყეში ითქვიფებოდნენ. მათ უკან იყო მდინარე და სასაფლაო.

რაღაც...იყო იქ. რაღაც...ძალიან საშიში...

-არა, -დაიჩურჩულა ელენამ. ის ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ ჩამოწვა რაღაც დიდი მის თავზე და ცა დაფარა. მან იგრძნო, რომ ეს იყო თვით ბოროტება, გრძნობდა მის სიძულვილს და ველურ, ცხოველურ სიბრაზეს.

სისხლის წყურვილი. სტეფანმა რომ წარმოთქვა ეს სიტყვები, ელენამ კარგად მაინც ვერ გაიგო და გაიაზრა მათი შინაარსი. ახლა კი გრძნობდა ამას...ვიღაცას მისი სისხლი სწყუროდა.

-არა!

დიდი ფორმის რაღაც უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა და კლდესავით დაადგა თავზე. ჯერ კიდევ ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მოეჩვენა თითქოს უზარმაზარი ფრთები გაიშალა და

ჰორიზონტს შეეხო ორივე მხარეს. ეს იყო ყოვლად წარმოუდგენელი ძალის პატრონი რამ, და ამ რაღაცას სისხელი, სიკვდილი სწყუროდა...

-არა!- ელენა მანქანისკენ გავარდა, რომელიც ამავე დროს მისკენ გადაქანდა. როგორც იქნა მოეჭიდა კარის სახელურს და ნერვიულად მოარგო გასაღები. ქარი კიოდა, წიოდა და თმას უწეწავდა. თვალელებში ყინული შეეყარა და დააბრმავა, მაგრამ ამ დროს გასაღები გადატრიალდა და ელენამ ძლიერად გამოალო კარი.

ახლა უსაფრთხოდ იყო. ელენამ ასევე ძლიერად მოხურა კარი და მუშტით დააწვა საკეტს. შემდეგ სკამებზე გადაეფინა რომ მეორე მხარეზე შეემოწმებინა საკეტი.

გარეთ ქარი ათასი ხმით ღმუოდა; მანქანა აქეთ-იქით ტორტმანებდა.
-შეჩერდი! დეიმონ, გეყოფა!- ელენას ხმა კაკაფონიურ ხმაურში ჩაიკარგა. მართვის დაფას აქეთ-იქიდან შემოაჭდო ხელები, თითქოს ასე მანქანის ბალანსს დაიცავდა. მანქანა უფრო ძლიერად შეზანზარდა და ზედ ყინული დაეცა.

ელენამ რაღაც შეამჩნია. უკანა ფანჯარა იბურებოდა, მაგრამ ბუნდოვნად მაინც ხედავდა ფორმებს. ნისლის ან თოვლისგან გაკეთებულ დიდ ფრინველს მიაგავდა, თუმცა კონტურები ბუნდოვანი იყო. ელენამ გაარჩია მხოლოდ ის, რომ ფრინველს უზარმაზარი ფრთები ჰქონდა და ის მისკენ მოიწევდა...

გასაღები შეარჭე და დაქოქე! ახლა წადი! ელენას გონება ბრძანებებს ისროდა. მანქანამ ამოიხრიალა და ძველებური ფორდის საბურავების ჭრიალმა ქარის ხმაც დაფარა, როდესაც ელენა ადგილს მოსწყდა. დიდი ფრინველის ფორმის რაღაც გამოეკიდა და უკანა ხედვის სარკეში ნელ-ნელა დიდდებოდა.

ქალაქისკენ წადი, სტეფანი უნდა იპოვო! სწრაფად! სწრაფად! მაგრამ როგორც კი ელენამ მარცხნივ, ძველი უბის ქუჩაზე შეუხვია, ცა და დედამიწა ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა.

შეხვევისას რომ არ დაემუხრუჭებინა, ხე ნამდვილად ელენას დაეცემოდა. ძლიერმა დარტყმამ მხოლოდ მიწისძვრასავით შეანჯღრია მანქანა, თვითონ ხე კი სანტიმეტრებით ასცდა მას. ხემ მთელი ტანით და ტოტებით, მთლიანად ჩაკეტა გზა ქალაქამდე.

მახეში გაება. სახლამდე მიმავალი ერთადერთი გზა მოჭრილი იყო. სულ მარტო იყო და ამ საშინელ ძალას ვერსად გაეცეოდა...

ძალა. აი, ამაში იყო ხსნა. "რაც უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო მეტად გბორკავს ბნელი მხარის წესები."

მიმდინარე წყალი!

ელენამ მანქანა მოატრიალა და წინ გაექანა. თეთრი ფრინველის ფორმის რაღაცაც აიკრიფა და მას გამოჰყვა, ისევე ცოტა მანძილით ასცდა დაჯახებას როგორც ხე. ასე და ამგვარად, ელენა უსაშინლეს ქარიშხალში ძველი უბის ქუჩაზე მიაქროლებდა მანქანას.

ის ისევ უკან მისდევდა. ელენას გონებაში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა; როგორმე მიმდინარე წყალი უნდა გადაეკვეთა, რათა ეს რაღაც ჩამოეშორებინა.

ჭექა-ქუხილი ისევ გრძელდებოდა და სხვა ხეებიც დაეცა გზაზე, მაგრამ ელენამ მათ შორის მანევრირება მოახერხა. შორს აღარ იყო, უკვე მდინარეს ხედავდა მარცხნივ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ. ხიდიც გამოჩნდა.

მოაღწია, მან ეს შეძლო! მინაზე თოვლი დაეცა მაგრამ მანქანის მწმენდავების ერთი-ორი გადასმა ეყო მოშორებას. აჰა, შესახვევი აქ უნდა იყოს.

მანქანა ხის ნაკეთობაზე შეაყენა და ის გაჩერდა. ელენა გრძნობდა როგორ ებლაუჭებოდა ბორბლები სველ, სლიპინა ფიცრებს და შემდეგ იგრძნო როგორ გაშეშდნენ ისინი. ელენამ მოტრიალება სცადა მაგრამ ვერაფერს ხედავდა და ადგილიც არ იყო.

დამპალმა ხის სტრუქტურამ ამხელა სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და ელენა მოაჯირიდან მანქანიანად გადაეშვა. ერთი თავბრუდამხვევი მომენტის განმავლობაში იყო მხოლოდ ბზრილის და ვარდნის შეგრძნება, შემდეგ მანქანა წყალში ჩაეშვა.

ელენას ესმოდა კვილი, მაგრამ ხმებს თავის თავთან ვერ აკავშირებდა. მდინარე ადიდდა მის გარშემო; იყო მხოლოდ ხმაური, გაურკვეველობა და ტკივილი. ფანჯარაზე რაღაც ნაგავი დაეცა და გატეხა, შემდეგ მეორე ფანჯარაც. ყინულივით ცივი და მჭრელი წყალი და შუშის ნატეხები ნაკადად შეასკდა ელენას და მთლიანად შთანთქა. ის ველარაფერს ხედავდა. აქედან ვერ გააღწევდა.

უკვე ვეღარც სუნთქავდა. ამ ჯოჯოხეთურ ქაოსში იყო ჩაკარგული, სადაც ჰაერი საერთოდ არ იყო. როგორმე უნდა ესუნთქა. აქედან უნდა გაეღწია...

-სტეფან, მიშველე!-იყვირა ელენამ.

ვერავითარი ხმა ვერ გამოსცა. თანაც, ყინულივით ცივი წყალი ჩაუვიდა ფილტვებში და მთლიანად აავსო. ელენამ გაიბრძოლა, მაგრამ წყალი მასზე ძლიერი იყო. მისი გაბრძოლება ჯერ უფრო გამძაფრდა, შემდეგ აირია და ბოლოს სულ შეწყდა.

შემდეგ ყველაფერი სიჩუმეში ჩაიძირა.

ბონი და მერედიტი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უშედეგოდ დაბორილებდნენ. მათ დაინახეს როგორ და საით წაიყვანეს ასე თუ ისე გაკავებული სტეფანი ტაილერმა და მისმა დამქაშებმა. ჩუმად გაყოლა დააპირეს, მაგრამ შემდეგ ელენას ინციდენტი მოხდა. მეთმა როგორც კი უთხრა მათ, რომ ელენა აქაურობას გამოირდა, ისევ სტეფანის ძებნა განაგრძეს. მაგრამ აქ არავინ იმყოფებოდა, შენობებიც კი არ იყო, ერთი მეტალის, ოვალური სტრუქტურის გარდა.

-ყველაფერთან ერთად ქარიშხალიც გვიახლოვდება!-თქვა მერედიტმა-ქარს უსმინე, აუცილებლად იწვიმებს.

-ან მოთოვს.-გააჟრჟოლა ბონის-ნეტავ სად წავიდნენ?

-არ მაინტერესებს. სადმე თავი უნდა შევაფაროთ, აი უკვე იწყებს.-მერედიტმა მძიმედ ამოისუნთქა, როდესაც ყინულივით ცივი წვიმის პირველი წვეთები დაეცა და ის და ბონი ახლომახლო ერთადერთი თავშესაფრისკენ გაიქცნენ, მეტალის შენობისკენ.

სწორედ იქ იპოვეს სტეფანი. კარი შეღებული იყო; ბონიმ შეიჭყიტა და მაშინვე უკან დაიხია.

-ტაილერის იდიოტების ბანდა!-დაისისინა მან-ფრთხილად!

სტეფანსა და კარს შორის ნახევარწრედ განლაგებულიყვნენ ბიჭები, კეროლანის კუთხეში იდგა.-ნამდვილად მას აქვს! მან მოიპარა როგორღაც! დარწმუნებული ვარ!-ამბობდა გოგო.

-რა მოიპარა?-ხმამალა იკითხა მერედიტმა და ყველამ მათკენ მოიხედა.

კეროლანის მათ დანახვაზე სახე შეეცვალა და ტაილერმა დაიღრინა.-გადით აქედან!-თქვა მან-ნუ ჩაერევით!

მერედიტმა ტაილერს სრული იგნორირება გაუკეთა.-სტეფან, შეიძლება დაგელაპარაკო?

-ერთი წუთი მაცალე. უპასუხებ თუ არა გოგოს შეკითხვაზე? რა მოვიპარე?-მხოლოდ და მხოლოდ ტაილერზე იყო ფოკუსირებული სტეფანი.

-რა თქმა უნდა უპასუხებ მის შეკითხვას. მაგრამ ჯერ შენ გაგცემ პასუხს.-ტაილერმა ფართო ხელები მუშტად შეკრა და წინ ნაბიჯი გადადგა.-ახლა მაგრად მიგბეგვავ, სალვატორე.

ბიჭებიდან რამდენიმემ ჩაიცინა.

ბონიმ პირი დაალო რომ ეთქვა "სასწრაფოდ წავიდეთ აქედან". თუმცა სულ სხვა რამ წარმოთქვა:

-ხიდი!-ნათქვამი იმდენად უცნაური იყო, რომ ყველამ მას შეხედა.

-რა?-იკითხა სტეფანმა.

-ხიდი.-ისევ თავისდაუნებურად გაიმეორა ბონიმ და შეშფოთებისგან თვალები გადმოსცვივდა. თავისივე ყელიდან ამომავალი ხმა ესმოდა,მაგრამ ვერ აკონტროლებდა ნათქვამს. უცებ თვალები კიდევ უფრო გაუდიდდა,გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა და საკუთარი ხმა დაიბრუნა.

-ხიდი,ღმერთო ჩემო,ხიდი! ელენა იქაა. სტეფან უნდა გადავარჩინოთ...იჩქარე!

-ბონი,დარწმუნებული ხარ?

-კი.ღმერთო,აი თურმე სად წავიდა. იხრჩობა,სწრაფად!-სიბნელომ ტალღებად დაუარა ბონის,მაგრამ ახლა მისი გულის წასვლა არ შეიძლებოდა.ელენასთან უნდა წასულიყვნენ.

სტეფანი და მერედიტი მხოლოდ წამიერად შეეყოყმანდნენ. მეორე წამს,სტეფანმა იდიოტების ბანდა გაარღვია; ისე მიყარ-მოყარა აქეთ-იქით თითქოს ქალაქისები ყოფილიყვნენ. მათ უსწრაფესად გადაჭრეს მიწდორი და მანქანების გაჩერებაზე გავიდნენ,თან ბონის მიათრევდნენ. ტაილერი ჯერ გამოეკიდა მათ,მაგრამ შეჩერდა როცა ქარმა მთელი ძალით დაარტყა.

-ამ ქარიშხალში იქ რატომ წავიდა?-ყვირილით იკითხა სტეფანმა.ყველანი მერედიტის მანქანაში შეხტნენ.

-გაბრაზებული იყო. მეთმა თქვა რომ მისი მანქანა წაიყვანა.-ასევე ხმამაღლა უპასუხა მერედიტმა,თუმცა გარემო შედარებით ნაკლებ ხმაურიანი იყო. მანქანა სწრაფად დაძრა და სახიფათო სიჩქარით გააქანა.-უთქვამს პანსიონატში მივდივარო.

-არა,ის ხიდთანაა! მერედიტ,აჩქარდი! ო ღმერთო,დავაგვიანებთ!-ლაპალუპით მოსდიოდა ბონის ცრემლები.

მერედიტი გაზს დააწვა. მანქანამ მომენტალურად წონასწორობა დაკარგა ქარის და თოვლჭყაპის გამო. მთელი ამ კოშმარული მგზავრობის განმავლობაში ბონი ქვითინებდა და წინა სავარძელს განწირული ებლაუჭებოდა.

სტეფანის დროულმა გაფრთხილებამ გადაარჩინა მერედიტი ხესთან შეჯახებას. მანქანიდან გადმოვიდნენ თუ არა მაშინვე გაროზგვით დაისაჯნენ ქარის მიერ.

-ძალიან დიდია,ვერ დავძრავთ. ფეხით უნდა გავაგრძელოთ გზა.-იყვირა სტეფანმა.

რა თქმა უნდოდა,რომ ძალიან დიდია,გაიფიქრა ბონიმ და ტოტებშუა გაძრომა დაიწყო; უზარმაზარი მუხის ხე იყო. მეორე მხარეს რომ გადავიდა,ყინულივით მჭრელმა და ცივმა ქარმა მისი თავიდან ყველა ფიქრი გამოდევნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბონი უკვე ველარაფერს გრძნობდა,უკვე თითქოს საათებია მიდიოდნენ. სირბილი სცადეს მაგრამ ქარმა უკან დააბრუნა. ძალიან ცუდად ხედავდნენ; სტეფანი რომ არა,ნამდვილად მდინარეში გადაცვივდებოდნენ. ბონიმ მთვრალივით ქანაობა დაიწყო. უკვე ეს-ესაა მიწაზე დაეცემოდა,როცა წინ მიმავალი სტეფანის ყვირილი გაიგონა.

მერედიტმა კიდევ უფრო მაგრად შემოაჭდო მკლავები და ორივენი ბორძიკით გაიქცნენ. მაგრამ ხიდს რომ მიუახლოვდნენ,რაც დაინახეს,იმან მაშინვე გააშეშა ისინი.

-ო,ღმერთო...ელენა!-იკივლა ბონიმ. ვიკერის ხიდი მთლიანად დამსხვრეული იყო. ერთ მხარეზე მოაჯირი აღარ ჰქონდა და ფიცრებიც ისე ჩამტვრეულიყო,თითქოს გიგანტის მუშტი მოხვდაო. დაბლა,მუქი წყალი ზედ უვლიდა ნამსხვრევების საზარელ გორას. მათ შორის იყო მეთის მანქანაც,რომელიც თითქმის მთლიანად ჩამირულიყო და მარტო ფარები უჩანდა.

მერედიტიც კიოდა,მაგრამ სტეფანის მისამართით.-არა! იქ ვერ ჩახვალ!

ბიჭს უკან არც მოუხედავს,ისე ჩაყვინთა.წამში წყალმა დაფარა ის.

მოგვიანებით,საბედნიეროდ,ბონის მოგონებები ამ წუთებისა ბუნდოვანი იქნებოდა. ახსოვდა როგორ ელოდებოდნენ სტეფანს და როგორ არაფრის დიდებით ჩერდებოდა ქარიშხალი. უკვე თითქმის აღარაფერი აინტერესებდა,როდესაც წყლიდან წელში მოხრილმა ფიგურამ ამოყვინთა.

ახსოვდა მხოლოდ იმედეგაცრეუბა, ღრმა მაგრამ ძილბურანში განცდილი მწუხარება, როდესაც სტეფანმა რაღაც მოდუნებული საგანი დაასვენა მიწაზე.

ბონის ასევე ახსოვდა სტეფანის სახე. ახსოვდა მისი გამომეტყველება, როდესაც ცდილობდნენ ელენასთვის რაიმე ეშველათ. თუმცა ელენა სულაც არ ესვენა იქ, ეს იყო ცვილის თოჯინა ელენას მსგავსი სახის ნაკვებით. მას არაფერი ეტყობოდა თუ როდესმე იყო ცოცხალი, ახლა მითუმეტეს ნამდვილად არ ედგა სული. ბონი ფიქრობდა რომ სისულელე იყო ამდენი ჩხიკინი და ჩხვლეტა, იმის ცდა როგორმე თოჯინის ფილტვებიდან წყალი ამოეტუმბათ და ასე შემდეგ. ცვილის თოჯინები ხომ არ სუნთქავდნენ.

გოგოს ახსოვდა სტეფანის სახე როცა ის საბოლოოდ დანებდა. მერედიტი ეჩხუბებოდა და უყვიროდა მას და რაღაცას ამბობდა საათზე მეტი უჰაეროდ ყოფნაზე და ტვინის დაზიანებაზე. ბონის მხოლოდ სიტყვები ესმოდა, მაგრამ მათ მნიშვნელობას ვერ იგებდა. მას უცნაურად ეჩვენებოდა რომ სტეფანი და მერედიტი თან უყვიროდნენ ერთმანეთს და თან ტიროდნენ.

ბოლოს სტეფანმა ტირილი შეწყვიტა. ის უბრალოდ იჯდა და თოჯინა-ელენა ეჭირა. მერედიტი ცოტა ხანს კიდევ ყვიროდა, მაგრამ ბიჭს ვერაფერი შეასმინა. ის უბრალოდ იჯდა. ბონის არასოდეს დაავიწყდებოდა მისი სახის გამომეტყველება.

უცებ ბონიში რაღაცამ გამოიღვიძა, თითქოს ხელახლა ჩაუდგა სული და შიშის გრძნობა მოჰგვარა. ის მერედიტს მოებლაუჭა და გარშემო მიიხედ-მოიხედა. რაღაც ცუდი... რაღაც საშინელი უახლოვდებოდათ. უკვე ახლოს იყო.

სტეფანიც გრძნობდა ამას. ფხიზელი და გახევებული იყო, როგორც მგელი რომელიც სუნს იღებს.

-რა ხდება?-იყვირა მერედიტმა-რა გჭირთ?

-უნდა წახვიდეთ!-წამოდგა სტეფანი, მოშვებული ფიგურა ისევ ხელში ეჭირა.-აქაურობას უნდა მოშორდეთ!

-რას გულისხმობ? შენ ხომ ვერ მიგატოვებთ...

-ძალიანაც კარგად მიმატოვებთ! წადით აქედან! ბონი, წაიყვანე!

ადრე არავის დაუვალეზია ბონისთვის ვინმეზე ზრუნვა. ყველა ყოველთვის მასზეზრუნავდა. მაგრამ ახლა მერედიტს მკლავზე მოჰკიდა ხელი და წაათრია. სტეფანი მართალს ამბობდა- ელენას ველარაფერს უშველიდნენ და თუ დარჩებოდნენ რამაც ის მოკლა, მათაც ბოლოს მოუღებდა.

-სტეფან!-იყვირა მერედიტმა როდესაც მიხვდა, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ მაინც მიჰყავდათ აქედან.

-ხეების ქვეშ დავაწვენ. ტირიფების და არა მუხების.-მიამახა მათ სტეფანმა.

ამას ახლა რატომ გვეუბნება? გონების შორეულ კუნჭულში გაიფიქრა ბონიმ, რომელიც შეპყრობილი არ ჰქონდათ შიშს და შტორმს.

პასუხი მარტივი იყო და მისი გონებაც დაუყოვნებლივ მივიდა დასკვნამდე. იმიტომ რომ, მოგვიანებით ცოცხალი აღარ იქნებოდა რომ მათთვის ეს ეთქვა.

დიდი ხნის წინ, ფლორენციის ბნელ და ვიწრო ქუჩებში შიმშილით დაოსებული, შემინებული და დაქანცული ხეტიალისას, სტეფანმა საკუთარ თავს პირობა მისცა. უფრო სწორად რამდენიმე პირობა, რომლებიც შეეხებოდა თავისი განსაკუთრებული ძალების გამოყენებას სუსტი, უხეში, მაგრამ მაინც ადამიანად წოდებული არსებების მიმართ, ვინც ირეოდნენ მის

გარშემო. ახლა ის ყველა იმ პირობის დარღვევას აპირებდა. ელენას გაყინულ შუბლზე აკოცა და ტირიფის ხის ქვეშ დაასვენა. თუ შეძლებდა, შემდეგ თვითონაც შეუერთდებოდა მას. როგორც ივარაუდა, ძალამ ბონი და მერედითი გაუშვა და სტეფანს გაჰყვა, თუმცა ცოტა ხნით უკან დაიხია, ელოდა. სტეფანი არ აპირებდა მისთვის დიდხანს ეცდევინებინა. ელენას გვამის სიმძიმისგან გათავისუფლებული, მტაცებლის ნახტომით გაიჭრა ცარიელ გზაზე. თოვლქყაპი და ყინულისგან ცივი ქარი დიდად არ აწუხებდა. მისი მონადირის შეგრძნებები მათშიც აღწევდა. ასე რომ, სტეფანმა ყველა გრძნობა სასურველი მსხვერპლის მოსაძებნად მომართა. ახლა არ იფიქრებდა ელენაზე. მერე, ეს ყველაფერი რომ დასრულდებოდა. ტაილერი და მისი მეგობრები ისევ მეტალის შენობაში იმყოფებოდნენ, ძალიან კარგი. მათ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ ფანჯრის მინა ათას ნაწილად დაიმსხვრა და ოთახში ცივი ქარი შეიჭრა. სტეფანს ტაილერის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, როდესაც კისერში წაავლო ხელი და წვეტიანი კბილები ჩაასო. მისი ერთ-ერთი წესი ეს იყო, არავითარი მკვლელობა, ახლა მისი დარღვევა სურდა. უცებ ერთ-ერთი კუნთიანი ბიჭი გამოემართა მისკენ სანამ ტაილერს სულ დაცლიდა სისხლისგან. ბიჭი თავისი დამარცხებული ლიდერის დაცვას სულაც არ ცდილობდა, მას გაქცევა სურდა და მის უიღბლობაზე მიანიშნებდა ის ფაქტი, რომ გზაზე სტეფანს შეეჩეხა. სტეფანმა ის მიწაზე დააგდო და არტერია სიამოვნებით მოუსინჯა. ცხელმა, სპილენძის გემოს მქონე სითხემ გამოაფხიზლა, გაათბო და სხეულში ცეცხლივით დაუარა. კიდევ მეტი მოანდომა. ძალა. სიცოცხლე. მათ ჰქონდათ ეს ყველაფერი, სტეფანს კი სჭირდებოდა. ძალის გასაოცარი მოჭარბება იგრძნო იმით რაც უკვე დალია, ასე რომ დანარჩენების გაბრუნება სულ არ გასჭირვებია. ერთიდან მეორეზე გადადიოდა, ბევრ სისხლს სვამდა და გვერდზე აგდებდა. ეს პროცესი დაახლოებით 6-ბოთლიან ლუდის პაკეტზე თავსახურების ახდას ჰგავდა. უკვე ბოლო ბიჭზე იყო, როცა კუთხეში მიყუჩული კეროლანინი დაინახა. სტეფანის ნიკაპიდან სისხლი წვეთავდა, როცა მან თავი ასწია და გოგოს შეხედა. კეროლანინის ჩვეულებრივ დაწვრილებული, მწვანე თვალები ახლა გარშემო სულ თეთრი იყო და შეშინებული ცხენისას მიუგავდა. ის გაფერმკრთალებული ტუჩებით, უხმოდ შეწყალების თხოვნას ლულულულებდა. სტეფანმა გოგო მის წელზე შემოხვეული მწვანე სარტყელებით წამოაყენა ფეხზე. კეროლანინი კვნესოდა და თვალებს უაზროდ ატრიალებდა. ბიჭმა მისი წითური თმა ხელზე დაიხვია და კისერი მოსახერხებელ პოზიციაში გაასწორა, ზუსტად ისე როგორც უნდოდა. თავი გადახარა და საკბენად მოემზადა, ამ დროს კეროლანინმა ერთი იკვილა და სხეული მოუდუნდა, გული წაუვიდა. სტეფანმა იქვე დააგდო ის, უკვე საკმარისი სისხლი ჰქონდა დალეული. მეტიც, გადავსებული ტიკივით გრძნობდა თავს, თითქოს სადაცაა უნდა გასკდესო. ასე ძლიერად არასოდეს უგრძნვია თავი, სტიქიური ძალებით იყო სავსე. ახლა დეიმონისთვისაც მოიცალა. შენობიდან იმავე გზით გავიდა, როგორც შემოვიდა, მაგრამ არა როგორც ადამიანი. სანადირო შევარდენი ნავარდით გამოფრინდა ფანჯრიდან და ცაზე წრე შემოხაზა. მისი ეს ახალი ფორმა საოცარი იყო; ძლიერი... და სასტიკი. თვალებიც გაცილებით მჭრელი ჰქონდა. მუხის ხეებს თვალი მოავლო და უცებ მიაგნო რასაც ეძებდა, ერთ კონკრეტულ გამლილ ადგილს. სპირალური ბრუნვით დაეშვა დაბლა, მიუხედავად იმისა რომ ქარი ეხეთქებოდა მთელ ტანზე. თან გამყინავად და გამომწვევად გაჰკიოდა. დეიმონმა, რომელიც დაბლა ადამიანის ფორმაში იდგა, სახეზე ხელები აიფარა რომ მისკენ წამოსული შევარდნისგან დაეცვა თავი. სტეფანმა მას კლანჭები ჩაასო და სისხლიანი ზოლები დაუტოვა მკლავებზე, დეიმონის საპასუხო ღრიალიც მოესმა, ტკივილით და სიბრაზით სავსე. მე უკვე შენი სუსტი, პატარა ძმა აღარ ვარ. განსაცვიფრებელი ძალით, სტეფანმა ფიქრით უყვირა დეიმონს. ამ ჯერზე, მე დავლევ შენს სისხლს. დეიმონისგან საპასუხო სიძულვილის ტალღა წამოვიდა, თუმცა მისი გონების ხმა დამცინავი იყო. ჰმ, მაღლობის მაგიერია შენი და შენი

დანიშნულის გადარჩენისთვის? სტეფანმა ფრთები დაკეცა და ისევ დაბლა დაეშვა. მთელი მისი სამყარო ახლა ამ ერთი პერსონის, ამ ერთი ობიექტის მოკვლაზე იყო ორიენტირებული. დეიმონს თვალეში უმიზნებდა, მაგრამ ამ დროს მან ჯოხი აიღო, რომელმაც სტეფანის ახალ სხეულს სულ ახლოს გაუზუზუნა. მისი ბრჭყალები დეიმონს ლოყაში ჩაესო და სისხლი წამოუვიდა. ძალიან კარგი. ცოცხალი არ უნდა დაგეტოვებინე, უთხრა დეიმონს. ორივე ერთად უნდა მოგეკალით. სიამოვნებით გამოვასწორებ მაგ შეცდომას! დეიმონი წელან მოუმზადებელი დახვდა, მაგრამ ახლა სტეფანი გრძნობდა როგორ იკრებდა ძალას და საბრძოლველად ემზადებოდა. მაგრამ ჯერ მითხარი, ამჯერად ვინ გგონია რომ მე მოვკალი? შევარდენის ტვინისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა ის ემოციათა კორიანტელი, რაც ამ დამცინავმა შეკითხვამ გამოიწვია მასში. უხმოდ იკვილა და ისევ დეიმონისკენ დაეშვა, მაგრამ ამჯერად მძიმე ჯოხი მიზანს მოხვდა. შევარდენი დაიჭრა, ერთი ფრთა მოტყდა და დეიმონის ზურგს უკან დაეცა. სტეფანი მაშინვე თავის ჩვეულ ფორმას დაუბრუნდა, მოტეხილი მკლავის ტკივილს თითქმის ვერ გრძნობდა. სანამ დეიმონი მოტრიალებას მოასწრებდა, სტეფანი საღი ხელით მას კისერში სწვდა, შემოაბრუნა და თითქმის ნაზად უთხრა. - ელენა. - დაიჩურჩულა და დეიმონს კისერზე უკბინა. ბნელოდა და ციოდა. ვიღაც დაჭრილი იყო და დახმარება სჭირდებოდა. მაგრამ ის ისეთი დაღლილი იყო. ელენამ ქუთუთოები შეარხია და თვალები გაახილა; ამით სიბნელის პრობლემა გადაიჭრა. აი სიცივე კი ძვლებამდე ატანდა, ძვლის ტვინიც კი გაყინული ჰქონდა. არც იყო გასაკვირი, მთლიანად ყინულით იყო დაფარული. სადღაც, გულის სიღრმეში თუ გონების კუნჭულში, ელენამ იცოდა რომ საქმე სულ სხვა რამეში იყო. რა მოხდა? სახლში იყო და ეძინა... არა, დამფუძნებლების დღე იყო. კაფეტერიაში იჯდა, შემდეგ სცენაზე იმყოფებოდა. ვიღაცის სახე სასაცილოდ გამოიყურებოდა. ეს ყველაფერი მეტისმეტი იყო, ფიქრიც კი არ შეეძლო. სახეებმა ჩაუქროლა თვალებს, წინადადებების ფრაგმენტები ჩაესმა ყურებში. ძალიან დაბნეული იყო და ძალიან დაღლილი. ჯობდა ძილი შეებრუნებინა. ყინულიც ისე აღარ აწუხებდა. დაწოლა დააპირა მაგრამ ისევ შემოესმა ყვირილის ხმები. ხმები ყურებით კი არ ესმოდა, არამედ გონებით. სიბრაზის და ტკივილის ხმები იყო. ვიღაც ძალიან უბედური იყო. ელენა ძალიან წყნარად იჯდა და ცდილობდა სიტუაციაში გარკვეულიყო. ელენას თვალთახედვის არეში რაღაც გაინძრა. ციყვი. მისი სუნი ეცა, ეს უცნაური იყო, რადგან აქამდე ციყვის სუნი არასდროს უგრძნებია. ერთი დიდი, შავი თვალით დაჟინებით შემოხედა და ტირიფის ხეზე აცოცდა. ელენა მხოლოდ მაშინ მიხვდა ციყვის დაჭერა რომ სცადა, როცა ცარიელი ხელები ჰაერში გაასავსავა და ფრჩხილები ხის ტანს ჩაასო. რა სისულელე იყო. ციყვი რა ჯანდაბაში სჭირდებოდა? ერთი წუთი ფიქრობდა მაგაზე, შემდეგ ისევ წამოწვა დაქანცული ხმები ისევ მოდიოდა. ყურებზე ხელი მიიფარა, მაგრამ ამან ხმები ოდნავაც ვერ ჩაახშო. ვიღაცა დაჭრილი იყო, და უბედური, და შუა ბრძოლაში. ჰო, ამაში იყო საქმე. სადღაც ბრძოლა მიმდინარეობდა. ძალიან კარგი. ამოცანა ამოხსნა. ახლა შეეძლო მშვიდად დაეძინა. მაგრამ რატომღაც ვერ იძინებდა. ხმები იხმობდა და მათკენ იზიდავდა. დაუოკებელი და მოუგერიებელი საჭიროების გრძნობა გაუჩნდა, რომ ამ ხმების წყარო მოეძებნა. შემდეგ შეეძლო დაეძინა... მაგრამ ჯერ ის უნდა ენახა. ჰო, რა თქმა უნდა, ახლა ზოგი რამ მოაგონდა. ის გაახსენდა. მას ხომ ესმოდა ელენასი, მას უყვარდა გოგო. სწორედ მასთან ერთად უნდოდა ელენას სამუდამოდ ცხოვრების გატარება. მის ნისლით დაბურულ გონებაში მისი სახე გამოიკვეთა. ელენა სიყვარულით მიეალერსა მოგონებას. კარგი, მაშინ. მისი გულისთვის ახლავე ადგებოდა და ამ სულელურ თოვლქყაპში იქამდე ივლიდა, სანამ საჭირო ადგილს არ იპოვიდა, სანამ მას არ შეუერთდებოდა და შემდეგ ისინი სულ ერთად იქნებოდნენ. მასზე ფიქრიც კი ათბობდა. ბიჭში იყო განსაკუთრებული ცეცხლი, რომელსაც სხვები ვერ ხედავდნენ, ელენა კი ხედავდა, რადგანაც გოგოშიც ზუსტად ისეთივე ცეცხლი გიზგიზებდა. ამ წუთას, მას რაღაც

უჭირდა. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ყვირილის ხმა მოდიოდა. უკვე საკმაოდ ახლოს იყო, ასე რომ ხმები ყურებითაც ესმოდა და გონებითაც. აი იქ, ბაბუის ხნის მუხის ხის ქვეშ. სწორედ იქიდან მოდიოდა ხმაური. ისიც იქ იყო, თავისი ამოუცნობი შავი თვალებით და გასაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმილით. მას დახმარება სჭირდებოდა. ჰოდა, ელენა ახლავე მიეშველებოდა მას. ელენამ თმიდან ყინულის კრისტალები დაიბერტყა და ტყიდან გაშლილ ადგილას გავიდა.